საკვანძო სიტყვები: ქცევითი სამართალი და ეკონომიკა,
მომხმარებლის ინფორმირება, სამომხმარებლო კრედიტი

შესავალი

სამომხმარებლო ურთიერთობებში, რომლის ქვაკუთხედად მომხმარებელთა უფლებების დაცვა გვევლინება, მნიშვნელოვანი პრობლემაა ინფორმაციის ასიმეტრიულობა¹ – არასწორად გაცვლილი და აღქმული ინფორმაცია, რომელიც, როგორც წესი, ბაზრის შემცირების ან გაქრობის ერთ-ერთი მიზეზია. მისი შედეგების აღმოსაფხვრელად, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა სხვადასხვა რეგულირების გზას მიმართავს, მათ შორისაა ინფორმაციის გამჟღავნება. განსხვავებით სახელშეკრულებო სამართალში დამკვიდრებული ინფორმაციის მიწოდების ზოგადი ვალდებულებისა, მომხმა-

¹ ინფორმაციის ასიმეტრიულობა განმარტებულია, როგორც მდგომარეობა, როცა ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე აქტივობაზე ფლობს უფრო მეტ ინფორმაციას და, ამდენად, უპირატეს პოზიციაშია, ვიდრე მეორე მხარე. იხ. Chang, H.J., 2014. Economics: The User’s Guide, London, Penguin, p. 391.

რებლის მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში გასამქლავნებელი ინფორმაციის ვალდებულება და მისი შინაარსი ცალკე რეგულირდება, რასაც საფუძვლად უდევს ფორმალური, აბსტრაქტული თანასწორობის იდეა, რომელიც, თავის მხრივ, მთავარ როლში ეკონომიკური ინტერესების² მქონე რაციონალურად მოაზროვნე მომხმარებელს განიხილავს, თავისუფალს პატერნალიზმისგან.³ დღესდღეობით მომხმარებლის მსგავსი პარადოქსული სურათი მსჯელობის საგნადაა ქცეული, გამომდინარე იქიდან, რომ მომხმარებელი, სხვადასხვა ფაქტორის გამო, ყოველთვის არ არის რაციონალური, ამასთან, იგი სამართლებრივ სივრცეში აღიარებულია, როგორც „სუსტი მხარე“⁴ და სწორედ ამიტომ საჭიროებს კანონმდებლის მხრიდან განსაკუთრებულ დაცვას.

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში⁵ აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა მომხმარებლის ირაციონალურობის შესახებ, როდესაც ის არჩევანის წინაშე დგას. ამ კუთხით მნიშვნელოვან როლს ქცევითი ანალიზი ასრულებს, რამეთუ მომხმარებლის მიერ ინფორმაციის ინტერპრეტირება წმინდა ემპირიული საკითხია.⁶ სამომხმარებლო სამართალი ერთ-ერთი პირველი დარგია, სადაც იურისტები ქცევითი ანალიზის რელევანტუ-

რობას ჩანვდნენ.⁷ ეს, ერთი მხრივ, იქიდან გამომდინარეობს, რომ სამართლის ეს დარგი ფოკუსირებას ახდენს ინდივიდუალურ ქცევაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ის ბუნებრივად პატერნალისტურია, რადგან მიზნად ისახავს მომხმარებელთა დაცვას უარყოფითი არჩევანისგან. ამ კუთხით, ქცევითი მეცნიერებების როლი ვლინდება იმაში, რომ შემოგვთავაზოს რეგულაციის ისეთი სახეები, რომლებიც მომხმარებლებისა და სამოქალაქო ბრუნვისთვის უფრო უკეთესი იქნება. სამომხმარებლო ურთიერთობებში ასეთ მიზანს ემსახურება ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა ინფორმაციის გამჟღავნება⁸ და გადაფიქრების ვადა⁹.

განსხვავებით ტრადიციული ეკონომიკური ანალიზის მოდელისა, რომელიც შედეგებს ადამიანის ქცევის ოპტიმალურობით განსაზღვრავს¹⁰, ბიჰევიორისტული ანალიზი, ნეირომეცნიერული თუ ფსიქოლოგიური კვლევების დახმარებით¹¹, მომხმარებელთა რეალურ ქცევას იღებს მხედველობაში. იგი ცხადყოფს, რომ ადამიანს, არჩევანის მიღებისას, სუსტი თვითკონტროლი და შეზღუდული რაციონალობა გააჩნია¹², მეტიც, ქცევითი მეცნიერებები გვთავაზობს ძალზე მნიშვნელოვან იდეას, რომ მომხმარებლებს არ შეუძლიათ და არც უნდათ ყველაფერზე ინფორმირებული არჩევანის გაკეთება.¹³ შესაბამისად, ლოგიკურია სა-

2 მაგ., იხ. Case C-59/12 BKK Mobil Oil Körperschaft des öffentlichen Rechts v Zentrale zur Bekämpfung unlauteren Wettbewerbs eV [2013]

3 Dani, M., 2011. Assembling The Fractured European Consumer, LEQS 29, p. 13, თუმცა, აღიარებულია, რომ მომხმარებელთა უფლებების დასაცავად პატერნალისტური მიდგომა სხვადასხვა არგუმენტითაა გამყარებული, მაგ. იხ. Haupt, S., 2003. An Economic Analysis of Consumer Protection in Contract Law, German Law Journal, 4(11), p. 1161.

4 მსგავსი განხილვა კონსტიტუციურად არის აღიარებული. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბერის No1/3/136 გადაწყვეტილება, პუნქტი 10.

5 მაგ., იხ. Case C-382/87, Buet v Ministère Public [1989] ECR 1235.

6 Beales, J.H., 2008. Consumer Protection and Behavioral Economics: To BE or Not to BE? Competition Policy International, p. 165.

7 Sibony, A.L., Helleringer, G., 2015. EU Consumer Protection and Behavioural Sciences: Revolution or Reform? Nudge and The Law, Hart Publishing, p. 209.

8 იგულისხმება ინფორმაციის მიწოდების, გამჟღავნების წინასახელშეკრულებო ვალდებულება.

9 ე.წ. „cooling-off period“.

10 Australian Government Productivity Commission, 2007. Review of Australia's Consumer Policy Framework, Draft Report, p. 319.

11 იხ. Calabresi, G., 2016. The Future of Law and Economics, Yale University Press, p. 5.

12 შეზღუდული რაციონალურობა გულისხმობს, რომ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების წინ ადამიანები ყველა შესაძლო ალტერნატივის და გრძელვადიან შედეგების განხილვას ვერ ახერხებენ. იხ. Simon H.A., 1957, Rational Choice and the Structure of the Environment, in Models of man: social and rational; New York, Wiley, p. 198.

13 Sunstein, C., 2015. Choosing not to Choose:

ხელმწიფოთა მხრიდან სხვადასხვა ორგანოში ქცევითი მეცნიერებების შესაბამისი უწყებების შექმნა, რომლებიც რეგულირების სხვადასხვა საკითხს ინდუქციურად იკვლევს. რამდენადაც საკვლევი თემა სამომხმარებლო ურთიერთობებს შეეხება, აღსანიშნავია, რომ მსგავს ინსტიტუტებს უშუალოდ მომხმარებელთა უფლებების ადმინისტრაციებშიც ვხვდებით, მაგალითად, ასეთებია ევროკავშირში იუსტიციისა და მომხმარებელთა საკითხებზე გენერალური დირექტორატი¹⁴, აშშ-ში – FTC, ნიდერლანდებში – Authority for Consumers and Market და ა.შ.¹⁵ მომხმარებელთა უფლებების საკითხები ძალზე დინამიკურია, რაც კვლევას აქტუალურს ხდის.

2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას, რომელიც სრულად ძალაში 2016 წლის 1 ივლისს შევიდა. ამით საქართველომ ვალდებულება აიღო, საკუთარი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას. ამგვარი კანონმდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პაკეტი, კერძოდ კი, VI კარის მე-13 თავი, ეხება მომხმარებელთა უფლებების დაცვას. საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის საკითხების კომიტეტმა შეიმუშავა მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტი¹⁶ (შემდგომში – კანონპროექტი), რომლის საჯარო ვერსიაც შესაბამის კონტექსტში იქნება გამოყენებული. სამწუხაროდ, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ კანონის მიღება სხვადასხვა მიზეზის გამო დღემდე ვერ მოხერხდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმებაში დღეისათვის გაუქმებული ან შინაარსშეცვლილი ევროკავშირის დირექტივებია მითითებული, სტატია

კი მოქმედ დირექტივებს ეყრდნობა.

ასევე, სპეციალური ყურადღება უნდა გამახვილდეს ინფორმაციის გამჟღავნების წინასახელშეკრულებო ვალდებულებაზე სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში. ხაზგასასმელია, რომ ფინანსური ტრანზაქციები სპეციალურ რეგულირებას საჭიროებს და კანონმდებელი მეტად უნდა იყოს ყურადღებით, რათა არ გამოიწვიოს ორმაგი რეგულირება.¹⁷

1. მომხმარებლის სურათი და ინფორმაციის პარადიგმა

მომხმარებელთა დაცვის მაღალი სტანდარტის შემუშავებისთვის აუცილებელია თავად მომხმარებლის სურათის შექმნა და გაგება. თავის მხრივ, ამისათვის საჭიროა ინფორმაციის პარადიგმის განმარტება, რომელიც მომხმარებლის სურათის ბაზისს წარმოადგენს.

ინფორმაციის პარადიგმა ევროკავშირის სამომხმარებლო სამართლის ტრადიციული ფუნდამენტური მახასიათებელია, რომელსაც არაერთ დირექტივაში ვხვდებით.¹⁸ იგი, ერთი მხრივ, გვთავაზობს, რომ არსებობენ მომხმარებლები, რომლებსაც შეუძლიათ, სურთ და კომპეტენტურები არიან, გაუმკლავდნენ მიწოდებულ ინფორმაციას, გაეცნონ მას სხვადასხვა ენაზე და მიიღონ ინფორმირებული რაციონალური გადაწყვეტილებები.¹⁹ მეორე მხრივ, ინფორმაციის პარადიგმა უზრუნველყოფს, რომ

Understanding the Value of Choice, Oxford University Press.
 14 DG Justice and Consumers.
 15 იხ. OECD Science, Technology and Industry Policy Papers, 2017. Use of Behavioural Insights in Consumer Policy, No. 36, OECD Publishing, Paris, p. 10.
 16 საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2019. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224285?>

17 მიკლიტი, ჰ.ვ., 2018. მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზი (2017 წლის მარტის მდგომარეობით), გვ. 7-8.
 18 Reich, N., Micklitz, H.W., 2014. “Economic Law, Consumer Interests and EU Integration” in Reich, N., et al (eds), European Consumer Law Cambridge, p. 21. მაგალითად, უსამართლო კომერციული პრაქტიკის შესახებ 2005/29/EC დირექტივა, მომხმარებელთა უფლებების შესახებ 2011/83/EU დირექტივა.
 19 Micklitz, H.W., Reisch, L.A., Hagan, K., 2011. An Introduction to the Special Issue on “Behavioural Economics, Consumer Policy, and Consumer Law”, Springer, p. 271.

ხელშეკრულებაში, რომლის ერთ მხარესაც მომხმარებელი დგას, ინფორმაციის მიწოდება მოვაჭრის უპირობო ვალდებულებად იქცეს,²⁰ რამეთუ მას ინფორმაციული უპირატესობა აქვს. შესაბამისად, საშუალო დონის მომხმარებლის სტანდარტი მნიშვნელოვნად ეყრდნობა *homo economicus*-ის, რაციონალური მომხმარებლის სურათს. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს სხვადასხვა გადაწყვეტილებაში საშუალო მომხმარებელი არის საკმარისად ინფორმირებული, დაკვირვებული და წინდახედული.²¹ თუმცა, ეს არ არის ემპირიულ კვლევებთან თანხვედრაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ მიდევალზე სერიოზულად ვერ იმოქმედებს ე.წ. წაუკითხველობის ტენდენცია, რასაც არაერთი კვლევა ცხადყოფს.²² სასამართლო პრაქტიკაში არსებული დაშვებით, ასეთი მომხმარებელი უნდა ამოწმებდეს ყოველგვარ ინფორმაციას და კითხულობდეს ეტიკეტებს,²³ არ ტყუვდებოდეს პროდუქტის ფერით და სხვ. ამის ფონზე, ქცევითი კვლევები ცხადყოფს, რომ ევროკავშირის მიერ იდეალიზებულ საშუალო დონის მომხმარებელსა და საშუალო დონის მომხმარებელთა რეალურ ქცევებს შორის დიდი განსხვავებაა.²⁴

მართლაც, თუკი გავიზიარებთ ტრადიციულ ეკონომიკურ ანალიზს, რომ მომხმარებლები მიწოდებული ინფორმაციის საშუ-

ალებით გადაწყვეტილებას ოპტიმალური სარგებლიანობის მიღწევისთვის იღებენ, ხოლო მათი პრეფერენციები დროში მყარია²⁵, ამით შეგვწინააღმდეგებით ბაზარზე არსებულ რეალობას და, რაც მთავარია, მომხმარებლის, როგორც „სუსტი მხარის“ აღიარებულ კონცეფციას.²⁶ კერძოდ, მომხმარებლის ობიექტური „სისუსტე“ მდგომარეობს იმაში, რომ იგი დაუცველ პოზიციაში იმყოფება ბაზარზე გარკვეული ძალაუფლებისა და მარკეტინგული პოლიტიკის მქონე ინფორმირებულ მოვაჭრესთან შედარებით, ხოლო სუბიექტური „სისუსტის“ ქვეშ მომხმარებელთა პიროვნული თვისებები იგულისხმება – მერყეობა, თავისუფალ ნებაზე ზეგავლენა ხშირად მათთვის არასასურველ შედეგებს იწვევს.²⁷ მართლაც პროდუქტის შეფუთვის გამოყენება პროდუქტის ღირებულების გასაზრდელად ნათლად ცხადყოფს, რომ მომხმარებელი არ უნდა აღვიქვათ, როგორც რაციონალური. მეტიც, B2B ურთიერთობებშიც კი, სადაც მოსალოდნელი რაციონალობის მაღალი სტანდარტია, ემოციური ფაქტორები შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზეც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს.²⁸

ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფო მომხმარებლის ირაციონალურ სურათს ეყრდნობა. მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნების ეროვნული სამომხმარებლო სამართალი „საშუალო“ მომხმარებელს კანონმდებლობაში არ ახსენებს, რაც „სუსტი“, „მოწყვლადი“ მომხმარებლების კატეგორიას და და-

20 ლაკერბაია, თ., 2015. ინფორმირებული მომხმარებლის ევროპული სტანდარტი, სამართლის ჟურნალი 1, გვ. 147.

21 პირველად ვხვდებით საქმეში C-210/96 Gut Springerheide, EU:C:1998:369, პარ. 31. მას შემდეგ ასეთი განმარტებაა მოცემული არაერთ საქმეში, მაგ., Canal Digital Danmark, C 611/14, EU:C:2016:800, პარ. 39.

22 Aryes, I., Schwartz, A., 2014. The No-Reading Problem in Consumer Contract Law, Stanford Law Review, Vol. 66, No. 3. მსგავსი აპათია რაციონალურადაცა აღიარებული – იხ. Ben-Shahar, O., 2009. The Myth of the “Opportunity to Read” in Contract Law, European Review of Contract Law, p. 5.

23 მაგ., Case C-51/94 Commission v Germany, EU:C:1995:352, პარ. 34, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ ის მომხმარებლები, რომელთაც ადარდებთ სოუსის ინგრედიენტები, კითხულობენ ეტიკეტებს.

24 იქვე, მე-7 სქ., გვ. 215.

25 Kennedy, S., 2008. The future of consumer policy: Should we regulate to protect homo economicus? Competition and Consumer Policy Division, Australian Treasury, p. 10.

26 იხ. მე-4 სქ.

27 ლაკერბაია, თ., ზაალიშვილი, ვ., ზოიძე, თ., 2018. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), იბსუ, გვ. 49.

28 Hague, P., A Guide to B2B Marketing And How it Differs From Consumer Marketing, <https://www.b2binternational.com/publications/b2b-marketing/> [ბოლო წვდომა: 26.10.2021].

ცვის უფრო მაღალ სტანდარტს ქმნის.²⁹ მიუხედავად ამისა, ფინეთის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „უსამართლო კომეციული პრაქტიკის შესახებ“ 2005/29/EC დირექტივის მაქსიმალური ჰარმონიზების შედეგად, როცა ის გამოყენებადი, ირაციონალური მომხმარებლის ტრადიციული სურათი უკან იხევს და სასამართლო ევროკავშირის საშუალო მომხმარებლის სტანდარტს ეყრდნობა.³⁰ თანამედროვე ეკონომიკის, ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერების კვლევებმა ცხადყო ისიც, რომ ინფორმაციის პარადიგმა თანამედროვე ინგლისის მომხმარებელთა სამართლის სიმბოლოს წარმოადგენს.³¹ ამდენად, აშკარაა, რომ ზოგიერთი სახელმწიფო აღიარებს ქცევითი ეკონომიკის მნიშვნელობას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ინფორმაციის პარადიგმა, რომელიც არჩევანის თავისუფლებას ემსახურება, ერთგვარად შევავსოთ ქცევითი ანალიზით, რომლის ცალკეული მიგნებებიც ქვემოთ არის განხილული.

2. ინფორმაციის გამჟღავნება შეზღუდული რაციონალობის მეორე მომხმარებლისთვის

2.1. რეგულირების საჭიროება და ქცევითი მიკერძოებები

არჩევანის უზრუნველყოფის შინაარსი ორგვარია: ერთი ნაწილი კონკურენციის

უზრუნველყოფას ეხება, ხოლო მეორე – სათანადო ინფორმაციის ქონას, რომლის გარეშეც ალტერნატივის არსებობის თაობაზე გაუთვითცნობიერებლობა არჩევანის გაკეთებას შეუძლებელს ხდის. კონკურენცია, დაბალი ფასებით, ფართო არჩევანით, მაღალი ხარისხითა და ინოვაციით, მომხმარებელთა ინტერესების ოპტიმიზაციას ემსახურება, ხოლო მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი წარმოადგენს იმის გარანტს, რომ კონკურენციის შედეგი სინამდვილეს შეესაბამება.³² ამდენად, სამართლის ეს ორი სფერო სხვადასხვა მიდგომებით³³ ბაზრისთვის ქმნის ჩარჩოს, რომელიც აუცილებელია წარმოების ზრდისა და მომხმარებელთა კეთილდღეობის მისაღწევად.³⁴

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში ასიმეტრიული ინფორმაციისგან დაცვისა და გარანტირებული არჩევანის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, რომელიც ევროკავშირში მხარეთა უთანასწორობის აღმოფხვრის ერთ-ერთ ფუნდამენტურ მარეგულირებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს³⁵ და თითქმის ყველა დირექტივაშია განსაზღვრული, როგორც სპეციალური დაცვის მექანიზმი, რომელზეც, რიგ შემთხვევებში, სხვა მექანიზმებიცაა მიბმული.³⁶

მომხმარებელთა უფლებების დასაცავად, ინფორმაციის გამჟღავნების ეკონომიკური ანალიზი მდგომარეობს იმაში, რომ მომხმარებლის სარგებელი, რაც თა-

29 Hyvönen, S., 2019. Information Obligations and Disinformation of Consumers: Finnish Law Report, Springer, p. 411.

30 Finnish Supreme Court Decision KKO 2017:83, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ მართალია, დირექტივიდან გამომდინარე (ნაწილი 18), მხედველობაში მიიღება სოციალური, კულტურული და ლინგვისტიკური ფაქტორები, თუმცა არ არსებობს მიზეზი იმისა, რომ ფინელი მომხმარებელი ნაკლებად ინფორმირებულად და ნაკლები ყურადღების მქონედ მივიჩნიოთ.

31 Bush, C., 2016. The Future of Pre-Contractual information Duties: From Behavioural Insights to Big Data, Research Handbook on EU Consumer and Contract Law, p. 221.

32 De Pree, J., 2019. Trends: anti-trust, consumer and privacy regulation increasingly converge, <https://www.debrauw.com/legalarticles/trends-anti-trust-consumer-and-privacy-regulation-increasingly-converge/> [ბოლო წვდომა: 26.10.2021].

33 Huffman, M., 2010. Bridging the Divide? Theories for Integrating Competition law and Consumer Protection, European Competition Journal, April, p. 7.

34 იქვე.

35 Wilhelmsson, T., & Twigg-Flesner, C., 2006. Pre-contractual information duties in the *acquis communautaire*. European review of contract law: ERCL., 2(4), pp. 441-470.

36 იქვე, 26-ე სქ. 124.

ვისი არჩევანის უკეთესად რეალიზაციაში გამოიხატება, უნდა აღემატებოდეს ასეთი საკანონმდებლო ჩარევით გამოწვეულ ადმინისტრაციულ თუ სხვა ხარჯებს.³⁷ შესაბამისად, მომხმარებელს ამით უნდა შეეძლოს „უკეთესი გარიგების“ დადება.³⁸ ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი ინფორმაციის მარტივად, გასაგები ფორმით მიწოდება ბაზარზე მოთამაშეების ინტერესებში უნდა შედიოდეს, რათა მომხმარებელი მოიზიდონ³⁹, პრაქტიკაში საჭირო ხდება რეგულირება. ამ მიზნით, განსაკუთრებით აღსანიშნავია დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში ინფორმაციის გამჟღავნების განსხვავებული სტანდარტი, რომელიც ახალი 2019/2161 დირექტივით⁴⁰ უფრო დაიხვეწა და არსებულ რეალობას მოერგო. ეს მაგალითიც ცხადყოფს, რომ ქცევითი ანალიზი სამომხმარებლო სამართალში ძალზე რელევანტურია.

ქცევითი მეცნიერებები გამოყოფენ სხვადასხვა „მიკერძოებებს“, რომლებიც რეგულირების დროს მხედველობაშია მისაღები. სხვადასხვა სახის კოგნიტური მიკერძოება საბოლოოდ ქმნის შეზღუდული რაციონალურობის ცნებას. კერძოდ, მომხმარებლებს, ოპტიმისტური მიკერძოებიდან გამომდინარე⁴¹, ახასიათებთ რისკების არასათანადო შეფასება. გარდა ამისა, ისინი ნაადრევად ამბობენ უარს დასადებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვებაზე იმ განწყობით, რომ

ინტუიციურად დარწმუნებულნი არიან საკმარის ინფორმირებულობაში ან, სტატუს კვოსადმი მიკერძოების⁴² გამო, აშინებთ ჭარბი ინფორმაცია.⁴³

2.2. „სინათლისაგან დაბრმავეების“ არიდება – ინფორმაციის ოპტიმალური დონე

ნეირომეცნიერებაში ემპირიულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბევრი და ძალზე დეტალური ინფორმაციის აღქმა და დამუშავება ადამიანის მიერ შეზღუდულია კოგნიტური უნარების გამო.⁴⁴ ასეთ დროს, მომხმარებლისთვის ჭარბი ინფორმაციის მიწოდებისას, უფრო რთული ხდება რელევანტური ინფორმაციის აღქმა, რაც უშუალოდ გადაწყვეტილების მისაღებადაა საჭირო,⁴⁵ ამიტომ ინფორმაციის ასეთ მაქსიმალურ დონეს ლიტერატურაში სინათლისაგან დაბრმავეებასაც უწოდებენ.⁴⁶ შეზღუდული დროის ფაქტორის გათვალისწინებით, მომხმარებლები ასეთ დროს ევრისტიკას⁴⁷ მიმართავენ, აკვირდებიან ძირითად ჭკუფურ ინდიკატორებს, ე.წ. chunk-ებს, როგორ

37 Haupt, S., 2003, An Economic Analysis of Consumer Protection in Contract Law, German Law Journal, 4(11), p. 1142.

38 Grynbaum, L., 2010. Pre-contractual Information Duties: the foreseeable failure of full harmonisation, Perspectives of European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Schulte-Nölke, H., Tichý, L., (eds.), Sellier, p. 7.

39 იქვე, მე-7 სქ., გვ. 163.

40 ამ დირექტივას ცვლილებები შეაქვს როგორც 2011/83/EU დირექტივაში, ასევე 2005/29/EC დირექტივაში. წევრ ქვეყნებს ცვლილებების ეროვნულ სამართალში იმპლემენტირებისთვის 2021 წლის 28 ნოემბრამდე განესაზღვრათ ვადა.

41 პერსონალური წარმატების შანსების გადაჭარბებული შეფასება, მაშინ, როცა რისკები, პირიქით, არასწორად, ნაკლებადაა აღქმული.

42 Status Quo Bias – მომხმარებელს არსებული მდგომარეობის შენარჩუნება უკეთესად ეჩვენება, ვიდრე ცვლილება

43 Dean, M., Kibris, O., Masatlioglu, Y., 2017. Limited attention and status quo bias. Journal of Economic Theory, pp. 93-127.

44 Klingberg, T., 2009. The Overflowing Brain: Information Overload and the Limits of Working Memory, Oxford University Press, ასევე, უშუალოდ მომხმარებლებზე – Lee, B.K., and Lee, W.N., 2004, The Effect of Information Overload on Consumer Choice Quality in an On-Line Environment, Psychology & Marketing, p. 159.

45 Djurovic, M., 2016. The Duty of Information. European Law on Unfair Commercial Practices and Contract Law, Oxford: Hart Publishing, p. 139.

46 Paredes, T., 2003. Blinded by the Light: Information Overload and its Consequences for Securities Regulation, Washington University Law Quarterly, 81(2), p. 417.

47 მომხმარებლები უმრავლეს სიტუაციაში მიკერძოებულნი არიან იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია, უკეთ გამოქვეყნებადია და უფრო ახალია.

რებიცაა ფასი თუ ბრენდი, დროს არ უთმობენ ახალი პროდუქტის ძიებას, ან, ვიღებთ ბურიდანის ვირის პარადოქსს, როდესაც ისინი თავს იკავებენ გადაწყვეტილების მიღებისგან. ამდენად, აშკარაა, რომ მსგავსი სიჭარბე და დეტალურობა ინფორმაციის ზღვრულ სარგებლიანობას ამცირებს, სხვა სიტყვებით, ეფექტიანობა იკლებს. ოპტიმალური ზღვრის პოვნა სხვადასხვა სახის სამომხმარებლო ხელშეკრულებაში სხვადასხვა იქნება, შესაბამისად, ემპირიული კვლევების მნიშვნელობა ამ მხრივ მეტად დიდია.⁴⁸ თავის მხრივ, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს დაზუსტებისა და მეტი ინფორმაციის მოთხოვნის უფლება.

ამასთან, ლიტერატურაში თანხმდებიან, რომ საჭირო ინფორმაცია მარტივი, მოკლე, ნათელი და ადვილად აღქმადი უნდა იყოს. ევროკავშირში, 2011/83/EU დირექტივის ამოქმედებამდე, მოვაჭრეებს ჰქონდათ მხოლოდ სპეციფიკური ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, გარკვეულ შემთხვევებში. 2011/83/EU დირექტივით კი პირველად დადგინდა მოვაჭრეთა ზოგადი ვალდებულება ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით მე-5 მუხლის შესაბამისად. იგი მე-6 მუხლით მხოლოდ დისტანციური და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებებისთვის განსაზღვრავს ინფორმაციის მიწოდების აბსოლუტურ ვალდებულებას. საგულისხმოა, რომ ეს მუხლი გაკრიტიკებულია წინასახელშეკრულებო ინფორმაციის სიჭარბის გამო, რომლის გადაჭრის ერთ-ერთ გზად ინფორმაციის მიწოდების დროის განსაზღვრას მიიჩნევენ, როცა მნიშვნელობა კონტექსტს ენიჭება.⁴⁹ კრიტიკა რელევანტურია განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე დაბალი ღირებულების პროდუქტს ეხება. მეორე მხრივ, ახალი 2019/2161 დირექტივა მნიშვნელოვან სიახლეს გვთავაზობს იმ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულებით,

გამყიდველი მოვაჭრეა თუ ჩვეულებრივი ინდივიდი, რამეთუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მომხმარებელს წინასწარ უნდა მიეცეს გაფრთხილება სამომხმარებლო სამართლით დაცვის არარსებობაზე.⁵⁰

რაც შეეხება ქართულ რეალობას, ინფორმაციის გამჟღავნების ასპექტები წარმოდგენილია სხვადასხვა ნორმატიულ აქტში, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსში 318-ე მუხლის სახით; ყველაზე ზოგად რეგულირებას შეიცავს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-12 მუხლი, თუმცა კოდექსის მოქმედების სფერო ნაკლებად ეხება სახელშეკრულებო ასპექტებს და, უპირატესად, მიმართულია „ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს“ დაცვისაკენ. ამდენად, მოწესრიგება ნაკლებად შეესაბამება ევროპულ კანონმდებლობას. რეკლამის შესახებ კანონით მოცემულია რეკლამის მეშვეობით პროდუქტზე ინფორმაციის მართლზომიერი განთავსების კრიტერიუმები. თუმცა, მოცემული სამართლებრივი რეჟიმი ვერ აკმაყოფილებს „რელევანტურობის“ თუ „სისრულის“ კრიტერიუმებს.⁵¹

მნიშვნელოვან სიახლეს გვთავაზობს კანონპროექტი, რომელიც საკანონმდებლო ტექნიკით უახლოვდება 2011/83/EU დირექტივის სტანდარტს და მე-5 და მე-11 მუხლების სახით, შესაბამისად, გვთავაზობს ინფორმაციასთან დაკავშირებულ ზოგად ვალდებულებებსა და ვალდებულებებს დისტანციური და სარეწს გარეთ დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში. კანონპროექტის მე-5 მუხლის მიხედვით, მომხმარებელს უფლება აქვს მიიღოს, ხოლო მოვაჭრე ვალდებულია გასცეს ინფორმაცია პროდუქტის დასახელების, მოვაჭრის ვინაობის, პრეტენზიის განხილვის პირობების, პროდუქტის დამზადების თარიღის, გარვისიანობის, პროდუქტის სრული ფასის, გადახდის, მიწოდებისა და საგარანტიო პირობების, პროდუქტის გამოყენების წესე-

48 იქვე, 37-ე სქ.

49 იქვე, მე-7 სქ. გვ. 221, კერძოდ, მომხმარებელს შესაძლოა ასეთი ხელშეკრულების დადებამდე ნაკლებად აინტერესებდეს, დაბრუნების შემთხვევაში, სად და როგორ განახორციელოს ის.

50 დირექტივის 26-ე, 27-ე დებულებები.

51 ინფორმაციის ადეკვატურობის 4 კრიტერიუმი: სისწორე, გასაგებადობა, რელევანტურობა და სისრულე („ჰოვარდის ტესტი“).

ბის, ხელშეკრულების ვადის, ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლებისა და მისი დაცვის, მომხმარებლების ვალდებულებების, ხელშეკრულებაზე უარის უფლების შესახებ. მე-11 მუხლით, დამატებით, მას უნდა მიეწოდოს ინფორმაცია კომუნიკაციის ხარჯების, ქცევის კოდექსის არსებობის, უარის უფლების და მისი დანართის შესახებ. თუკი კანონპროექტის წინა ვერსიით არ იყო დაკონკრეტებული ინფორმაციის ხელშეკრულების დადებამდე მიწოდების თაობაზე, ასევე, ისედაც ცხადი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების არარსებობაზე, ცვლილებებით ეს ხარვეზები გამოსწორებულია. ორივე მუხლში, *de lege ferenda*, ნათლადაა განსაზღვრული, რომ ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრემ მკაფიოდ და გასაგებად უნდა მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, რელევანტურობისა და დროულობის კუთხით შესაძლებელია კანონპროექტის გაკრიტიკება, რადგან ის არ აკისრებს მოვაჭრეებს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპსა და სხვადასხვა მოცულობით. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მომხმარებელთა უფლებების შესახებ ზოგადი კანონის არარსებობის გამო უმეტეს სფეროებში მოვაჭრეებს არ აქვთ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება, ახალი რეგულაციებით კი შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რიგ ხარვეზებსა და პროდუქტის ფასის ზრდას, ამასთან, ჩნდება ქარბი ინფორმაციის მიწოდების რისკი. შესაბამისად, უმჯობესია მომხმარებელს წინასახელშეკრულებო ეტაპზე მიეწოდოს ინფორმაცია პროდუქტის აღწერილობაზე, გარანტიისა და დაბრუნების პოლიტიკის შესახებ, დანარჩენი ინფორმაცია კი გათვალისწინებული იყოს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ.

ასევე, უკეთესია განისაზღვროს ხელშეკრულების დადების შემდგომ მომხმარებელთა ინფორმირების საჭიროება. გასათვალისწინებელია 2019/2161 დირექტივის ცვლილებებით, მაგალითად, ფაქსის ამოღება, უარის უფლებაზე ფორმის მიწოდების არასავალდებულობა, როცა გამოყ-

ნებულია ისეთი დისტანციური საშუალება, რომელიც არ იძლევა ამის საკმარის დროსა და ადგილს.

სიახლეა 25-ე მუხლის სახით, რომელიც უსამართლო კომერციულ პრაქტიკას არეგულირებს და სრულყოფილად ითვალისწინებს 2005/29 დირექტივის კომპლექსურ წესებს. აქვე, აღსანიშნავია, რომ ამ მუხლს, განსხვავებით წინა ვერსიისგან, შემოაქვს „საშუალო მომხმარებლის“ ცნება. ქცევითი ანალიზი, ასევე, კანონპროექტის რეგულირების გავლენის შეფასება⁵² ცხადყოფს, რომ ქართულ რეალობაში, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზეზები გამო, ამოსავალი ნიშნული მომხმარებლის უფლებების დაცვისათვის უნდა იყოს „მონყვლადი“ და არა „საშუალო მომხმარებელი“.⁵³ მსგავს სტანდარტს ვხვდებით ბულგარეთის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების პრაქტიკაშიც, რაც გაზიარებულ უნდა იქნას.

3. გადაფიქრების უფლება

ინფორმაციის გამჟღავნების ზოგად ვალდებულებასთან ერთად, ასიმეტრიული ინფორმაციის უარყოფითი შედეგებისაგან მომხმარებელთა დაცვის ინსტრუმენტად ხელშეკრულების უარყოფის უფლება ითვლება. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს ე.წ. სავალდებულო დაფიქრების პერიოდს, რა ვადაშიც მომხმარებელს, განსაკუთრებით ისეთ ურთიერთობებში, როგორებიცაა დისტანციური ვაჭრობა თუ არაოფიციალურ ვითარება, ხელშეკრულების დადების შემდეგ ეძლევა გარკვეული დრო არჩევანის სისწორის შესამოწმებლად. ამას 2011/83/EU დირექტივაც ითვალისწინებს მე-9 მუხლის სახით. ეს მიზნად ისახავს როგორც მომხმარებლის ფსიქოლოგიური ზეწოლისგან დაცვას, ისე არასათანადო ინფორმაციის მიწოდ-

52 „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი, რეგულირების ზეგავლენის შეფასება – RIA, 2019.

53 იქვე, გვ. 58.

დებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების აცილებას,⁵⁴ ასევე, მომხმარებლის ნახალისებას და პროდუქტის შედარების შესაძლებლობას, რადგან დისტანციურ ურთიერთობებში იგი უფრო შეზღუდულია. ამდენად, გარდა საგნის მახასიათებლებისა, მომხმარებელს ამ ვადაზე და ამ უფლების რეალიზაციის პირობებზეც გასაგებად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია.

დაფიქრების პერიოდის არსებობა მაშინაა გამართლებული, თუ იგი აუცილებელი საშუალებაა არაეფექტიანობის აღმოსაფხვრელად.⁵⁵ ასეთი რამ შეიძლება წარმოიქმნას მომხმარებლის ირაციონალობიდან გამომდინარე, დაფიქრების პერიოდმა კი გრძელვადიან პრეფერენციაზე უნდა გაამახვილებინოს ყურადღება, ზეწოლისა და სიტუაციური მონოპოლიური მდგომარეობის მიღმა. გადაფიქრების უფლების არსებობა მოვაჭრეს აძლევს სტიმულს, რომ პროდუქციის ფასი რეალურ ხარისხს შეუსაბამოს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს უფლება ერთგვარად ახალისებს ex post ოპორტუნისტულ ქცევას მომხმარებლების მხრიდან, რაც იწვევს მოვაჭრეთა დაძაბულობას, ტრანზაქციული ხარჯების ზრდას დაყოვნებისა და ბუნდოვანების გამო.⁵⁶

გასათვალისწინებელია ქცევითი ანალიზიც, რომელიც ცხადყოფს, რომ მიკერძობებს სტატუს კვოს მიმართ, ფლობის (დასაკუთრების) ეფექტს⁵⁷, დანაკარგების⁵⁸ და სინანულის⁵⁹ თავიდან აცილებას, და-

კარგული ხარჯების მცდარ კონცეფციას⁶⁰ შეუძლიათ ისეთი ქცევის ნახალისება, რომელიც უარყოფის უფლების ეფექტიანად გამოყენებას შეაფერხებს.⁶¹ ამის პრევენციისთვის არსებობს ინიციატივა, რომ ნაცვლად სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამოსვლის სისტემისა, განისაზღვროს „მიერთების“ წესი,⁶² რაც გულისხმობს მომხმარებლის აქტიურ ქმედებას მოფიქრების კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ თანხმობის მიცემის სახით. ეს გარკვეული ხარისხით შეამცირებდა კოგნიტურ დისონანსს, თუმცა, მეტად სავარაუდოა, რომ მსგავსი მოწესრიგება გაართულებს სავაჭრო ურთიერთობებს და ვერ გააუქმებს ზოგიერთ მიკერძობას, შესაბამისად, აუცილებელია ასეთი ცვლილების შედეგების ემპირიული კვლევა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლი ცნობს ქუჩაში დადებული ხელშეკრულების უარყოფის უფლებას, როცა მომხმარებელს ერთი კვირის ვადაში აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მას ჯერ არ მიუღია საქონელი ან მომსახურება. მნიშვნელოვანი სიახლეა კანონპროექტის მე-14 მუხლში, რომელიც მომხმარებელს ანიჭებს უფლებას – უარი თქვას დისტანციურ და სარენს გარეთ დადებულ ხელშეკრულებაზე 14 კალენდარული დღის ვადაში, ნივთის დაბრუნების ვადა კი, მაქსიმუმ, 7 დღეა. ცხადია, ეს უფლება მე-16 მუხლის სახით რიგ გამონაკლისებსაც ითვალისწინებს, თუმცა აქ უნდა აღინიშნოს კანონპროექტის წინა ვერსია, რომელიც მოფიქრების 7-დღიან ვადას შენობაში

54 იქვე, მე-19 სქ., გვ. 160.

55 იქვე, 37-ე სქ., გვ. 1147.

56 იქვე, გვ. 1149.

57 მომხმარებლები ხშირად ითხოვენ იმაზე მეტს ნივთისთვის, ვიდრე მის შესაძენად თავად გადაიხდიდნენ, რადგან მათთვის პროდუქტის ღირებულება მფლობელობაში ყოფნით უფრო იზრდება.

58 დანაკარგის ტრამვა გაცილებით უფრო მძაფრად აღიქმება, ვიდრე შენაძენით გამოწვეული სიხარული. იხ. Kahneman, D., Tversky, A., 1979. Prospect theory: An analysis of decision under risk, Vol. 47, The Econometric Society, pp. 263-291.

59 მომხმარებლებს აქვთ იმის შიში, რომ ისინი ინანებენ უკან დაბრუნების უფლების გამოყენების არჩევანს, რასაც მხედველობაში იღებენ გადაწყვეტილების მიღებისას

60 ტრადიციული ეკონომიკური თეორიით, ასეთი ხარჯები სამომავლო გადაწყვეტილებებში არაა რელევანტური, თუმცა, კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანები მაინც იღებენ მათ მხედველობაში.

61 Tscherner, E.M., 2014. Can behavioral research advance mandatory law, information duties, standard terms and withdrawal rights? Austrian Law Journal, p. 155.

62 იქვე, 154. ასევე, Harrison, P., 2016. Cooling-off periods for consumers don't work: study <https://theconversation.com/cooling-off-periods-for-consumers-dont-work-study-69473> [ბოლო წვდომა: 26.10.2021]

დადებულ ხელშეკრულებაზეც ავრცელებდა. რეგულირების გავლენის შეფასებამ აჩვენა⁶³ მსგავსი მოწესრიგების სავარაუდო უარყოფითი შედეგები ბიზნესისთვის და ჩრდილოვან ეკონომიკაზე გადასვლის საფრთხე. ამდენად, უარყოფის უფლებაზე კანონპროექტში განხორციელებული ცვლილება დადებითად უნდა შეფასდეს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის, მომხმარებლის მოწყვლადობისა და ონლაინ შესყიდვების ტენდენციის მზარდი ხასიათის მხედველობაში მიღებით.

4. სპეციალური მოწესრიგება – სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება

სამომხმარებლო ბაზრის ინდუსტრიაში ცალკე სფეროდ გამოყოფენ ფინანსურ სექტორს, კერძოდ, სამომხმარებლო კრედიტს და მასთან დაკავშირებულ მომხმარებელთა უფლებებსა და ამ უფლებების დაცვის გარანტიებს. შესაბამისად, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულება ზოგადი რეგულირებიდან გამორჩეულ პრეფერენციას წარმოადგენს. ევროკავშირში ამ სფეროს ეხება 2008/48/EC დირექტივა სამომხმარებლო კრედიტის შესახებ და 2002/65/EC დირექტივა მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ, რომელშიც, თავის მხრივ, ცვლილებები შეიტანა 2005/29/EC დირექტივამ. ეს უკანასკნელი მე-9 და მე-10 ნაწილებში განმარტავს, რომ ფინანსურ სერვისებთან დაკავშირებული საკითხები, კომპლექსურობისა და მაღალი რისკების გამო, წევრმა სახელმწიფოებმა შესაძლოა უფრო მკაცრად მოაწესრიგონ.

ქცევითი ანალიზი განსაკუთრებით რელევანტურია, როდესაც მომხმარებელებს, კომპლექსური ინფორმაციის მიღების პარალელურად, არ გააჩნიათ სათანადო

პრაქტიკული გამოცდილება. სწორედ ამიტომ, ლოგიკურია კანონმდებლის მხრიდან სპეციფიკური რეგულირება ისეთი სახის სამომხმარებლო ურთიერთობისას, როგორიც სამომხმარებლო კრედიტია. გამომდინარე იქიდან, რომ დანაკარგების რისკი ასეთ დროს რიგითი მომხმარებლისთვის ძალზე მაღალია, ნელი უკუკავშირისა და შეცდომებზე სწავლის ფაქტობრივი შეუძლებლობის გამო, ეს სფერო განსაკუთრებულ მოწესრიგებას საჭიროებს.⁶⁴

ინფორმაციის მიწოდების კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელი არ უნდა გადაიტვიტოს კომპლექსური ინფორმაციით იმდენად, რამდენადაც მან უნდა შეძლოს რისკების სათანადოდ შეფასება. ქცევითი ანალიზის გათვალისწინებით, შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე ასპექტი:

- აუცილებელია მომხმარებელს წინასწარ მიეწოდოს ინფორმაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ, რათა მას ჰქონდეს შედარების რეალური შესაძლებლობა, ამასთან, გამჭვირვალობისთვის, ფინანსური ორგანიზაციების მხრიდან, ერთიანი სტანდარტით უნდა ხდებოდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშება, რაც, ასევე, ყველა ფინანსურ ხარჯს უნდა მოიცავდეს. ქარბვალთანობისა და მომხმარებელთა ქარბი ოპტიმიზმის პრევენცია შესაძლოა ევრისტიკის გამოყენებით მოხდეს, კერძოდ, რისკებზე ფოკუსირებით
- განსაკუთრებული მითითება უნდა გაკეთდეს ინდექსირებულ საპროცენტო განაკვეთზე, რომელიც მომხმარებლისთვის უფრო მეტადაა სარისკო, ვიდრე მყარი საპროცენტო განაკვეთი;⁶⁵
- მომხმარებელს შესაძლოა ფინანსურმა ორგანიზაციებმა მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ მსგავ

63 ე.წ. RIA, http://www.moesd.gov.ge/uploads/publications/economy_450476725899caab552165.56302821.pdf [ბოლო წვდომა: 26.10.2021].

64 Juurikkala, O., 2013. The New Legal Paternalism: Light-Touch Regulation for Consumer Mortgages, Helsinki Law Review, 7, pp. 55-84, p. 58.

65 იქვე, გვ. 83.

ვსი სესხის დროს რა რაოდენობით წარმოიშვა გადაუხდელობის შემთხვევები კონკრეტული დროის შემდეგ. აღსანიშნავია მოფიქრების პერიოდის არსებობა სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, რომელიც დირექტივის მიხედვით, 14 დღეს შეადგენს.

საქართველოში საფინანსო სექტორში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ამოცანას, რეგულირებისა და საზედამხებდველო ფუნქციით, საქართველოს ეროვნული ბანკი ასრულებს. ამჟამად მოქმედია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის No32/04 ბრძანება⁶⁶ ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც წინა ბრძანების გაუქმების შედეგად იქნა მიღებული და, რიგი ცვლილებების შედეგად, დაცვის უკეთესი სტანდარტი ჩამოყალიბდა. მაგალითად, აქტის მოქმედების სფერო აღარ არის შეზღუდული, ამდენად, სესხის გამცემი ნებისმიერი სუბიექტი ვალდებულია მომხმარებელს მიაწოდოს ბრძანებაში მითითებული წინასახელშეკრულებო ინფორმაცია. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის ცნება აღარ ტოვებს მოუწესრიგებელ ურთიერთობათა ფართო სპექტრს.⁶⁷ მეორე მხრივ, ცალკე შეფასებას საჭიროებს მომხმარებელთა უფლებების დარღვევაზე სამართლებრივი რეაგირების საკითხი.

No32/04 ბრძანებაში მისაწოდებელი ინფორმაციის ვალდებულების დადგენისას დაცვის სუბიექტთა წრე მოიცავს როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე, იურიდიულ პირებს, გარდა ფინანსური ორგანიზაციებისა. ინფორმაციით სრულყოფილად უზრუნველყოფის წინასახელშეკრულებო

ვალდებულება განურჩევლად ყველა სუბიექტის მიმართ ამ სფეროში სტაბილური, გამჭვირვალე და წინასწარგანჭვრეტადი სამართლებრივი შედეგების მქონე ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.⁶⁸ ბრძანება პირველივე მუხლში მოიცავს ევროპული მოდელისათვის დამახასიათებელი ინფორმაციის გამჟღავნების მიმართ მოქმედ პრინციპებს ა) სიცხადე და სიზუსტე; ბ) აღქმადობა; გ) შედარების შესაძლებლობა და დ) დროულობა. ნორმის ფორმულირებაში ასევე აქცენტი კეთდება ინფორმაციის თანმიმდევრულ მიწოდებაზე, თუმცა, სიზუსტის კრიტერიუმში არც ისე თვალსაჩინოა და მხოლოდ შემდგომი დებულებებითაა წარმოდგენილი. ნების ფორმირებისას თავისუფლებას უზრუნველყოფს მე-3 მუხლი, რომლის მიხედვითაც ინფორმაცია იმდაგვარი უნდა იყოს, რომ არ უბიძგოს მომხმარებელს ისეთი გადაწყვეტილებისკენ, რომელსაც არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ცნება, რომელსაც ფართო მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ყველა ფინანსურ ხარჯს მოიცავს, ამასთან, მისი გაანგარიშების ფორმულა და წესი ბრძანების დანართის სახითაა მოცემული, რაც ერთიან სტანდარტსა და გამჭვირვალეობას უზრუნველყოფს. გამომგარიშების წესის ძირითად მეთოდად „საპროცენტო განაკვეთის ყველაზე მაღალი მნიშვნელობის გამოყენება“ გვევლინება, ამასთან უცხოურ ვალუტაში კრედიტის დროს დაიშვება, რომ ხდება ლარის 15%-იანი წლიური გაუფასურება კურსის ყოველდღიურად თანაბარი აბსოლუტური ოდენობის ცვლილებით. ბრძანების მიხედვით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამჟღავნება გათვალისწინებულია როგორც რეკლამირებისას, ისე პირადად შეთავაზების დროს⁶⁹. ეს საგულისხმოა იმდენად, რამდენადაც სესხების პოლიტიკის გათვალისწინებით, მომხმარებლის

66 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 2021 წლის 9 მარტის №32/04 ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5117792?publication=0#DOCUMENT:1>

67 იხ. მუხლი 2 (ბ).

68 იქვე, 27-ე სქ., გვ. 113.

69 იხ. ბრძანების მუხლი 3.15; მუხლი 4.

დაცვის ფაქტობრივად ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ ბრძანების მე-3 მუხლი, რომელიც ფინანსური ორგანიზაციების მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას ადგენს, არ განმარტავს ინფორმაციის შინაარსს. ის დაკონკრეტებულია ხელშეკრულების დისტანციურად დადების მუხლში. ბრძანება ითვალისწინებს გამუდმების ტექსტს, რომლის სანიმუშო ვერსია მე-5 დანართადაა წარმოდგენილი. აღქმადობის გაუმჯობესების მიზნით, კოზიტიური შედეგის მომტანი იქნება ტექსტის პუნქტებად დაყოფა. აღსანიშნავია ბრძანების მე-5 მუხლი, რომელიც ფინანსურ ორგანიზაციას ავალდებულებს მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკების შესახებ, მათ შორისაა მითითება ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთის რისკზე⁷⁰.

რეკლამირების ეტაპზე, ბრძანების მიხედვით, დაუშვებელია არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდება. წესების შინაარსიდან იკვეთება ევროპული მოდელის ძირითად პრინციპთან საბაზისო თანხვედრაც; ამასთან, როცა ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთი ხარჯების განუსაზღვრელობის გამო თავიდანვე გაურკვეველია, ბრძანება ითვალისწინებს მე-6 დანართში მოცემული სანიმუშო მაგალითის საფუძველზე განმარტებას, რომელიც, თავის მხრივ, ითვალისწინებს შეთავაზებისას მინიმალური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას (მაგალითად, 20.8%-იდან). ამ კუთხით საინტერესოა ევროპული პრაქტიკა, კერძოდ, მიკერძობების ისეთი საშუალების გამოყენება, როგორცაა სტრუქტურირება⁷¹ – მითითება მაქსიმალურ პროცენტამდე.⁷²

70 იხ. მუხლი 5.3.

71 Framing – მომხმარებლებზე ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ ინფორმაციის შინაარსი, არამედ ინფორმაციის მიწოდების ხერხი, ფორმა, წყობა, რა დროსაც იქმნება აღქმის საკონტროლო წერტილი.

72 Behavioural Insights Applied to Policy, European Report 2016, pp. 20-21. <https://publications.jrc>

საყურადღებოა, რომ ბრძანება, დირექტივისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, რაც მომხმარებელს, რომელიც ამ სექტორში და, ზოგადად, საქართველოში, მოწყვლად კატეგორიად განიხილება, არ აძლევს გადაფიქრების საშუალებას. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №37/04 ითვალისწინებს სავალუტო ოპერაციის გაუქმების შესაძლებლობას ოპერაციის განხორციელებიდან 30 წუთის განმავლობაში⁷³. მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტში ასახული სიახლე მოფიქრების პერიოდზე მხოლოდ დისტანციურ და სარეწს გარეთ დადებულ ხელშეკრულებებს ეხება, რეგულირების სფეროს ანალიზით კი კანონპროექტი ფინანსურ მომსახურებაზე, სტანდარტული პირობების გარდა, არ ვრცელდება, შესაბამისად, ეს საკითხი სამომავლო მოწესრიგების საგანს განეკუთვნება, ისევე როგორც უსამართლო კომერციული პრაქტიკა ფინანსურ სექტორში.

საბოლოოდ, აღსანიშნავია სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილით სესხის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა 50%-მდე შემცირდა. მსგავსი რეგულირება აქტუალურია სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, ფინეთში 2019 წელს განხორციელებული ცვლილებებით ეს ნიშნული 20%-ია, საკანონმდებლო ინიციატივით კი გარკვეული ტიპის სამომხმარებლო სესხებზე დროებით განაკვეთის 10%-მდე დაწევას ითვალისწინებენ.⁷⁴ აშშ-ში მოქმე-

ec.europa.eu/repository/bitstream/JRC100146/kjna27726enn_new.pdf

73 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4081097?publication=6> კონსოლიდირებული პუბლიკაცია: 14.07.2021. ამის შესახებ ინფორმაცია თვალსაჩინო ადგილას უნდა განთავსდეს და მიეთითოს ქვითარზეც, ტრანზაქციის მოცულობა ლიმიტირებულია 5 ათასი ლარით, ელექტრონული აპარატის მეშვეობით განხორციელებულ გადაცვლის ოპერაციაზე კი თანხა 3 ათასს არ უნდა აღემატებოდეს.

74 Waselius and Wist, New temporary restrictions on interest rates and direct marketing of consumer loans <https://www.wv.fi/news/2020/04/new-temporary->

დებს Credit Card Accountability Responsibility and Disclosure (CARD) აქტი, რომელიც, მსგავსად ჩვენი ბრძანებისა და 625-ე მუხლისა, ზღუდავს ფინანსური ორგანიზაციების მიერ მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთის მიღმა მოქმედებას, რათა არ მოხდეს მომხმარებელთა ქცევითი მიკერძოებების ფინანსური სექტორის მიერ ბოროტად გამოყენება.⁷⁵

დასკვნა

ინფორმაციის პარადიგმა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში კვლავ აქტუალურია, თუმცა ქცევითი ანალიზი, რომელიც ემპირიულ კვლევებს ეყრდნობა, რიგ შემთხვევებში, მომხმარებლის რეალური სურათის ჩვენებით, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სამომხმარებლო ურთიერთობებში თუნდაც ინფორმირებული მომხმარებელი უფრო მეტად საჭიროებს დაცვას. აქ იკვეთება ინფორმაციის სიჭარბის პრობლემა და ის კოგნიტური, დროითი თუ გარემო ფაქტორები, რომლებიც მომხმარებელზე არჩევანის მიღებისას ახდენენ ზეგავლენას. არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფა კი მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის ერთ-ერთი ქვაკუთხედი. ამის გამო, ლოგიკურია ინფორმაციის არა ერთბაშად, არამედ სხვადასხვა ეტაპზე მიწოდების ვალდებულების განსაზღვრა.

ქცევითი ანალიზის რეგულირებაზე გავლენას სამომხმარებლო სფეროში ვერ ექნება რეგულაციური ხასიათი,⁷⁶ გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიოში მრავალი წელია როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორი ზედმიწევნით აკვირდება მომხმარებლის ქცევებს და ითვალისწინებს პრაქტიკაში. მიუხედავად ამისა, სტატიაში გაანალიზებულია გარკვეული ასპექტები, რომლებიც ცვლილებებს საჭიროებს.

სხვა რეალობა საქართველოში, სადაც სამომხმარებლო სფეროს დერეგულაციამ სამომხმარებლო ურთიერთობების სუსტი მხარის – მომხმარებლის – მოვაჭრესთან არათანაბარ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება გამოიწვია.⁷⁷ იმდენად, რამდენადაც ინიცირებული კანონპროექტი ბევრ ინოვაციას მოიცავს და ამ სფეროს ზოგადი მოწესრიგება, ფაქტობრივად, არ არსებობს, იგი უკვე მნიშვნელოვანი ცვლილებების მომტანი იქნება სამომხმარებლო და ბიზნეს სექტორისთვის. საგულისხმოა, რომ ახალი რეგულირება მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს მცირე ბიზნესს, მაგალითად, ნაცვლად სავალდებულო რეგულირებისა, შესაძლოა წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების სახელმძღვანელო ფორმების შემუშავება. მეორე მხრივ, აუცილებელია მომხმარებლის წახალისება უფლებების გამოყენებაზე, რათა შესაბამის ბაზარზე პრაქტიკის გათვალისწინებით გამოიკვეთოს მომხმარებლის პრეფერენციები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში საშუალო მომხმარებლის სტანდარტი მონყვლადი მომხმარებლის სტანდარტს უნდა გაუთანაბრდეს, რაც გამოკვეთს ზოგადი რეგულირების საჭირო ნიუანსებს, შედეგად, თავიდან იქნება არიდებული მოვაჭრის ხარჯების გაუმართლებელი ზრდა, რაც, საბოლოოდ, პროდუქტის ფასზე აისახება. მეორე მხრივ, სახელმწიფომ მიზნად უნდა დაისახოს მომხმარებლის სტანდარტის ამაღლება,⁷⁸ რაც უნდა მოიცავდეს ეფექტიან და სკრუპულოზურ სამოქმედო გეგმას, მათ შორის, აუცილებელია წახალისდეს ისეთი აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება მომხმარებლის ცნობიერების ამაღლებისაკენ.

როგორც სტატიაში გამოჩინდა, ინფორმაციის გამჟღავნების სტანდარტს სპეციალურ მოწესრიგებებში ვხვდებით, მათ შორის, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების სახით. მიუხედავად მნიშვნელოვანი დანაწესებისა, საინტერესოა,

[restrictions-on-interest-rates-and-direct-marketing-of-consumer-loans/](#) [ბოლო წვდომა: 26.10.2021].

75 იქვე, მე-15 სქ., გვ. 28.

76 იქვე, მე-7 სქ., გვ. 212.

77 იქვე, 52-3 სქ., გვ. 4.

78 მაგ., „კეთილგონიერი მომხმარებლის“ სტანდარტთან მიახლოება, იხ. იქვე, მე-3 სქ. გვ. 33.

რა გავლენას მოახდენს კანონპროექტი სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ხელშეკრულებაზე გავრცელდება სტანდარტული პირობების თავი, ასევე, ვრცელდება ეროვნული ბანკის ბრძანება და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები. ერთი მხრივ, აუცილებელია, თავიდან იქნას არიდებული დუბლირება, ხოლო, მეორე მხრივ, გაუმჯობესდეს კომერციული პრაქტიკის რეგულირება საფინანსო სექტორში ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანით.

საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამართალი იგივე სიზუსტითა და მასშტაბით ვერ მიიღებს მხედველობაში მომხმარებლების გადაწყვეტილებათა კონტექსტს, რადობითაც ამას ფსიქოლოგია გთავაზობს, თუმცა მომხმარებელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო უნდა შეეცადოს პოლიტიკის შემუშავებაში ქცევითი ეკონომიკის ძირითადი მიგნებების გათვალისწინებას, თუ ეს ნაკლებ დანახარჯს გამოიწვევს. ამ კუთხით დიდ როლს ასრულებს რეგულირების ზეგავლენის შეფასება, რაც ნათლად გამოჩნდა კანონპროექტის ორი ვერსიის ანალიზისას.

ბიბლიოგრაფია:

1. ევროკავშირის 2005/29/EC დირექტივა უსამართლო კომერციული პრაქტიკის შესახებ
2. ევროკავშირის 2011/83/EU დირექტივა მომხმარებელთა უფლებების შესახებ
3. ევროკავშირის 2019/2161 დირექტივა
4. ევროკავშირის 2008/48/EC დირექტივა სამომხმარებლო კრედიტის შესახებ
5. ევროკავშირის 2002/65/EC დირექტივა მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ
6. ლაკერბაია, თ., 2015. ინფორმირებული მომხმარებლის ევროპული სტანდარტი, სამართლის ჟურნალი
7. ლაკერბაია, თ., ზაალიშვილი, ვ., ზოიძე, თ., 2018. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), იბსუ
8. მიკლიცი, ჰ.გ., 2018. მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზი (2017 წლის მარტის მდგომარეობით)
9. საქართველოს კანონის პროექტი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2019. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/224285?>
10. რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2019
11. რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2016. http://www.moesd.gov.ge/uploads/publications/economy_450476725899caab552165.56302821.pdf [09.12.2021]
12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი [09.12.2021]
13. საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
14. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

15. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №37/04. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4081097?publication=8> [09.12.2021]
16. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №32/04
17. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5117792?publication=0#DOCUMENT:1> [09.12.2021]
18. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №194/04. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4312325?publication=0>
19. Aryes, I., Schwartz, A., 2014. The No-Reading Problem in Consumer Contract Law, Stanford Law Review, Vol. 66 , No.3
20. Beales, J.H., 2008. Consumer Protection and Behavioral Economics: To BE or Not to BE?, Competition Policy International 4(1)
21. Behavioural Insights Applied to Policy, European Report 2016. https://publications.jrc.ec.europa.eu/repository/bitstream/JRC100146/kjna27726enn_new.pdf
22. Ben-Shahar, O., 2009. The Myth of the “Opportunity to Read” in Contract Law, European Review of Contract Law, vol. 5, no. 1
23. Bush, C., 2016. The Future of Pre-Contractual information Duties: From Behavioural Insights to Big Data, Research Handbook on EU Consumer and Contract Law, Edward Elgar Publishing, Chapter 10
24. C-210/96 Gut Springerheide, EU:C:1998:369
25. Calabresi G., 2016. The Future of Law and Economics, Yale University Press
26. Canal Digital Danmark, C 611/14, EU:C:2016:800
27. Case C-382/87, Buet v Ministère Public [1989] ECR 1235
28. Case C-59/12 BKK Mobil Oil Korperschaft des öffentlichen Rechts v Zentrale zur Bekämpfung unlauteren Wettbewerbs eV [2013]
29. Chang, H.-J., 2014. Economics: The User’s Guide, London, Penguin
30. Dani, M., 2011. Assembling The Fractured European Consumer, LEQS Paper No. 29
31. De Pree, J., 2019. Trends: anti-trust, consumer and privacy regulation increasingly converge, <https://www.debrauw.com/legalarticles/trends-anti-trust-consumer-and-privacy-regulation-increasingly-converge/> [25.10.2021]
32. Dean, M., Kibris, O., Masatlioglu, Y., 2017. Limited attention and status quo bias. Journal of Economic Theory, Elsevier, vol. 169(C)
33. Djurovic, M., 2016. The Duty of Information. European Law on Unfair Commercial Practices and Contract Law, Oxford: Hart Publishing
34. Finnish Supreme Court Decision KKO 2017:83
35. Grynbaum, L., 2010. Pre-contractual information duties: the foreseeable failure of full harmonization. In H. Schulte-Nölke & L. Tichy (Ed.), Perspectives for European Consumer Law: Towards a Directive on Consumer Rights and Beyond. Berlin, New York: Otto Schmidt/De Gruyter European law publishers
36. Hague, P., A Guide to B2B Marketing And How it Differs From

- Consumer Marketing. <https://www.b2binternational.com/publications/b2b-marketing> [26.10.2021]
37. Harrison, P., 2016. Cooling-off periods for consumers don't work: study. <https://theconversation.com/cooling-off-periods-for-consumers-dont-work-study-69473> [26.10.2021]
 38. Haupt, S., 2003. An Economic Analysis of Consumer Protection in Contract Law, German Law Journal, 4(11)
 39. Huffman, M., 2010. Bridging the Divide? Theories for Integrating Competition law and Consumer Protection, European Competition Journal, vol. 6
 40. Hyvönen, S., 2019. Information Obligations and Disinformation of Consumers: Finnish Law Report. In Straetmans. G., (Ed.), Information Obligations and Disinformation of Consumers (Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law; Vol. 33)
 41. Juurikkala, O., 2013. The New Legal Paternalism: Light-Touch Regulation for Consumer Mortgages, Helsinki Law Review, 7
 42. Kahneman, D., Tversky, A., 1979. Prospect Theory: An Analysis of Decision Under Risk, The Econometric Society, Vol. 47, No. 2
 43. Kennedy, S., 2008. The future of consumer policy: Should we regulate to protect homo economicus? Competition and Consumer Policy Division, Australian Treasury
 44. Klingberg, T., 2009. The Overflowing Brain: Information Overload and the Limits of Working Memory, Oxford University Press
 45. Lee, B.K., and Lee, W.N., 2004, The Effect of Information Overload on Consumer Choice Quality in an On-Line Environment, Psychology & Marketing, Vol. 21
 46. Micklitz, H.W., Reisch, L.A., Hagan, K. et al. 2011. An Introduction to the Special Issue on “Behavioural Economics, Consumer Policy, and Consumer Law”, J Consum Policy 34, Springer
 47. OECD Science, Technology and Industry Policy Papers, 2017. Use of Behavioural Insights in Consumer Policy, No. 36, OECD Publishing
 48. Paredes, T., 2003. Blinded by the Light: Information Overload and its Consequences for Securities Regulation, Washington University Law Quarterly, 81(2)
 49. Reich, N., Micklitz, H.W., 2014. “Economic Law, Consumer Interests and EU Integration” in Reich, N., et al (eds), European Consumer Law
 50. Review of Australia's Consumer Policy Framework, Final Report, Australian Government Productivity Commission, 2008
 51. Sibony, A.L., Helleringer, G., 2015. EU Consumer Protection and Behavioural Sciences: Revolution or Reform?, Nudge and The Law, Hart Publishing
 52. Simon, H.A., 1957. Rational Choice and the Structure of the Environment, Psychological Review, 63(2)
 53. Sunstein, C., 2015. Choosing not to Choose: Understanding the Value of Choice, Oxford University Press
 54. Tscherner, E.M., 2014. Can Behavioral Research Advance Mandatory Law, Information Duties, Standard Terms and Withdrawal Rights?, Austrian Law Journal, N1
 55. Waselius and Wist, New temporary restrictions on interest rates and direct marketing of consumer loans. <https://www.wv.fi/news/2020/04/new-temporary-restrictions-on-interest-rates-and-direct-marketing-of-consumer-loans> [26.10.2021]
 56. Wilhelmsson, T., Twigg-Flesner, C., 2006. Pre-contractual information duties in the *acquis communautaire*. European review of contract law: ERCL., 2(4)

პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა - გააგრძელება სასჯელის მიზნების ჭრილში

პაპუნა გურული

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ადვოკატი საერთო სპეციალობით

საკვანძო სიტყვები: დანაშაულის პროვოკაცია, სასჯელის მიზნით, პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

მიზანდასახულობა და მეთოდოლოგიური საფუძველი

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ისევე სასამართლო პრაქტიკაში მეტად აქტუალურია სახელმწიფო ორგანოს დავალებით მოქმედი აგენტ-პროვოკატორის მიერ პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების პრობლემა. საკითხი მეტად წინააღმდეგობრივია და, ხშირ შემთხვევაში, ძნელია იმაზე შეთანხმებაც კი, თუ რომელი მეთოდოლოგიური საფუძველი უნდა იქნას გამოყენებული მის განსახილველად. ამ გაურკვევლობას იწვევს ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული, მიდგომა, რომელიც დანაშაულის პროვოკაციის ირგვლივ ჩამოყალიბდა. კერძოდ, საერთო სამართლის ქვეყნებში აგენტ-პროვოკატორის პასუხისმგებლობის საკითხი ფაქტობრივად არ ისმება, პროვოცირებულის პასუხისმგებლობა კი ძირძველი პრობლემაა. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში, უმთავრესად, სწორედ აგენტ-პროვოკატორის პასუხისმგებლობის პრობლემა აინტერესებთ; პროვოცირებულის პასუხისმგებლობის საკითხი კი ძირითადად – ადამიანის უფლებათა ევროპული სა-

სამართლოს პრეცედენტული სამართლის გავლენით – მხოლოდ პროცესუალურ ქრილში ისმება. შესაბამისად, უმეტესწილად საუბარია პროვოკაციის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლობაზე.¹ შეინიშნება სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის სისტემატიზაციის მცდელობა.² აგრეთვე, დიდი ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სტანდარტის ეროვნულ სამართალზე მორგებას.³

თავისთავად, ეს ტენდენცია მისასაღებელია, მაგრამ პრობლემას საბოლოოდ მაინც ვერ წყვეტს, ვინაიდან მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შემდეგ, მაინც რჩება პროვოცირებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა, თუმცა, აგრეთვე აქტიურად განიხილება და მხარდაჭერილია (დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევაში, პროცესის წარმოების დამაბრკოლებელი გარემოების (Verfahrenshindernis) საფუძველზე) საქმის განხილვის შეუძლებლობის იდეაც,⁴ მაგრამ ყოველივე ეს

მაინც პროცესუალურ ქრილში რჩება.⁵

როგორც ბოლო კვლევები აჩვენებს, თავად გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს პრეცედენტულ სამართალშიც კი, საკითხის ამგვარად გადაჭრის მცდელობა სასურველ შედეგს ვერ იძლევა.⁶ შესაძლოა, ეს იმიტაც იყოს გამოწვეული, რომ პრობლემის პროცესუალური არგუმენტაცია თავისთავად მყიფე და ნაკლებად დამაჯერებელია. საჭიროა უფრო მყარი, უფრო ძლიერი არგუმენტი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, პასუხი გაეცეს კითხვას – ხომ არ შეიძლება მატერიალურ სისხლის სამართალში მოიძებნოს ისეთი მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელიც შესაძლებელს გახდის აგენტ-პროვოკატორის მიერ პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხის ახლებურად გააზრებასა და არგუმენტირებას.

1 Шульгин, С., 2017. Провокация (підбурювання) особи на вчинення злочину працівниками правоохоронного органу як підстава для закриття кримінального провадження або постановлення виправдувального вироку. Вісник кримінального судочинства. N1/2017, ст. 96-102.

2 ცხვედიანი, თ., 2017. დანაშაულის პროვოცირების საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაცია, თბილისი.

3 Gottschalk, F., 2013. Verfahrenshindernis bei Tatprovokation durch Lockspitzel? Staatliche Tatprovokationen im Lichte der Rechtsprechung des EGMR. StudZR.

Görlitz, F., Hubert, J., Kucher, J., Scheffer, M., Wieser, P., 2019. "Tatprovokation" – The Legal Issue of Entrapment in Germany and Possible Solutions. German Law Journal, 2004.

Liewald, K., 2015. Rechtsfolgen unzulässiger Tatprovokation im Hinblick auf die aktuelle Rechtsprechung des EGMR. Dissertation. Universität Wien, Wien.

Esser, R., 2011. Lockspitzel und V-Leute in der Rechtsprechung des EGMR: Strafrechtliche Ermittlungen jenseits der StPO – außerhalb des Gesetzes? Beitrag zum 35. Strafverteidigertag, Berlin.

4 Heinrich, B., 2016. Staatliche Tatprovokation. Deutsch-

Georgische Strafrechtszeitschrift. 1/2016, S. 27-28. Ellbogen, K., 2016. Das Ende des Polizeichen Lockspitzeleinsatzes? Studere, Rechtszeitschrift der Universität Potsdam, Ausgabe 16, Frühling/Sommer

Wessels, Beulke, Satzger. 2020. Strafrecht Allgemeiner Teil. Die Straftat und ihr Aufbau. 50, neu bearbeitete Auflage, C.F. Müller, S. 4602-4624.

El-Ghazi M., Zerbes I. 2014. Geschichten von staatlicher Komplizenschaft und evidenten Rechtsbrüchen. Zugleich Anmerkung zu BGH. HRRS, 15 Jahrgang, Ausgabe 6/2014, Nr. 163, S. 209-219.

Hübner Y. 2020. Schluss mit der Strafzumessungslösung! Zugl. Bespr. zu EGMR (Akby u.a. gegen Deutschland). HRRS, 21. Jahrgang, №1163, S. 441-445.

5 Дударенко, В., 2017. Юридическая природа провокации преступления в уголовном праве. Диссертация, Екатеринбург, стр. 165.

6 Swoboda, L-S. (July 2016). Der „agent provocateur“ aus verwaltungsstrafrechtlicher Sicht. Zeitschrift der Verwaltungsgerichtsbarkeit. Ausgabe 4, S. 304-310.

Klaus, J., 2021. Das Ende der Strafzumessungslösung nach einer menschenrechtswidrigen Tatprovokation. Zugleich Besprechung von EGMR, Urt. v. 15.10.2020 – 40495/15, 37273/15, 40913/15 (Akby u.a. v. Deutschland). 16. Volume, Issue 6/2021, S. 388-398.

Jahn, M., (März, 2021) Schriftliche Stellungnahme für die öffentliche Anhörung im Rechtsausschuss des Deutschen Bundestages. Goethe Universität, Frankfurt am Main, S.-2-29.

გააზრება სასჯელის მიზნების ჟრილში

პროვოცირებულის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკითხის დასმა მატერიალური სისხლის სამართლის ფარგლებში ძალიან იშვიათია. ეს, გარკვეულწილად, გასაგებიცაა. ასეთ ვითარებას განაპირობებს წამქეზებლობისა და დანაშაულის პროვოკაციის გარეგნული მსგავსება (ორივე გულისხმობს სხვის დაყოლიებას დანაშაულის განზრახ ჩასადენად). წამქეზებლობის შემთხვევაში ამსრულებელი შეგნებულად და თავისუფლად მოქმედებს, ამდენად მას სრული მოცულობით ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁷ შესაბამისად, პროვოცირებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც უმეტესწილად ანალოგიურად წყდება. ებრაელიძის აზრით, „პროვოკატორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სრულიადაც არ გამორიცხავს პროვოცირებულის პასუხისმგებლობას და პირიქით“.⁸ იმავე მოსაზრებას ავითარებს ჰუბნერი.⁹ მართალია, იშვიათად ისმის პროვოცირებულის პასუხისმგებლობის შემსუბუქების¹⁰ და, ზოგჯერ, საერთოდ გათავისუფლების წინადადებები,¹¹ მაგრამ ისინი შემდგომ გააზრებასა და დამუშავებას საჭიროებენ.

საჭიროა, ასევე, პასუხი გაეცეს კითხვას – ხომ არ შეიძლება პროვოცირებულისთვის

7 წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. II ტომი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 157.
 8 ებრაელიძე, თ., 2016. დანაშაულის პროვოკაცია. ოთარ გამყრელიძე 80. საიუბილეო სამეცნიერო კრებული. თბილისი: მერიდიანი, გვ. 132-133.
 9 Hübner, Y., 2020. Rechtsstaatswidrig, aber Straflös? Der agent provocateur-Einsatz und seine Strafrechtlichen Konsequenzen. Frankfurt am Mein: Nomos, S. 152.
 10 ჯიშკარიანი, ბ., 2016. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბილისი, იურისტების სამყარო, გვ. 225. Дударенко, В., დასახელებული ნაშრომი ... стр. 165.
 11 ღლონტი, გ., 2016. ქრთამის პროვოკაცია (კანონმდებლობის სრულყოფისათვის). ოთარ გამყრელიძე 80. საიუბილეო სამეცნიერო კრებული. თბილისი: მერიდიანი, გვ. 261.

სასჯელის შემცირება იყოს ადეკვატური ზომა მისი ბრალის ხარისხიდან გამომდინარე? საკითხის ასეთი გადაწყვეტა დომინირებდა გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში 1984-2014 წლებში. თუმცა დღეს, როგორც სტრასბურგის სასამართლოს, ისე ნაწილობრივ თავად გერმანიის ფედერალური უზენაესი სასამართლოს (Bundesgerichtshof) მიერ უარყოფილია და მეცნიერთა უმეტესობის მხრიდანაც მკაცრი კრიტიკის საგანს წარმოადგენს.¹²

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლად გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს არა მხოლოდ ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, იმოქმედოს როგორც უნდა, არამედ – ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების საშუალებასაც, რაც პროვოცირებულს ეზღუდება, რადგან მან არ იცის პროვოკატორის გეგმების შესახებ.¹³ ამიტომ ნების თავისუფლებაზე მითითება ნაკლებად მისაღებია, მაგრამ, რაც მთავარია, ავტორთა მიერ ხდება წამქეზებლობიდან დანაშაულის პროვოკაციაში აღნიშნული დებულების გადმოტანა ისე, რომ არ მოწმდება მისი შესაბამისობა პროვოკაციის სამართლებრივ ბუნებასთან. საკმარისად ითვლება ის, რომ პროვოცირებული შეგნებულად და თავისუფლად მოქმედებს და ჩადის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად განზრახ ქმედებას. ალბათ, სისხლის სამართლის მკვლევარები სწორედ ამ მიზეზით ვერ ხედავენ პროვოცირებულის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს. როგორც ჩანს, მკვლევართა უმრავლესობა საკითხს მხოლოდ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი სტანდარტული გარემოებების (რომლებიც კანონში პირდაპირ არის აღწერილი) ჟრილში განიხილავს და, რადგან ვერც ერთი მათგანი ვერ საბუთდება, პროვოცირებულის დასჯასაც მწვანე შუქს უნთებს.

ყველაფერთან ერთად, არ ისმება მართლმართლი კითხვა: აქვს კი უფლება სახელმწი-

12 Hübner Y. Rechtsstaatswidrig, aber Straflös?.. S. 173-173.
 13 იქვე, S. 101.

პაპუნა გურული

ფოს დასაჯოს ის ადამიანი, რომელიც დამნაშავედ თავად აქცია?¹⁴ წინააღმდეგობა შეუიარაღებელი თვალთაც კი აშკარაა: თუ პროვოცირებული პირის მიერ ჩადენილი ქმედება (დანაშაული) ცუდი ქმედებაა, მაშინ რატომ ჩაადენინე? ხოლო თუ ცუდი ქმედება არაა, მაშინ რატომ სჯი? კითხვა იკვეთება ბრალის პრინციპთან. ასეთ შემთხვევაში, როგორც ელბოგენი მიუთითებს, „სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის კრიტერიუმი არის არა დამნაშავის ბრალი, არამედ მისი შეცდენადობა“.¹⁵

მეტიც, ვინაიდან ბრალი არის გასაკიცხაობა ჩადენილი უმართლობისათვის, ბრალეული პირი უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის კრიტერიუმებს, რათა დაეფემდეგაროს გაკიცხვას; მაგრამ თავად სახელმწიფოც ხომ არ უნდა აკმაყოფილებდეს რაღაც კრიტერიუმებს, რათა გაკიცხვა მოახდინოს? აქვს კი უფლება სახელმწიფოს გაკიცხოს პირი იმ ქმედებისთვის, რომლის ჩადენაში თავად მიუძღვის ბრალი, ანუ თავად არის გასაკიცხი? ცხადია, კითხვა რიტორიკულია.

თუმცა, ამ რიტორიკულ კითხვაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საგამონაკლისო წესით იმსჯელა და მიუთითა, რომ: „სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ თუმცა შესაფერის სასჯელთან დაკავშირებული საკითხები, როგორც წესი, არ ექცევა კონვენციის სფეროში (...), სამართლიანობიდან გამომდინარე, დანიშნული სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს იმ დანაშაულს, რომლის ჩადენასაც ბრალდებული რეალურად გევმავდა. მართლაც, ზემოაღნიშნული სიტუაციებიდან ნებისმიერში (...), თუმცა, ადამიანის გასამართლება უსამართლობა არ იქნებოდა; უსამართლობა იქნებოდა მისი დასჯა იმ დანაშაულებრივ მოქმედებაში მონაწილეობისათვის, რომელიც იყო სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან შეუფერებელი ქმედების შედეგი“.¹⁶

14 ამ საკითხს გარკვეულწილად ეხება ჰაინრიხი. იხ.: Heinrich, B. Staatliche Tatprovokation ... S. 25.

15 Ellbogen, K. დასახელებული ნაშრომი. S. 65.

16 ECtHR. CASE OF GRBA v. CROATIA (Application

საინტერესო არგუმენტი შეიძლება იყოს actio libera in causa პრინციპზე დაყრდნობით. თუკი ადამიანი განზრახ გამოიწვევს საკუთარ თავზე თავდასხმას, რათა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოკლას თავდამსხმელი, მას აუცილებელი მოგერიების უფლება ერთმევა. ასევე, თუ სახელმწიფო განზრახ გამოიწვევს დანაშაულს, მას ამ დანაშაულის ჩამდენის დასჯის უფლება უნდა ერთმეოდეს.¹⁷

ამასთან ერთად, საგულისხმო არგუმენტის მოძიება შეიძლება აფექტირებულ დანაშაულთან პარალელის გავლების მეშვეობით. დანაშაულის ეს ტიპი საინტერესოა მისი ვიქტიმოგენური თავისებურებით. უგრეხელიძე ვიქტიმოგენური სიტუაციის შესახებ უთითებს, რომ „კრიმინოგენური სიტუაციის ეს კერძო ნაირსახეობა, დანაშაულებრივი დრამის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟად, დამნაშავესთან ერთად, ყოველთვის გულისხმობს დანაშაულის კონკრეტულ მსხვერპლს, თანაც უბრალოდ ხელყოფის ადრესატად კი არა, არამედ სუბიექტის სახით, რომელიც, თავისი ქცევით და განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით ობიექტურად ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას მისსავე საწინააღმდეგოდ“.¹⁸ ეს მოსაზრება შესაძლებელია საკმაოდ საინტერესოდ მიესადაგოს დანაშაულის პროვოკაციას. ცხადია, განსხვავებით აფექტირებული დანაშაულისგან, პროვოცირებულის ქმედება არ არის მიმართული თავად პროვოკატორის წინააღმდეგ. თუმცა, ეს არ არის გადამწყვეტი. მთავარია, რომ პროვოცირებული დანაშაულს ჩადის და, იმავდროულად, თავადაც ხდება მსხვერპლი. ანუ, პროვოცირებული პირი თავისი ქმედებით – დანაშაულის ჩადენით – პროვოკატორს აძლევს მისი ხელყოფის – პიროვნული და სოციალური დეზინტეგრაციის – საშუალებას. ანუ, გარკვეული თვალსაზრისით, პროვოცირებულის ქცევა, როდესაც იგი

no. 47074/12) 23 November 2017. § 103.

17 Katz, L., 2013. Entrapment Through the Lens of the Actio Libera in Causa. Criminal Law and Philosophy, Volume 7, issue 3, October, pp. 592-595.

18 უგრეხელიძე, მ., 2020. ვიქტიმოგენები. კრიმინოლოგი, N1 (15), გვ. 24-26.

ეცდუნება და პროვოკატორის მიერ დაგე-
ბულ მახეში გაეხება, შეიძლება შეფასდეს,
როგორც ვიქტიმური ქცევა. მაშასადამე,
მთავარი მსგავსება აფექტირებულ დანაშა-
ულსა და პროვოკაციას შორის არის ცდუ-
ნების ელემენტი. როგორც ერთ, ისე მეორე
შემთხვევაში, ყველაფერი დამოკიდებუ-
ლია იმაზე, რამდენად გაუძლებს ან ვერ გა-
უძლებს ადამიანი მისთვის თავსმოხვეულ
სიტუაციურ ზემოქმედებას. უგრეხელიძის
აზრით, დამნაშავის ამ უნარს ან თვისებას,
პირობითად ვიქტიმომდეგობა შეიძლება
ეწოდოს: „ვიქტიმომდეგობა, ანუ დამნაშა-
ვის დისპოზიციური უნარი – წინ აღუდგეს,
გაუძლოს, დაუსხლტეს, გაუძალიანდეს, არ
აჰყვეს სიტუაციურ ცდუნებას დანაშაულის
ჩადენისა შესაძლო მსხვერპლის საზი-
ანოდ“.¹⁹ აღნიშნული პირდაპირ ეხმიანება
ელბოგენის მიერ მოტანილ არგუმენტს შეც-
დენადობის შესახებ და აძლიერებს მას. გა-
მოდის, რომ პროვოცირებულის გაკიცხვა
დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შესწევს
მას უნარი, გაუძლოს ცდუნებას, არ დაჰყვეს
მისთვის თავსმოხვეულ ზემოქმედებას და
არ გახდეს პროვოკაციის მსხვერპლი (!!).

მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობა
მართლაც თვალშისაცემია, მხოლოდ მასზე
მითითებით პროვოცირებული პირის პასუ-
ხისმგებლობისგან გათავისუფლების დასა-
ბუთება გაჭირდება. მეტადრე იმიტომ, რომ
ბრალის დასაბუთება სისხლის სამართალ-
ში უპირატესად ხდება იმის საფუძველზე –
შეეძლო თუ არა პირს სხვაგვარად ქცევა.²⁰
პროვოცირებული კი, როგორც აღვნიშნეთ,
სხვაგვარად ქცევაში შეზღუდული არ არის.
ხოლო სახელმწიფოსთვის ასეთი მაღალი
სტანდარტის დაწესება, შეიძლება ითქვას,
გულუბრყვილოც კი იქნებოდა. თანაც, რჩე-
ბა თავის დაძვრენის მარტივი საშუალება.
კერძოდ, თუ დასჭირდა, სახელმწიფო დას-
ჯის არა მხოლოდ პროვოცირებულ პირს,
არამედ თავად პროვოკატორსაც. ცხადია,

ეს შეიძლება მოხდეს პროვოკატორთან
წინასწარი შეთანხმებით, მსუბუქი სასჯე-
ლის ან/და რაიმე სარგებლის პირობით. ამ
შემთხვევაში, სახელმწიფო ადვილად „მო-
ინმენდს ნამუსს“ და იტყვის რომ იგი პრო-
ვოკაციის მომხრე კი არაა, არამედ კიცხავს
და სჯის პროვოკატორს. თუმცა, აღნიშნუ-
ლი წინააღმდეგობის შემდგომი გააზრება
შესაძლოა სასარგებლოც იყოს. არის არ-
გუმენტი, რომელიც სახელმწიფოს აღარ
დაუტოვებს თავის დაძვრენისა და „ნამუსის
მოწმენდის“ საშუალებას. ეს არგუმენტი
ეფუძნება სასჯელის მიზნებს, რომელიც
აღიარებულია არა მხოლოდ სისხლის სა-
მართლის მეცნიერთა მიერ, არამედ თავად
კანონმდებლის მიერაც.

შეიძლება დაისვას კითხვა – რამდენად
შესაბამისობაშია სახელმწიფო ორგანოს
მიგზავნილი აგენტის მიერ პროვოცირებუ-
ლი პირის დასჯა სასჯელის იმ მიზნებთან,
რომლებიც აღიარებულია სისხლის სამა-
რთლის მეცნიერებისა და კანონმდებლის
მიერ? საერთოდ მიღწევადია კი სასჯელის
მიზნები იმ შემთხვევაში, როდესაც ადა-
მიანი ისჯება აგენტ-პროვოკატორის მიერ
პროვოცირებული დანაშაულისთვის? და-
სმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, აუცი-
ლებელია, მოხდეს საკითხის შეპირისპი-
რება სასჯელის მიზნებთან და გაირკვეს
– მათ შორის თანხმობა არის, თუ – წი-
ნააღმდეგობა.

სასჯელის მიზნების შესახებ იდეებმა
მარტივი სამაგიეროს მიზღვიდან თანა-
მედროვე კონცეფციამდე დიდი და რთუ-
ლი გზა განვლო.²¹ უძველესი დროიდან
დამნაშავის დასჯა, მისთვის სამაგიეროს
მიზღვა, იყო სასჯელის უმთავრესი მიზა-
ნი. კანტისა და ჰეგელის მიერ განვითარე-
ბული თეორიის თანახმად, სასჯელს უნდა
მოეხდინა დამნაშავის ბრალის კომპენ-
სირება. სასჯელი, პირველ რიგში, ემსახუ-
რებოდა არა სოციალურ მიზნებს, არამედ

19 იქვე, გვ. 24-26.

20 Ugrekhelidze, M., 1984. Die Bedeutung des Schuldgehalts der Tat im Strafrecht. Zweites Deutsch-Sowjetisches Kolloquium über Strafrecht und Kriminologie. Baden-Baden: Nomos Verlags-Gesellschaft, S. 113-122.

21 ვრცლად იხ.: Abegg, J. F., 1969. Die verschiedenen Strafrechtstheorien in ihrem Verhältnisse zu einander und zu dem positiven Rechte und dessen Geschichte. Erster Theil. Philosophisch-historische Entwicklung des Begriffs von Verbrechen und Strafen. Frankfurt/Main: Verlag Sauer & Auvermann KG, S. 8-73.

სამართლიანობას.²² ამ თეორიებს ხშირად სასჯელის აბსოლუტურ თეორიებს უწოდებენ. ისინი მეთოდოლოგიურად ემყარება ზნეობას, უფრო ზუსტად – ზნეობრივი კანონის იდეას. ამ თეორიების მიხედვით, დანაშაული წარმოადგენს ზნეობრივი კანონის დარღვევას, ხოლო სასჯელი – ამ დარღვევისთვის სამართლიან შურისძიებას. კატეგორიულად უარყოფილია სასჯელის სოციალური დანიშნულება, მისი პრაქტიკული სარგებლიანობა და საკითხი წყდება მხოლოდ ზნეობაზე დაყრდნობით. ვინაიდან დამნაშავე თავის ინდივიდუალურ ნებას უპირისპირებს საზოგადოებრივს და ამით არღვევს სამართალს, მისთვის შეფარდებული სასჯელი სამართლის აღდგენის საშუალებაა. ჰეგელი ასევე უარყოფს სასჯელის მუქარის და დამნაშავეს გამოსწორების იდეას, რადგან მიიჩნევს, რომ ადამიანს, როგორც გონიერ არსებას, აქვს ნების თავისუფლება, მაშასადამე დამუქრება და დასჯა გამოსწორების მიზნით ადამიანის პირუტყვის დონეზე დაყვანას ნიშნავს. კანტი კი პირდაპირ უთითებს ტალიონის პრინციპზე „თვალი – თვალის წილ“ და ამტკიცებს, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს მხოლოდ იმიტომ, რომ მან დანაშაულის ჩადენით სასჯელი დაიმსახურა.²³ აქედან გამომდინარე, სასჯელის აბსოლუტური თეორიები შურისძიების თეორიებადაც მოიხსენიება. უტილიტარისტული მიზნების სრული უარყოფა იწვევს იმას, რომ დამნაშავე უნდა დაისაჯოს იმიტომ, რომ მისი დასჯა მორალურად გამართლებულია, მიუხედავად იმისა, ეს საზოგადოებრივად სასარგებლო იქნება თუ არა.²⁴ ამ თვალსაზრისით, აბსოლუტური თეორიები

ორიენტირებულნი არიან წარსულზე, უკვე მომხდარ ფაქტზე.²⁵

თუმცა, შურისძიების იდეას საკმაოდ ადვილად შეუდგა წყალი. მაგალითად, ბეკარია თანმიმდევრულად ასაბუთებს სამაგიეროს მიზღვაზე აგებული სასჯელის უსწორობას. ბოლოს იგი უთითებს: „ახლა როცა სასჯელი სამაგიეროს მიზღვა არ არის, უნდა შერჩეულ და დანიშნულ იქნას სასჯელის ისეთი სახე, რომელიც, ბოროტმოქმედების მასშტაბებისადმი ზუსტი შესაბამისობის გათვალისწინებით, ყველაზე ძლიერ და ურყევ შთაბეჭდილებას ახდენს გონებაზე, მაგრამ ყველაზე ნაკლებად მტანჯველი და მტკივნეულია უბედურთა მგრძობელობისათვის“.²⁶

იურიდიული აზრის განვითარების კვალდაკვალ, ჩამოყალიბდა სასჯელის შეფარდებითი (რელატიური) თეორიები, რომლებიც სასჯელს პრაქტიკულ მიზანს უსახავენ. კერძოდ, ასაბუთებენ, რომ სასჯელი საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანას უნდა ემსახურობდეს. ამიტომ ამ თეორიებს „უტილიტარისტულ“ თეორიებსაც უწოდებენ. განსხვავებით აბსოლუტური თეორიებისაგან, ისინი მეთოდოლოგიურად არა ზნეობას, არამედ მიზანშეწონილებას ეფუძნება.²⁷ საზოგადოებრივი სარგებლიანობა არა დამნაშავეს დასჯაში, არამედ ახალი დანაშაულის პრევენციაში მოიხსენიება.²⁸ ამ თვალსაზრისით, განსხვავებით აბსოლუტური თეორიებისაგან, შეფარდებითი თეორიები ორიენტირებულია არა წარსულზე, არამედ მომავალზე, ჯერ კიდევ არმომხდარი დანაშაულის თავიდან აცილება-

22 Roxin, Arzt, Tiedemann. 2013. Einführung in das Strafrecht und Strafprozessrecht. 6 Auflage. C. F. Müller, S. 4-5.

23 ვაჩეიშვილი, ა., 1960. სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 28-31.

24 დვალისძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 18.

25 ტურავა, მ., 2011. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება. თბილისი: მერიდიანი, გვ. 42-43.

26 Beccaria, C., 1764. Von Verbrechen und Strafen. Auf das neue selbst aus dem Italienischen übersetzt mit durchgängigen Anmerkungen des Ordinarius zu Leipzig. Breslau, S. 67.

27 ვაჩეიშვილი, ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 31.

28 Grolman, K., 1968. Über die Begründung des Strafrechts und der Strafgesetzgebung. Frankfurt am Main: Verlag Sauer & Auvermann KG, S. 56.

ზე,²⁹ რომელიც, თავის მხრივ, იყოფა სპეციალურ და ზოგად პრევენციად.

სპეციალური პრევენციის იდეას ავითარებდა ფონ ლისტი. იგი ასაბუთებდა, რომ სასჯელის მიზანი დამნაშავეზე იმგვარი ზემოქმედებაა, რომელიც მის გამოსწორებასა და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას უზრუნველყოფს.³⁰ ამ დებულებათა განვითარებას შედეგად მოჰყვა ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტების შემოტანა, როგორცაა სასჯელის ალტერნატიული ღონისძიებები, პირობითი მსჯავრი, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება და სხვ.³¹

სასჯელის გენერალური პრევენციის იდეა ფონ ფოიერბახს ეკუთვნის. იგი ორიენტირებულია არა კონკრეტული დანაშაულის ჩამდენ პირზე, არამედ ფართო საზოგადოებაზე. მთავარი აქცენტი კეთდება სასჯელის მუქარაზე, პოტენციური დამნაშავეების დაშინებაზე. აგრეთვე, იგულისხმება, რომ დამნაშავის დასჯის მაგალითზე სხვებმა უნდა გადაიფიქრონ დანაშაულის ჩადენა. ასეთ პრევენციას ნეგატიურ გენერალურ პრევენციას უწოდებენ.³² თუმცა, არსებობს პოზიტიური გენერალური პრევენციაც, რომელიც არა დაშინებაზე, არამედ გარკვეულ სასწავლო-აღმზრდელობით ეფუძნება ორიენტირებული. კერძოდ, სასჯელის გამოყენებამ მართლწესრიგის ურღვევობა უნდა გახადოს აშკარა, უნდა გააძლიეროს სამართლისადმი მოსახლეობის ნდობა, აამაღლოს მოქალაქეთა მართლშეგნება და ასწავლოს მათ სამართლისადმი ერთგულება.³³

ჩამოთვლილთაგან არც ერთ თეორიას არ აკლია კრიტიკა, მათ შორის დასაბუ-

თებულიც.³⁴ პრობლემა ის იყო, რომ თითოეული მათგანი საკითხს ცალმხრივად განიხილავდა და ვერ ახერხებდა, რომ თავის თავეში მოექცია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

საბოლოო ჯამში, სასჯელის მიზნები შეიძლება დაიყოს არაუტილიტარულ და უტილიტარულ მიზნებად.³⁵ მათ ირგვლივ დავა ჯერ კიდევ გრძელდება. თუმცა, სასჯელის აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების შერწყმის შედეგად, ჩამოყალიბდა სასჯელის გამაერთიანებელი (შემაერთებელი, ეკლექტური) თეორიები, რომლებმაც ერთმანეთში არაუტილიტარული და უტილიტარული მიზნები გააერთიანა. მათი მთავარი იდეა არის ის, რომ სამაგიეროს მიზღვის, სპეციალური პრევენციისა და გენერალური პრევენციის ცალმხრივად გამოყენება ვერ იძლევა საჭირო შედეგს. აუცილებელია სამივე თეორიის საუკეთესო დებულებების შერწყმა და ამის ხარჯზე მათივე სუსტი მხარეების დაბალანსება.³⁶ ამგვარი კომბინირების პირველივე მცდელობები საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობდა.³⁷ ეს გასაგებიცაა, რადგან, ერთი შეხედვით, სასჯელის არაუტილიტარული და უტილიტარული მიზნები ურთიერთსაწინააღმდეგოა.³⁸ სასჯელის დანიშნით, ერთი მხრივ, სახელმწიფომ დამნაშავე უნდა დასაჯოს, საკადრისი მიუზღას, ქკუა ასწავლოს მას; მეორე მხრივ – უნდა იზრუნოს მასზე, შეძლებისდაგვარად, შეუმსუბუქოს სასჯელის ტვირთი და ამით გამოიყენოს გამოსწორების თუნდაც ის მცირე შანსი, რომელიც ჯერ

29 ტურავა, მ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 44.
30 Von Liszt F. 1905. Strafrechtliche Aufsätze und Vorträge. Der Zweckgedanke im Strafrecht. Erster Band. Berlin: J. Guttentag Verlagsbuchhandlung G.m.b.H., S. 163-179.
31 ტურავა, მ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 44.
32 Von Feuerbach P.J.A.R. 1798. Ist Sicherung vor dem Verbrechen Zweck der Strafe und ist Strafrecht Präventionsrecht. Bibliothek für die peinliche Rechtswissenschaft und Gesetzkunde.
33 ცქიტიშვილი, თ., 2019. სასჯელი და მისი შეფარდება. თბილისი: მერიდიანი, გვ. 31-32.

34 Köstlin, C.R., 1978. System des deutschen Strafrechts. Allgemeiner Teil. Erste Abteilung. Neudruck der Ausgabe. Tübingen: Scientia Verlag Aalen, S. 395-413.
35 ავტორთა კოლექტივი (რედ.: ნაჭყებია, გ., თოდუა, ნ.) 2018. სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო). ზოგადი ნაწილი. მესამე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 477.
36 Roxin, Arzt, Tiedemann. დასახელებული ნაშრომი, S. 6-7.
37 Von Bar C. L. 1882. Handbuch des Deutschen Strafrechts. Erster Band. Geschichte des Deutschen Strafrechts und der Strafrechtstheorien. Berlin: Weidmannsche Buchhandlung, §. 95. S. 270-273.
38 ტურავა, მ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 46.

კიდევ დარჩენილია. თუმცა, ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა წინააღმდეგობრივი ამოცანა. მართალია, ცალ-ცალკე აღებული სასჯელის მიზნები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მაგრამ ერთად დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენენ და ურთიერთქმედებენ.

ამასთან დაკავშირებით, ჰელშნერი მიუთითებს: „*თუმცა, სასჯელი უნდა ემსახურებოდეს მიზანთა ასეთ სიმრავლეს, მისი რაობა აშკარად არ არის დეტერმინირებული ამ მიზანთაგან ერთით ან მეორეთი, არც მათი უმრავლესობით, არც ყველა ინდივიდუალური მიზნის ერთობლიობით, არამედ მხოლოდ ერთი აბსოლუტური მიზნით – სამართლიანობით, ვინაიდან ნამდვილად და ყველა თვალსაზრისით სამართლიანი სასჯელი იმავდროულად აუცილებლად არის ის, რაც ავტომატურად ემსახურება ყველა იმ შეფარდებით მიზანს*“.³⁹

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სასჯელის თეორიების განვითარება პირდაპირ თვალსაჩინოს ხდის ლეგიმეტრიული მიდგომის აუცილებლობას. სამაგიეროს მიზღვის მიზანი, რომელიც საფუძვლად ედო სასჯელის აბსოლუტურ თეორიებს, გამომდინარეობს სწორედ მორალური კომპონენტიდან, მაგრამ ამ თეორიების მთელი ნაკლიც ისაა, რომ არ იყო გათვალისწინებული პოლიტიკური კრიტერიუმი. შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ ზნეობაზე აგებული მიდგომა გაცილებით ნაკლები სარგებლის მომტანი იყო. შეფარდებითი თეორიების ავტორებმა სწორედ ეს დაინახეს. მათ გაიაზრეს, რომ ზნეობრივი პრინციპების დაცვის გარდა საჭიროა ფიქრი პრაქტიკულ სარგებლიანობაზე და, სწორედ ამიტომ, შემოიტანეს ახალი დანაშაულის პრევენციის მიზანი. აგრეთვე, არსებობს დამნაშავის რესოციალიზაციის მიზანი. ერთი მხრივ, იგი ემსახურება ახალი დანაშაულის სპეციალურ პრევენციას, რადგან ერთხელ დანაშაულის ჩამდენ-

მა პირმა ახალი დანაშაული არ ჩაიდინოს. ეს ნაკარნახევია მიზანშეწონილობითი მოსაზრებით, მაგრამ, მეორე მხრივ, რესოციალიზაცია ხომ ეხმარება თვითონ დამნაშავეს სწორ გზაზე დადგომაში და საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებაში, ეს კი სახელმწიფოს მხრიდან ზნეობრივი მიდგომის გამოვლინებაა.⁴⁰ სახელმწიფო ითვალისწინებს, რომ დამნაშავე მის წიაღში აღიზარდა და, შესაბამისად, მის მიერ ჩადენილ ქმედებაზე გარკვეულწილად პასუხისმგებლობასაც იღებს. სახელმწიფო კი არ წირავს და კი არ მოკვდის დანაშაულის ჩამდენ საზოგადოების წევრს, არამედ, როდესაც მისი გამოსწორება ჯერ კიდევ შესაძლებელია, აძლევს შანსს – გამოსწორდეს. სასჯელის გამაერთიანებელი თეორიების წარმატებას სწორედ იმით არის განპირობებული, რომ ისინი არ უგულებელყოფენ სამართლის ორი შემადგენლიდან არც ერთს. პირიქით, ისინი ცდილობენ იპოვონ ბალანსი ზნეობასა და პოლიტიკას შორის.⁴¹ სწორედ ამ მოსაზრებით, ქართველმა კანონმდებელმაც მხარი დაუჭირა სასჯელის გამაერთიანებელ თეორიებს, როდესაც 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დაადგინა – „*სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია*“.

შესაბამისად, საჭიროა, პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი განხილულ იქნას სამართლიანობის აღდგენის, ახალი დანაშაულის სპეციალური და ზოგადი პრევენციის ქრილში და დადგინდეს, რამდენად იქნება მიღწევადი ეს მიზნები, თუ სახელმწიფო ორგანოს დავალებით მოქმედი აგენტ-პროვოკატორი ადამიანს დანაშაუ-

39 Hälschner, H., 1858. Das preußische Strafrecht System des preußischen Strafrechts Zweiter Theil oder allgemeiner Theil des Systems. bei Adolph Marcus. Bonn. S., 440.

40 მეურმიშვილი, ბ., გურული, პ., 2019. დამნაშავის შეწყალება ქართულ სისხლის სამართალში – გადასინჯვის მცდელობა. სამართალი და მსოფლიო, №11, გვ. 22.

41 გურული, პ., 2017. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება – ლეგიმეტრიული გააზრება. სამართალი და მსოფლიო, №6, გვ. 48-49.

ლის ჩადენაზე დაიყოლიებს და შემდეგ ამავე ადამიანს სახელმწიფო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დააკისრებს.

სამართლიანობის აღდგენა

სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, პროვოცირებული პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთება დიდ წინააღმდეგობას აწყდება. კერძოდ, როგორც აღინიშნა, სამართლიანობის აღდგენის მიზანი მეთოდოლოგიურად ეფუძნება ზნეობას. მაშასადამე, პროვოცირებულის დასჯა ზნეობრივად გამართლებული უნდა იყოს. აბსოლუტური თეორიების თანახმად, დამნაშავე თავის ინდივიდუალურ ნებას უპირისპირებს საზოგადოებრივს და ამით არღვევს სამართალს. სასჯელი კი სამართლის აღდგენის საშუალებაა. სწორედ აქ ისმის მთავარი კითხვა – საიდან დაებადა პროვოცირებულს დანაშაულის ჩადენის ნება? პასუხი – აგენტ-პროვოკატორის ზემოქმედების შედეგად. ანუ, გამოდის, რომ სახელმწიფომ თავად ჩაუნერგა პროვოცირებულს დანაშაულის ჩადენის ნება და ახლა ამის გამო მასვე თხოვს პასუხს. ანუ, სამართლის დარღვევის უპირველესი მიზეზი თავად სახელმწიფოს მიერ სანქცირებული ქმედება ყოფილა; და ეს მაშინ, როდესაც სამართლებრივი სახელმწიფო, პირველ რიგში, სამართლის დაცვით უნდა იყოს დაკავებული და, არავითარ შემთხვევაში – მისი დარღვევით. მდგომარეობას ამძაფრებს მეორე ფაქტორიც. როგორც ხეიფეცი აღნიშნავს, „თავად სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კანონის დარღვევა, მოსახლეობაში კანონიერების გრძნობის ძირის გამოთხრა, სამართლებრივი წყობისათვის ნიშნავს იმ ფუნდამენტის მორყევას, რომელზეც იგი არის დასვენებული“.⁴² ისმის სახელმწიფო ხელისუფლებისთვის ყველაზე უხერხული კითხვა – ვინ უფრო მეტად ხელყოფს

სამართალს, სახელმწიფო თუ პროვოცირებული პირი?

მეტი სიცხადისთვის კითხვა უნდა გაიყოს ორად და ცალ-ცალკე გაეცეს პასუხი – მატერიალური მართლწინააღმდეგობისა (საზოგადოებრივი საშიშროების) და ბრალის (გასაკიცხაობის) ნაწილში. მიზანშეწონილია საკითხის განხილვა ქურდობის პროვოკაციის მაგალითზე.

მატერიალური მართლწინააღმდეგობის ნაწილში საჭიროა პასუხი გაეცეს კითხვას – ვინ წარმოშვა უფრო მეტი ხარისხის საზოგადოებრივი საშიშროება, პროვოცირებულმა, თუ სახელმწიფო ხელისუფლებამ? როგორც წერეთელი აღნიშნავს – „დანაშაული, რაც არ უნდა მძიმე იყოს იგი, როგორც წესი, არ ქმნის უშუალო საფრთხეს სოციალისტური საზოგადოების არსებობისათვის. ასეთი უშუალო საფრთხე შეიძლება შექმნას მხოლოდ ზოგიერთმა მძიმე სახელმწიფო დანაშაულმა, და თანაც გარკვეულ პირობებში. დანაშაული ჰქმნის უშუალო საფრთხეს იმ კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის, ე.ი. იმ ობიექტისათვის, რომლის წინააღმდეგაცაა იგი მიმართული“.⁴³ ადვილი მისახვედრია, რომ მთლიანად საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის საფრთხის შექმნა ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ერთი კონკრეტული ობიექტის ხელყოფა. პროვოცირებული (ქურდობის ამსრულებელი) ხელყოფს ვიღაცის საკუთრების უფლებას, ანუ ერთ კონკრეტულ ობიექტს. სახელმწიფო ხელისუფლება კი – მოარყევს მთლიანად სამართლებრივი წყობის ფუნდამენტს, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივად მოწესრიგებულობას ზოგადად. მაშასადამე, დანაშაულის პროვოკაციის დროს, სახელმწიფო ხელისუფლების ქმედება მატერიალური მართლწინააღმდეგობის ბევრად მეტ ხარისხს შეიცავს.

იგივე კითხვა ისმის ბრალის ხარისხის თვალსაზრისითაც – ვისი ქმედებაა უფრო მეტად გასაკიცხი, პროვოცირებულის, თუ

42 Хейфець, И., 1914. Подстрекательство къ преступлению. Москва: изданіе юридическаго книжнаго магазина «Правовѣдѣніе» И. К. Голубева, стр. 127.

43 წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. I ტომი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 20.

სახელმწიფო ხელისუფლებისა? ბრალის, ანუ გასაკიცხაობის, ხარისხი უპირატესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჰქონდა მოქმედ პირს სხვაგვარად ქცევის საშუალება. როგორც უგრეხელიძე მიუთითებს „თუ პასუხისმგებლობის აუცილებელი ნაწილია დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ის არის, რომ ქცევის საერთო განსაზღვრულობის ფარგლებში ინდივიდს ჰქონდეს სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობა, მაშინ პასუხისმგებლობის მასშტაბიც ის იქნება, თუ რამდენად მკაცრად იყო დანაშაულებრივი ქცევა განსაზღვრული აუცილებლობით და რა ზომით რჩებოდა ინდივიდს თავისუფალი არე სხვაგვარი ქცევისათვის“.⁴⁴ ბუნებრივია, სახელმწიფო ხელისუფლება ბევრად უფრო მეტი თავისუფლების პირობებში მოქმედებს. იგი თავად, სხვისგან ზემოქმედების გარეშე, იღებს გადაწყვეტილებას აგენტ-პროვოკატორის გამოყენების შესახებ. ხოლო პროვოცირებული განიცდის აგენტ-პროვოკატორის ზემოქმედებას და მისი გავლენით იღებს გადაწყვეტილებას ქურდობის ჩადენის შესახებ (რაზეც უკვე იყო საუბარი ამერიკული დოქტრინის ნაწილში). შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებას ბევრად მეტი თავისუფალი არე ჰქონია სხვაგვარი ქმედებისათვის და, შესაბამისად, მისი ქმედება ბევრად უფრო გასაკიცხია, ვიდრე პროვოცირებულისა.

მაშასადამე, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აგენტ-პროვოკატორის გამოყენება შეიცავს მატერიალური მართლწინააღმდეგობის ბევრად მეტ ხარისხს და ბევრად უფრო გასაკიცხია, ვიდრე პროვოცირებულის მიერ დანაშაულის ჩადენა. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, ზნეობის რომელ ნორმაზე დაყრდნობით უნდა მოსთხოვოს სახელმწიფომ პროვოცირებულს პასუხი, როდესაც თავად გახდა სამართლის დარღვევის უპირველესი მიზეზი; ამავდროულად თავად წარმოშვა საზოგადოებრივი საშიშროების ბევრად მეტი ხარისხი, ვიდრე პროვოცირებულმა და მისი ქმედება ბევრად უფრო გასაკიცხია, ვიდრე პროვოცირებულისა.

დრე პროვოცირებულმა და მისი ქმედება ბევრად უფრო გასაკიცხია, ვიდრე პროვოცირებულისა. ძალიან საეჭვოა, რომ ამ უხერხულ კითხვაზე დასაბუთებული პასუხი მოიძებნოს. შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოს დავალებით მოქმედი აგენტ-პროვოკატორის მიერ პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა, მაღალი ალბათობით, ვერ შეუწყობს ხელს სამართლიანობის აღდგენას.

სპეციალური პრევენცია

ახალი დანაშაულის სპეციალური პრევენციის მიზანთან წინააღმდეგობა კიდევ უფრო თვალშისაცემია. აგენტ-პროვოკატორის მიერ პროვოცირებული პირის დასჯა არა თუ არ ეთანხმება სისხლის სამართლის მეცნიერების და კანონმდებლის მიერ აღიარებულ სასჯელის ამ მიზანს, არამედ – პირდაპირ უპირისპირდება მას. სახელმწიფო ორგანოს დავალებით მოქმედი აგენტ-პროვოკატორი დანაშაულს ჩაადენინებს პროვოცირებულს და იწვევს მის პიროვნულ და სოციალურ დებინტეგრაციას. კერძოდ, იწვევს პროვოცირებულის ფსიქიკურ დეგრადაციას; უვითარებს მას კრიმინალურ ბუნებას; ურღვევს სამართლებრივი და დემოკრატიული საზოგადოების წევრისათვის დამახასიათებელ ღირებულებათა სისტემას; მიჰყავს იგი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობამდე და სასჯელამდე. ამას მოჰყვება ის, რომ პროვოცირებული ეთიშება და უპირისპირდება სამართლებრივად მოწესრიგებულ საზოგადოებას; ყოველივე ამის შედეგად კი ადამიანი ვეღარ არის პასუხისმგებელი იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რომელზეც მანამდე, როგორც პატიოსანი მოქალაქე, პასუხისმგებლობას კისრულობდა.

თავად რესოციალიზაციაც ხომ მეტი არაფერია, თუ არა ადამიანსა და საზოგადოებას შორის მაკავშირებელი რგოლის აღდგენა, რასაც წინ უნდა უძღოდეს ადამიანის მიერ საზოგადოებრივ ურთიერთობებ-

44 უგრეხელიძე, მ., 1978. ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. საბჭოთა სამართალი, №6, გვ. 47.

ზე პასუხისმგებლობის ხელახლა აღება.⁴⁵ ამას კი ჭირდება დამნაშავეს მხრიდან მონდომება და იმედი, რომ საზოგადოებასთან გაწყვეტილი მაკავშირებელი რგოლის აღდგენით, იგი გამოასწორებს წარსულის შეცდომებს და ახალ, უკეთეს ცხოვრებას დაიწყებს. შესაბამისად, დამნაშავეს რესოციალიზაციას სახელმწიფო კომპლექსური ღონისძიებებით უნდა ცდილობდეს.⁴⁶

თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, ისეთი კომპლექსური ღონისძიება, რომლის წყალობითაც შეიძლება პროვოკაციის შედეგად დასჯილი ადამიანის დარწმუნება რესოციალიზაციის აუცილებლობაში. ძნელია ადამიანთან საუბარი რესოციალიზაციაზე მაშინ, როცა ადამიანი იყო ჩაბმული სამართლებრივად მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, იყო პატიოსანი მოქალაქე, ხელისუფლების მიერ მიგზავნილმა აგენტ-პროვოკატორმა კი მას დანაშაულის პროვოკაცია მოუწყო და მისი პიროვნული და სოციალური დეზინტეგრაცია განახორციელა. ანუ, სახელმწიფომ უნდა დაარწმუნოს ადამიანი იმის გამოსწორების აუცილებლობაში, რაც თვითონ სახელმწიფომვე დააშავა. ერთია, როცა ადამიანი თავისი ინიციატივით ჩადის დანაშაულს, ანუ თვითონ იხსნის პასუხისმგებლობას საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. ამ შემთხვევაში, შეიძლება და საჭიროა მისი დარწმუნება, რომ პასუხისმგებლობა კვლავ უნდა აიღოს. მაგრამ როდესაც სახელმწიფომ თვითონ უბიძგა დანაშაულზე, ადამიანის მხრიდან ასეთი მზაობის იმედად ყოფნა, სულ მცირე, გულუბრყვილობა იქნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა, მაღალი ალბათობით, ვერ შეუწყობს ხელს ახალი დანაშაულის სპეციალურ პრევენციას.

ბენერალური პრევენცია

ახალი დანაშაულის გენერალური პრევენციის კუთხით საქმე უფრო რთულადაა. სასჯელის მუქარის თვალსაზრისით, პროვოცირებულის პასუხისმგებლობას მართლაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული ეფექტი. კერძოდ, თუკი სახელმწიფო დანაშაულს ისე დაუნდობლად ებრძვის, რომ დანაშაულის პროვოკაციასაც კი მიმართავს, ამან პოტენციურ დამნაშავეებში შეიძლება სასჯელის შიში გააძლიეროს.

თუმცა, სრულიად საპირისპირო ეფექტია მოსალოდნელი აღმზრდელობითი თვალსაზრისით. როგორც აღინიშნა, დანაშაულის ჩადენის შედეგად ადამიანი ეთიშება სამართლებრივად მოწესრიგებულ საზოგადოებას და უპირისპირდება მას. თუმცა, ერთია, როდესაც დეზინტეგრაციას ცალმხრივი ხასიათი აქვს, ხოლო მეორე, როდესაც დეზინტეგრაცია ორმხრივად ხდება. ანუ, როდესაც თავად სახელმწიფო ჩადის არამართლზომიერ ქმედებას (იგულისხმება არა ფორმალური, არამედ – მატერიალური მართლზომიერება) და, შესაბამისად, აღარ კისრულობს პასუხისმგებლობას, მოაწესრიგოს საზოგადოებრივი ურთიერთობა სამართლებრივ ჩარჩოში. ადამიანიც და სახელმწიფოც თანაბრად უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. როდესაც სახელმწიფო თავად არღვევს სამართალს, ადამიანებში აზიანებს სამართლიანობის შეგრძნებასა და პატივისცემას. იკარგება ნდობის ფაქტორი სახელმწიფოსა და ადამიანს შორის. ამის შედეგად, ადამიანი სახელმწიფოს აღიქვამს არა როგორც დამცველ, არამედ როგორც დამსჯელ, და თანაც უსამართლოდ დამსჯელ, მექანიზმს. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს სამართლებრივი წყობილებისთვის ფუნდამენტის მორყევას.⁴⁷

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა, მაღალი ალბათობით, ნაწილობრივ შეუწყობს, ნაწი-

45 გურული, პ., 2015. ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა, როგორც სისხლისსამართლებრივი ხელყოფის ობიექტი. ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტომი II, გვ. 296.
46 დვალიძე, ი. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ... გვ. 30.

47 გურული, პ., 2015. ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა... გვ. 295-296.

ლობრივ კი – შეუშლის ხელს ახალი დანაშაულის გენერალურ პრევენციას.

ისმის ლოგიკური კითხვა – თუ სასჯელის მიზნები თავიდანვე, უმეტესწილად, მიუღწევადია, მაშინ რატომ ვიყენებთ სასჯელს? ხოლო სასჯელის გამოყენების გარეშე რა აზრი აქვს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას? ეს არის წინააღმდეგობა, რომლის დაძლევა ნაკლებად სავარაუდოა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა პრობლემა, რომელიც თან ახლავს პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებას. ლეგიმეტრიულად სურათი არის შემდეგი: მორალური თვალსაზრისით, პროვოცირებულის დასჯა არის უსამართლო, მაშასადამე, ხელს ვერ შეუწყობს სასჯელის მიზანის მიღწევას – სამართლიანობის აღდგენას. პოლიტიკური თვალსაზრისით პროვოცირებულის დასჯა არ არის სარგებლის მომტანი ახალი დანაშაულის სპეციალური პრევენციის ნაწილში; ნაწილობრივ სარგებლის და ნაწილობრივ კი – ზიანის მომტანია ახალი დანაშაულის გენერალური პრევენციის ნაწილში.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სახელმწიფო ორგანოს დავალებით მოქმედი აგენტ-პროვოკატორის მიერ პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაში მიცემა:

1. ვერ შეუწყობს ხელს სამართლიანობის აღდგენას.
2. ვერ შეუწყობს ხელს ახალი დანაშაულის სპეციალურ პრევენციას.
3. ნაწილობრივ შეუწყობს, ნაწილობრივ კი – შეუშლის ხელს ახალი დანაშაულის გენერალურ პრევენციას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის მნიშვნელოვან არგუმენტს პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მხარდასაჭერად.

ბიბლიოგრაფია:

საქართველო:

1. ავტორთა კოლექტივი (რედ.: ნაჭყებია გ., თოდუა ნ.) (2018). სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო). ზოგადი ნაწილი. მესამე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი
2. გურული, პ., 2015. ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა, როგორც სისხლისსამართლებრივი ხელყოფის ობიექტი. ქართული უნივერსიტეტის შრომები, ტომი II
3. გურული, პ., 2017. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება – ლეგიმეტრიული გააზრება. სამართალი და მსოფლიო, №6
4. დვალიძე, ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები. თბილისი: მერიდიანი
5. ებრალიძე, თ., 2016. დანაშაულის პროვოკაცია. ოთარ გამყრელიძე 80. საიუბილეო სამეცნიერო კრებული. თბილისი: მერიდიანი
6. ვაჩიშვილი, ა., 1960. სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
7. მეურმიშვილი, ბ., გურული, პ., 2019. დანაშაულის შეწყობა ქართულ სისხლის სამართალში – გადასინჯვის მცდელობა. სამართალი და მსოფლიო, №11

8. ტურავა, მ., 2011. სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი. დანაშაულის მოძღვრება. თბილისი: მერიდიანი
9. უგრეხელიძე, მ., 1978. ბრალის ხარისხის მნიშვნელობა სასჯელის ინდივიდუალიზაციისათვის. საბჭოთა სამართალი, №6
10. უგრეხელიძე, მ., 2020. ვიქტიმოგენები. კრიმინოლოგი, №1 15
11. ლლონტი, გ., 2016. ქრთამის პროვოკაცია კანონმდებლობის სრულყოფისათვის. ოთარ გამყრელიძე 80. საიუბილეო სამეცნიერო კრებული. თბილისი: მერიდიანი
12. ცქიტიშვილი, თ., 2019. სასჯელი და მისი შეფარდება. თბილისი: მერიდიანი
13. წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. I ტომი. თბილისი: მერიდიანი
14. წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. II ტომი. თბილისი: მერიდიანი
15. ცხვედიანი, თ., 2017. დანაშაულის პროვოცირების საკითხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, საქართველოს იურიდიული ფორმების ასოციაცია, თბილისი
16. ჭიშკარიანი, ბ., 2016. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბილისი, იურისტების სამყარო

გერმანია:

17. Abegg, J. F., 1969. Die verschiedenen Strafrechtstheorien in ihrem Verhältnisse zu einander und zu dem positiven Rechte und dessen Geschichte. Erster Theil. Philosophisch-historische Entwicklung des Begriffs von Verbrechen und Strafen. Frankfurt/Main: Verlag Sauer & Auvermann KG
18. Beccaria, C., 1764. Von Verbrechen und Strafen. Auf das neue selbst aus dem Italienischen übersetzt mit durchgängigen Anmerkungen des Ordinarius zu Leipzig. Breslau
19. Ellbogen, K., 2016. das ende des Polizeichen Lockspitzeinsatzes? Studere, Rechtszeitschrift der Universität Potsdam, Ausgabe 16, Frühling/Sommer
20. El-Ghazi, M., Zerbes, I., 2014. Geschichten von staatlicher Komplizenschaft und evidenten Rechtsbrüchen. Zugleich Anmerkung zu BGH. HRRS, 15 Jahrgang, Ausgabe 6/2014, Nr. 163
21. Esser, R., 2011. Lockspitzel und V-Leute in der Rechtsprechung des EGMR: Strafrechtliche Ermittlungen jenseits der StPO – außerhalb des Gesetzes? Beitrag zum 35. Strafverteidigertag, Berlin
22. Gottschalk, F., 2013. Verfahrenshindernis bei Tatprovokation durch Lockspitzel? Staatliche Tatprovokationen im Lichte der Rechtsprechung des EGMR. StudZR
23. Grolman, K., 1968. Über die Begründung des Strafrechts und der Strafgesetzgebung. Frankfurt am Main: Verlag Sauer & Auvermann KG
24. Görlitz, F., Hubert J., Kucher J, Scheffer M., Wieser P. 2019. "Tatprovokation" – The Legal Issue of Entrapment in Germany and Possible Solutions. German Law Journal, 2004
25. Heinrich, B. Staatliche Tatprovokation. 2016. Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift. 1/2016
26. Hälschner, H., 1858. Das preußische Strafrechtssystem des preußischen Strafrechts Zweiter Theil oder allgemeiner Theil des Systems. bei Adolph Marcus. Bonn
27. Hübner, Y., 2020. Rechtsstaatswidrig, aber Straflos? Der agent provocateur-Einsatz und seine Strafrechtlichen Konsequenzen.

- Frankfurt am Mein: Nomos
28. Hübner, Y., 2020. Schluss mit der Strafzumessungslösung! Zugl. Bespr. zu EGMR (Akbay u.a. gegen Deutschland). HRRS, 21. Jahrgang, №1163
 29. Jahn, M., (März, 2021). Schriftliche Stellungnahme für die öffentliche Anhörung im Rechtsausschuss des Deutschen Bundestages. Goethe Universität, Frankfurt am Main
 30. Klaus, J., 2021. Das Ende der Strafzumessungslösung nach einer menschenrechtswidrigen Tatprovokation. Zugleich Besprechung von EGMR, Urte. v. 15.10.2020 – 40495/15, 37273/15, 40913/15 (Akbay u.a. v. Deutschland). 16. Volume, Issue 6/2021
 31. Köstlin, C.R., 1978. System des deutschen Strafrechts. Allgemeiner Teil. Erste Abteilung. Neudruck der Ausgabe. Tübingen: Scientia Verlag Aalen
 32. Roxin, Arzt, Tiedemann. 2013. Einführung in das Strafrecht und Strafprozessrecht. 6 Auflage. C. F. Müller
 33. Ugrekheilidze M. 1984. Die Bedeutung des Schuldgehalts der Tat im Strafrecht. Zweites Deutsch-Sowjetisches Kolloquium über Strafrecht und Kriminologie. Baden-Baden: Nomos Verlags-Gesellschaft
 34. Von Bar, C.L., 1882. Handbuch des Deutschen Strafrechts. Erster Band. Geschichte des Deutschen Strafrechts und der Strafrechtstheorien. Berlin: Weidmannsche Buchhandlung, §. 95
 35. Von Liszt, F., 1905. Strafrechtliche Aufsätze und Vorträge. Der Zweckgedanke im Strafrecht. Erster Band. Berlin: J.Guttentag Verlagsbuchhandlung G.m.b.H
 36. Von Feuerbach, P.J.A.R., 1798. Ist Sicherung vor dem Verbrechen Zweck der Strafe und ist Strafrecht Präventionsrecht. Bibliothek für die peinliche Rechtswissenschaft und Gesetzkunde
 37. Wessels, Beulke, Satzger. 2020. Strafrecht Allgemeiner Teil. Die Straftat und ihr Aufbau. 50, neu bearbeitete Auflage, C.F. Müller

ავსტრია:

38. Liewald, K., 2015. Rechtsfolgen unzulässiger Tatprovokation im Hinblick auf die aktuelle Rechtsprechung des EGMR. Dissertation. Universität Wien, Wien
39. Swoboda, L-S., July 2016. Der „agent provocateur“ aus verwaltungsstrafrechtlicher Sicht. Zeitschrift der Verwaltungsgerichtsbarkeit. Ausgabe 4

ნიდერლანდები:

40. Katz, L., 2013. Entrapment Through the Lens of the Actio Libera in Causa. Criminal Law and Philosophy, Volume 7, issue 3, October

უკრაინა:

41. Шульгін, С., 2017. Провокація підбурювання особи на вчинення злочину працівниками правоохоронного органу як підстава для закриття кримінального провадження або постановлення виправдувального вироку. Вісник кримінального судочинства, №1/2017

რუსეთი:

42. Дударенко, В., 2017. Юридическая природа провокации преступления в уголовном праве. Диссертация, Екатеринбург
43. Хейфецъ, И., 1914. Подстрекательство къ преступлению. Москва: изданіЕ юридическаго книжнаго магазина «ПравовѣдѣніЕ» И. К. Голубева

CRIMINAL LIABILITY OF AN ENTRAPPED PERSON THROUGH THE PRISM OF GOALS OF PUNISHMENT

Papuna Guruli

*PHD candidate in Caucasus international University
Attorney-at-Law (General specialisation)*

KEYWORDS: Provocation of crime, The purpose of punishment,
Exemption from liability

ABSTRACT

Present work was written as a part of doctoral research. It aims to generate reasonable arguments on whether it is just to prosecute and punish a person that was entrapped by an agent-provocateur. In other words – does criminal entrapment constitute a substantive defence for an entrapped person or not? In scientific literature the matter is traditionally discussed within the scope of criminal procedure (admissibility of evidence, fair trial etc.) while arguments from substantive criminal law are rarely addressed. Thus, it remains unclear whether the goals of punishment are achievable at all if an entrapped person gets sentenced. Thus, it is necessary to comprehend the subject through the prism of goals of punishment namely: restoration of justice, special prevention of crime and general prevention of crime especially since all three are well-recognised by science of criminal law and current legislation. After detailed and consistent analysis done within research, there are good reasons to conclude that prosecution and following sentencing of an entrapped person:

- Hinders restoration of justice
- Hinders special prevention of crime
- Partially hinders general prevention
- Eventually, all that constitutes an important argument to consider entrapment as a substantive defence for the entrapped person.

NOTES:

1. Shulhin S. (2017). Provocation (Incitement) of a Person to Commit a Crime by Law Enforcement Officers as a Basis For Closing the Criminal Proceedings or Acquittal. *Bulletin of Criminal Proceedings*. №1/2017, pp. 96-102
2. Tskhvediani T (2017). The Issue of Entrapment According to the Practice of European Court of Human Rights. Open Society Georgia Foundation. Association Law Firms of Georgia, Tbilisi
3. Gottschalk F. (2013). Procedural Obstacle in the Event of a Crime Being Provoked by a Agent Provocateur? State Provocations of Offenses in the Light of the Case Law of the ECHR. *StudZR*
4. Görlitz F., Hubert J., Kucher J, Scheffer M., Wieser P. (2019). "Tatprovokation" – The Legal Issue of Entrapment in Germany and Possible Solutions. *German Law Journal*, 20(04)
5. Liewald K. (2015). Legal Consequences of Inadmissible Offense Provocation with Regard to the Current Case Law of the ECHR. Dissertation. University of Vienna, Vienna
6. Esser R. (2011). Agent Provocateurs and V-people in the Case Law of the ECHR: Criminal Investigations Beyond the GCoCP – Outside the Law? Contribution to the 35th Defense lawyer day, Berlin
7. Heinrich B. (2016). State Entrapment. *German-Georgian Criminal Law Journal*. 1/2016, pp. 27-28
8. Ellbogen K. (2016). The End of Use of Police Agent Provocateurs? Study, *Legal Journal of the University of Potsdam*, Issue 16, Spring / Summer
9. Wessels, Beulke, Satzger. (2020). *Criminal Law General Part. The Crime and Its Structure*. 50th Revised Edition, C.F. Müller, pp. 4602-4624
10. El-Ghazi M., Zerbis I. (2014). Stories of State Complicity and Obvious Breaches of Law. At the same time, a comment on the FCoJ. *HRRS*, 15 Volume, Edition 6/2014, Nr. 163, pp. 209-219
11. Hübner Y. (2020) No More Sentencing Solution! Zugl. Discussion on ECHR (Akabay and Others v. Germany). *HRRS*, 21. Jahrgang, 2020, №1163, pp. 441-445
12. Dudarenko V. (2017). Legal Nature of Entrapment in Criminal Law. Dissertation, Yekaterinburg, p. 165
13. Swoboda L-S. (July, 2016) The "Agent Provocateur" From the Point of View of Administrative Criminal Law. *Zeitschrift der Verwaltungsgerichtsbarkeit*. Edition 4, pp. 304-310
14. Klaus J. (2021). The End of the Sentencing Solution After a Human Rights Violation Provocation. At the Same Time Discussion of the ECHR, Ruling. v. 15.10.2020 – 40495/15, 37273/15, 40913/15 (Akabay u.a. v. Germany). 16. Volume, Issue 6/2021, pp. 388-398
15. Jahn M. (March, 2021). Written Statement for the Public Hearing in the Legal Committee of the German Bundestag. Goethe University, Frankfurt am Main, pp. 2-29
16. Tsereteli T. (2007). *Problems of Criminal Law*. II Volume. Tbilisi, Meridiani, p. 157
17. Ebralidze T. (2016). Entrapment. *Otar Gamkrelidze 80. Anniversary Scientific Collection*. Tbilisi: Meridiani, pp. 132-133
18. Hübner Y. (2020). Contrary to the Rule of Law, But Unpunishable? The Agent Provocateur and its Consequences Under Criminal Law. Frankfurt am Mein: Nomos, p. 152
19. Jishkariani B. (2016). *Special Part of Criminal Law*. Crimes against

- Human Beings. Tbilisi: World of Lawyers, p. 225
20. Dudarenko V. The work cited, p. 165
 21. Ghlonti G. (2016). Provocation of Bribery (for Enhancement of Legislation) Otar Gamkrelidze 80. Anniversary Scientific Collection. Tbilisi: Meridiani, p. 261
 22. Hübner Y. Contrary to the Rule of Law... pp. 173-173
 23. Hübner Y. Contrary to the Rule of Law... p. 101.
 24. Heinrich partially touches this subject. Heinrich B. State Entrapment... p. 25
 25. Ellbogen K. The work cited, p. 65
 26. ECtHR. CASE OF GRBA v. CROATIA (Application no. 47074/12) 23 November 2017. § 103
 27. Katz L. (2013). Entrapment Through the Lens of the Actio Libera in Causa. Criminal Law and Philosophy, Volume 7, issue 3, October, pp. 592-595
 28. Ugrekhelidze M. (2020). Victimogenesis. Criminologist, №1 (15), pp. 24-26
 29. Ugrekhelidze M. (2020). Victimogenesis... p. 24-26
 30. Ugrekhelidze M. (1984). The Meaning of the Degree of Guilt of the Crime in Criminal Law. Second German-Soviet Colloquium on Criminal Law and Criminology. Baden-Baden: Nomos Verlags-Gesellschaft, pp. 113-122
 31. see in detail: Various Theories of Criminal Law in Their Relationship to One Another and to the Positive Law and Its History. First Part. Philosophical-Historical Development of the Concept of Crime and Punishment. Frankfurt/Main: Verlag Sauer & Auvermann KG, pp. 8-73
 32. Roxin, Arzt, Tiedemann. (2013). Introduction to criminal law and criminal procedural law. 6th edition. C. F. Müller. pp. 4-5
 33. Vacheishvili A. (1960). Punishment and Measures of Social Protection. Tbilisi: Stalin Tbilisi State University Publishing House, pp. 28-31
 34. Dvalidze I. (2013). General Part of Criminal Law. Punishment and Other Legal Consequences of Crime. Tbilisi: Meridiani, p. 18
 35. Turava M. (2011). Criminal Law. General Part. Concept of Crime. Tbilisi: Meridiani, pp. 42-43
 36. Beccaria C. (1764). On Crimes and Punishments. Breslau, p. 67
 37. Vacheishvili A. The work cited, p. 31
 38. Grolman K. (1968). About the Establishment of Criminal Law and Criminal Legislation. Frankfurt am Main: Verlag Sauer & Auvermann KG, p. 56
 39. Turava M. The work cited, p. 44.
 40. Von Liszt F. (1905). Articles and Lectures on Criminal Law. Purpose in Criminal Law. First volume. Berlin: J.Guttentag Verlagsbuchhandlung G.m.b.H., pp. 163-179
 41. Turava M. The work cited, p. 44
 42. Von Feuerbach P.J.A.R. (1798). Is the Purpose of the Punishment to Protect Against Crime and is Criminal Law Law of Prevention. Library for Criminal Jurisprudence and Legal Studies
 43. Tskitishvili T. (2019). Punishment and Sentencing. "Meridiani" Publishing house, Tbilisi (In Georgian), pp. 31-32
 44. for example, Köstlin C. R. (1978) System of German criminal law. General part. First department. Reprint of the edition. Tübingen: Scientia Verlag Aalen, pp. 395-413
 45. Team of Authors (editors: Nachkebia G., Todua N.,) (2018). Criminal Law. General Part. Textbook (Third Edition). Tbilisi: Meridiani, p. 477

46. იხ.: Roxin, Arzt, Tiedemann. The work cited, pp. 6-7
47. Von Bar C. L. (1882). Handbook of German Criminal Law. First Volume. History of German Criminal Law and Theories of Criminal Law. Berlin: Weidmannsche Buchhandlung, §. 95, pp. 270-273
48. Turava M. The work cited, p. 46
49. Hälschner H. (1858). The Prussian Criminal Law System of the Prussian Criminal Law Second Part or General Part of the System. By Adolph Marcus. Bonn, p. 440
50. Meurmishvili B., Guruli P. (2019). Retroactive Force of Penal Legislation and Attempt to Measure the Law. Law and the World, №1, p. 22
51. Guruli P. (2017). Parole – Legimertical Comprehension. Law and the World, №6, pp. 48-49
52. Kheifets I. (1914). Incitement to a Crime. Moscow: Publishing House of Legal Bookstore "Jurisprudence" of I.K. Golubev, p. 127
53. Tsereteli T. (2007). Problems of Criminal Law. I Volume. Tbilisi, Meridiani, p. 20
54. Ugrekhelidze M. (1978). Significance of Degree of Culpability in Terms of Individualisation of Sentence. Soviet Law, №6, p. 47
55. Guruli P. (2015). Personal and Social Integrity as an Object of Infringement in Criminal Law. Proceedings of the Georgian University, Volume II, p. 296
56. Dvalidze I. (2013). General Part of Criminal Law... p. 30
57. Guruli P. (2015). Personal and Social Integrity ... pp. 295-296

BIBLIOGRAPHY:

Georgia

1. Team of Authors (editors: Nachkebia G., Todua N.,) (2018). Criminal Law. General Part. Textbook (Third Edition). Tbilisi: Meridiani (In Georgian)
2. Guruli P. (2015). Personal and Social Integrity as an Object of Infringement in Criminal Law. Proceedings of the Georgian University, Volume II (In Georgian)
3. Guruli P. (2017). Parole – Legimertical Comprehension. Law and the World, №6 (In Georgian)
4. Dvalidze I. (2013). General Part of Criminal Law. Punishment and Other Legal Consequences of Crime. Tbilisi: Meridiani (In Georgian)
5. Ebralidze T. (2016). Entrapment. Otari Gamkrelidze 80. Anniversary Scientific Collection. Tbilisi: Meridiani (In Georgian)
6. Vacheishvili A. (1960). Punishment and Measures of Social Protection. Tbilisi: Stalin Tbilisi State University Publishing House (In Georgian)
7. Meurmishvili B., Guruli P. (2019). Retroactive Force of Penal Legislation and Attempt to Measure the Law. Law and the World, №11 (In Georgian)
8. Turava M. (2011). Criminal Law. General Part. Concept of Crime. Tbilisi: Meridiani (In Georgian)
9. Ugrekhelidze M. (1978). Significance of Degree of Culpability in Terms of Individualisation of Sentence. Soviet Law, №6 (In Georgian)
10. Ugrekhelidze M. (2020). Victimogenesis. Criminologist, №1 (15) (In Georgian)
11. Ghlonti G. (2016). Provocation of Bribery (for Enhancement of Legislation) Otari Gamkrelidze 80. Anniversary Scientific Collection. Tbilisi: Meridiani (In Georgian)
12. Tskitishvili T. (2019). Punishment and Sentencing. "Meridiani"

- Publishing house, Tbilisi (In Georgian)
13. Tsereteli T. (2007). Problems of Criminal Law. I Volume. Tbilisi, Meridiani (In Georgian)
 14. Tsereteli T. (2007). Problems of Criminal Law. II Volume. Tbilisi, Meridiani (In Georgian)
 15. Tskhvediani T (2017). The Issue of Entrapment According to the Practice of European Court of Human Rights. Open Society Georgia Foundation. Association Law Firms of Georgia, Tbilisi (In Georgian)
 16. Jishkariani B. (2016). Special Part of Criminal Law. Crimes against Human Beings. Tbilisi: World of Lawyers (In Georgian)

Germany:

17. Abegg J. F. (1969). Various Theories of Criminal Law in Their Relationship to One Another and to the Positive Law and Its History. First Part. Philosophical-Historical Development of the Concept of Crime and Punishment. Frankfurt/Main: Verlag Sauer & Auvermann KG, (In German)
18. Beccaria C. (1764). On Crimes and Punishments. Breslau, (In German)
19. Ellbogen K. (2016). The End of Use of Police Agent Provocateurs? Study, Legal Journal of the University of Potsdam, Issue 16, Spring / Summer (In German)
20. El-Ghazi M., Zerbes I. (2014). Stories of State Complicity and Obvious Breaches of Law. At the same time, a comment on the FCoJ. HRRS, 15 Volume, Edition 6/2014, Nr. 163 (In German)
21. Esser R. (2011). Agent Provocateurs and V-people in the Case Law of the ECHR: Criminal Investigations Beyond the GCoCP – Outside the Law? Contribution to the 35th Defense lawyer day, Berlin (In German)
22. Gottschalk F. (2013). Procedural Obstacle in the Event of a Crime Being Provoked by a Agent Provocateur? State Provocations of Offenses in the Light of the Case Law of the ECHR. StudZR (In German)
23. Grolman K. (1968). About the Establishment of Criminal Law and Criminal Legislation. Frankfurt am Main: Verlag Sauer & Auvermann KG, (In German)
24. Görlitz F., Hubert J., Kucher J, Scheffer M., Wieser P. (2019). "Tatprovokation" – The Legal Issue of Entrapment in Germany and Possible Solutions. German Law Journal, 20(04) (In German)
25. Heinrich B. (2016). State Entrapment. German-Georgian Criminal Law Journal. 1/2016 (In German)
26. Hälschner H. (1858). The Prussian Criminal Law System of the Prussian Criminal Law Second Part or General Part of the System. By Adolph Marcus. Bonn (In German)
27. Hübner Y. (2020). Contrary to the Rule of Law, But Unpunishable? The Agent Provocateur and its Consequences Under Criminal Law. Frankfurt am Mein: Nomos (In German)
28. Hübner Y. (2020) No More Sentencing Solution! Zugl. Discussion on ECHR (Akabay and Others v. Germany). HRRS, 21. Jahrgang, 2020, №1163 (In German)
29. Jahn M. (March, 2021). Written Statement for the Public Hearing in the Legal Committee of the German Bundestag. Goethe University, Frankfurt am Main (In German)
30. Klaus J. (2021). The End of the Sentencing Solution After a Human Rights Violation Provocation. At the Same Time Discussion of the ECHR, Ruling. v. 15.10.2020 – 40495/15, 37273/15, 40913/15 (Akabay

- u.a. v. Germany). 16. Volume, Issue 6/2021 (In German)
31. Köstlin C. R. (1978) System of German criminal law. General part. First department. Reprint of the edition. Tübingen: Scientia Verlag Aalen (In German)
 32. Roxin, Arzt, Tiedemann. (2013). Introduction to criminal law and criminal procedural law. 6th edition. C. F. Müller (In German)
 33. Ugrekhelidze M. (1984). The Meaning of the Degree of Guilt of the Crime in Criminal Law. Second German-Soviet Colloquium on Criminal Law and Criminology. Baden-Baden: Nomos Verlags-Gesellschaft, (In German)
 34. Von Bar C. L. (1882). Handbook of German Criminal Law. First Volume. History of German Criminal Law and Theories of Criminal Law. Berlin: Weidmannsche Buchhandlung, §. 95 (In German)
 35. Von Liszt F. (1905). Articles and Lectures on Criminal Law. Purpose in Criminal Law. First volume. Berlin: J.Guttentag Verlagsbuchhandlung G.m.b.H. (In German)
 36. Von Feuerbach P.J.A.R. (1798). Is the Purpose of the Punishment to Protect Against Crime and is Criminal Law Law of Prevention. Library for Criminal Jurisprudence and Legal Studies (In German)
 37. Wessels, Beulke, Satzger. (2020). Criminal Law General Part. The Crime and Its Structure. 50th Revised Edition, C.F. Müller (In German)

Austria:

38. Liewald K. (2015). Legal Consequences of Inadmissible Offense Provocation with Regard to the Current Case Law of the ECHR. Dissertation. University of Vienna, Vienna (In German)
39. Swoboda L-S. (July, 2016) The "Agent Provocateur" From the Point of View of Administrative Criminal Law. Zeitschrift der Verwaltungsgerichtsbarkeit. Edition 4 (In German)

Netherlands:

40. Katz L. (2013). Entrapment Through the Lens of the Actio Libera in Causa. Criminal Law and Philosophy, 2013, Volume 7, issue 3, October (In English)

Ukraine:

41. Shulhin S. (2017). Provocation (Incitement) of a Person to Commit a Crime by Law Enforcement Officers as a Basis For Closing the Criminal Proceedings or Acquittal. Bulletin of Criminal Proceedings. №1/2017 (In Ukrainian)

Russia:

42. Dudarenko V. (2017). Legal Nature of Entrapment in Criminal Law. Dissertation, Yekaterinburg (In Russian)
43. Kheifets I. (1914). Incitement to a Crime. Moscow: Publishing House of Legal Bookstore "Jurisprudence" of I.K. Golubev (In Russian)

შინაური ბინადარი (კომპანიონი) ცხოველების სამართლებრივი სტატუსი, მათი უფლებები დამოქალაქებთან თანაარსებობის ჰარმონიული გარემოს უზრუნველყოფა ქართული კანონმდებლობის მიხედვით

კახაბერ იოსელიანი

ივ. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, სამართლის მაგისტრი, გერმანიის
საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ),
ადვოკატი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი

საკვანძო სიტყვები: შინაური ბინადარი ცხოველი, უფლება, ჰუმანური

შესავალი

თანამედროვე ევროპის ქვეყნებში მნიშვნელოვანი ყუ-
რადღება ეთმობა ცხოველთა უფლებების დაცვას, მათთვის
უსაფრთხო გარემოს შექმნასა და მიუსაფარ შინაურ ბინა-
დარ (კომპანიონ) ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებს.
აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობა, რომელიც ადგენს
სხვადასხვა ტიპის სასჯელს, თუ იძულების სხვა ღონისძიე-
ბებს, მმართველობითი საქმიანობის მეთოდებს, მიდგომებს,
სტანდარტებს, უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე პერი-

ოდულად იხვეწებოდა; საკანონმდებლო რეგულაციებით მყარდებოდა შინაური ბინადარი ცხოველების უფლებები და გარანტიები, რაც განპირობებული იყო ცხოველის, როგორც ბუნების უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობის ობიექტად აღიარებით და მისი, როგორც ცოცხალი არსებისადმი ჰუმანური დამოკიდებულების ჩამოყალიბებით. თანამედროვე კანონმდებელმა ცხოველი ჩათვალა არა მხოლოდ საკუთრების ობიექტად, რომელზეც ადამიანი ბატონობს, არამედ არსებად, რომელსაც აქვს უფლება სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხო გარემოში ყოფნაზე.

დღეის მდგომარეობით, მსოფლიო და რეგიონალური (ევროპა) მასშტაბით, შინაურ ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებს (უფლებები, გარანტიები, უსაფრთხოება), გარდა ეროვნული კანონმდებლობებისა, არეგულირებს შინაური ცხოველების დაცვის ევროპული კონვენცია (სტრასბურგი, 13.XI.1987), ხოლო მსოფლიო მასშტაბით მოქმედებს ცხოველთა უფლებების საერთაშორისო ლიგის მიერ შემუშავებული ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველო არ წარმოადგენს შინაური ცხოველების დაცვის ევროპული კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოს, თუმცა, საქართველო განეწინააღმდეგება ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელიც შეიმუშავებს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის ნორმატივებს და სტანდარტებს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების, მათ შორის, ზემოაღნიშნული ევროკონვენციის ხელმომწერი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობები, ცხოველთა უფლებების დაცვის ნაწილში, მთლიანად ეფუძნება რეგიონში აღიარებულ სტანდარტებს. ცხოველთა უფლებების მყარი სამართლებრივი საფუძვლების არსებობიდან და მკაფიო რეგულირებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფილია შინაურ ცხოველებთან დაკავშირებული სხვა საკითხების, მათ შორის, უსაფრთხოების საკითხების რეგულირება.

მაგალითად, ნორვეგიასა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალულია მებრძოლი ჯიშის ძაღლების გასხვისება, გამრავლება, ქვეყნის ტერიტორიაზე შეყვანა და ა.შ. ამავე ქვეყნის კანონმდებლობებით დადგენილია მკაცრი სანქციები, როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კუთხით.¹ ამით დაცულია ე.წ. თანაზომიერების პრინციპი, რაც გულისმობს სახელმწიფოს იძულების ღონისძიებების (სახელმწიფოს ჩარევა უფლებებში) და ცხოველთა, ასევე, მათზე მზრუნველ პირთა, უფლებების და გარანტიების პროპორციულობას.

შინაური ბინადარი ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოში

საქართველო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ არის შინაური ცხოველების დაცვის ევროპული კონვენციის ხელმომწერი სახელმწიფო, თუმცა, საქართველომ, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერისა და ამ შეთანხმების ფარგლებში ე.წ. „კარგი მმართველობის“ შესახებ ვალდებულების აღების შემდგომ, დაიწყო ეროვნული კანონმდებლობის ევროპული კანონმდებლობასთან მისადაგების, ევროპის ქვეყნების მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის და დადგენილი სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესი. 2018 წლის 23 მარტს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა თანახმად, ზემოაღნიშნული ე.წ. „კარგი მართველობის“ მიზნის მისაღწევად, კონსტიტუციაში ცალკე მუხლებად აისახა „სამართლებრივი სახელმწიფოს“, „სოციალური სახელმწიფოს“, „სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების“ პრინციპები². საქართველოს ევროპულ და ევრო-

1 Regulations on dogs. <https://lovdata.no/dokument/SF/forskrift/2004-08-20-1204>

2 საქართველოს კონსტიტუციის მე-4, მე-5 და მე-18 მუხლები.

ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფოებრივი ნება და მიზანი აისახა კონსტიტუციის 78-ე მუხლში, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს ნება, პოლიტიკური მიმართულება და საჭარო მმართველობის მაღალი კულტურისკენ მისწრაფება განისაზღვრა შემდეგნაირად:

„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“.

აღნიშნული ვალდებულება – ევროკავშირში სრული ინტეგრაცია, თავის თავში მოიცავდა, ასევე, შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკის და მმართველობის სტანდარტების ევროპის ქვეყნების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას, მათ შორის, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას. სწორედ, სამართლებრივი, სოციალური სახელმწიფოს და „კარგი მმართველობის“ პრინციპების განხორციელების მიზნით, საქართველომ, ერთგვარად, დაიწყო შინაურ ბინადარ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების და შემუშავებული რეგულაციების ევროპის ქვეყნების კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან მისადაგების პროცესი. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, დღეის მდგომარეობით, საკანონმდებლო ბაზა არ არის სრულყოფილი. შესაბამისად, აღნიშნული სფეროს სამართლებრივი რეგულირება არ არის სისტემატიზებული და სათანადოდ მონესრიგებული.

საქართველოში მიმდინარე ეტაპზე, შინაურ ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „რ“ ქვეპუნქტი
2. საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი
3. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის #345 დადგენილებით

ბით დამტკიცებული „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები“

4. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის #348 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესები“
5. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის #551 დადგენილებით დამტკიცებული „შინაური ბინადარი ცხოველების საქართველოს საბაჟო საზღვარზე არაკომერციული გადაადგილების წესი“
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლი
7. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე, 104-ე, 172-ე მუხლები.

აღნიშნული აქტების მოქმედების სფეროები და რეგულირების საგანი შეიძლება დაიყოს შემდეგ სეგმენტებად, რომელიც თავისი სპეციფიკურობით ხასიათდება:

- ცხოველთა უფლებები, სამოქალაქო წესრიგი და უსაფრთხოება
- სამოქალაქო წესრიგი და უსაფრთხოება;
- დაავადებების გავრცელების კონტროლი.

ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან გამომდინარე, შინაურ ბინადარ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება და კონტროლი – საჭარო მართლწესრიგის დაცვა ხორციელდება, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ბერკეტებით, ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობის მეშვეობით, როგორც მუნიციპალურ, ასევე, სახელმწიფოს ცენტრალურ მმართველობით დონეზე.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კონტროლის უფლებამოსილება სახელმწიფოს მიერ გადანაწილებულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებზე. ადგილობრივი თვითმმ-

რთველობის ორგანოების კომპეტენციაში შედის შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის და პოპულაციების მართვის წესების შემუშავება, აღნიშნული წესების დაცვის კონტროლი და აღსრულება³. ცენტრალური ხელისუფლება, უფლებამოსილი უწყებების მეშვეობით, უზრუნველყოფს ცხოველთა მიმართ კრიმინოგენული მდგომარეობის და დაავადებების გავრცელების კონტროლს. თუმცა, აღსანიშნავია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციათა კვება ზემოაღნიშნულ სფეროებში. ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეული ღონისძიებები ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების გზით და კოორდინირებულად ხორციელდება. მაგალითად, ადმინისტრაციული გადაცდომების კონტროლის მიმართულებით იკვეთება შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი უწყებების და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციები – სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლის სფეროში (ცხოველის ფეკალიებით, ლეშთ საზოგადოებრივი სივრცის დაბინძურება)⁴.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოები და სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სურსათის ეროვნული სააგენტო დაავადებების გავრცელების პროფილაქტიკურ და საკარანტინე ღონისძიებებს სწორედ მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთთანამშრომლობის და ურთიერთდახმარების გზით ახორციელებს, მაგალითად, საკარანტინე ზონიდან ცხოველის გაყვანა-იზოლაციას და შემდგომ დაკვირვებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, ხოლო საკარანტინე ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას (ტერიტორიის შენამგლა, ცხოველების გადაცრა) უზრუნველ-

ჰყოფს ცენტრალური ხელისუფლების ორგანო – სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სურსათის ეროვნული სააგენტო⁵.

შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის დეტალური წესები, რომელიც მოიცავს ცხოველის პატრონის ვალდებულებებს (ცხოველის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ცხოველის ფლობისას სპეციფიკური სამოქალაქო მართლწესრიგის დაცვა – სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უსაფრთხოება, ვეტერინარული მკურნალობა და ვაქცინაცია) დადგენილია მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. მუნიციპალიტეტებს, ასევე, მინდობილი აქვთ უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება და გადაწყვეტა.

კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლით განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილებები. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ უფლებამოსილებად განსაზღვრულია: „შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა“.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მხოლოდ თერთმეტ მუნიციპალიტეტში (თბილისი, მცხეთა, ხაშური, გორი, რუსთავი, ახალქალაქი, დუშეთი, ვანი, ჩხოროწყუ, წყალტუბო, ჩოხატაური, ფოთი), მათ შორის, თბილისის მუნიციპალიტეტში, მიღებულ იქნა შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციების მართვის წესი.

მიუხედავად შინაურ ბინადარ ცხოველებთან დაკავშირებით არაერთი ნორმატიული

3 საქართველოს თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის, მეორე ნაწილი, „რ“ ქვეპუნქტი.

4 საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი, 33-ე და 47-ე მუხლები.

5 ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს შთავრების 2015 წლის 14 ივლისის N348 დადგენილება, დანართი N5, მე-3 და მე-4 მუხლები.

აქტის არსებობისა, სფეროს ეფექტური მართვა მაინც ვერ ხორციელდება, რაც უმეტესწილად განპირობებულია ზემდგომი, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებით სტრატეგიული, პოლიტიკის დოკუმენტის, ან ნორმატიული აქტის არარსებობით. კერძოდ, საქართველოში შინაურ ბინადარ ცხოველებთან დაკავშირებით არ არსებობს საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით დაადგენდა საერთო მიზნებს, სახელმძღვანელო სტანდარტებს, მეთოდებს, მიდგომებს; განსაზღვრავდა სფეროს სპეციფიკურ ცნებებს და აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობების ბრუნვის მონაწილეთა სტატუსს და უფლება-მოვალეობებს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სფეროს ეფექტური რეგულირებისა და მართვისთვის, მით უფრო იმ ფონზე, როდესაც საქართველოს მიერ საჯარო მმართველობის დეცენტრალიზაციის მიმართულების არჩევის გამო მთელი რიგი საკითხების რეგულირება და გადაწყვეტა, მათ შორის, შინაურ ბინადარ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხებისა, მინდობილი აქვთ მუნიციპალიტეტებს. ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ მიღებული ადგილობრივი მნიშვნელობის წესები ნაწილობრივ ეხება და არეგულირებს შინაურ ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიცავს უამრავ ხარვეზს და რიგი საკითხები რეგულირების მიღმა დარჩენილი ან არასათანადოდ, არარელევანტურად არის მოწესრიგებული.

საკანონმდებლო აქტის არარსებობა პრობლემურია იმ თვალსაზრისით, რომ შინაური ბინადარი ცხოველების საკითხი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, რა თქმა უნდა, აისახება მუნიციპალიტეტებზე, თუმცა ეს პრობლემები და თავად რეგულირების ობიექტი – შინაური ბინადარი ცხოველი, თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს არა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხს, არამედ, მისი მნიშვნელობა და გამომწვევი პრობლემები ცდება ერთი კონკრეტული მუნიციპალიტეტის საზღვრებს. შინაური ბინადარი ცხოველების საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების

ფონზე, დაუშვებელია სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განსხვავებული მიდგომები, პრაქტიკა და მართვის მეთოდოლოგია არსებობდეს.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ, მაგალითად, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები, კატები და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 30 მაისის N13/22 დადგენილებით დამტკიცებული მოვლა-პატრონობის წესი არ მოიცავს ევთანაზიის საფუძვლებს სრულად, მათ შორის, არ ითვალისწინებს ცხოველის ევთანაზიას ცხოველისა და ადამიანისათვის საშიში დაავადების არსებობის შემთხვევაში. მასში განსაზღვრულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებები შინაურ ბინადარ ცხოველებთან მიმართებაში, რომელიც ცდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული კონტროლის კომპეტენციის ფარგლებს და მისი ადმინისტრირებისთვის არ არის გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი ნორმები სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში. ამასთან, არსებითად მნიშვნელოვანი საკითხების კონტროლი მინდობილი აქვს არასამთავრობო ორგანიზაციას, თუმცა არ არის ნორმატიულ აქტში – ტერმინთა განმარტებაში მითითებული, თუ ვინ იგულისხმება ამ ორგანიზაციაში. ამავდროულად აქტში აღრეულია უფლებამოსილ სუბიექტთა კომპეტენციები და ა.შ. რაც მიზანშეუწონელია და არ ეხმიანება „კარგი მმართველობის“ პრინციპებს და სტანდარტებს.

ცალკეული მუნიციპალიტეტების მიერ დადგენილია ცხოველის ევთანაზიის სხვადასხვა საფუძვლები, მათ შორის, ზოგიერთი საფუძველი შესაძლოა იყოს სადავო, მაგალითად, ქმნის თუ არა აღნიშნული ევთანაზიის საფუძველი (დაავადება) მომეტებულ რისკს ადამიანებისათვის ან/და სხვა ცხოველებისათვის და არის, თუ არა ეს საფუძველი ევთანაზიისთვის ლეგიტიმური. ამ ნიშნით, აღსანიშნავია რუსთავის

მუნიციპალიტეტი. კერძოდ, „ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობისდა მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს N10 დადგენილებით დამტკიცებული მოვლა-პატრონობის წესში, ევთანაზიის საფუძვლად მითითებულია რამდენიმე იმგვარი ტიპის დაავადება, რომელიც მარტივად განკურნებადია ან/და ნაკლებად საშიშია და ექვემდებარება მკურნალობას.

ამასთან, შინაური ბინადარი ცხოველისათვის დადგენილი საერთაშორისო ჰუმანური პრინციპებიდან გამომდინარე⁶, დაუშვებელია ქვეყნის შიგნით შინაური ცხოველების ევთანაზიის განსხვავებული საფუძვლები არსებობდეს.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული მოვლა-პატრონობის წესები შეიცავს უამრავ ხარვეზს, ხარისხის, ასევე, მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის კუთხით.

რაც შეეხება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს, სადაც შინაური ბინადარი ცხოველების საკითხი მეტად პრობლემურია, რაც დედაქალაქის მასშტაბებითა და მოსახლეობის სიმჭიდროვით არის განპირობებული, შინაურ ცხოველებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის #7-28 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღვების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი“. აღნიშნული აქტი სხვა მუნიციპალიტეტების მიერ მიღებულ აქტებთან შედარებით სრულყოფილია, თუმცა საჭიროებს ცვლილებებს – რიგი საკითხების დაზუსტებას, ახალი საკითხების რეგულირების სფეროში მოქცევას და დამატებითი კონტროლის მექანიზმების განსაზღვრას.

შინაური ცხოველებისგან გამომდინარე დაავადებების გავრცელების რისკების მართვის საკითხებს არეგულირებს:

- ა) საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის #345 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები“
- ბ) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის #348 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველთა გადაამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესები“
- გ) საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი.

საქართველოს მთავრობის #345 დადგენილებით დამტკიცებული ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული წესებით დადგენილია ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების მიერ – ვეტერინარული პრეპარატების საწარმოს, ვეტერინარული აფთიაქის, ვეტერინარული პრეპარატების საბითუმო ვაჭრობის ობიექტის, ვეტერინარული სამკურნალოს (კლინიკის), ვეტერინარული კოსმეტიკური კაბინეტის, ზოომალაზიის მოწყობისა და ცხოველთა თავშესაფრის საქმიანობასთან დაკავშირებულ მოთხოვნები.

აღნიშნული მოთხოვნები ეხება დაავადებების გავრცელების პრევენციას, რისთვისაც ადგენს ტექნიკურ რეგლამენტს – ტექნიკური ხასიათის მოთხოვნებს და სტანდარტებს, თუ როგორ და რა მასალით უნდა მოეწყოს კონკრეტული ობიექტი, რაც შემდგომში უზრუნველყოფს პრევენციული, მათ შორის, დასუფთავების ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებას. აღნიშნული ნორმატიული აქტის თანახმად, უფლებამოსილ ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო.

უშუალოდ დაავადებების გავრცელების პრევენციის და კონტროლის საკითხე-

6 European Convention for the Protection of Pet Animals, Universal Declaration of Animal Rights.

ბს ეხება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის #348 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესები“, რომელიც განსაზღვრავს ცხოველებისგან მომდინარე დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებებს და მეთოდებს, განსაზღვრავს უფლებამოსილ სუბიექტებს და მათ როლსა და კომპეტენციებს აღნიშნული დაავადებებთან ბრძოლის პროცესში. ამავე წესებით განსაზღვრულია ზოონოზური დაავადებების, მათ შორის, ცოფის პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებები. აღნიშნული წესის მიზნებისთვის, დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელების პროცესში სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან“ ერთად მონაწილეობს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, რომელსაც ევალება საკარანტინო ღონისძიებების ნაწილობრივ აღსრულება, კერძოდ, ცხოველების იზოლაცია და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, მათი ევთანაზია (მოკვდინება ჰუმანური – უმტკივნეულო მეთოდით). აღნიშნული წესების თანახმად, ზოონოზური დაავადებების დაფიქსირების შემთხვევაში, პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებების გატარების და შესაბამის ტერიტორიაზე კარანტინის გამოცხადების მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის ეროვნული სააგენტო მიმართავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ან სახელმწიფო რწუნებულს რეგიონში და ეს უკანასკნელი აცხადებს კარანტინს ტერიტორიაზე, სადაც დაფიქსირდება ზოონოზური დაავადება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2015 წლის 14 ივლისის #348 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესები“ საჭიროებს

ცვლილებებს და დახვეწას. კერძოდ, აქტში მკაფიოდ არ არის განმარტებული ცხოველთა კატეგორიები, რომლებიც ექვემდებარებიან ამა თუ იმ საკარანტინო ღონისძიებას, მაგალითად, არ არის განმარტებული რას გულისხმობს „დაავადებაზე საექვო ცხოველი, რომელიც ექვემდებარება ევთანაზიას“, არ არის გამიჯნული და დაკონკრეტებული რომელ საკარანტინო ღონისძიებას ახორციელებს ცენტრალური ხელისუფლებიდან – საჯარო სამართლის იურიდიული პირი სურსათის ეროვნული სააგენტო და რომელს – მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო და ა.შ. და ღონისძიებების გატარება დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მხოლოდ ზეპირი კორდინაციის გზით ხორციელდება.

სანიტარულ-ჰიგიენური მართლწესრიგის კონტროლი ხორციელდება როგორც მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული მოვლა-პატრონობის წესების, ასევე, ნარჩენების მართვის კოდექსის 33-ე-34-ე მუხლების საფუძველზე.

მაგალითად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის წესით განსაზღვრულია ცხოველის პატრონის ვალდებულება – დაასუფთავოს მის მფლობელობაში არსებული ცხოველის მიერ დაბინძურებული საზოგადოებრივი სივრცე. მსგავსი აკრძალვა და საჯარიმო სანქცია გათვალისწინებულია საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 33-ე-34-ე მუხლებით, კერძოდ, „*ადმინისტრაციულ ჯარიმას ექვემდებარება:*

- ა) *ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასით ტერიტორიის დაბინძურება*
- ბ) *ცხოველის სხეულის ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება“.*

ამავე კოდექსის 47-ე მუხლის მე-6-7, მე-8, მე-11 და მე-12 ნაწილების თანახმად, ზემოაღნიშნული სამართალდარღვევის შემთხვევაში, საქმის განხილვისა და საჯარიმო სანქციის გამოყენების უფლება აქვთ: მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს

უფლებამოსილი ორგანოს თანამშრომლებს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების თანამშრომლებს.

მოცემულ შემთხვევაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არ არის მიღებული ნარჩენების მართვის კოდექსის 33-ე-34-ე მუხლების საფუძველზე შესაბამისი ნორმატიული აქტი, რითაც განისაზღვრება კონტროლის განმახორციელებელი უფლებამოსილი ორგანო და ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების პროცედურა და არ არის შემუშავებული და დამტკიცებული ადმინისტრაციული საჯარიმო ოქმის ფორმები (მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტები). შესაბამისად, აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში მსგავს სამართალდარღვევაზე რეაგირება ხდება მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი შინაური ცხოველის მოვლა-პატრონობის წესის დარღვევის საფუძველზე და გამოიყენება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს განსხვავებული ოდენობის (გაცილებით მცირე) ფულად ჯარიმას, რაც თავის მხრივ, ადმინისტრირების ნაკლებეფექტიან შედეგს იძლევა.

ცხოველებისგან მომდინარე რისკების მართვის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის #551 დადგენილებით დამტკიცებული „შინაური ბინადარი ცხოველების საქართველოს საბაჟო საზღვარზე არაკომერციული გადაადგილების წესი“, რომელიც ადგენს შინაური ბინადარი ცხოველების საქართველოს საბაჟო საზღვარზე არაკომერციული გადაადგილების დროს ცხოველთა ჯანმრთელობის მოთხოვნებს და ასეთი გადაადგილების დროს შესაბამისობის შემოწმების წესებს. ამ წესით დადგენილ პროცედურებს და კონტროლს კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სურსათის

ეროვნული სააგენტო და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური. აღნიშნული წესის თანახმად, ხორციელდება ქვეყნის ტერიტორიაზე შესამოსაყვანი შინაური ბინადარი ცხოველების იდენტიფიკაცია და ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა, რათა თავიდან იქნეს არიდებული დაავადებული ან არაიდენტიფიცირებული ან/და არაუფლებამოსილი პირის მიერ ქვეყნის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველის შემოყვანა.

შინაური ბინადარი ცხოველების უფლებები და მათი დაცვის გარანტიები

მსოფლიოს ცივილური ნაწილის მიერ შინაური ბინადარი ცხოველების განსაკუთრებულ უფლებრივ რანგში აყვანის და მისი როგორც არა მხოლოდ საკუთრების ობიექტად, არამედ უფლების მქონე სუბიექტად განხილვის პროცესმა განაპირობა ის გარემოება, რომ აღნიშნულ ცხოველებთან დაკავშირებული რისკების მართვის ღონისძიებები შეიზღუდა მათ მიმართ ნებისმიერი ღონისძიებების ჰუმანურად განხორციელების ვალდებულებებით და მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, მათი მოვლა-პატრონობის მავალდებულებელი ნორმების დადგენით.

საქართველოში შინაური ბინადარი ცხოველების უფლებების და გარანტიების რეგლამენტირება უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის და პოპულაციების მართვის წესებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე-104-ე და 172-ე მუხლებით.

საქართველოში მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული მოვლა-პატრონობის წესებით დადგენილია ცხოველის კეთილდღეობის უზრუნველყოფის საშუალებები და

აუცილებელი მინიმალური მოთხოვნები, მათ შორის: კვება-დანყურვება, სათანადო საცხოვრისის გამოყოფა, ფიზიკური აქტივობა, ვეტერინარული მკურნალობა, ცხოველის პატრონის ანგარიშვალდებულება და ა.შ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი ვალდებულებები და კანონმდებლობით დადგენილი სანქციები და იძულების ღონისძიებები არ ეხმარება ერთმანეთს და არ არსებობს აღნიშნული ვალდებულების დაცვის კონტროლის ან/და იძულებითი ღონისძიებების გატარების ეფექტიანი მექანიზმები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას (ფულადი ჯარიმა) ექვემდებარება „ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა, რამაც მისი ტანჯვა, სხეულის დაზიანება, მისთვის ტკივილის მიყენება გამოიწვია, როგორც ერთჯერადად, ისე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, შესაბამისი პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს „ცხოველის წამება ან მისდამი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია და ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოციდან ორას ორმოც საათამდე, შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე, ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი:

- ა) ჯგუფურად
- ბ) არაერთგზის
- გ) მცირეწლოვნის თანდასწრებით ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ორასიდან ოთხას საათამდე, შინაპატიმრობით, ვადით ერთიდან ორ წლამდე, ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით სამ წლამდე.“

მიზანი, რასაც მოცემულ სფეროში აღნიშნული კანონმდებლობა ემსახურება და შედეგი, სასურველ და თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებულ ნიშნუ-

ლამდე არ არის მიყვანილი, რაც განპირობებულია, როგორც ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის ხარვეზებით, ასევე, ცხოველების მიმართ საზოგადოებაში არსებული მანკიერი ცნობიერებით და არასწორი დამოკიდებულებებით.

მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული მოვლა-პატრონობის წესები ძირითადად ადგენენ შესაბამის სტანდარტებს ცხოველების საზოგადოებაში უსაფრთხო ინტეგრაციისათვის და მხოლოდ ირიბად, შესაბამისი წესების დადგენით უზრუნველყოფს ცხოველებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას და მათი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვას, რაც არასაკმარისი ინსტრუმენტია მიზნის მისაღწევად.

მიუხედავად ცხოველის ჯანმრთელობის და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული ქმედების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებისა, სათანადოდ ვერ ხერხდება დანაშაულის პრევენცია. რაც მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია საქართველოში აღნიშნული დანაშაულების დაფიქსირების პრობლემით და ამ მხრივ საგამოძიებო პრაქტიკა მეტად მწირია. პრობლემას ქმნის თავად სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის ბუნდოვანება, რაც ართულებს ნორმის სუბსუმციას, ანუ არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას და კანონის შესაბამისი ნორმის სწორად შეფარდებას. კერძოდ, მუხლში მითითებული დანაშაულის შემადგენლობა ჩამოყალიბებულია ქმედების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინებით. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საქმე გვაქვს ცოცხალ არსებასთან, რომელსაც განსაკუთრებული დანიშნულება აქვს საზოგადოებაში და თანამედროვე ცივილიზებულ მსოფლიოში ის უკვე უფლებების მქონე სუბიექტად არის მიჩნეული, ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული სანქცია არ არის ადეკვატური და მისი მეშვეობით მოცემულ სფეროში კრიმინოგენული მდგომარეობის გამოსწორება ვერ ხერხდება. საგულისხმოა ის გარემოება, რომ 2019 წლის 29 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ

იქნა ცვლილება და აღნიშნული კოდექსის 259-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახლებური რედაქციით, რომლის თანახმად, ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის ან მოკვდინების შემთხვევისათვის სასჯელი ზომა გამკაცრდა, ასევე, მოხდა სასჯელის ზომების დიფერენცირება ქმედების სიმძიმის მიხედვით. თუმცა, ვერც აღნიშნული ცვლილება აღმოჩნდა ეფექტური, რადგან ბუნდოვანია მუხლის შინაარსი. მაგალითად, 259-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულად ითვლება ცხოველის დასახიჩრება, მაგრამ მუხლში არ არის მითითებული რა იგულისხმება დასახიჩრებაში. ამასთან, გაუგებარია, რა რეაგირება მოჰყვება ცხოველის სხეულის სხვაგვარად დაზიანებას: დაჭრას და ა.შ. რომელიც რეალურად ცხოველის სიცოცხლეს გაცილებით მეტ საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს.

აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმა იყოს მკაფიო, ზუსტი და იძლეოდეს მისი აღსრულების ეფექტურ საშუალებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2019 წლის 29 მაისს, სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებულ ცვლილებასთან ერთად, ცვლილება შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104 მუხლში, რომელიც ასევე ეხება ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობას. ცვლილების განხორციელება განაპირობა აღნიშნული მუხლის და სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის შინაარსობრივმა კვეთამ, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლით გათვალისწინებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის ანალოგიური ჰიპოთეზა და დისპოზიცია, ანუ ქმედების შინაარსი და საფუძვლები, რაც იწვევდა პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემას, რაც წარმოადგენდა ნონსენსს, რადგან სისხლის სამართლის კოდექსით და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში მოქმედი კანონმდებლობით ამა თუ იმ ქმედებისათვის გათვალისწინებული

სანქცია სხვადასხვა სიმძიმისაა და ქმედების ჩამდენ პირს სხვადასხვა სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს, შესაბამისად, დაუშვებელია სამართლის ეს ორი, პრინციპულად განსხვავებული, დარგი ითვალისწინებდეს ერთი და იმავე ქმედების სანქცირებას. აღნიშნული ფაქტიც მიუთითებს, რომ საქართველოში ცხოველების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დაფიქსირება და პრევენცია ვერ ხორციელდებოდა ეფექტურად. პრევენციური იყო ფაქტის დაფიქსირებისას მისი კვალიფიცირება, ქმედების ჩამდენი პირის მიმართ გატარებულიყო სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები. მართალია, აღნიშნული ცვლილება აღმოიფხვრა, თუმცა, კვლავ პრობლემურია სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის ზოგადი შინაარსი და დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის ნაკლებ კონკრეტულობა. მაგალითად, საფრანგეთის კანონმდებლობის მიხედვით, „ცხოველის მიმართ არასათანადო მოპყრობა (ტანჯვა) ან ძლიერი ტანჯვის მიყენება, ასევე სექსუალური ძალადობა ან სისასტიკის ჩადენა შინაური ან მოშინაურებული ცხოველის მიმართ, ასევე, მისი დატყვევება, ისტება თავისუფლებისაკვეთით, ვადით 2 წლამდე და 30 000 ევროს ოდენობის ჯარიმით. სასამართლოს შეუძლია დამატებით სასჯელის სახით გამოიყენოს პირისათვის ცხოველის ყოლის უფლების შეზღუდვა ან სხვაგვარი აკრძალვა“.⁷ ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, უნგრეთის კანონმდებლობით ცხოველის უმართებულო მიტოვებაც კი დანაშაულად ითვლება და ისტება თავისუფლების აღკვეთით, ვადით არაუმეტეს 2 წლისა, ხოლო თუ თუ ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა ატარებს განსაკუთრებულ ან პერმანენტულ ხასიათს ან ქმედება მიმართულია ერთზე მეტი ცხოველის მიმართ, ისტება თავისუფლების აღკვეთით, ვადით არაუმეტეს 3 წლისა⁸. ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პირი, რომელიც განზრახ ან უხეში გაუფრ-

7 French Penal Code, Article 521-1.

8 Hungarian Act on the Criminal Code Section 266/B.

თხილებლობით მეტისმეტად ტვირთავს ცხოველს, არ იჩენს საჭირო ზრუნვას, არ უზრუნველყოფს საკვებით, წყლით ან სხვაგვარად არღვევს კანონმდებლობას ცხოველების შესახებ, ასევე, პირი, რომელიც სასტიკად ეპყრობა ცხოველს, ურტყამს და გადამეტებულად ტანჯავს, აყენებს მძიმე ტკივილს – ისტება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით, ვადით 2 წლამდე. თუ ცხოველისადმი დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებულად სასტიკი მეთოდით, ან ქმედება მიმართულია ცხოველთა მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობისადმი ან ქმედება ემსახურება მხოლოდ იმ მიზანს, რომ მიღებულ იქნას მნიშვნელოვანი ფინანსური სარგებელი, რაც საერთო ჯამში შეიძლება შეფასდეს როგორც დამამძიმებელი გარემოება, ქმედება ისტება თავისუფლების აღკვეთით, ვადით 4 თვიდან 4 წლამდე.

ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის თანახმად, გამოყოფილია ცხოველის წინააღმდეგ მიმართული ქმედების ხუთი ძირითადი სახე:

1. ცხოველის მოკვლა
2. ცხოველის ტანჯვა
3. ცხოველისათვის ზიანის მიყენება
4. ცხოველზე ძალადობა ანუ ადამიანური შესაძლებლობების ბოროტად გამოყენება.

ცხოველის მოკვლა გულისხმობს ცხოველის ნებისმიერი მეთოდით ან ნებისმიერი ინსტრუმენტის გამოყენებით (მაგალითად: ცეცხლსასროლი/ცივი იარაღით, მოწამვლა და ა.შ.) მართლსაწინააღმდეგო მოკვდინებას; ცხოველის წამება – გულისხმობს ცხოველზე ფიზიკური ან ფსიქიკური ტკივილის მიყენებას, ტანჯვას. ზიანის მიყენება – რაიმე სახის სხეულის დაზიანებას, როგორცაა ქრილობა, ძვლების დაზიანება და ა.შ.; ცხოველზე ძალადობა ანუ ადამიანური შესაძლებლობების ბოროტად გამოყენება კი გულისხმობს – ფიზიკური, გონებრივი და სექსუალური ძალადობის ნებისმიერ ფორმას.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ევროპული ქვეყნების კანონმდებლობით

საგან განსხვავებით, ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულად ითვლება მხოლოდ ცხოველის მოკვლა და დასახიჩრება. სხვა ტიპის ქმედება (სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება) – მიმართული ცხოველის წინააღმდეგ – არ იწვევს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რაც არასწორი პრაქტიკაა, ვინაიდან, შინაური ცხოველი ცივილიზებულ მსოფლიოში განიხილება ცოცხალ, უფლებების მქონე სუბიექტად, შესაბამისად, მის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედებები საჭიროებს მკაფიოდ რეგლამენტირებას და ადეკვატური სანქციების განსაზღვრას ქმედების სიმძიმის გათვალისწინებით.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არის ერთიანი სამართლებრივი ბაზა, რომელიც სისტემურად, სრულყოფილად უზრუნველყოფდა შინაურ ბინადარ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას. არ არსებობს საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს შინაური ბინადარი ცხოველის სტატუსს. სწორედ სტატუსის განსაზღვრა განაპირობებს სუბიექტის, თუ ობიექტის – როგორც სამართლებრივი სიკეთის – უფლებების ობიექტის ან/და თავად სუბიექტის დაცვას და საჭარო წესრიგის, ბრუნვის სტაბილურობის შესანარჩუნებლად, შესაბამისი შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას.

სუბიექტის სტატუსის განმსაზღვრელი საკანონმდებლო აქტის არსებობით შესაძლებელი ხდება სამართლებრივი სიკეთის დაცვა სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში. კერძოდ, დაცვა – დანაშაულებრივი ქმედებისაგან – სისხლისამართლებრივი კანონმდებლობით; დაცვა – გადაცდომებისგან – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კანონმდებლობით; დაცვა – სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც უფლების

სუბიექტის/ობიექტის. ამასთან, ეფექტური ადმინისტრირების, ასევე, მიუსაფარ შინაურ ბინადარ ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების და პრობლემების ეფექტურად რეგულირებისთვის, აუცილებელია მუნიციპალურ დონეზე ხარისხიანი, ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ნაწარმოები იქნება ქვეყნის მასშტაბით მოქმედი, საკანონმდებლო აქტისგან. მასში გათვალისწინებული იქნება შესაბამისი მუნიციპალიტეტის სპეციფიკასთან დაკავშირებული ფაქტორები. ამასთან, აღნიშნულ დოკუმენტებში გათვალისწინებული იქნება ყველა ის საერთო პრინციპი, მიდგომა, მეთოდოლოგია და პოლიტიკა, რომელიც დადგენილია კანონით და აღიარებულია შესაბამისი საერთაშორისო მნიშვნელობის სამართლებრივი აქტებით და დამკვიდრებულია ევროპის და სხვა მოწინავე ქვეყნების მმართველობით საქმიანობაში, როგორც საუკეთესო პრაქტიკა.

კვლევის შედეგად მკაფიოდ გამოვლინდა არსებული პრობლემების ლოგიკური ქაჭვი, რომლებიც ურთიერთგანპირობებულია. აღნიშნული პრობლემები არის როგორც მატერიალური შინაარსის (ფინანსური რესურსის უქონლობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა), ასევე, არამატერიალური შინაარსის (გაუმართავი/არარსებული სამართლებრივი ბაზა, პროცესების, ადმინისტრირების, სტრუქტურის ნაკლოვანება). თუმცა, კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არის პრობლემების აღმოფხვრის სრული მზაობა და, ზოგიერთ შემთხვევაში, დაწყებულია ამ მიმართულებით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, როგორც სამართლებრივი რეგულაციების შემუშავების მიმართულებით, ასევე, პროცესების შესაბამისი სტანდარტების დაცვით მართვისათვის.

მოსახლეობაში არსებული სიტუაციის ანალიზმა ცხადყო, რომ მათი ცნობიერება ამ მიმართულებით საკმაოდ მაღალია. რაც შეეხება პრობლემებს, მუნიციპალიტეტებში მეტ-ნალებად მწვავედ დგას მიუსაფარ

ცხოველებთან დაკავშირებული პრობლემები, რადგან არ არის ცენტრალურ დონეზე განსაზღვრული ერთიანი პოლიტიკა, რომელიც საფუძველი გახდებოდა ამ მიმართულებით პროცესების ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე – ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოორდინაციისა. მიმდინარე ეტაპზე, მუნიციპალიტეტები დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსით და ცოდნით ცდილობენ პრობლემების გამკლავებას. აღნიშნული განაპირობა მმართველობის დეცენტრალიზაციის პროცესმა და ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტები აღმოჩნდნენ ისეთი პრობლემის წინაშე, რომელიც, თავისი გამომწვევი მიზეზებიდან გამომდინარე, არ არის მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის. ამ პრობლემების გადაჭრა საჭიროებს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებას და ერთიანი სტანდარტით კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას. მუნიციპალიტეტები დამოუკიდებლად ცდილობენ რეგულაციების შემუშავებას და ღონისძიებების გატარებისას კონკრეტული მეთოდოლოგიის გამოყენებას, რაც ხშირ შემთხვევაში ნაკლოვანია და არაეფექტიანი. რაც შეეხება ადმინისტრაციული ზედამხედველობის პროცესებს, აღნიშნული ფრაგმენტულად, პერიოდულად ან/და ნაწილობრივ ხორციელდება, რაც არ იძლევა შესაბამის ეფექტს და შედეგს.

NOTES:

1. Regulations on dogs. <https://lovdata.no/dokument/SF/forskrift/2004-08-20-1204>
2. Constitution of Georgia, Article 4, 5, 18
3. Organic law of Georgia Local self-government code, Article 16, II, "q"
4. Law of Georgia Waste Management Code, Articles 33, 47
5. Georgian Government Regulation N348, Append. N5, Articles 3,4
6. European Convention for the Protection of Pet Animals, Universal Declaration of Animal Rights
7. French Penal Code, Article 521-1
8. Hungarian Act on the Criminal Code Section 266/B

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია
3. შინაურ ცხოველების დაცვის ევრო კონვენცია
4. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი
5. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
7. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
8. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
9. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის #345 დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი ბიზნესოპერატორების საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები“
10. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის #348 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესები“
11. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის #551 დადგენილებით დამტკიცებული „შინაური ბინადარი ცხოველების საქართველოს საბაჟო საზღვარზე არაკომერციული გადაადგილების წესი“
12. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 8 აგვისტოს #10 დადგენილებით დამტკიცებული ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესი“
13. „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები, კატები და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 30 მაისის N13/22 დადგენილება
14. საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი
15. უნგრეთის სისხლის სამართლის კოდექსი
16. ნორვეგიის სამეფო ბრძანებულება – რეგულაცია ძაღვების შესახებ
17. ფინეთის სისხლის სამართლის კოდექსი

LEGAL STATUS AND RIGHTS OF THE PET (COMPANION) ANIMALS AND ENSURING THEIR HARMONIOUS COEXISTENCE WITH CITIZENS ACCORDING TO LEGISLATION OF GEORGIA

Kakhaber Ioseliani

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Master of Law,
German Society for International Cooperation (GIZ),
Lawyer – Member of the LEPL Georgian Bar Association*

KYEWORDS: Pet, Right, Humane

ABSTRACT

The goal of the present article is to give the reader an insight in the problems of regulating pet issues in Georgia, as well as ongoing trends and up-to-date views in the European countries, to identify the causes of problems of legal regulation and management in the given field and to give an impetus to those interested in the topic and problems to find ways to address the problem.

The source of the article was the effective legislation of Georgia, which was duly studied, including the normative acts adopted by the central authority and municipal bodies, as well as the national legislations of the European countries, international legal documents and the managerial practice of the branch in Georgia.

Following the study of the problem considered in the article, it was

found that Georgia lacks a single legal framework to systematically and thoroughly regulate pet issues. Neither does the country have a legislative act that would define the status of pets. Consequently, there is no quality and comprehensive legal document at the municipal level derived from the nationwide legislative act. There have been

attempts at the levels of both, the central government and concrete municipalities, to address pet issues. However, such attempts are fragmental and non-systemic and fail to cover complex measures. As a result, it is impossible to obtain a desirable outcome in respect of safety of people and animals and protection of animal rights.

BIBLIOGRAPHY:

1. The Constitution of Georgia
2. The World Declaration on Animal Rights
3. The European Convention for the Protection of Pet Animals
4. The Organic Law of Georgia
5. The Code of Local Self-Government of Georgia
6. The General Administrative Code of Georgia
7. The Civil Code of Georgia
8. The Administrative Offenses Code of Georgia
9. The Criminal Code of Georgia
10. The Requirements related to the activities of business operators performing veterinary activities approved by Resolution #345 of the Government of Georgia of June 28, 2018
11. The Rules for implementation of preventive and quarantine measures against animal transferrable diseases approved by Resolution #348 of the Government of Georgia of July 14, 2015
12. The Rule of non-commercial movement of pet animals across the customs border of Georgia approved by Resolution #551 of the Government of Georgia of November 16, 2018
13. The Rules for caring pets (dogs and cats) and controlling their populations in Rustavi Municipality, approved by Resolution #10 of the Municipality Council of August 8, 2014
14. Resolution N13/22 of May 30, 2018 on the approval of the Rules for caring pets (dogs, cats and other companion animals) and controlling their population on the territory of Poti Municipality
15. The Criminal Code of France
16. The Criminal Code of Hungary
17. The Royal Decree of Norway – the Regulation on Dogs
18. The Criminal Code of Finland

დაგარალეხულის გარდაცვალების შემდეგ მისი პირადი უფლებების დაცვის პრობლემები სამოქალაქო სამართალში

მარიამ დოლიძე

სამართლის მაგისტრი, ჩხორონყუს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საკვანძო სიტყვები: გარდაცვლილი, პირადი უფლება, დაცვა

შესავალი

კერძოსამართლებრივ პრობლემათა შორის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვა, რასაც თეორიასა თუ პრაქტიკაში გავრცელებული აზრთა სხვადასხვაობაც მოწმობს. საქმე ისაა, რომ იურისტთა ნაწილი გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვას აფართოებს, თუმცა მეორე ჯგუფი ვიწრო მიდგომას იზიარებს. იურიდიულ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომლის თანახმად, კერძო საკუთრების მსგავსად, პიროვნული უფლების მიმართ შეიძლება გავრცელდეს საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი. ადამიანის ეკონომიკური მოგება შეიძლება რეალიზებული და გამოყენებული იყოს. ამ გაგებით, პირადი უფლება შეიძლება ხელშეკრულების საგანი იყოს და შეიძლება სხვას გადაეცეს. ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნული უფლება არ ქრება ადამიანის გარდაცვალებით და შეიძლება გადაეცეს სხვა ადამიანე-

ბს, მათ შორის, მემკვიდრეებსა და იურიდიულ პირებს.¹ შესაბამისად, შესასწავლია ეს მიდგომები და გასარკვევია, როგორია გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვის სპეციფიკა.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დასაწყისში დასადგენია, რა მოიაზრება პირად უფლებებში, შემდეგ კი უნდა განისაზღვროს, როგორია დაზარალებულის გარდაცვალებისას ამ უფლებების დაცვის თავისებურებები, ვის შეუძლია გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვა და რომელი საშუალებებით.

თემის აქტუალობას ისიც ადასტურებს, რომ უშუალოდ ამ საკითხის შესახებ მოიძებნება სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც არაპირდაპირ მაინც ეხება ამ პრობლემას,² მაგრამ მაინც არ არსებობს ერთიანი მიდგომა იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა იყოს დაცული გარდაცვლილის პირადი უფლებები. ამ კონტექსტში საინტერესოა, გარდაცვლილის პირადი უფლებებიდან რომელია დაცვის ღირსი, ვის აქვს გარდაცვლილის ინტერესების დაცვის უფლება და რომელი დაცვის საშუალებებით. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რა ბერკეტი არსებობს დაზარალებულის პირადი ინტერესების დაცვისთვის მაშინ, როდესაც დამნაშავედ ცნობილი პირის რეაბილიტაცია მოხდა მისი გარდაცვალების შემდეგ. სწორედ ეს არაერთგვაროვნება აისახება პირდაპირპროპორციულად სასამართლო პრაქტიკაშიც. აქვე დასადგენია, რა სახის შეიძლება იყოს პასუხისმგებლობა ამ უფლების დარღვევისათვის.

ამდენად, პრობლემის ძირითადი არსის გასარკვევად აუცილებელია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: რა არის პირადი

უფლებები? როგორ და რა ფორმით ხდება გარდაცვლილისა და ცოცხალი პირის პირადი უფლებების დაცვა? დაზარალებულის გარდაცვალებისას რომელი პირადი უფლებები უნდა იყოს დაცული? რა ზიანის მომტანი შეიძლება იყოს პირადი უფლებების ხელყოფა? რა როლს თამაშობს გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვის სფეროში დელიქტური სამართალი?

ამ კითხვებიდან გამომდინარე, აუცილებელია საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული ლიტერატურისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, თითოეული ზემოთ ხსენებული პრობლემის ახსნა და მათი გადაწყვეტის გზების მოძიება.

გარდაცვლილის კერძო-სამართლებრივი მდგომარეობა

როგორც იურიდიულ ლიტერატურაში აღინიშნა, სამართალში ადამიანი ფიგურირებს პირისა და პიროვნების სახით. ადამიანს, როგორც პირს, აქვს უფლება-მოვალეობები, პიროვნება კი ადამიანის სულიერ ღირებულებათა ერთობლიობაა და სამართლებრივი დაცვის საგანს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, გარდაცვალებით ადამიანი ქრება, როგორც პირი და სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი. ეს იმას ადასტურებს, რომ ადამიანის პიროვნება აღიქმება განსაკუთრებულ სულიერ ღირებულებად და არ ქრება. მისმა ღირებულებამ შეიძლება გარდაცვალების შემდეგაც შეინარჩუნოს მნიშვნელობა საზოგადოებისათვის.³

თუ დავუკვირდებით ტერმინს „პირი“ (persona), ის ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „ხასიათს, ნიღაბს“. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება უფლება-მოვალეობების ნიღაბს ამოფარებულ ადამიანს.⁴ ამდენად, სწორედ ეს ადამი-

1 Hocks, A., 2012. The Right to Publicity After Death: Postmortem Personality Rights in Washington in the Wake of Experience Hendrix v. Hendrix Licensing, Seattle University Law Review, Vol. 36, 280.
2 ბარაბაძე, ნ., 2012. მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბილისი; ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი; მონიავა, თ. (პ.), 2013. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი და ა.შ.

3 ნინიძე, თ., 2002. სსკ-ის მე-19 მუხლი, წიგნში: „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წ. I, თბილისი, გვ. 79.
4 ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქა-

ანი განიხილება სამართლის სუბიექტად, რომლის ფიზიკური არსებობა მისი გარდაცვალებით ქრება. მართალია, მოცემულ შემთხვევაში გარდაცვლილი აღარ შეიძლება იყოს უფლება-მოვალეობების სუბიექტი და მას არ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა, მაგრამ მისი არაქონებრივი უფლებების დაცვა აუცილებელია. სწორედ ამიტომ კანონმდებელი პირის გარდაცვალების შემდეგ სხვა პირებს ანიჭებს მისი პირადი უფლებების დაცვის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარდაცვალების შემდეგ შეიძლება პიროვნება განაგრძობდეს არსებობას. ადამიანის სიცოცხლეში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები მისი გარდაცვალების შემდეგ უკვალოდ არ ქრება.⁵ სამართლებრივი თვალსაზრისით, უფლებების დაცვისთვის აუცილებელია პირის მიერ უფლებათა აღქმა, გარდაცვალებისას კი ეს მიიღწევა დაინტერესებულ პირთა მოქმედების საშუალებით. ამ შემთხვევაში გარდაცვლილი არ არის სუბიექტი, მაგრამ არც ობიექტია, მისი სამართლებრივი მდგომარეობა განიხილება სამართლებრივი ფიქციის ქრილში. აქ მთავარია, რომ გარდაცვლილის პირად უფლებებს იცავენ მისი მემკვიდრეები, რომლებსაც აქვთ „დაცვის ღირსი ინტერესი“.

ამდენად, ადამიანის, როგორც სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტის, გარდაცვალების შემდეგ დაცვის ღირსია მისი პიროვნება, რომელიც, თავისი ხასიათის მიხედვით, სუბიექტს ვერ გაუთანაბრდება, მაგრამ არც წმინდა ობიექტის შეესაბამება. ის გარკვეულწილად მათ შორის შუალედურ რგოლად შეიძლება განიხილებოდეს.

გარდაცვლილის პირადი უფლებები

ადამიანის, როგორც პიროვნების, ღირებულება აისახება გარკვეულ პირად სიკეთეებში, რომლებიც გარდაცვალების შემდეგ დაცვის ღირსია. სწორედ ეს ღირებულებებია განსახილველი თავისებურების მიხედვით.

გარდაცვლილის პირადი სფეროს დაცვის გარკვეული ასპექტები ასახულია თეორიებში, რომლებიც სხვადასხვა ქრილში განიხილავს გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. განასხვავებენ ზოგადი სამართალსუბიექტობის, ნაწილობრივი ქმედუნარიანობის, უსუბიექტო უფლებებისა და ზოგადი სამართლებრივი მოვალეობის შესახებ თეორიებს. ზოგადი სამართალსუბიექტობის თეორიის თანახმად, დაცვას ექვემდებარება ადამიანის ღირსება. ამ გაგებით, აუცილებელია, რომ ცოცხალი იყოს ადამიანი, სუბიექტი, თუმცა მხედველობაში არ მიიღება ზოგადი პიროვნული უფლება, რადგან გარდაცვლილის დაცული უფლებები სცდება არამატერიალურ უფლებათა ფარგლებს. ნაწილობრივ ქმედუნარიანობის შესახებ თეორიის მიხედვით, პირი უკავშირდება პიროვნების არა მხოლოდ აქტიურ, არამედ პასიურ ნაწილსაც. შესაბამისად, გარდაცვალების შემდეგაც შესაძლებელია პიროვნება განაგრძობდეს არსებობას სამართლებრივი თვალსაზრისით. უსუბიექტო უფლების შესახებ თეორიის მიხედვით, პირის გარდაცვალების შემდეგ რჩება უსუბიექტო უფლებები დაცვის საგნის სახით, ანუ არსებობს უფლებები მათი მატარებელი სუბიექტის გარეშე. ამ თეორიის მიხედვით, ქმედუნარიანობა წყდება პირის გარდაცვალებით. რაც შეეხება ზოგადი სამართლებრივი მოვალეობის თეორიას, მის თანახმად, სამართლებრივი სიკეთე ექვემდებარება დაცვას, იმის მიუხედავად, ცოცხალია თუ არა ადამიანი. ამდენად, თუ ამ თეორიებს შევაჯერებთ, უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგ აუცილებელია მისი პირადი უფლე-

რთველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, გვ. 249-250.

5 ჩიკვაშვილი, შ., 2000. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი, გვ. 6.

ბების დაცვა იმ პირთა მხრიდან, რომლებთანაც გარდაცვლილს მჭიდრო კავშირი (ახლობლობა) ჰქონდა.⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სსკ-ის) მე-19 მუხლის თანახმად, გარდაცვლილის სახელის, ღირსების, პატივის, საქმიანი რეპუტაციისა და სხვა პირადი უფლებების დაცვა შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც თვითონ არ არიან ამ უფლების მატარებელი, მაგრამ გააჩნიათ დაცვის ღირსი ინტერესი.

კანონმდებლობით დაცულია პატივი და ღირსება, რაც ემსახურება ადამიანის ინდივიდუალიზაციას. „პატივი“ პიროვნების მორალური თუ სხვა თვისების საზოგადოებრივი შეფასებაა. ის არის პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასება, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას ამ პიროვნების მიმართ. ღირსება ასოცირდება სუბიექტის პატივისცემასთან. ღირსება არ არის მხოლოდ ძირითადი უფლება, იგი კონსტიტუციური პრინციპიცაა, რომელსაც ეფუძნება სხვა ძირითადი უფლებებიც.⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიხედვით, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუხებელია, რაც გულისხმობს ადამიანის პატივისცემის სოციალურ მოთხოვნილებას.⁸ პატივი არის საზოგადოების მხრიდან ადამიანის ღირსებულების შეფასება. რაც შეეხება ღირსებას, ის თვით პიროვნების მიერ საკუთარი მორალური ან სხვა თვისებების, უნარის, უნიკალურობის აღიარებაა, რომელიც ეფუძნება საზოგადოებაში დამკვიდრებულ კრიტერიუმებს. ამ პროცესში ხდება ადამიანის სოციალური ღირებულების აღიარებაც. სამართალი მას არ არეგულირებს, არამედ მისი დარღვევის შემთხვევაში უზრუნველყოფს მას დაცვით.⁹ ღირსება შეი-

ძლება შეილახოს ისეთი ცნობების გავრცელებით, რომლებიც ეხება იმის მტკიცებას, რომ ამ ადამიანმა ჩაიდინა უღირსი საქციელი, დაარღვია კანონის ან მორალის ნორმები. შესაბამისად, ღირსების დაცვა შეუძლია იმას, ვისი უფლებაც შეილახა. ღირსების ხელყოფა შეიძლება დამცირების, შეურაცხყოფისა და ცილისწამების გზით. ადამიანის გარდაცვალების შემდეგ ღირსების უფლების დაცვა შეიძლება მოითხოვოს იმ პირმა, რომელიც თვითონ არ არის პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ გააჩნია დაცვის ღირსი ინტერესი. მას უფლება აქვს მოითხოვოს ღირსების დაცვა, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და სიკვდილის შემდეგაც გრძელდება.¹⁰

ტერმინი „რეპუტაცია“ შეფასებითი კატეგორიაა და ნიშნავს ადამიანის სტატუსს და მის შესახებ შექმნილ წარმოდგენას საზოგადოებაში.¹¹ საქმიან რეპუტაციაში იგულისხმება პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება, რაზეც დაფუძნებულია საზოგადოების დამოკიდებულება ფიზიკური თუ იურიდიული პირების მიმართ.¹²

ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, არაქონებრივი უფლების დაცვის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მაგალითია ნაწარმოების დაცვა ყოველგვარი დამახინჯებისა და ხელყოფისაგან, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს გარდაცვლილი ავტორის სახელსა და პირად ღირსებას. „საავტორო და მომიჭნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ავტორის რეპუტაციის დაცვის უფლება უვადოდ მოქმედებს მისი სიკვდილის შემდეგაც.¹³ სსკ-ის მე-19 მუხლი

6 ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, გვ. 247-249, 259.
7 ბიჭია, მ., 2016. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, გვ. 184-187.
8 Ciorap v. Moldova, 19/07/2007, ECHR, App. No. 12066/02
9 Gäfgen v. Germany, 01/07/2010, ECHR, App. No 22978/05.

10 ბიჭია, მ., 2014. ღირსების სამოქალაქო სამართლებრივი ცნების მოცულობა, თსუ-ის „სამართლის ჟურნალი“, №2, გვ. 8-10.
11 მონიავა, პ., 1999. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., გვ. 34.
12 ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., გვ. 159-162.
13 მონიავა, პ., 2013. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გვ. 307-311.

„დაცვის ღირსი უფლების მქონე პირს“ ანუ უფლებამოსილ პირს ანიჭებს უფლებას, რომ განახორციელოს დაცვის მოთხოვნა მხოლოდ გარდაცვლილის სახელსა და ღირსებასთან მიმართებაში. პრაქტიკაში კი მრავალი შემთხვევა გვხვდება, როდესაც, სინამდვილესთან შეუსაბამო ცნობების გავრცელებით, ილახება გარდაცვლილის საქმიანი რეპუტაცია. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ასეთი ცნობები ხელყოფენ არა მარტო გარდაცვლილის ხსოვნას, არამედ შეურაცხყოფენ მის ახლობლებსა და გარშემო მყოფ პირებს. თუმცა, სსკ-ში ცალკე არაა გამოყოფილი გარდაცვლილის საქმიანი რეპუტაცია. ამიტომ, მიზანშეწონილია, უფლებამოსილ პირს გარდაცვლილის სახელისა და ღირსების დაცვასთან ერთად, მიეცეს ამ უკანასკნელის საქმიანი რეპუტაციის დაცვის მოთხოვნის უფლება.

ამასთან, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პერსონალური მონაცემების დაცვა. შესაბამისად, პირადი უფლებების დარღვევად მიიჩნევა, ასევე, პირის შესახებ პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გაცემა ამ პირის ნებართვის გარეშე.¹⁴

გარდა ამისა, სახელის უფლება არის პირადი არაქონებრივი უფლება და დაუშვებელია მისი გადაცემა სხვა პირისათვის. იგი განეკუთვნება გადაუცემადი უფლებების კატეგორიას. ფაქტობრივად, სახელის უმთავრეს ფუნქციას მოქალაქის ან ორგანიზაციის ინდივიდუალიზაცია წარმოადგენს. ამრიგად, სსკ-ის მე-17 მუხლი წარმოადგენს გვიქმნის იმის თაობაზე, რომ სახელის უფლება არის ისეთი უფლება, რომელიც პიროვნების ინდივიდუალიზაციის საშუალებას იძლევა.¹⁵ მისგან განსხვავებით, სსკ-ის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელის, როგორც ფიზიკური პირის პირადი არაქონებრივი უფლების არსებობაზე მხოლოდ მაშინ შე-

იძლება ვისაუბროთ, როდესაც სახელის ტარების უფლების შეცილება ხდება ან სახელის უნებართვოდ გამოყენების შედეგად ილახება პირის ინტერესი.¹⁶

სახელის დაცვა ხორციელდება ხელმოყოფის ბრალის მიუხედავად, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც.¹⁷

სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, აღიარებულია გარდაცვლილის პირადი უფლებები, როგორცაა სახელის, პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის უფლებები, რომელსაც იცავენ ის პირები, ვისაც ამ უფლებათა დაცვის ღირსი ინტერესი გააჩნიათ. მათ უფლება აქვთ, მოითხოვონ სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსის განმსაზღვრელია და სიკვდილის შემდეგაც გრძელდება. თუ უშუალოდ გარდაცვლილის პირადი უფლებები ირღვევა, მიზანშეწონილია, გამოყენებული იქნეს უფლებათა დაცვის ისეთი საშუალებები, როგორცაა მოქმედების შეწყვეტა, უარყოფა, რაც ემსახურება დაზარალებულის უფლებათა აღდგენას. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, პირი უკვე გარდაცვლილია, მაგრამ მისი სახელი არსებობს და მას პატივისცემა სჭირდება. თუ გარდაცვალების შემდეგ მოხდება შეურაცხყოფა, უფასურდება ის, რაც მან მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოიპოვა. მართალია, ის პირი, ვისი სახელიც ილახება, გარდაცვლილია, მაგრამ ის პირები, რომლებსაც გააჩნიათ გარდაცვლილის სახელის უფლების დაცვის ღირსი ინტერესი, განიცდიან სულიერ ტანჯვას ახლობლის შეურაცხყოფის გამო.¹⁸ შესაბამისად, კარგი იქნება, მოცემულ შემთხვევაში ადამიანებს, რომლებსაც „დაცვის ღი-

14 მონიავა, პ., 2009. პერსონალური მონაცემების მიღების უფლება სამოქალაქო სამართალში, ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, №2(6), გვ. 16.

15 ბიჭია, მ., 2016. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, გვ. 193-194.

16 მონიავა, პ., 2013. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გვ. 186.

17 სტურუა, ნ., 2012. ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, თსუ-ის „სამართლის ჟურნალი“, №1, გვ. 152.

18 ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, გვ. 254-258.

რსი ინტერესი“ აქვთ, შეეძლოთ თავიანთი პირადი სიკეთის ხელყოფის გამო ინტერესების დაცვა.

ასევე, მნიშვნელოვანია ადამიანის სხეულის ან ჯანმრთელობის დაცვა, თუ სხეულის ან ჯანმრთელობის შელახვას მოჰყვება ქონებრივი და/ან არაქონებრივი ზიანი. კანონმდებელი აღნიშნავს, რომ არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში (სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილი). შესაბამისად, მხოლოდ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვა) ხელყოფისა და მნიშვნელოვანი (ძიმე) არაქონებრივი ზიანის არსებობისას დაიშვება მისი ანაზღაურება. ე.ი. არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება მაშინ, როცა ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია.¹⁹ საქართველოს სასამართლო პრაქტიკით განსაზღვრულია, რომ პირადი უფლება არის უფლება, რომელიც მკაცრად პირად ხასიათს ატარებს. სსკ-ის 413-ე მუხლი ადგენს იმ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც უშუალოდ დაზარალებულის ჯანმრთელობის შელახვით წარმოიშვა. საქართველოს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა გამოკვეთს, რომ არ ანაზღაურდება არაქონებრივი ზიანი, რომელიც ქმრის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფით დადგება.²⁰

მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ შვილის გარდაცვალების შედეგად დედა, ჩვეულებრივ, განიცდის მორალურ ტანჯვას და მას უნდა ჰქონდეს ამ ზიანის ანაზღაურების უფლება. ამ საქმეზე დაყრდნობით,²¹ საქართველოს

სასამართლო პრაქტიკაში გაჩნდა მსგავს შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილებაც. მაგალითად, როცა სამედიცინო დაწესებულების ექიმი პაციენტს უწევს არასათანადო მკურნალობას, რასაც მისი გარდაცვალება მოჰყვება, სიცოცხლის ხელყოფა თავისთავად აყენებს მშობელს მნიშვნელოვან მორალურ ტკივილს. შესაბამისად, ეს წარმოშობს განგრძობად უარყოფით განცდებსა და სტრესს. მოცემულ შემთხვევაში მშობელს შეუძლია, მოითხოვოს საკუთარი სულიერი მდგომარეობის ხელყოფის გამო მორალური ზიანის ანაზღაურება. ეს დაზარალებულს (მშობელს) ვერ აღუდგენს შელახვამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მაგრამ შეუმსუბუქებს არაქონებრივი სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვას. ამიტომ სასამართლომ შვილის გარდაცვალებით დამდგარი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დააკმაყოფილა.²²

გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვაზე უფლებამოსილი სუბიექტები

კანონი დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვონ გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვა. ასეთი უფლებით სარგებლობის უფლება შეიძლება გააჩნდეს მეუღლეს, მშობლებს, შვილებს, დებს, ძმებს, მემკვიდრეს, ასევე მეგობრებს, ანუ იმ პირებს, რომლებსაც მიადგათ ფსიქიკური ან ზნეობრივი ტანჯვა.²³ ნ. ბარაბაძის აზრით, დაინტერესებულ პირს მიეკუთვნება გარდაცვლილის მემკვიდრე, რომელიც პირის გარდაცვალების შემდეგ განკარგავს მის ქონებას, ასევე მეგობრები, თუ გარდაცვლილს არ ჰყავს ნათესავები. ავტორი აუცილებლობად არ მიიჩნევს და-

19 დოლონაძე, ლ., 20210. მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 2010, 174-175, 181.
20 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის №ს-593-568-2016 გადაწყვეტილება.
21 Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, [19.07.2018], ECHR, App. №58240/08.

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის №ს-1800-2019 გადაწყვეტილება.
23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის №ს-649-615-2015 გადაწყვეტილება.

ინტერესებულ პირთა განსაზღვრას და მიაჩნია, რომ ასეთი პირი ყოველ კონკრეტულ საქმეზე სხვადასხვა შეიძლება იყოს.²⁴

საავტორო სამართალში გარდაცვლილი ავტორის რეპუტაციის უფლების დაცვას ახორციელებენ ავტორის მემკვიდრეები ან პირი, რომელსაც ავტორმა დადგენილი წესით დაცვის უფლება დააკისრა. ამგვარი პირის ან მემკვიდრეთა არყოფნის შემთხვევაში კი, დაცვის უფლებას სპეციალურად უფლებამოსილი ორგანო ახორციელებს. აქედან გამომდინარე, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლება არ წყვეტს მოქმედებას მისი გარდაცვალების შემდეგ. რაც შეეხება მორალური ზიანის კომპენსაციას, ამაზე სსკ-ის მე-19 მუხლი შეიცავს იმპერატიულ დანაწესს: სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.²⁵ გარდაცვლილის პირადი უფლებების შელახვისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაუშვებლობა გამომდინარეობს არაქონებრივი ზიანის არსიდან, რადგან ეს ზიანი პირად ხასიათს ატარებს და თითოეული ასეთი შემთხვევა მხოლოდ სუბიექტური აღქმის საგანს წარმოადგენს. ასეთი ჩანაწერია „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონშიც.²⁶

ამასთან, საყურადღებოა, რომ თუ ახლოებული ესწრება დაზარალებულისთვის ზიანის მიყენების ფაქტს, რამაც გამოიწვია მის მიმართ სულიერი და ფიზიკური ტანჯვა, მას, დაზარალებულისაგან დამოუკიდებლად, წარმოეშობა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.²⁷ ამ დროს ეს პირი თვითონ ხდება ამ ზიანის ანაზღაურე-

ბის მოთხოვნის უფლების დამოუკიდებელი სუბიექტი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ავტორის პირად არაქონებრივ და სამოქალაქო კოდექსით დაცულ პიროვნულ უფლებებს შორის უფლებათა განხორციელებისა და დაცვის თვალსაზრისით ვლინდება. სსკ-ის მე-18 მუხლით დაცული უფლებები გადაუცემადი უფლებებია. მათი არა განხორციელების, არამედ დაცვის უფლება გააჩნია უფლების სუბიექტს. სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლებები არ შეიძლება იყოს დათმობილი. სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, გარანტირებულია პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ. კერძოდ, მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია დაიცვას იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. ამავე მუხლის თანახმად, სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.²⁸

რაც შეეხება საავტორო უფლებებს, სამოქალაქო კოდექსით დაცული პიროვნული უფლებებისგან განსხვავებით, ისინი მემკვიდრეებზე შეიძლება გადავიდეს არა მხოლოდ დაცვის, არამედ განხორციელების უფლებითაც. „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, თუ ავტორის მიერ მის სიცოცხლეში სხვა რამ არ იყო განსაზღვრული მისი პირადი უფლებებიდან მემკვიდრეობით გადადის უფლება, ნება დართოს სხვა პირებს დაურთონ ნაწარმოებს სხვა ავტორთა ნაწარმოებები (ილუსტრაცია, წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, კომე-

24 ბარაბაძე, ნ., 2012. მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბ., გვ. 101-103.

25 მონიავა, პ., 2013. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გვ. 307-311.

26 ჯორბენაძე, ს., 2017. მუხლი 19, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბ., გვ. 157.

27 ბარაბაძე, ნ., 2006. მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, გვ. 101.

28 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 19.

ნტარი, განმარტება და სხვა). აღნიშნული უფლება მემკვიდრეებზე გადადის საავტორო უფლების მოქმედების ვადით. ამასთან, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ავტორს უფლება აქვს მიუთითოს პირი, რომელსაც ის ნიშნავს ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებების დამცველად. ეს პირი თავის მოვალეობას ასრულებს ავტორის გარდაცვალებამდე. სსკ-ის მე-18 მუხლი არ შეიცავს ამგვარ დანაწესს, თუმცა შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ამ შემთხვევაში მესამე პირების მიერ პიროვნული უფლებების დაცვა მოხდება წარმომადგენლობის მარეგულირებელი უფლებების შესაბამისად. ამდენად, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები დამოუკიდებელ ადგილს იკავებს პირად არაქონებრივ უფლებათა სისტემაში, მიუხედავად მათი მსგავსებისა, სსკ-ის მე-18 მუხლით რეგულირებულ პიროვნულ უფლებებთან. მისი დაცვა საავტორო სამართლის ნორმებით უნდა მოხდეს.²⁹

გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვის ფორმები

გარდაცვლილის პირადი სფეროს დაცვის საშუალებების შესახებ ორი ძირითადი თეორია არსებობს: პირველი ეფუძნება სახელშეკრულებო სამართალს, მეორე კი – საკუთრების უფლებას. ხელშეკრულების შესახებ თეორია მოიაზრებს შეთანხმებას მომსახურების პირობებზე, რომლებსაც მომხმარებლები იყენებენ, რათა განსაზღვრონ გარდაცვლილის პირად ცხოვრებაზე უფლების დაცვის ფარგლები. საკუთრების თეორია ამოწმებს, დაიშვება თუ არა გარდაცვლილი მომხმარებლის ციფრული აქტივების დამუშავება ისევე, როგორც უძრავი ქონება გარდაცვალების შემდეგ. თუმცა იკვთება, რომ ეს ზომები საკმარისი არაა გარდაცვლილის პირადი უფლებების

ეფექტიანი დაცვისთვის. სასამართლომ უნდა გამოიყენოს დელიქტური სამართლის ნორმები გარდაცვლილის პირადი სფეროების დაცვის მიმართ მისი ციფრული აქტივების უზრუნველსაყოფად. მოცემულ შემთხვევაში დელიქტური სამართლით შესაძლებელია გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვის გაფართოება.³⁰

ცოცხალი ადამიანის მსგავსად, გარდაცვლილ პირსაც სჭირდება პირადი უფლებების დაცვა. დადგენილია გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვის სამართლებრივი ფორმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ხელყოფილი სადავო უფლების აღიარება ან აღდგენა და სამართალდარღვევაზე ზემოქმედება. განასხვავებენ პირადი უფლებების დაცვის შემდეგ ფორმებს: ა) უფლების აღიარება, ბ) ხელყოფი მოქმედების შეწყვეტა, გ) ზიანის ანაზღაურება. თუმცა გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დაცვა შეზღუდულია გარკვეული ფარგლებით, ვინაიდან პირი გარდაცვლილია და არაქონებრივი ზიანი პიროვნული უფლებების ხელყოფით გამოწვეული ზიანია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ ამ უფლებათა სუბიექტს.³¹

სსკ-ის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, პირს, ვისი პირადი უფლებებიც შეილახა, ანიჭებს შესაძლებლობას, სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომელიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, საქმიან რეპუტაციას.³² თუ პირადი ცხოვრების შეურაცხყოფელი ცნობების გავრცელება მოხდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, უარყოფაც ამავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებით უნდა მოხდეს. თუ ცნობების გამავრცე-

29 საჯაია, ლ., 2014, ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., გვ. 109.

30 Chu, N., 2015. Protecting Privacy after Death, 13 Northwestern Journal of Technology and intellectual property, Vol.13, Iss.2, p. 255.

31 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაჭრობის საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (№3კ-1218-01).

32 თოდუა, მ., ქურდაძე, შ., 2005. ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბ., გვ. 46-47.

ლებელი პირი ვერ დაამტკიცებს იმას, რომ გავრცელებული ცნობები სინამდვილეს შეესაბამება, შესაძლებელია, უარყოფასთან ერთად დადგეს მიყენებული ზარალისა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი. უარყოფის შესახებ მოთხოვნა არ წარმოიშობა, თუ გავრცელებული ცნობები შეესაბამება სინამდვილეს. შეურაცხმყოფელი ცნობების გავრცელებისას დასაშვებია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენობა მცირდება, თუ გამოთქმული აზრის უარყოფა მოხდება საჭაროდ.³³

გარდა ამისა, გარდაცვლილის უფლების დარღვევისათვის უფლების დაცვის ფორმად უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება ამ უფლების ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მასზე უარის თქმა, რაც დაზარალებულის უფლების აღდგენისაკენაა მიმართული. ხელმყოფი მოქმედების ჩადენისაგან თავის შეკავება დროებითი განკარგულებაა. ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოთხოვნა მიმართულია მიმდინარე დარღვევის წყაროების ლიკვიდაციისაკენ.³⁴

რაც შეეხება დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურებას, როგორც უკვე აღინიშნა, დელიქტური სამართლის გამოყენება გააფართოებს პირადი უფლებების დაცვას, მაგრამ, ვფიქრობ, ეს დიდი სიფრთხილით და სპეციფიკურ შემთხვევებში უნდა განხორციელდეს.

ზოგადად, პირადი უფლებებისთვის მიყენებული ზიანი შეიძლება იყოს ქონებრივი და არაქონებრივი. პირს, რომლის ქმედებამაც გამოიწვია დაზარალებულისათვის ფიზიკური და სულიერი ტკივილის მიყენება, ეკისრება ზიანის ანაზღაურება.³⁵ მორალურია ზიანი, რომელიც ლახავს პირის სახელს, საქმიან რეპუტაციას, პირად ცხოვრებას და ა.შ. რუსეთის კანონმდებლობით მორალურ ზიანს უთანაბრდება ისეთი ზი-

ანი, რომელიც გამოწვეულია ახლობლის დაღუპვით, სამსახურის დაკარგვით, საექიმო საიდუმლოების გაცემით.³⁶ ამასთან, რუსეთის სამოქალაქო კანონმდებლობა მიუთითებს, რომ ზიანის ანაზღაურება პირს შეიძლება დაეკისროს დაზარალებულის მოთხოვნის წარდგენისას ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე.³⁷

ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოვალეობა არ წარმოიშობა მაშინ, როდესაც ზიანი მიადგა პირის სახელს, პატივსა და ღირსებას გარდაცვალების შემდეგ. სსკ-ის მე-19 მუხლიდან გამომდინარე, გარდაცვალების შემდეგ შესაძლებელია პირადი უფლებების დაცვა, თუმცა დაუშვებელია არამატერიალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა. მართალია, კანონმდებელი იცავს პიროვნულ უფლებებს გარდაცვალების შემდეგ და მოიხსენიებს მხოლოდ სახელსა და პირადი ღირსების უფლებას, მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს სხვა პიროვნული უფლებების დაცვის უგულებელყოფას. მოცემულ შემთხვევაში მთავარია, რომ პირადი ღირსების უფლება ფართოდ განიმართოს.³⁸ თუ შევუდარებთ გერმანიის კანონმდებლობას, ცხადია, რომ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო გარდაცვლილი პირის პიროვნული უფლებების დაცვას გერმანიის ძირითადი კანონის 1-ელი მუხლით განმტკიცებული ადამიანის ღირსებით ხსნის.³⁹

სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ამდენად, გამორიცხულია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობა, თუ კანონით პირ-

33 ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბ., გვ. 230-233.

34 იქვე, გვ. 197-199, 227-229.

35 რუსეთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება (№ 2-115/2015).

36 Кулешов, Г.В., 2003 г., Возмещение вреда, причиненного жизни и здоровью военнослужащего, Волгоград, стр. 124-129.

37 რუსეთის ფედერაციის კრასნოიარსკის კირლევსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება (№2-1070/2011).

38 კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბ., გვ. 159.

39 BVerfG, NJW, 1971, S.1645-1647.

დაპირ არ არის ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება დადგენილი.⁴⁰ საინტერესოა სსკ-ის 1006-ე მუხლი შინაარსიც, რომელიც შეეხება ზიანის ანაზღაურებას დაზარალებულის გარდაცვალებისას. კანონით ამ შემთხვევაში ზიანის მიმყენებელი ვალდებულია, სარჩოს დაწესებით აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა,⁴¹ თუ არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი. ანუ უნდა არსებობდეს მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ პირი, რომელიც ითხოვს სარჩოს, ნამდვილად იყო შრომისუუნარო და იმყოფებოდა გარდაცვლილის კმაყოფაზე. სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ფინანსური ანაზღაურება. მართალია, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას სხვადასხვა შემთხვევაში, მათ შორის სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების დროს, მაგრამ არა სიცოცხლის ხელყოფისას. დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ მატერიალური ზიანი (სსკ-ის 1006-ე მუხლი).⁴² ფაქტობრივად ეს იდეა ასახული სსკ-ის მე-19 მუხლშიც, რომლითაც პირადი არაქონებრივი უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც თუმცა თვითონ არაა სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი.⁴³ მას უფლება აქვს, მოითხოვოს სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების გან-

მსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. თუმცა გარდაცვალების შემდეგ პირადი უფლებების დასაცავად აკრძალულია მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა.⁴⁴

თუ სსკ-ის 1006-ე მუხლს ისე გავიგებთ, რომ სარჩენს შეუძლია მოითხოვოს მარჩენალის გარდაცვალებით მიყენებული არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, მაშინ იქ, სადაც კანონმდებელი უთითებს ზიანის ანაზღაურებაზე, მოვიაზრებდით არაქონებრივ ზიანსაც, რაც არასწორია და აზრს უკარგავს სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ელი ნაწილის არსებობას. შესაბამისად, თუ ნორმაში აღნიშნულია მხოლოდ „ზიანის ანაზღაურება“ და არაა საუბარი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე, იგულისხმება მატერიალური ზიანი. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს თავად ამ უფლების სუბიექტს, სხვა პირი მოკლებულია შესაძლებლობას, მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება.⁴⁵

ამდენად, დაზარალებულის გარდაცვალების შემდეგ არაქონებრივი ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელია იმიტომ, რომ გარდაცვლილი ადამიანი ფიზიკურად არ არსებობს და სხვას არ შესწევს უნარი, განსაზღვროს, რა სახის იყო უშუალოდ დაზარალებულისთვის მიყენებული პირადი ზიანი. ამასთან, გარდაცვლილი არ შეიძლება იყოს უფლება-მოვალეობების სუბიექტი და, შესაბამისად, ამ ასპექტში შეუძლებელია უფლებამონაცვლეობის სახით შესაბამისი მოთხოვნის დაყენება.⁴⁶

ის ფაქტი, რომ ადამიანის ჯანმრთელობა ზიანდება ახლობლის გარდაცვალებით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის

40 ცისკაძე, მ., 2008. სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, გვ. 17.
 41 მაჭარაშვილი, ო., 2000. დელიქტები საერთაშორისო სამართალში, ჟურნალი „ალმანახი“, №15, გვ. 20-22.
 42 Бичия, М., 2016. Основания и объем возмещения вреда понесенного в случае смерти кормильца (Обзор судебной практики Грузии), «Южнокавказский Юридический Журнал», №7, стр. 130.
 43 კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზღოვანების სისტემური ცნებები, თბ., გვ. 159-160.

44 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაჭრობის საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (№3კ-1218-01).
 45 ბიჭია, მ., 2016. დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №4, გვ. 51-52.
 46 ჯორბენაძე, ს., 2017. მუხლი 19, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბ., გვ.158.

საფუძველია, რადგან ჯანმრთელობის დაზიანებას შეძლება მოჰყვეს პირის სულიერი კეთილდღეობის დაკარგვა. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება,⁴⁷ რომლის მიხედვითაც განიმარტა, რომ დედამ შვილის ცხედრის პირველად ნახვისას განიცადა სულიერი ტკივილი. ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის შვილის ცხედრის ადგილსამყოფლის არცოდნა ნეგატიურად მოქმედებს დედის ჯანმრთელობაზე და მას მოჰყვება სულიერი ტანჯვა. ეს, თავის მხრივ, საფუძველია იმისა, რომ, სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოხდეს უშუალოდ დედის პირადი სიკეთის (ჯანმრთელობის) ხელყოფის გამო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.⁴⁸

დელიქტური სამართლის როლი გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვაში

აქტუალურია ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი პირადი მონაცემების დაცვის საკითხი, მით უფრო, ციფრულ ეპოქაში. გავრცელებულია ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მის პირად აქტივზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ გარეგნობა, რომელიც გულისხმობს ადამიანის გარდაცვალებისას მისი პირადი მონაცემების დასაცავად ციფრული აქტივების თაობაზე კერძო ხელშეკრულებების გაფორმებას. თუმცა ანდერძი ასეთ საკითხზე მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება იყოს საკმარისი გარდაცვლილის პირადი უფლებების დასაცავად.⁴⁹ ამიტომ, გარდაცვლილის პიროვნული უფლებების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სხვა,

უფრო ეფექტური მექანიზმების მოძიება-გამოყენება.

ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვაში მნიშვნელოვანი როლი აქვს დელიქტურ სამართალს. გარდაცვლილის სახელის, პატივის, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, საკუთარი გამოსახულების უფლების ხელყოფის საფუძველზე წარმოშობილი დელიქტური ვალდებულების დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ ამ სიკეთეთა „მფლობელ“ უფლებამოსილ პირებს. ამ კუთხით საყურადღებოა 1006-ე მუხლი, რომელიც ეხება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. მოცემულ შემთხვევაში ხელმყოფი ვალდებულია სარჩოს დაწესებით აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. შესაბამისად, ეს ზიანი გამოიხატება სარჩოს მიღებაში და გამოიყენება მატერიალური დახმარების ნაცვლად. აქ შესაძლებელია იგულისხმებოდეს დაკრძალვის ხარჯები. თუ დაზარალებულის გარდაცვალებას მოჰყვება მისი ახლობლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ეს პირი იქცევა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უფლების დამოუკიდებელ სუბიექტად. ამ შემთხვევაში მას უფლება აქვს, სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რადგან ეს მუხლი გამოიყენება მაშინ, როდესაც ადამიანს მიადგება ზიანი სხვისი მართლსაწინააღმდეგ და ბრალეული ქმედებით.⁵⁰

ზოგადად, პირადი უფლებების ხელყოფისას შეიძლება წარმოიშვას არაქონებრივი ზიანიც, რომლის ანაზღაურების ფუნქციებს წარმოადგენს: საკომპენსაციო, პრევენციისა და (მორალური) დაკმაყოფილების ფუნქციები. კომპენსაციის ფუნქცია გულისხმობს განცდილი ტანჯვის შემსუბუქებას. ცხადია, ამ შემთხვევაში კომპენსაცია არაა დამდგარი ზიანის ეკვი-

47 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება (№ას-979-940-2014).

48 Bichia, M., 2016. Analysis of Georgian Judicial Practice on the Grounds and Scope of Compensation of Damages Incurred by the Death of a Breadwinner, South Caucasus Law Journal, N7, 283-284.

49 Natalie M. Banta. 2016. Death and Privacy in the Digital Age, North Carolina Law Review, Vol. 94, 927.

50 ბიჭია, მ., 2016. დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №4, გვ. 49-53.

ვალენტური, რადგან აქ არ მოქმედებს ეკვივალენტურობის პრინციპი, თუმცა ზიანის ანაზღაურება შესაძლოა, აუცილებელი იყოს და სიმბოლურ დატვირთვას ატარებდეს. ესეც მოიაზრებს ისეთ შემთხვევას, როდესაც დაზარალებულის გარდაცვალებით დადგა სხვა ადამიანის (ახლობლის, მემკვიდრის) ძლიერი სულიერი ტკივილი. ამასთან, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ანაზღაურების ოდენობაც შედარებით ნაკლები იქნება, ვიდრე მაშინ, როდესაც დაზარალებული სიცოცხლეში მოითხოვდა პირადი უფლებების ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. კომპენსაციაც, თავის მხრივ, მოემსახურება სატიფაქციის ფუნქციის განხორციელებას, რადგან ასრულებს მორალური დაკმაყოფილების როლს. შესაბამისად, ამ პირობებში სიმბოლური ანაზღაურება დაზარალებულის უფლების ხელყოფისას გადატანილი სულიერი ტკივილის „გამართლებას“ უწყობს ხელს. გარდა ამისა, ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო პრაქტიკაში პრევენციის ფუნქცია ყოველთვის იყო წინა პლანზე. საქმე ისაა, რომ დარღვევაზე რეაგირება ზიანის ანაზღაურების სახით როგორც ზოგადად, ისე კერძო პრევენციას მოემსახურება.⁵¹

იურიდიულ ლიტერატურაში „ანაზღაურებას“ გამოიყენებენ ზარალის არსებობისას, ხოლო „კომპენსაციის“ საგნად განიხილავენ არაქონებრივ ზიანს, ვინაიდან მას ფულადი ეკვივალენტი არ მოეძებნება. ამასთან, ანაზღაურებისას ხდება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, კომპენსაციის მიზანი კი არის მიყენებული ტკივილის შერბილება, ხელყოფით განპირობებული განცდების გაქარწყლება-შემსუბუქება.⁵²

ამავე დროს, საყურადღებოა, რომ ქონებრივი ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ პიროვნული სიკეთეების შელახვისას არის შესაძლებელი, რომლებიც სსს-ის მე-18 მუხლით არის გათვალისწინებული.⁵³ სსკ-ის 992-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ დელიქტურია ისეთი ზიანი, რომელიც მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებითაა გამოწვეული. შესაბამისად, ისინი არასახელშეკრულებო ხასიათისაა და უზრუნველყოფენ მატერიალური და მორალური ზიანის მიღების შესაძლებლობას.⁵⁴ ამ მუხლის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავიცვათ ისეთი უფლებები, რომელიც პირდაპირ არ არის კანონში ასახული. სსკ-ის 992-ე მუხლი იძლევა შესაძლებლობას, დაცულ იქნეს ის პიროვნული სიკეთეები, რომლებიც უშუალოდ სსკ-ის მე-18 მუხლით არაა გათვალისწინებული. შესაბამისად, საქართველოში ზოგადი პიროვნული უფლებების დაცვა შესაძლებელია დელიქტური სამართლის ნორმებისა და სსკ-ის მე-18 მუხლის გამოყენებით. ამდენად, მართალია, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გარდაცვალების შემდეგ დაუშვებელია, მაგრამ გარდაცვლილის ახლობელს შეუძლია იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც უშუალოდ მას (როგორც ახლობელს) მიადგა. თუ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით ზიანი მიადგა გარდაცვლილის პიროვნულ უფლებებს, რომლებიც კონკრეტულად არაა ჩამოთვლილი რომელიმე მუხლში, მასზე შეიძლება გავრცელდეს 992-ე მუხლი. ამ გზით არაპირდაპირ გარდაცვლილის პიროვნული უფლებებიც იქნება დაცული.⁵⁵

აქედან გამომდინარე, დიდია დელიქტური სამართლის როლი გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვის შემთხვევებში.

51 ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, გვ. 189-197.

52 Басманова, Н.К., 2008. Сущность и особенности возникновения правоотношений возмещения и компенсации, Автореферат на соискание ученой степени кандидата юридических наук, Иркутск, стр. 10; ბიჭია, მ., 2017. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის

რამდენიმე თავისებურება სამოქალაქო პროცესში, ჟურნალი „სპექტრი“, 72.

53 ნინიძე, თ., 2002. პირადი არაქონებრივი უფლებები. სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბ., გვ. 71.

54 მონიავა, პ., 2013. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., გვ. 291.

55 ბიჭია, მ., 2016. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბ., გვ. 211-213.

სსკ-ი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახი ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის გარდაცვალება. ამასთან, შეიძლება გარდაცვალების შემდეგ მოხდეს ადამიანის (რომელიც უკანონოდ იყო პასუხისმგებაში მიცემული, ან უკანონოდ მსჯავრდადებული (სსკ-ის 1005-ე მუხლი)) რეაბილიტაცია. გარდაცვლილის ნაცვლად, მისი ახლობელი მოკლებულია მორალური ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურების შესაძლებლობას. არადა, ამ სიტუაციაში, ლოგიკურად შეიძლება გარდაცვლილის ახლობლის თუ მემკვიდრის სახელისა და რეპუტაციის შელახვაც წარმოიშვას. ამიტომ მიზანშეწონილია, მოცემულ შემთხვევაში გარდაცვლილის ოჯახის წევრს, ახლობელს ან გარდაცვლილის კმაყოფაზე მყოფ პირებს მიეცეს შესაძლებლობა, დაიცვას უშუალოდ საკუთარი სახელი და რეპუტაცია მორალური ზიანის ანაზღაურების გზით, ეს კი ირიბად გარდაცვლილის სახელის დაცვასაც ივარაუდებს.

დასკვნა

კვლევამ დაადასტურა, რომ გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვა სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. ესაა დაცვითი ურთიერთობების სისტემაში განსახილველი საკითხი და გულისხმობს დელიქტური სამართლის ნორმების გაგრძელებას პირადი ინტერესების უზრუნველყოფისთვის. მართალია, პირადი უფლებების სუბიექტი მოცემულ შემთხვევაში ცოცხალი არაა, მაგრამ, მის ნაცვლად, სხვა ახორციელებს მისი პიროვნული უფლებების დაცვას, კერძოდ, ის, ვისაც გარდაცვლილის უფლებების დაცვის კანონიერი ინტერესი გააჩნია და ვისთვისაც მნიშვნელოვანია გარდაცვლილის სახელი და ღირსება. განსაკუთრებულია ის, რისთვისაც ადამიანმა მთელი სიცოცხლის განმავლობაში იღვანა, შესაბამისად, საჭიროებს დაცვასა და გაფრთხილებას.

კანონი პრაქტიკაში ვიწროდ განიმარტებოდა, რის გამოც ადამიანის გარდაცვალების შემდეგ იკრძალება არამატერიალური ზიანის ქონებრივი ფორმით ანაზღაურება. ეს მიდგომა ახსნილია იმით, რომ გარდაცვლილის პირადი უფლებების შელახვისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებელია, არაქონებრივი ზიანის პირადი ხასიათის გათვალისწინებით. საქმე ისაა, რომ გარდაცვლილი პირის მაგივრად, სხვა ვერ მოითხოვს გარდაცვლილის პირადი უფლებების ხელყოფისთვის მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებას, რადგან ეს ვიწრო, პირად ხასიათს ატარებს. თითოეული ასეთი შემთხვევა მხოლოდ სუბიექტური აღქმის საგანს წარმოადგენს, ეს სუბიექტი კი უკვე გარდაცვლილია. საქართველოს სასამართლო პრაქტიკას ამ მიდგომას იზიარებს.

რაც შეეხება სსკ-ის მე-19, 413-ე და 1006-ე მუხლებს, მათი შეჭერებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ადამიანის გარდაცვალების შემდგომ დაუშვებელია მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურება. სსკ-ის 1006-ე მუხლის თანახმად, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია, სარჩოს დაწესებით აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა მანამ, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. ცხადია, რომ მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია სსკ-ის 992-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის ზოგადი საფუძვლების არსებობა. თუ გადავხედავთ სასამართლო პრაქტიკას, აქ აღინიშნება, რომ პირის გარდაცვალებისას რეალურად შეიძლება დადგეს მორალური ზიანი, მაგრამ თუ კანონით არაა გათვალისწინებული, იგი არ ანაზღაურდება (სსკ-ის 413-ე მუხლის I ნაწილი).

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება შეიძლება ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად გამოწვეული სულიერი თუ ფსიქიკური ტანჯვის გამოწვევისას. ამასთან, ახლობელი ვერ მოითხოვს უშუალოდ გარდაცვლილის პირადი სიკეთის შელახვით დამდგარი მორალური ზიანის ანაზღაურებას, ვინაიდან ეს თავად დაზა-

რალეხულის პრეროგატივა და უნდა განხორციელდეს მის სიცოცხლეში, დაზარალებული კი გარდაცვლილია. თუმცა, როცა ადამიანის გარდაცვალება განაპირობებს ახლობლის ჯანმრთელობის ხელყოფას, ამ შემთხვევაში ახლობელი თავად ხდება დამოუკიდებელი მოთხოვნის სუბიექტი და მას შეუძლია იდავოს თავისი ჯანმრთელობის (და არა გარდაცვლილის სიკეთის) ხელყოფის გამო სასამართლოში. ამისათვის ის უფლებამოსილია, ასევე, გამოიყენოს სსკ-ის 992-ე მუხლი. ამ თვალსაზრისით, პრაქტიკაში გაჩნდა მორალური ზიანის ანაზღაურების ნიშნებიც. მოცემულ შემთხვევაში შეიძლება ირიბად ივარაუდებოდეს გარდაცვლილის პიროვნული უფლებების დაცვაც.

მიუხედავად ამისა, გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვა შეიძლება ისეთი საშუალებებით, როგორცაა: ხელმოწერილი მოქმედების შეწყვეტა, უფლების აღიარება, უარყოფა. თუმცა დგას საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად საკმარისად უზრუნ-

ველყოფს ეს ამ შემთხვევაში პიროვნების ეფექტიან დაცვას. პრობლემა უფრო აქტუალურია, როცა დაზარალებულს უკანონოდ მსჯავრი დაედო, გარდაიცვალა და შემდეგ რეაბილიტირებულ იქნა. რეაბილიტაციის ერთ-ერთი კომპონენტია კომპენსაცია და მდგარი მორალური ტანჯვისთვის, თუმცა ვინაიდან დაზარალებული უკვე ცოცხალი არაა, ეს გამორიცხულია, ახლობელს ან მემკვიდრეს არ დაუკმაყოფილდება ასეთი მოთხოვნა სასამართლოში. არადა ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ უკანონო მსჯავრდებით შეიძლება გარდაცვლილის მემკვიდრის სახელი და რეპუტაცია იყოს შელახული. შესაბამისად, მოცემულ სიტუაციაში მიზანშეწონილია, მემკვიდრემ საკუთარი სახელისა და რეპუტაციის ხელყოფისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, რაც ირიბად გარდაცვლილის პირადი უფლებების დაცვასაც მოემსახურება. ამის გარეშე, ვფიქრობ, რეაბილიტაციის მიზანი სრულად ვერ შესრულდება.

ბიბლიოგრაფია:

1. ბარაბაძე, ნ., 2006. მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2
2. ბარაბაძე, ნ., 2012. მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბილისი
3. ბიჭია, მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი
4. ბიჭია, მ., 2014. ღირსების სამოქალაქო სამართლებრივი ცნების მოცულობა, თსუ-ის „სამართლის ჟურნალი“, №2
5. ბიჭია, მ., 2016. დაზარალებულის გარდაცვალებისას ზიანის ანაზღაურების პრობლემა, ჟურნალი „სამართალი და მსოფლიო“, №4
6. ბიჭია, მ., 2016. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი
7. ბიჭია, მ., 2017. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქო პროცესში, ჟურნალი „სპექტრი.“
8. დოლონაძე, ლ., 2010. მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი
9. თოდუა, მ., ქურდაძე, შ., 2005. ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი, საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია, თბილისი

10. კერესელიძე, დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი
11. მაჭარაშვილი, ო., 2000. დელიქტები საერთაშორისო სამართალში, ჟურნალი „ალმანახი“, №15
12. მონიავა, პ., 2013. შესავალი სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი
13. მონიავა, პ., 2009. პერსონალური მონაცემების მიღების უფლება სამოქალაქო სამართალში, ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, №2(6)
14. მონიავა, პ., 1999. პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის სამართლებრივი პრობლემები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი
15. ნინიძე, თ., 2002. პირადი არაქონებრივი უფლებები. სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბილისი
16. საჭაია, ლ., 2014. ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი
17. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 19
18. სტურუა, ნ., 2012. ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, თსუ-ის „სამართლის ჟურნალი“, №1
19. ცისკაძე, მ., 2008. სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2
20. ჩიკვაშვილი, შ., 2000. მემკვიდრეობის სამართალი, თბილისი
21. ჭორბენაძე, ს., 2017. მუხლი 19, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება (№3კ-1218-01)
23. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილება (№ას-979-940-2014)
24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 სექტემბრის №ას-649-615-2015 გადაწყვეტილება
25. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 20 თებერვლის №ას-1800-2019 გადაწყვეტილება
26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის №ას-593-568-2016 გადაწყვეტილება
27. რუსეთის ფედერაციის კრასნოიარსკის კიროვსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება (№2-1070/2011)
28. რუსეთის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება (№2-115/2015)
29. Басманова, Н. К., 2008. Сущность и особенности возникновения правоотношений возмещения и компенсации, Автореферат на соискание ученой степени кандидата юридических наук, Иркутск
30. Бичия, М., 2016. Основания и объем возмещения вреда понесенного в случае смерти кормильца (Обзор судебной практики Грузии), «Южнокавказский Юридический Журнал», №7
31. Кулешов, Г.В., 2003), Возмещение вреда, причиненного жизни и здоровью военнослужащего, Волгоград

32. Bichia, M., 2016. Analysis of Georgian Judicial Practice on the Grounds and Scope of Compensation of Damages Incurred by the Death of a Breadwinner, South Caucasus Law Journal, N7
33. Chu, N., 2015. Protecting Privacy after Death, 13 Northwestern Journal of Technology and intellectual property, Vol.13, Iss.2
34. Hocks, A., 2012. The Right to Publicity After Death: Postmortem Personality Rights in Washington in the Wake of Experience Hendrix v. HendrixLicensing.com, Seattle University Law Review. Law Review, Vol. 36
35. Natalie M. Banta (2016. Death and Privacy in the Digital Age, North Carolina Law Review. Vol. 94
36. BVerfG, NJW, 1971,S.1645-1647
37. Ciorap v. Moldova, 19/07/2007, ECHR, App. No. 12066/02
38. Gäfgen v. Germany, 01/07/2010, ECHR, App. No 22978/05
39. Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, [19.07.2018], ECHR, App. №58240/08

ISSUES OF PROTECTION OF PERSONAL RIGHTS AFTER THE DEATH OF THE VICTIM IN CIVIL LAW

Mariam Dolidze

Master of law, Senior Specialist at City Hall Economy and Property Management Service of Chkhorotsku Municipality

KEYWORDS: Dead, Personal Rights, Protection

ABSTRACT

The protection of personal human rights is especially important after the death of the victim.

First of all, it is necessary to determine what is meant by the personal rights of a person, what personal rights can be protected after the death of the victim, in order to determine what is meant by the protection of the personal rights of the deceased. Then it is necessary

to find out what the characteristics of a person are, by whom, how and in what form these rights are protected, and what harm can be caused by the violation of personal rights.

It is true that the violation of personal rights is not allowed by law, but, nevertheless, there are many facts around us when the personal rights of the deceased and the living are violated.

It is also desirable to protect personal rights acquired at birth from being violated by others both during the life and after the death of the victim. It is true that a person with

personal rights protects his life and can claim compensation for property and / or non-property damage, but after the death of the victim, the law prohibits relatives or friends of the deceased from claiming compensation. for moral damage in violation of these rights. However, if a person was rehabilitated after his / her death, but the unlawful condemnation of the victim or other illegal legal actions damaged both the name and reputation of the heir, it is recommended to give the victim's heir the right to claim compensation for the damage directly caused to him.

NOTES:

1. Hocks, A., 2012. The Right to Publicity After Death: Postmortem Personality Rights in Washington in the Wake of Experience Hendrix v. HendrixLicensing.com, Seattle University Law Review, Vol. 36, 280. (in English)
2. Barabadze, N., 2012. Moral damage and the problem of its compensation, Tbilisi; Bichia, M., 2012. Protection of personal Life, in accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi; Moniava, T. (P.). (2013). Introduction to the General Part of Civil Law, Tbilisi, etc. (in Georgian)
3. Ninidze, T., 2002. Article 19 of the Civil Code, in the book: "Commentary on the Civil Code of Georgia", Vol. I, Tbilisi, p. 79. (in Georgian)
4. Bichia, M., 2012. Protection of personal Life, in Accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi, p. 249-250. (in Georgian)
5. ChikvaShvili, Sh. (2000). Inheritance law. Tbilisi. p. 6. (in Georgian)
6. Bichia, M., 2012. Protection of personal Life in Accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi, p. 248-249, 259. (in Georgian)
7. Bichia, M., 2016. Legal obligational relations (Handbook), pp. 184-187. (in Georgian)
8. Ciorap v. Moldova, 19/07/2007, ECHR, App. No. 12066/02. (in English)
9. Gäfgen v. Germany, 01/07/2010, ECHR, App. No 22978/05. (in English)
10. Bichia, M., 2014. Scope of Civil Legal Concept of Dignity (Analysis of Theory and Judicial Practice), TSU Journal of Law, №2, pp. 8-10. (in English)
11. Moniava, P., 1999. Legal Problems of Protection of Honor, Dignity and Business Reputation, Dissertation, Tbilisi, p. 34. (in Georgian)
12. Bichia, M., 2012. Protection of personal life, in accordance with the civil law of Georgia, Tbilisi, pp. 159-162. (in Georgian)
13. Moniava, P., 2013. Introduction to the General Part of Civil Law, Tbilisi, pp. 307-311. (in Georgian)
14. Moniava, P., 2009. The right to receive personal data in civil law, Journal of Life and Law, №2 (6), p. 16. (in Georgian)
15. Bichia, M., 2016. Legal Obligational relations (Handbook), Tbilisi, pp.

- 193-194. (in Georgian)
16. Moniava, P., 2013. Introduction to the General Part of Georgian Civil Law, Tbilisi, p. 186. (in Georgian)
 17. Sturua, N., 2012. Dissemination of property damage reports, TSU Journal of Law, №1, p. 152. (in Georgian)
 18. Bichia, M., 2012. Protection of personal Life, in accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi, pp. 254-258. (in Georgian)
 19. Dogonadze, L., 2010. Compensation for moral damage (doctoral dissertation), Tbilisi, 2010, 174-175, 181. (in Georgian)
 20. Decision of the Chamber of Civil Cases of the Supreme Court of Georgia NAS-593-568-2016 of July 14, 2017. (in Georgian)
 21. Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, [19.07.2018], ECHR, App. 8258240/08. (in English)
 22. Decision of the Chamber of Civil Cases of the Supreme Court of Georgia NAS-1800-2019 of February 20, 2020. (in Georgian)
 23. Decision of the Chamber of Civil Cases of the Supreme Court of Georgia, September 22, 2015 (N-as-649-615-2015). (in Georgian)
 24. Barabadze, N., 2012. Moral damage and the problem of its compensation, Tbilisi, pp. 101-103. (in Georgian)
 25. Moniava, P., 2013. Introduction to the General Part of Civil Law, Tbilisi, p. 307-311. (in Georgian)
 26. Jorbenadze, S., 2017. Article 19. Comentary on the civil code of Georgia, the book I. General provisions of the civil code, Tbilisi, p. 157. (in Georgian)
 27. Barabadze, N., 2006. Persons entitled to compensation for moral damages journal of people and the constitution, №22, p. 101. (in Georgian)
 28. Civil Code of Georgia, Article 19. (in Georgian)
 29. Sajaia, L., 2014. Personal non-property rights of the author, dissertation. Tbilisi, p. 109. (in Georgian)
 30. Chu, N., 2015. Protecting Privacy after Death, 13 Northwestern Journal of Technology and intellectual property, Vol.13, Iss.2, p. 255. (in English)
 31. Decision of the chamber of civil Entrepreneurship and control of the supreme court of Georgia, april 24, 2002. (№3k-1218-01). (in Georgian)
 32. Todua, M., Kurdadze, Sh., 2005. Peculiarities of decision-making in a separate category of civil cases, Georgian Judges Association, Tbilisi. pp. 46-47. (in Georgian)
 33. Bichia, M., 2012. Protection of personal Life, in accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi, pp. 230-233. (in Georgian)
 34. Ibid, pp. 197, 199, 227-229. (in Georgian)
 35. Russian Civil law Judgment, 5 February. 2015. (№ 2-115/2015). (in Russian)
 36. Kuleshov, G.V., 2003, Compensation for harm caused to the life and health of a serviceman, Volgograd, pp. 124-129. (in Russian)
 37. Judgment of the Kirovsky District Court of Krasnoyarsk, Russian federation, 2011. 23 May. (№2-1070/2011). (in Russian)
 38. Kereselidze, D., 2009. General systemic concepts of private law. Tbilisi. p. 159. (in Georgian)
 39. BVerfG, NJW, 1971, S. 1645-1647. (in German)
 40. Tsiskadze, M., 2008. The problem of non-pecuniary damage to the body in the legislation of Georgia. Journal of justice law. №2. P. 17. (in Georgian)

41. Macharashvili, O., 2000. Delects in international Law. Journal of Almanac, №15. p. 20-22. (in Georgian)
42. Бичия, М., 2016,. Основания и объем возмещения вреда понесенного в случае смерти кормильца (Обзор судебной практики Грузии). «Южнокавказский Юридический Журнал», N7, стр. 130. (in Russian)
43. Kereselidze, D., 2009. General systemic concepts of private law. Tbilisi. pp. 159-160. (in Georgian)
44. Decision of the chamber of Civil Enterepren ceurship and control of the supreme court of Georgia, 2002. 24 April. (№33-1218-01). (in Georgian)
45. Bichia, M., 2016. The problem of compensating the Damage in Case the death of Victim Occurs, Law and World, №4, pp. 51-52. (in Georgian)
46. Jorbenadze, S., 2017. Article 19. Comentary on the civil code of Georgia, the book I. General provisions of the civil code, Tbilisi, p. 158. (in Georgian)
47. Decision of the civil cases chamber of the supreme court of Georgia, of September 10. 2015. (in Georgian)
48. Bichia, M., 2016. Analysis of Georgian Judicial Practice on the Grounds and Scope of Compensation of Damages Incurred by the Death of a Breadwinner. South Caucasus Law Journal, №7, pp. 283-284. (in English)
49. Natalie M. Banta. 2016. Death and Privacy in the Digital Age, North Carolina Law Review, Vol. 94, 927. (in English)
50. Bichia, M., 2016. The problem of compensating the Damage in Case the death of Victim Occurs. Law and World, №4, pp. 49-52. (in Georgian)
51. Bichia, M., 2012. Protection of personal Life, in accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi. pp. 189-197 (in Georgian)
52. Basmanova, N.K., 2008. The essence and features of the emergence of legal relations of reimbursement and compensation, Abstract for the degree of candidate of legal sciences, Irkutsk, p. 10. (in Russian); Bichia, M., 2017. Several Features of Civil Procedure about Cases of Compensating Non-property Damages. Journal "Spektri", p. 72. (in Georgian)
53. Ninidze, T., 2002. Personal non-property rights. Ssc coment. Book I. Tbilisi. p. 71. (in Georgia)
54. Moniava, P., 2013. Introduction to the General part of Civil Law. Tbilisi. p. 291. (in Georgia)
55. Bichia, M., 2016. Legal Obligational Relations, Tbilisi, pp. 193-194. (in Georgian)

BIBLIOGRAPHY:

1. Barabadze, N., 2006. Persons entitled to compensation for moral damages, journal of "Human and the constitution", №2
2. Barabadze, N., 2012. Moral damage and the problem of its compensation, Tbilisi
3. Bichia, M., 2012 Protection of personal Life, in accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi
4. Bichia, M., 2014. Scope of Civil Legal Concept of Dignity (Analysis of Theory and Judicial Practice), TSU Journal of Law, №2
5. Bichia, M., 2016. The problem of Compensating the Damage in Case

- the Death of Victim Occurs, Law and World, №4
6. Bichia, M., 2016. Legal Obligational Relations, Tbilisi
 7. Bichia, M., 2017. Several Features of Civil Procedure about Cases of Compensating Non-property Damages. Journal "Spektri"
 8. Dogonadze, L., 2010. Compensation for moral damage (doctoral dissertation), Tbilisi
 9. Todua, M., Kurdadze, Sh., 2005. Peculiarities of decision – making in a separate category of civil cases Georgian Judges Association. Tbilisi
 10. Kereselidze, D., 2009. General systemic concepts of private law. Tbilisi
 11. Moniava, P., 2013. Introduction to the General Part of Civil Law, Tbilisi
 12. Moniava, P., 1999. Legal Problems of Protection of Honor, Dignity and Business Reputation, Dissertation, Tbilisi
 13. Ninidze, T., 2002. Personal non-property rights. Ssc coment. Book I. Tbilisi
 14. Sajaia, L., 2014. Personal non-property rights of the author, dissertation. Tbilisi
 15. ChikvaShvili, Sh., 2000. Inheritance law. Tbilisi
 16. Jorbenadze, S., 2017. Article 19. Comentary on the civil code of Georgia, the book I. General provisions of the civil code, Tbilisi
 17. Civil Code of Georgia, Article 19
 18. Macharashvili, O., 2000. Delects in international Law. Journal of Almanac, №15
 19. Moniava, P., 2009. The right to receive personal data in civil law, Journal of Life and Law, №2 (6)
 20. Sturua, N., 2012. Dissemination of property damage reports, TSU Journal of Law, №1
 21. Tsiskadze, M., 2008. The problem of non-pecuniary damage to the body in the legislation of Georgia. Journal of justice law. №2
 22. Decision of the chamber of civil Entrepreneurship and control of the supreme court of Georgia, april 24, 2002. (№3k-1218-01)
 23. Decision of the civil cases chamber of the supreme court of Georgia, of September 10. 2015 (№as-979-940-2014)
 24. Decision of the Chamber of Civil Cases of the Supreme Court of Georgia, September 22, 2015 (№as-649-615-2015)
 25. Decision of the Chamber of Civil Cases of the Supreme Court of Georgia, February 20, 2020 (№as-1800-2019)
 26. Decision of the Chamber of Civil Cases of the Supreme Court of Georgia, July 14, 2017 (№as – 593-568-2016)
 27. Judgment of the Kirovsky District Court of Krasnoyarsk, Russian federation, 2011. 23 May. (№2-1070/2011)
 28. Russian Civil law Judgment, 5 February. 2015. (№ 2-115/2015)
 29. Basmanova, N. K., 2008. The essence and features of the emergence of legal relations of reimbursement and compensation, Abstract for the degree of candidate of legal sciences, Irkutsk
 30. Bichia, M., 2016. Analysis of Georgian Judicial Practice on the Grounds and Scope of Compensation of Damages Incurred by the Death of a Breadwinner. South Caucasus Law Journal, №7
 31. Kuleshov, G.V., 2003, Compensation for harm caused to the life and health of a serviceman, Volgograd
 32. Bichia, M., 2016. Analysis of Georgian Judicial Practice on the Grounds and Scope of Compensation of Damages Incurred by the Death of a Breadwinner, South Caucasus Law Journal, N7

33. Chu, N., 2015. Protecting Privacy after Death, 13 Northwestern Journal of Technology and intellectual property, Vol.13, Iss.2
34. Hocks, A., 2012. The Right to Publicity After Death: Postmortem Personality Rights in Washington in the Wake of Experience Hendrix v. HendrixLicensing.com, Seattle University Law Review
35. Natalie M. Banta. 2016. Death and Privacy in the Digital Age, North Carolina Law Review
36. BVerfG, NJW, 1971, S.1645-1647
37. Ciorap v. Moldova, 19/07/2007, ECHR, App. No. 12066/02
38. Gäfgen v. Germany, 01/07/2010, ECHR, App. No 22978/05
39. Case of Sarishvili-Bolkvadze v. Georgia, [19.07.2018], ECHR, App. №58240/08.

სამკვიდროს მიღებაზე თავის არიდების შემთხვევა სამკვიდრებლის კრედიტორთა არსებობის დროს

ხატია გელაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: სამკვიდროს მიღებაზე უარი,
მამკვიდრებლის კრედიტორი, მემკვიდრის მიერ
ვალდებულების შესრულება

მემკვიდრეობის უფლება წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებათაგან ერთ-ერთს, რომელიც დაცული და გარანტირებულია კონსტიტუციით. ეს ფაქტი გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები ამ უფლების აღიარებისთვის.

სტატია დაკავშირებულია ისეთ შემთხვევასთან, როდესაც მემკვიდრეს არ სურს სამკვიდროს მიღება, რადგან მამკვიდრებელს ჰყავს კრედიტორები, რომლებიც მამკვიდრებლის მიერ დატოვებულ ვალდებულებათა დაკმაყოფილებას ითხოვენ. ეს საკითხი ბოლო წლებში კიდევ უფრო ხშირად გვხვდება, რადგან კანონმდებლობის დონეზე მოწესრიგებული ჯერ არ არის, ამიტომ საზოგადოებას რეკომენდაციებს შევთავაზებ. აღნიშნული საკითხის განხილვა, ვფიქრობ, ნამდვილად სიახლე იქნება ქართული კანონმდებლობისთვის, რადგან სამოქალაქო კოდექსი სრულყოფილად ვერ აწესრიგებს ამ თემას და შეიძლება თამამად ითქვას ისიც, რომ საკვლევი საკითხი აქტიურად იქნება გამოყენებული როგორც თეორიაში, ასევე პრაქტიკაში.

* * *

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, მემკვიდრეს შეუძლია სამკვიდროს მიღება, რისთვისაც წარადგენს განცხადებას სანოტარო ბიუროში¹, თუმცა, მასზე უარის თქმის უფლება აქვს.² ასეთი უარი თითქოს შემთხვევით ელემენტს წარმოადგენს სამემკვიდრეო სამართალში, მაგრამ მემკვიდრის მხრიდან შეიძლება სხვა მიზანსაც ისახავდეს, შესაძლოა მემკვიდრე სამკვიდროს მიღებას სულაც არიდებდეს თავს. ჯერ განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მემკვიდრე მთლიანი სამკვიდროს მიღებაზე ამბობს უარს. რიგ შემთხვევაში, სამკვიდროს მიღებაზე თავის არიდებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტიც, როცა მემკვიდრე არ მიმართავს ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად, რა დროსაც ივარაუდება, რომ მას არ სურს მისი მიღება. თუმცა, მემკვიდრის ასეთი ქცევა ხშირად გაურკვეველ ვითარებაში აყენებს როგორც მამკვიდრებლის სხვა მემკვიდრეებს, ასევე, მის კრედიტორებსაც. ამიტომაც უმჯობესია, გავმიჯნოთ ერთმანეთისგან სამკვიდროს მიღებაზე ამბობს უარს მემკვიდრე, თუ უბრალოდ თავს არიდებს მის მიღებას.³ აქედან გამომდინარე, ვასკვნით ერთ ფაქტს, რომ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს, თუმცა არაფერია ნათქვამი სამკვიდროს მიღებისაგან თავის არიდების ფაქტზე, რაც ძალიან ბუნდოვანი საკითხია და დღემდე მოუწესრიგებელი. სწორედ, სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ხოლმე მამკვიდრებლის კრედიტორების არსებობა, რაც მამკვიდრებლის მემკვიდრეს აბრკოლებს სამკვიდროს მიღებისგან, რადგან მამკვიდრებლის ვალები სამკვიდროს აღემატება, მას კი ამ ფაქტების მტკიცების არც დრო აქვს

და არც სურვილი, ან არსებობს სულაც სხვა მიზეზი, თუმცა სულ უნდა გვახსოვდეს – ვერ გავექცევით იმ ფაქტს, რომ ადრე თუ გვიან პირი გარდაიცვლება, „სიკვდილის კანონი უკვდავია“⁴, ხოლო მისგან დარჩენილ შესასრულებელ ვალდებულებებზე კრედიტორების წინაზე აუცილებლად უნდა ვაგოთ პასუხი, რადგან მამკვიდრებლის ვალები, თანაბრად მისი აქტივებისა, შედის სამკვიდრო მასის შემადგენლობაში.⁵ ახლა განვიხილოთ მამკვიდრებლის მთლიანი სამკვიდროსაგან თავის არიდების ფაქტი, სწორედ მამკვიდრებლის ვალების გამო.

სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ აქვს თავის მიზეზები, ამიტომ მემკვიდრე ხშირად ან მთლიან სამკვიდროზე აცხადებს უარს ან სამკვიდროს გარკვეულ ნაწილზე. უცხოური იურიდიული ლიტერატურა განიხილავს ოჯახური ურთიერთქმედების მოტივებს და ნიმუშებს, ასევე დეფინიციებსაც. სამკვიდროს მისაღებად გვთავაზობს მოტივების დაჯგუფებასაც შემდეგი სახით: ალტრუიზმი, თანასწორობა, გაცვლა და ეგოიზმი. თითოეულს უკავშირებს თავის მოტივს, თუ რა მიზნით შეიძლება მიიღოს მემკვიდრემ სამკვიდრო მასა, ბოლო მოტივად ასახელებს ეგოიზმს, სადაც ერთ-ერთ სამკვიდროს მისაღებ მიზნად განხილული აქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც მემკვიდრის ერთადერთი მიზანი არის სამკვიდროდან სარგებლის მიღება,⁶ როდესაც მემკვიდრე სამკვიდროს მიღებას თავს არიდებს, ეს უკავშირდება იმ ფაქტს რომ ის არ მოეწიას

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

2 შენგელია, რ., შენგელია, ე., 2011. მემკვიდრეობითი სამართალი, მერიდიანი, თბილისი, გვ. 158-159.

3 იქვე, გვ. 158.

4 Adam J. Hirsch, American History of Inheritance Law, OXFORD INTERNATIONAL ENCYCLOPEDIA OF LEGAL HISTORY, Stanley N. Katz ed., 2009, 235. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=982428 [22.08.2020].

5 ბაგრატიონი, ლ., 2015. უფლებამონაცვლების საკითხები მემკვიდრეობის სამართალში, გრივოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მაცნე, სამართალი #4, ISSN 2346-8483 (Online), თბილისი, 101.

6 Sousa, L. The family inheritance process: motivations and patterns of interaction, 2010. https://www.researchgate.net/publication/226734632_The_family_inheritance_process_Motivations_and_patterns_of_interaction [11.06.2020].

სარგებელს სამკვიდროდან, რადგან მამკვიდრებლის კრედიტორები ჰყავს დასაკმაყოფილებელი. მაგალითად, ლუიზიანას შტატში იყო მემკვიდრეობის მიღებასთან დაკავშირებით ორი გამოსავალი, პირველი გულისხმობდა უარს სამკვიდროს მიღებაზე, ხოლო მეორე – სამკვიდროს მიღებას ისე, რომ მემკვიდრის პასუხისმგებლობა შეზღუდულიყო მამკვიდრებლის ვალების წინაშე.⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ „არ დაიშვება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარის თქმა ნაწილობრივ, რაიმე დათქმით ან ვადით“.⁸ აქედან გამომდინარეობს ის, რომ მემკვიდრემ ან მთლიანად უარი უნდა თქვას სამკვიდროს მიღებაზე, ან მთლიანად მიიღოს ის. აქ განხილულია ისეთი შემთხვევა, როდესაც მაგალითად, მემკვიდრე უარს ამბობს სამკვიდროს ნაწილის მიღებაზე იმ მოტივით, რომ სხვა მემკვიდრეები შეჰპირდნენ მისი ღირებულების გადახდას გაზრდილი ოდენობით⁹, ან უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე იმ დრომდე, სანამ სხვა მემკვიდრე მუშაობას დაიწყებს, თუ სამკვიდროს ნაწილზე ამბობს უარს, ე.ი. მსგავსი დათქმით, ითვლება, რომ უარს ამბობს მთლიანად სამკვიდროს მიღებაზე.¹⁰ რამდენიმე მემკვიდრის არსებობისას საქმე უფრო რთულადაა, მაგალითად თუ მამკვიდრებელს დარჩა მეუღლე და ერთი შვილი, ხოლო სამკვიდრო ქონება არის 5000 ლარის ღირებულების და მეუღლემ უარი განაცხადა შვილის წილის მიღებაზე, ეს არ ჩაითვლება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმად, რადგან მას თავისი წილი ეკუთვნის, მაგრამ თუ იგი იტყვის უარს თავისი წილი სამკვიდროდან მხოლოდ 700 ლარის ღირებულების ქონების მიღებაზე, ხოლო 1800 ლარის ქონების ღირებულებას მიიღებს, რაც ნიშნავს, რომ ეს ქონება არ დააკმაყოფილებს მამკვიდრებლის კრედი-

ტორის ვალს – 2000 ლარს, მაშინ გამოდის რომ მან უარი თქვა მთელ სამკვიდროზე, ვინაიდან მან გააკეთა გარკვეული დათქმა და ამით ითვლება, რომ იგი მთელ სამკვიდროზე ამბობს უარს, სწორედ აქ ივარაუდება, რომ მას არ სურდა მამკვიდრებლის კრედიტორის დაკმაყოფილება და ამიტომ მოიქცა ასე. ამას ამბობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც.¹¹ მარტივია შემთხვევა, როდესაც არსებობს ერთი კანონით ან ანდერძით მემკვიდრე და მას სურს მამკვიდრებლის დანატოვარ მთლიან ქონებაზე უარის თქმა. ის, როგორც უკვე აღვნიშნე, უარს განაცხადებს სათანადო წესით, შესაბამის ვადაში, სანოტარო ბიუროში. მაგალითად, თუ მამკვიდრებლის მთელი ქონება შეადგენს 20 000 ლარს, ხოლო პასუხისმგებლობის ფარგლები კრედიტორის წინაშე 55 000 ლარია, ასეთ შემთხვევაში მემკვიდრე ხშირად უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე, რადგან არ სურს მამკვიდრებლის მიერ დანატოვარი ვალის გასტუმრება, მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია მხოლოდ მიღებული სამკვიდროს პროპორციულად აგოს მის წინაშე პასუხი, ე.ი. დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორი 20 000 ლარით.¹² ამ დროს გამოდის, რომ თუ იგი იყო ერთადერთი მემკვიდრე ამ რიგის მემკვიდრეთა შორის, მაშინ სამკვიდრო გადავა შემდგომი რიგის მემკვიდრეებზე, თუ შემდგომი რიგიც უარს იტყვის მის მიღებაზე, მაშინ მომდევნო რიგზე და ასე ბოლო რიგამდე.¹³ მაგრამ თუ ბოლომდე გავყვებით ამ ჩამონათვალს, რა მოხდება იმ დროს, როცა ყველა მემკვიდრის უარს იტყვის მთლიანი სამკვიდროს მიღებაზე მამკვიდრებლის კრედიტორთა არსებობის დროს? ეს საკითხი საქართველოს კანონმდებლობით მოწესრიგებული არ არის, თუმცა კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა სახელმწიფო პა-

7 Cavanaugh K.W., Problems In The Law of Succession: Creditors' Rights, 48 La. L. Review, 1988, 1100-1101.
 8 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი.
 9 შენგელია, რ., შენგელია, ე., 2011. მემკვიდრეობითი სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 159.
 10 იქვე, გვ. 159-160.

11 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი.
 12 იქვე, 1484-ე მუხლის 1-ლი პუნქტი და 1485-ე მუხლი.
 13 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, სამართალი, თბილისი 2000, 485.

სუხს აგებს იმ ქონებაზე რომელიც მასზე გადავიდა. უმეტეს შემთხვევაში ასეთი სამკვიდრო „უმკვიდრო ქონების“ სახელითაა ცნობილი და განხილულია ისეთი შემთხვევები, როდესაც არც კანონით და არც ანდერძით არ არსებობენ მემკვიდრეები.¹⁴ ასეთ დროს ქონება გადავა სახელმწიფოზე და მამკვიდრებლის კრედიტორების წინაშე მიღებული წილის პროპორციულად ის აგებს პასუხს, ხოლო მას ამ ქონების მიღებაზე უარის თქმის უფლება არ აქვს.¹⁵ ხომ არ უნდა გავაიგივოთ ეს შემთხვევა სწორედ ზემოთ აღნიშნულ შემთხვევასთან – როდესაც ყველა რიგის მემკვიდრემ მთლიანად თქვა უარი სამკვიდრო ქონების მიღებაზე? ვინაიდან, არ გვაქვს კანონმდებლობით მოწესრიგებული ეს ფაქტი, ამიტომ მიზანშეწონილია, თუ ასეთ შემთხვევას გავაიგივებთ „უმკვიდრო ქონებასთან“, რათა მამკვიდრებლის კრედიტორები დაუკმაყოფილებელნი არ დარჩნენ, რადგან, რეალურად, სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემდეგ აღარც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრეები გვეყოლება. თუ მსგავსი შემთხვევები ამგვარად იქნება მოწესრიგებული, გაცილებით დაზღვეული ვიქნებით მოსალოდნელი რისკისგან, შესაბამისად, მამკვიდრებლის კრედიტორი და სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობები მარტივად დარეგულირდება, რადგან სახელმწიფოს უმკვიდრო ქონების მიღებაზე უარის თქმის შესაძლებლობა არ გააჩნია და მამკვიდრებლის კრედიტორიც დაკმაყოფილდება სახელმწიფოს მიერ მიღებული სამკვიდრო წილის პროპორციულად.

საინტერესოა, როგორ რეგულირდება მსგავსი საკითხები უცხო ქვეყნებში. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით იურიდიულ ლიტერატურაში მთელ მსოფლიოში მემკვიდრეების კანონიერი უფლებები ფართოდ განსხვავდება.¹⁶ განვიხილოთ გე-

რმანიის მაგალითი. გერმანიის კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სამკვიდროს მიღებაზე უარის შემთხვევას კანონით მემკვიდრეობის დროს და ამბობს, რომ მამკვიდრებლის ნათესავებსა და მეუღლეს შეუძლიათ უარი თქვან კანონით მემკვიდრეობაზე მამკვიდრებელთან შეთანხმებით¹⁷, ე.ი. ეს იმას ნიშნავს, რომ უარის თქმა ხდება მხოლოდ მამკვიდრებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მამკვიდრებლის სიცოცხლეშივე, რაც თავისთავად გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ამ ხელშეკრულებით მემკვიდრე ამოირიცხება კანონით მემკვიდრეთა სიიდან და აღარც მამკვიდრებლის კრედიტორებთან მოუწევს პასუხისმგებლობა. სამკვიდროზე უარის თქმა როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე, გერმანიის კანონმდებლობით უნდა დამონმდეს სანოტარო წესით.¹⁸ სამკვიდროზე უარის თქმის ძირითად მიზეზად გერმანიის კანონმდებლობაც განიხილავს უარს სხვა მემკვიდრეთა სასარგებლოდ.¹⁹ თუმცა საინტერესოა ის, რომ თუ საქართველოს კანონმდებლობა სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმას შეუქცევადად მიიჩნევს სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის ან სამკვიდრო მოწმობის მიღების შემდეგ, გერმანიის კანონმდებლობა ამას დასაშვებად მიიჩნევს.²⁰ საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, აქაც არაფერია ნათქვამი სამკვიდროზე უარის თქმის შემთხვევაზე მამკვიდრებლის კრედიტორთა არსებობის დროს და, შესაბამისად, არც უარის თქმაზე სამკვიდროს ნაწილობრივ ან/და მთლიან მიღებაზე.

განვიხილოთ ისეთი შემთხვევაც, როცა მემკვიდრეს სურს უარის თქმა მხოლოდ სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელიც აკმაყოფილებს მამკვიდრებლის კრედიტორის მოთხოვნას, ხოლო სამკვიდროს დანარჩენ ნაწილზე არ ამბობს უარს. აქ ისმის

14 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1343-ე მუხლი.

15 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1444-ე და 1492-ე მუხლი.

16 Ellul, A., Pagano, M., Panunzi, F., *Inheritance Law and Investment in Family Firms*, 2010.

17 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 2346-ე მუხლი.

18 იქვე, 2348-ე მუხლი.

19 იქვე, 2350-ე მუხლი.

20 იქვე, 2351-ე მუხლი.

შეკითხვა: როგორ უნდა დავარეგულიროთ მსგავსი ფაქტი? არის თუ არა მოწესრიგებული მემკვიდრის ამგვარი ქცევა საქართველოს კანონმდებლობით? აქ შეიძლება განხილულ იქნას კვლავ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი, რომელიც ამბობს, რომ არ შეიძლება სამკვიდროს მიღება ან მასზე უარი ნაწილობრივ.²¹ შესაბამისად, იგულისხმება, რომ მემკვიდრეს არ აქვს უარის თქმის უფლება სამკვიდროს მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე. მაგალითისთვის, თუ სამკვიდრო მასა შეადგენს ქ. თბილისში მდებარე ერთ აგარაკს, ორ მანქანას და წილს ერთ-ერთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში და მამკვიდრებელს ჰქონდა სესხი აღებული ერთ-ერთი პირისგან, რის სანაცვლოდაც იპოთეკით დატვირთა უძრავი ქონება (კერძოდ ქ. თბილისში მდებარე აგარაკი), მემკვიდრეს არ აქვს უფლება უარი თქვას ამ კონკრეტულ აგარაკზე და მიიღოს ორი ავტომობილი და წილი შპს-ში. ასეთი შემთხვევის დროს, თუ მემკვიდრეს სურს, რომ მიიღოს სამკვიდრო, მაშინ მთლიანად უნდა მიიღოს ის, როგორც აქტივებით, ისე პასივებით²², დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორი და მხოლოდ ამის შემდეგ გახდება ის ორი ავტომობილისა და შპს-ში წილის მესაკუთრე, სხვა შემთხვევაში სამკვიდროს ნაწილობრივ მიღება ან მასზე უარი დაუშვებელია. თუ აღმოჩნდა ისე, რომ მან უარი თქვა მხოლოდ აგარაკზე, ესეც გულისხმობს იმას, რომ მან მთლიანად განაცხადა უარი სამკვიდროზე და არა მის ნაწილზე.

ერთადერთი შემთხვევა, რა დროსაც მემკვიდრეს შეუძლია სამკვიდროს ნაწილზე თქვას უარი და ეს ჩაითვლება ნამდვილად, არის ის ფაქტი, როდესაც მემკვიდრე უარს ამბობს სასოფლო-სამეურნეო მიწის მიღებაზე.²³ ამ დროს, უნდა გამოირკვას

მისდევს თუ არა იგი სოფლის მეურნეობას. თუ დადასტურდება, რომ იგი არ მისდევს სოფლის მეურნეობას, მაშინ მას შეუძლია თქვას უარი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, მოწყობილობის, შრომის იარაღებისა და პირუტყვის მიღებაზე, მაგრამ ეს არ ჩაითვლება საერთოდ უარის თქმად სამკვიდროს მიღებაზე“.²⁴

შესაბამისად, თუ მამკვიდრებელს გააჩნდა ვალდებულება კრედიტორის მიმართ და ეს ვალდებულება უზრუნველყოფილი იყო სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთით, ხოლო მემკვიდრემ უარი თქვა მის მიღებაზე, რომ არ დაეკმაყოფილებინა მამკვიდრებლის კრედიტორი და თან, საამისოდ გააჩნდა დადასტურებული მიზეზი (არ მისდევდა სოფლის მეურნეობას), კრედიტორი დარჩება დაუკმაყოფილებელი ამ სამეურნეო ნაკვეთით და სასამართლოს გზით მოუწევს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილება. მაგრამ თუ ეს ნაკვეთი არ იყო ერთადერთი ქონება, რაც შედიოდა მამკვიდრებლის სამკვიდრო მასაში, მაშინ კრედიტორს შეუძლია მემკვიდრეს მოსთხოვოს დაკმაყოფილება სამკვიდრო მასაში შემავალი სხვა ქონებითაც, თუ მემკვიდრე ამაზეც არ იქნება თანახმა, მაშინ – მხოლოდ სასამართლოს გზით.

საინტერესოა, რას ამბობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსი აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაძლებელია თუ არა სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმა, კერძოდ იმ ნაწილზე, რომლითაც კანონის ან ხელშეკრულების ძალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მამკვიდრებლის კრედიტორი უნდა დაკმაყოფილდეს. როგორც ჩანს, ქართული კანონმდებლობის მსგავსად, გერმანიის კანონმდებლობაც არ ითვალისწინებს სამკვიდროს ნაწილზე უარის თქმას ან მხოლოდ ნაწილის მიღებას: „სამკვიდროს მიღება ან მასზე უარი არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მისი ნაწილით. ნაწილის მიღება ან მასზე უარი სამართლებრივი ძალის არმქონეა“.²⁵ საკითხი აქაც ქართული

21 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1435-ე მუხლი.
 22 შენგელია, რ., შენგელია, ე., 2011. მემკვიდრეობითი სამართალი, მეტიდიანი, თბილისი, 10.
 23 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, სამართალი, თბილისი 2000, 482.

24 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1436-ე მუხლი.
 25 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1950-ე მუხლი.

კანონმდებლობის მსგავსად მოწესრიგდება, როგორც ზემოთ საუბრისას აღვნიშნე.

რომაული სამართლის მიხედვით, თავდაპირველად მემკვიდრეობას განიხილავდნენ, როგორც უნივერსალურს,²⁶ თუმცა ეს იყო იმ გაგებით, რომ მოიცავდა გარდაცვლილის ყველა უფლებას და ამასთანავე მოვალეობას.²⁷ უნივერსალური იყო იმ გაგებით, რომ გარკვეული ნაწილის ან კვოტის უფლება ჰქონდათ მთელ ქონებაზე და არა მხოლოდ ქონების ცალკეულ საგნებზე.²⁸ შესაბამისად, რომაული სამართალიც ქონების ცალკეულ ნაწილებზე მოთხოვნის უფლებას არ ცნობდა და კრედიტორების დაკმაყოფილების ნაწილიც მთელი ქონებიდან განისაზღვრებოდა.²⁹ ისტორიულად, ანგლო-ამერიკულ სამართალში და მის ქვეყნებში სასამართლო დანიშნავს ქონების ადმინისტრატორს, ან, თუ ანდერძით მემკვიდრეობაზეა საუბარი, – ანდერძის აღმასრულებელს და ის განკარგავს ქონებას,³⁰ მას ევალება, ამ ქონების განკარგვის პერიოდში დააკმაყოფილოს მამკვიდრებლის კრედიტორი³¹ და თუ ქონებიდან რაიმე რჩება, მხოლოდ ამის შემდეგ გადასცეს იგი მემკვიდრეებს.³²

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინტერვიუ ჩამოვართვი ნოტარიუს დავით ოყროშიძის ყოფილ თანაშემწე არჩილ ხუციძესთან, რომელმაც განაცხადა, რომ „ზოგადად, სამკვიდროს მიუღებლობასთან დაკავშირებით, როდესაც მამკვიდრებლის კრედიტორები არიან დასაკმაყოფილებელი, მემკვიდრეები იშვიათად მიმართავენ ხოლმე სანოტარო ბიუროებს კონსულტაციისთვის და ისეთი ფაქტებიც იშვიათია, როდესაც უარის თქმა სურთ სწორედ ამ მოტივით, თუმცა გვქონია შემთხვევა, რო-

დესაც დავამოწმეთ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება ბანკსა და ერთ-ერთ პირს შორის. გარკვეული ხნის შემდეგ ეს პირი გარდაიცვალა და მისმა მემკვიდრემ მოგვმართა კონსულტაციისთვის. ის ამბობდა, რომ უარი უნდა ეთქვა სამკვიდროს მიღებაზე, რადგან სამკვიდრო მასა არ იყო საკმარისი ბანკის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ჩვენგანაც მიიღო შესაბამისი კონსულტაცია, თუ როგორ უნდა ემოქმედა აღნიშნულ სიტუაციაში. კონსულტაციის სახით ვუთხარით, რომ უარის თქმას არანაირი აზრი არ ჰქონდა, რადგან ბანკი სასამართლოს გზით მაინც შეეცდებოდა თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ და კიდევ მსგავს სხვა შემთხვევებში, კრედიტორები მაინც შეიტანენ სასამართლოში სარჩელს თავიანთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მემკვიდრეების მიერ სამკვიდროზე უარის თქმა კი უბრალოდ დროის გადავადება იქნებოდა“.³³

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ ისეთი შემთხვევაც, როდესაც მამკვიდრებელს ჰყავს არა ერთი, არამედ რამდენიმე კრედიტორი. როგორ უნდა მოვანწესრიგოთ ამ შემთხვევაში ასეთი ფაქტები, როდესაც მემკვიდრეს თავს არ სურს სამკვიდროს მიღება, რადგან არ უნდა მამკვიდრებლის კრედიტორების მიმართ ვალდებულების შესრულება? როგორც ვიცით, „მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ მამკვიდრებლის კრედიტორთა ინტერესები, მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის პროპორციულად“³⁴ სამკვიდროს მიღების შემდეგ მემკვიდრეები აკმაყოფილებენ მამკვიდრებლის კრედიტორებს (იქნებიან ისინი ანდერძით თუ კანონით მემკვიდრეები) სამკვიდროდან თავიანთი მიღებული წილის პროპორციულად, ამიტომ უნდა გამოანგარიშდეს თითოეული მემკვიდრის მიერ გადასახდელი თანხა მამკვიდრებლის

26 Domingo, R., The Roman Law of Succession. An Overview, University of Navarra – School of Law, 2017, 2-3.

27 იქვე, გვ. 2-3.

28 იქვე, იქვე გვ. 2.

29 იქვე, გვ. 2-3.

30 Wormser R. A., Burchard A., ADMINISTRATION OF GERMAN DECENTENTS' ESTATES, 1934, 40-41.

31 იქვე.

32 იქვე.

33 ინტერვიუ ნოტარიუს დავით ოყროშიძის ყოფილ თანაშემწესთან არჩილ ხუციძესთან (ამჟამად ნოტარიუსის შემცვლელთა სიაში, ნოტარიუსობის კანდიდატი), [21.08.2020].

34 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1484-ე მუხლი.

კრედიტორისადმი.³⁵ შესაბამისად, თუ მამკვიდრებლის კრედიტორების ვალი უფრო მეტია, ვიდრე სამკვიდრო მასაში შემავალი ქონება, კრედიტორების მოთხოვნების ნაწილი დარჩება დაუკმაყოფილებელი.

თუ მემკვიდრეებისთვის ცნობილია მამკვიდრებლის ვალების შესახებ, მათ უნდა შეატყობინონ კრედიტორებს სამკვიდროს გახსნის შესახებ, ამ ვალდებულებას მათ კანონი პირდაპირ აკისრებთ.³⁶ თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ამის შესახებ მემკვიდრეებმა არ იციან და შესაბამისად, არ ატყობინებენ მამკვიდრებლის კრედიტორებს, ან იციან და განზრახ არ ატყობინებენ მათ. აღნიშნული ინფორმაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება სანოტარო ორგანოებს ან დაინტერესებულ პირებს აქვთ.³⁷ არსებობს შემთხვევებიც, როდესაც მემკვიდრეები მამკვიდრებლის მიერ კრედიტორების წინაშე ვალდებულების შესახებ იტყობენ სანოტარო ორგანოში სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების შეტანისას, ამის შემდეგ კი მემკვიდრეებს სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის უფლება აღარ აქვთ.³⁸ მამკვიდრებლის კრედიტორების შეტყობინებასთან დაკავშირებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ამბობს შემდეგს: „სამკვიდრო ქონების კრედიტორებს შეიძლება შესთავაზონ თავიანთი მოთხოვნების შესახებ განცხადების გაკეთება გამონწვევითი წარმოების გზით“.³⁹

მიუხედავად იმისა, მემკვიდრე მიიღებს თუ არა სამკვიდროს, მამკვიდრებლის კრედიტორებს თავიანთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უფლება აქვთ აცნობონ მემკვიდრეებს. კანონის თანახმად, მოთხოვნის წარდგენის ვადად განისა-

ზღვრება ექვსი თვე „იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ“.⁴⁰ ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს მოთხოვნის ვადა დამდგარია თუ არა. მაგალითად, თუ მამკვიდრებელს კრედიტორთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ვალი უნდა გადაეხადა სამი წლის განმავლობაში, მაგრამ მამკვიდრებელი გარდაიცვალა ხელშეკრულების დადებიდან ორ წელში და მოთხოვნის ვადამდე კიდევ ერთი წელია დარჩენილი, კრედიტორმა მაინც ექვს თვეში უნდა წარადგინოს მოთხოვნა იმ დღიდან, რაც შეიტყო სამკვიდროს გახსნის შესახებ.⁴¹

მამკვიდრებლის კრედიტორების მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიან ვადასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეში აკეთებს საინტერესო განმარტებას: „პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმ საკითხის გარკვევა, თუ როდიდან იწყება სსკ-ის 1488.1 მუხლით გათვალისწინებული ექვსთვიანი ვადის ათვლა. მითითებული ნორმა ადგენს, რომ ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, რაც მამკვიდრებლის კრედიტორებმა შეიტყვეს სამკვიდროს გახსნის შესახებ, თუმცა ამავე ნორმის მიხედვით, მამკვიდრებლის მემკვიდრეებმა მოთხოვნა უნდა წარუდგინონ იმ მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, მოთხოვნის წარდგენის ექვსთვიანი ვადის ათვლისთვის მხოლოდ იმის ცოდნა, რომ სამკვიდრო გაიხსნა, საკმარისი არაა, მამკვიდრებლის კრედიტორებმა უნდა იცოდნენ, ასევე, იმ მემკვიდრეთა ვინაობა, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, რათა მათ წარუდგინონ მოთხოვნა.“

კანონი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღების ორ გზას ადგენს, კერძოდ, 1. სამკვიდროს ფაქტობრივი დაუფლებით

35 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, სამართალი, თბილისი 2000, გვ. 514.
36 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1487-ე მუხლი.
37 შენგელია, რ., შენგელია, ე., 2011. მემკვიდრეობითი სამართალი, მერიდიანი, თბილისი, გვ. 185.
38 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლი.
39 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1970-ე მუხლი.

40 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1445-ე მუხლი.
41 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, სამართალი, თბილისი 2000, გვ. 516.

და 2. ნოტარიუსისათვის განცხადების წარდგენით (სსკ-ის 1421-ე მუხლი). იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორებისათვის ცნობილია როგორც სამკვიდროს გახსნის, ასევე, იმ მემკვიდრეთა შესახებ, რომლებმაც სამკვიდრო მიიღეს, მაშინ კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ სამკვიდროს გახსნის შესახებ ცნობის მიღებიდან ექვს თვეში. ამასთან, შესაძლებელია, კრედიტორებმა იცოდნენ სამკვიდროს გახსნის თაობაზე მემკვიდრეების გარდაცვალების დღესვე, მაგრამ სამკვიდროს მიმღებ მემკვიდრეთა შესახებ მათ ვერ შეიტყონ სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვს თვეში, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე ნოტარიუსს განცხადებით მიმართავს სსკ-ის 1424-ე მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადის ბოლო დღეს, ან კრედიტორისათვის არაა ცნობილი იმ ფაქტების თაობაზე, რომლებიც მემკვიდრის მიერ ამავე ვადაში სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობით მიღებას ადასტურებს. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, სამკვიდროს მიღების თაობაზე კრედიტორებისათვის ცნობილი ხდება მემკვიდრეთა მიერ სამკვიდრო მოწმობის აღების შემდეგ ან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ასეთ დროს, მემკვიდრეების კრედიტორებმა მემკვიდრეებს მოთხოვნა უნდა წარუდგინონ გონივრულ ვადაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა მემკვიდრეთა მიერ სამკვიდროს მიღების თაობაზე“.⁴²

სხვა შემთხვევად განიხილება, თუ მემკვიდრეების კრედიტორებმა გარკვეული მიზეზების გამო არ იცოდნენ სამკვიდროს გახსნის შესახებ და გაიგეს მოთხოვნის დადგომის დღეს ან უფრო ადრე. „მაშინ მათ მოთხოვნა მემკვიდრეებს უნდა წარუ-

დგინონ მოთხოვნის ვადის დადგომიდან ერთი წლის განმავლობაში“.⁴³ ხოლო თუ მემკვიდრეების კრედიტორები აღნიშნულ წესს არ დაიცავენ – დაკარგავენ მოთხოვნის უფლებას.⁴⁴

საინტერესოა, როგორ არიან პასუხისმგებელი მემკვიდრეების ვალებისთვის მემკვიდრეები სხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით. ავიღოთ პოლონეთის მაგალითი, აქ კანონმდებელი ამბობს, რომ მემკვიდრეებს ეკისრებათ შეუზღუდავი პასუხისმგებლობა გარდაცვლილის სესხებისათვის.⁴⁵ მემკვიდრეებს შეუძლიათ შეზღუდონ თავიანთი პასუხისმგებლობა ინვენტარიზაციას დაქვემდებარებული მემკვიდრეობის მიღებით.⁴⁶ ასეთ შემთხვევებში მემკვიდრეებმა უნდა გააკეთონ შესაბამისი განცხადება ნოტარიუსის ან კომპეტენტური სასამართლოს წინაშე ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მათ შეიტყვეს მემკვიდრეობის შესახებ. მემკვიდრეები პასუხისმგებლობით ეკიდებიან გარდაცვლილის სესხებს.⁴⁷

საყურადღებოა, როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი იმ შემთხვევაში, როდესაც მემკვიდრე სამკვიდროს არ იღებს და მემკვიდრეების რამდენიმე კრედიტორმა უკვე წარადგინა მოთხოვნა. ამ დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მოთხოვნის დაკმაყოფილება კრედიტორებს კვლავ სასამართლო გზით მოუწევთ, უნდა შეიტანონ პირველ ინსტანციაში სარჩელი მოპასუხის (მემკვიდრის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით⁴⁸ და მოითხოვონ, რომ მემკვიდრეების ქონებაზე ცნონ მესაკუთრედ და ამასთანავე, დაფარონ ის გადასახადი, რაც მათ გააჩნიათ მემკვიდრეების კრედიტორების მიმართ. რაც შეეხება მემკვი-

42 ნაჭყებია, ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2019, ISBN 978-9941-8-1948-3 (online), გვ:177, საქმე №აბ-303-285-2014, 30 ოქტომბერი, 2015 წელი, ქ. თბილისი.

43 შენგელია, რ., შენგელია, ე., 2011. მემკვიდრეობითი სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 186.

44 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლი.

45 https://e-justice.europa.eu/content_succession-166-pl-en.do#toc_1 [22.04.2020].

46 იქვე.

47 იქვე.

48 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი.

დრებლის კრედიტორთა დაკმაყოფილების წესს და მათ რიგითობას, ამაზე კანონმდებლობა საუბრობს და ამბობს იმას, რომ „კრედიტორთა მოთხოვნები მემკვიდრეებმა უნდა დააკმაყოფილონ ერთჯერადი გადახდის გზით, თუ მათ შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი“⁴⁹ ეს ნიშნავს იმას, რომ მიუხედავად იმისა, მემკვიდრეები მიიღებენ თუ არა სამკვიდროს კანონით განსაზღვრულ ვადებში და პირობებში, კრედიტორებს მაინც შეუძლიათ სასამართლო გზით დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნა, რა დროსაც კრედიტორები უნდა დაკმაყოფილდნენ ერთჯერადი გადახდის გზით, ანუ ერთიანი გადახდით ან უნდა მოხდეს შეთანხმება კრედიტორებსა და მემკვიდრეებს შორის და განისაზღვროს გადახდის სხვანაირი პირობა, მაგალითად ან ნაწილ-ნაწილი გადახდა ან კიდევ სხვა სახით შეთანხმება.⁵⁰

აქ განსახილველია ის შემთხვევა, თუ როგორ შეიძლება დადგინდეს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობა და ის შემთხვევა, როდესაც მემკვიდრე ან არ აკმაყოფილებს არცერთ კრედიტორს ან აკმაყოფილებს ერთს ან რამდენიმეს. პირველ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე უარს ამბობს მამკვიდრებლის ყველა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და, შესაბამისად, სამკვიდროსაც საერთოდ არ იღებს, კრედიტორები იძულებულნი ხდებიან სასამართლო გზით მოითხოვონ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ გზით, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ხოლო მეორე შემთხვევაში, თუ მემკვიდრე თანახმაა, დააკმაყოფილოს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე კრედიტორი და არა ყველა, მაშინ როგორი სახით იქნება კრედიტორების დაკმაყოფილება სამართლიანი? ამაზე კანონმდებლობა არ გვაძლევს ერთიან პასუხს, აქ შეიძლება გამოვიყენოთ სამოქალაქო კოდექსის ვა-

ლდებულებითი ნაწილიდან კრედიტორთა სიმრავლესთან დაკავშირებული მუხლები და კრედიტორთა დაკმაყოფილება მოვახდინოთ ამ გზით. „თითოეული კრედიტორი ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე უნდა იყოს უფლებამოსილი. კანონმდებელი არ აკონკრეტებს, თუმცა მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ კრედიტორები მსგავსი შესრულების მოთხოვნაზე უნდა იყვნენ უფლებამოსილი“.⁵¹

დასკვნა

როგორც ვხედავთ, საჭიროა რომ აღნიშნული საკითხი მოწესრიგდეს საკანონმდებლო დონეზე, კერძოდ, სამოქალაქო ნორმებით დარეგულირდეს სამკვიდროს მიუღებლობის საკითხი, რა დროსაც მემკვიდრეს არ სურს სამკვიდროს მიღება, რათა არ დაკმაყოფილდეს კრედიტორი. ფაქტებზე მსჯელობისას მოყვანილი მაგალითები გვარწმუნებს წამოჭრილი საკითხის პრობლემატურობაში. გამოირკვა ისიც, რომ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში სამკვიდროს მიუღებლობის შემთხვევები მამკვიდრებლის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების გამო არცთუ ისე იშვიათია. შესაბამისად, არსებული რეალობა აჩვენებს იმას, რომ მემკვიდრეთა მიზანი სამკვიდროდან მხოლოდ სარგებლის მიღება და თუ მამკვიდრებელს აქვს ნაკისრი ვალდებულებები კრედიტორების წინაშე, მემკვიდრეები შეეცდებიან, არ მიიღონ სამკვიდრო. ჩემს მიერ გაკეთებულმა ანალიზმა კი აჩვენა, როგორ წყდება საკითხი თითოეულ შემთხვევაში.

49 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1494-ე მუხლი.

50 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, სამართალი, თბილისი 2000, 520.

51 რობაქიძე, ი. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 455, <http://www.gccc.ge/> [20.05.2020].

ბიბლიოგრაფია:

1. აბულაძე, ლ., 2019. სამკვიდროს მიღება და მემკვიდრეთა ინტერესების დაცვის მექანიზმები, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი
2. ბაგრატიონი, ლ., 2015. უფლებამონაცვლეობის საკითხები მემკვიდრეობის სამართალში, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური მაცნე, სამართალი #4, ISSN 2346-8483 (Online), თბილისი
3. ნაჭყებია, ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2015-2019), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საბოგადოება (GIZ), 2019, ISBN 978-9941-8-1948-3 (online)
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, სამართალი, თბილისი, 2000
5. შენგელია რ., შენგელია ე., 2011. მემკვიდრეობითი სამართალი, მერიდიანი, მეორე გამოცემა, თბილისი
6. ჩუბინიძე, თ., 2019. მემკვიდრეობის მიღებისა და მასზე უარის თქმის ვადები სასამართლო გადაწყვეტილებებში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი
7. Adam J. Hirsch, American History of Inheritance Law, OXFORD INTERNATIONAL ENCYCLOPEDIA OF LEGAL HISTORY, Stanley N. Katz ed., 2009
8. Cavanaugh, K.W., 1988. Problems In The Law of Succession: Creditors' Rights, 48 La. L. Review
9. Domingo, R., 2017. The Roman Law of Succession. An Overview, University of Navarra – School of Law
10. Ellul, A., Pagano, M., Panunzi, F., 2010. Inheritance Law and Investment in Family Firms
11. Sousa, L., 2010. The family inheritance process: motivations and patterns of interaction
12. Wormser R. A., Burchard A., 1934. ADMINISTRATION OF GERMAN DECENTENTS' ESTATES
13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
14. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
15. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
16. ინტერვიუ ნოტარიუს დავით ოყროშიძის ყოფილ თანამშემწესთან არჩილ ხუციძესთან (ამჟამად ნოტარიუსის შემცვლელთა სიაში, ნოტარიუსობის კანდიდატი), [21.08.2020]
17. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=982428 [22.08.2020]
18. https://www.researchgate.net/publication/226734632_The_family_inheritance_process_Motivations_and_patterns_of_interaction [11.06.2020]
19. https://e-justice.europa.eu/content_succession-166-pl-en.do#toc_1 [22.04.2020]
20. <http://www.gccc.ge/> [20.05.2020]

THE CASE OF AVOID TO ACCEPT THE INHERITANCE IN THE EXISTANCE OF THE HEIR CREDITOR

Khatia Gelashvili

*PhD candidate in Law at Caucasus
International University*

KEYWORDS: Refusal to accept the inheritance, Creditor of the heir, Fulfillment of the obligation by the heir

ABSTRACT

The inheritance right is one of the basic human rights, which is protected and guaranteed by the Constitution. This fact implies that the state has certain obligations to recognize this right.

The article deals with the case where the heir does not want to receive the inheritance because the testator has creditors who seek to meet the obligations left by the testator. This issue has become more frequent in recent years, as it is not yet regulated at the legislative level, so I will offer recommendations to the public. The study reveals the difficulties associated with this case of inadmissibility of the estate, when the main purpose of the heir is to avoid liability to the creditors of the testator, both by will and by law. The study discusses in each case, the inadmissibility of the entire estate, as well as the inadmissibility of part of it, as well as the case of liability to several creditors of the heir. I think the discussion of this issue will be really new for the Georgian legislation, because the Civil Code does not fully regulate this topic and it can be boldly said that the research issue will not lose its relevance in practice.

BIBLIOGRAPHY:

1. Abuladze, L., 2019. Inheritance Acceptance and Mechanisms for Protecting the Interests of Heirs, Master Thesis, Tbilisi
2. Bagrationi, L., 2015. Issues of Succession in Inheritance Law, Academic Herald of Grigol Robakidze University, Law #4, ISSN 2346-8483 (Online), Tbilisi
3. Nachkebia, A., Definitions of Civil Law Norms in the Practice of the Supreme Court (2015-2019), German Society for International Cooperation (GIZ), 2019, ISBN 978-9941-8-1948-3 (online)
4. Comments of the Civil Code of Georgia, Book Five, Law Publishing House, Tbilisi, 2000
5. Shengelia R., Shengelia E., 2011. Inheritance Law, Meridian Publishing House, Second Edition, Tbilisi
6. Chubinidze, T., Terms of Acceptance and Rejection of Inheritance in Court Decisions, Master Thesis, Tbilisi, 2019
7. Adam J. Hirsch, 2009. American History of Inheritance Law, OXFORD INTERNATIONAL ENCYCLOPEDIA OF LEGAL HISTORY, Stanley N. Katz ed
8. Cavanaugh, K.W., 1988, Problems In The Law of Succession: Creditors' Rights, 48 La. L. Review
9. Domingo, R., 2017. The Roman Law of Succession. An Overview, University of Navarra – School of Law
10. Ellul, A., Pagano, M., Panunzi, F., 2010. Inheritance Law and Investment in Family Firms
11. Sousa, L., 2010. The family inheritance process: motivations and patterns of interaction
12. Wormser R. A., Burchard A., 1934. ADMINISTRATION OF GERMAN DECEDENTS' ESTATES
13. Civil Code of Georgia
14. Civil Procedure Code of Georgia
15. Civil Code of Germany
16. Interview with Archil Khutsidze (former on the list of notary substitutes, candidate for notary), assistant of former notary David Okroshidze, [21.08.2020]
17. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=982428 [22.08.2020]
18. https://www.researchgate.net/publication/226734632_The_family_inheritance_process_Motivations_and_patterns_of_interaction [11.06.2020]
19. https://e-justice.europa.eu/content_succession-166-pl-en.do#toc_1 [22.04.2020]
20. <http://www.gccc.ge/> [20.05.2020]

NOTES:

1. Bagrationi, L., 2015. Issues of Succession in Inheritance Law, Academic Herald of Grigol Robakidze University, Law #4, ISSN 2346-8483 (Online), Tbilisi, p. 101
2. Nachkebia, A., Definitions of Civil Law Norms in the Practice of the Supreme Court (2015-2019), German Society for International Cooperation (GIZ), 2019, ISBN 978-9941-8-1948-3 (online), p.177
3. Comments of the Civil Code of Georgia, Book Five, Law Publishing House, Tbilisi, 2000, pp. 482, 485, 514, 516, 520
4. Shengelia R., Shengelia E., 2011. Inheritance Law, Meridian Publish-

- ing House, Second Edition, Tbilisi, pp.10,158-159, 185, 186
5. Adam, J. Hirsch, 2009. American History of Inheritance Law, OXFORD INTERNATIONAL ENCYCLOPEDIA OF LEGAL HISTORY, Stanley N. Katz ed., p. 235. https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=982428 [22.08.2020]
 6. Cavanaugh, K.W., 1988. Problems In The Law of Succession: Creditors' Rights, 48 La. L. Review, pp. 1100-1101
 7. Domingo, R., 2017. The Roman Law of Succession. An Overview, University of Navarra – School of Law, pp. 2-3
 8. Ellul, A., Pagano, M., Panunzi, F., 2010. Inheritance Law and Investment in Family Firms, p. 2414
 9. Sousa, L., 2010. The family inheritance process: motivations and patterns of interaction, https://www.researchgate.net/publication/226734632_The_family_inheritance_process_Motivations_and_patterns_of_interaction [11.06.2020]
 10. Wormser R. A., Burchard A., 1934. ADMINISTRATION OF GERMAN DECENTENTS' ESTATES, pp. 40-41
 11. Civil Code of Georgia (articles: 1421, 1435, 1484, 1485, 1343, 1444, 1445, 1492, 1436, 1487, 1488, 1494)
 12. Civil Procedure Code of Georgia (article: 15)
 13. Civil Code of Germany (articles: 1950, 1970, 2346, 2348, 2350, 2351)
 14. Interview with Archil Khutsidze (former on the list of notary substitutes, candidate for notary), assistant of former notary David Okroshidze, [21.08.2020]
 15. https://e-justice.europa.eu/content_succession-166-pl-en.do#toc_1 [22.04.2020]
 16. <http://www.gccc.ge/> [20.05.2020]

დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კრიმინოლოგიური ასპექტები

მიხეილ გაბუნია

სამართლის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

ლიკა კავთუაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
მე-IV კურსის სტუდენტი

ანი ასლანიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
მე-IV კურსის სტუდენტი

ანანო მოწონელიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის
მე-IV კურსის სტუდენტი

საკვანძო სიტყვები: კრიმინოლოგია, დანაშაულობა, მიზეზი

შესავალი

ძნელია ვისაუბროთ დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების
თანამედროვე კრიმინოლოგიურ განსაზღვრებაზე, რადგან ამ

თემის შესახებ ძალზე მწირი თეორიული მასალა არსებობს. მიზეზი, ზოგადი განსაზღვრებით, ეწოდება მოვლენას, გარემოებას რომელიც იწვევს, ხელს უწყობს ახალი მოვლენის წარმოშობას.¹ მოვლენათა შორის მიზეზობრივი კავშირის არსის შეცნობას საფუძვლად უდევს მატერიალისტური გაგება, რომლის თანახმად, მიზეზობრიობა არის ობიექტური კავშირი ორ მოვლენას შორის, რომელთაგან ერთი (მიზეზი) გარკვეული პირობების შემთხვევაში წარმოშობს მეორეს (შედეგს).² მიზეზობრიობის მატერიალისტური და იდეოლოგიური გაგება არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.³ მიზეზობრიობის მატერიალისტური გაგება დაკავშირებულია დებულებასთან, რომლის თანახმად, მიზეზობრიობის შეცნობის წყაროს წარმოადგენს ბუნებისა და საზოგადოების ობიექტური კანონზომიერებანი.⁴ ხოლო იდეალისტური გაგების მიხედვით, ეს წყარო არის ადამიანის გონება, მისთვის დამახასიათებელი ცნობილ აპრიორულ (ცდისაგან დამოუკიდებელი, იმთავითვე არსებული) ქეშმარიტებათა შეცნობის უნარი.⁵ აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი, მაგ., ტ. სელინი მიიჩნევს, რომ „მტკიცებები მიზეზობრივი კავშირის შესახებ პირობითია, სუბიექტურია და მეცნიერებამ უარი უნდა თქვას მიზეზობრივ კონცეფციაზე და მას უნდა მიმართოს მხოლოდ გარკვეულ ელემენტებსა და ფაქტებს შორის ფუნქციონალური ურთიერთობების აღსანიშნავად“.⁶ შესაბამისად, თანამედროვე კრიმინოლოგიაში უარყოფილ უნდა იყოს მიზეზთა მეტაფიზიკური თეორიები და დანაშაულის მიზეზთა ახსნა განხორციელდეს იმ წინმსწრებ მოვლენათა დაკვირვებისა და შესწავლის საფუძველზე, რომლებსაც დანაშაულის

დადგომა მოჰყვა, მოჰყვებოდა და მომავალშიც მოჰყვება და დაკავშირებულია ერთი და იგივე ვითარების არსებობასთან.⁷

დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კლასიფიკაცია

დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების კლასიფიკაციის პირველი შემთხვევები გვხვდება კლასიკური მიმართულების იტალიელი იურისტის, რომანოზის შრომებში.⁸ იგი დანაშაულობის გამომწვევ მიზეზებს 4 ჯგუფად ჰყოფს:

1. საარსებო საშუალებების ნაკლებობა
2. აღზრდის ნაკლებობა
3. წინდახედულობის ნაკლებობა
4. მართლმსაჯულების ხარვეზი.⁹

მიზეზთა პირველი ჯგუფი ეკონომიკური ხასიათისაა, მეორე ჯგუფი – მორალური, მესამე და მეოთხე პოლიტიკური.¹⁰ ვსაუბრობთ რა რომანოზიზე, აღსანიშნავია კრიმინოლოგიის კლასიკური სკოლის იდეებიც. რომელიც წარმოადგენს დანაშაულისა და მასთან ბრძოლის იდეათა სისტემას, იგი ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ფარგლებში. მისი ფუძემდებელია დიდი იტალიელი იურისტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მარკიზი ჩეზარე დე ბეკარია (1738-1794). ბეკარია სწავლობდა იეზუიტურ სკოლაში, ხოლო შემდეგ პავიის უნივერსიტეტში, სადაც 22 წლის ასაკში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა სამართლის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.¹¹

ჩეზარე ბეკარიას თავისი სწავლების ძირითადი დებულებები ფორმულირებუ-

1 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი. 1986. გვ. 297.
 2 წულაია, ზ., 2005. კრიმინოლოგია. (ზოგადი და კერძო ნაწილი). ინტელექტი. თბილისი. გვ. 59.
 3 იქვე.
 4 წულაია, ზ., 2005. კრიმინოლოგია. (ზოგადი და კერძო ნაწილი). ინტელექტი. თბილისი. გვ. 59.
 5 იქვე.
 6 იქვე. გვ. 60.

7 გახოკიძე, ც., გაბუნია, მ., 2017. კრიმინოლოგია. იურისტების სამყარო. თბილისი. გვ. 14.
 8 იქვე.
 9 გაბუნია, მ., 2019. დანაშაულობის პრევენციის კრიმინოლოგიური ასპექტები. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. N 2(62). თბილისი. გვ. 89. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2019w-n2.pdf>
 10 იქვე.
 11 <https://www.biography.com/scholar/cesare-beccaria>

ლი აქვს სახელგანთქმულ მონოგრაფიაში „დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ“, რომელიც პირველად ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა 1764 წელს. ეყრდნობოდა რა მონტესკიესა და XVII-XVIII საუკუნეების დიდი განმანათლებლების იდეებს, ბეკარიამ ჩამოაყალიბა თავისი დროისათვის სრულიად ახალი თეორია. იმ პერიოდისათვის პოპულარული „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ თეორიის პოზიციიდან გამომდინარე, იგი ამტკიცებდა, რომ არსებობს ხალხის მართვის ზნეობრივი და პოლიტიკური საწყისების სამი წყარო: საღვთო გამოცხადება, ბუნებრივი კანონები და ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

დანაშაულებათა წყაროდ ბეკარია განიხილავს ადამიანური ვნებების საყოველთაო ბრძოლას, კერძო ინტერესების შეჯახებას. მისი აზრით, სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებასთან ერთად, იზრდება სახელმწიფოს მოუწესრიგებლობაც, ამავდროულად ხარისხით სუსტდება ნაციონალური გრძობა, დანაშაულებრივი განზრახვა იზრდება იმ სარგებლის შესაბამისად, რომელსაც თითოეული იღებს თავისთვის საზოგადოებრივი მოუწესრიგებლობისგან. ადამიანის დანაშაულებრივ აქტივობას ბეკარია ხსნის, როგორც მთავარ მამოძრავებელ საწყისს, რომელიც მიმართავს ადამიანებს ნებისმიერი როგორც საზიანო, ისე სასარგებლო და თვით ყველაზე ამაღლებელი საქციელისაკენ. ამ საწყისების საფუძვლად ის ასახელებს სიამოვნებასა და ტანჯვას. ბეკარიას კლასიკურ ნაშრომში „დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ“ განხილულია არა მხოლოდ დიალექტიკური გააზრება დანაშაულის წარმოქმნისა სოციალური წინააღმდეგობების ზემოქმედებით, არამედ, ასევე, გადმოცემულია ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმის ფსიქოლოგიური ახსნა-განმარტება. ის მიიჩნევს, რომ შეუძლებელია თავიდან აიცილო ყველა ბოროტება (დანაშაული) და აღნიშნავს, რომ დანაშაულებათა რიცხვი იზრდება მოსახლეობის ზრდასთან

ერთად, კერძო ინტერესების შეჯახების საფუძველზე.¹²

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დანაშაულობის გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული კვლევით არ ინტერესდებიან არც ბეკარია, არც რომანოზი და არც მათი თანამედროვე მეცნიერები.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, ახალი კრიმინოლოგიური სწავლების განვითარებამ, რომლის თანახმად, მთავარი ყურადღება დანაშაულიდან და სასჯელიდან დამნაშავის პიროვნებასა და დანაშაულობასთან ბრძოლაზე გადავიდა, ასეთი კლასიფიკაცია აუცილებელი გახდა¹³ და, ამდენად, კრიმინოლოგიის ანთროპოლოგიურმა სკოლამ, არსებობის პირველივე წლებიდან, ენრიკო ფერის თაოსნობით, სამწევროვნად დაჰყო დანაშაულობის მიზეზები:¹⁴ ანთროპოლოგიური, სოციალური და ფიზიკური.¹⁵

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ე. ფერი მკაფიოდ არ მიტნავს დანაშაულობის სოციალურ და ფიზიკურ ფაქტორებს. ასე, მაგალითად, ფიზიკურ მიზეზებს იგი კლიმატთან, ბუნებასთან და ნიადაგთან ერთად, მიაკუთვნებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, ამავდროულად, სამრეწველო წარმოებას მიაკუთვნებს სოციალური მიზეზების ჯგუფს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ე. ფერი ხშირად ერთსა და იმავე ფაქტორებს მიაკუთვნებს სხვადასხვა ჯგუფებს. მაგ., განათლება და აღზრდა მის მიერ შეტანილია ანთროპოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებში. ე. ფერის მიერ ანთროპოლოგიურ ფაქტორთა განსაზღვრება საკმაოდ ფართოა, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, მიაკუთვნოს ამ კატეგორიას ისეთი სოციალური მიზეზები, როგორცაა დამნაშავის პროფესია და საცხოვრებელი ადგილი. ე. ფერის მაგალითს, აღნიშნა მხოლოდ მიზეზთა კატეგორიები, მათი არსებითი განსაზღვრის გარეშე, მიჰყვა ბევრი

12 <http://ebooks.grsu.by/criminal/3-prichiny-prestupnosti.htm>

13 გახოკიძე, ც., გაბუნია, მ., 2017. კრიმინოლოგია. იურისტების სამყარო. თბილისი. გვ. 15.

14 იქვე.

15 იქვე.

სხვა მეცნიერი; დაუშვებს რა იგივე შეცდომები, რაც მან. ამ ფაქტმა შედეგად გამოიწვია ის, რომ ვერ მოხერხდა მიზეზთა კონკრეტული კლასიფიკაცია და დაჯგუფება. ასე, მაგალითად, განათლება, რომელიც ე. ფერის მიერ მიკუთვნებული იყო მიზეზთა ორ კატეგორიას: ანთროპოლოგიურს და სოციალურს, მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერ შეტანილ იქნა სოციალური ფაქტორების ჯგუფში, ხოლო მეცნიერთა მცირე ნაწილის მიერ ჩაითვადა ანთროპოლოგიურ მიზეზად. ასევე, ალკოჰოლიზმი, რომელიც ე. ფერის მიერ სოციალურ ფაქტორად იყო მიჩნეული, სხვა მეცნიერთა მიერ დასახელდა ანთროპოლოგიურ მიზეზთა ჯგუფში შეავალ კატეგორიად.

ანთროპოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, ადამიანის წარმოშობას, რასებს.¹⁶ პროფესორი პ. ტოპინარდო აღნიშნავს, რომ ტერმინი „ანთროპოლოგია“ მოიცავს მეცნიერებას ადამიანის ან ხალხის შესახებ და აუცილებელია მასში შევიდეს ყველაფერი, რაც ადამიანს ეხება.¹⁷ მაგრამ ამ უსაზღვროდ ფართო განსაზღვრებასაც აქვს საზღვარი, თეორიულ და ეტიმოლოგიურ განსაზღვრებასთან ერთად, არსებობს ზუსტი განსაზღვრის პრაქტიკული აუცილებლობა.¹⁸ ანთროპოლოგია მე-19 საუკუნის მეცნიერთათვის ნიშნავდა ადამიანის ბოლოლოგიას, ვინაიდან იგი შეისწავლიდა ადამიანს ფიზიკური თვალსაზრისით, აღწერდა მის დამახასიათებელ, ბუნებრივ თავისებურებებს, რასებს.¹⁹ ადამიანის შესწავლის პროცესში ანთროპოლოგია ადამიანს ადარებდა სხვა ცხოველებს, განსაზღვრავდა მის ადგილს კლასიფიკაციაში და ცდილობდა დაედგინა მისი წარმომავლობა და გენეოლოგია.²⁰ ამდენად, დანაშაულობის ანთროპოლოგიურ მიზეზებში

უნდა ვიგულისხმოთ ისეთი ფაქტორები, რომლებიც დამახასიათებელია ადამიანის გონებისთვის, მისი ფსიქიკური და სომატური თვისებებისთვის.²¹ მიზეზთა ამ ჯგუფს, ასევე, უნდა მივაკუთვნოთ სქესი, ასაკი და რასა. არ შეიძლება ანთროპოლოგიურ ფაქტორებს მივაკუთვნოთ (როგორც ამას ე. ფერი აკეთებს) პროფესია, სოციალური მდგომარეობა, აღზრდა და განათლება. პროფესია, წარმომავლობა, ამა თუ იმ კლასისადმი კუთვნილობა, აღზრდა და განათლება არ არის ადამიანის თვისება, ამდენად, არ შეიძლება მივაკუთვნოთ ანთროპოლოგიურ მიზეზებს.

მეორე ჯგუფს ე. ფერიმ მიაკუთვნა დანაშაულობის ფიზიკური მიზეზები. ასეთი დასახელება მომდინარეობს ადამიანის გარემომცველი ბუნების იმ ძალებით, რომლებიც იწვევენ მის მოქმედებას. ისინი შეიძლება იყოს საკმაოდ მრავალფეროვანი. ე. ფერი ფიზიკურ მიზეზებს მიაკუთვნებს: სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და კლიმატურ პირობებს. ეს უკანასკნელი დიდ გავლენას ახდენს დანაშაულის ჩადენაზე. კერძოდ, კრიმინოლოგიური შეხედულებით, ჩრდილოეთით, ცივ ქვეყნებში დიდი ისეთ დანაშაულთა ჩადენის ალბათობა, რომელიც მიმართულია საკუთრების წინააღმდეგ, ხოლო სამხრეთით და თბილ ქვეყნებში ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.

მიზეზთა მესამე ჯგუფი სოციალური ხასიათისაა, მათ, ერთი მხრივ, უნდა მივაკუთვნოთ დანაშაულობაზე იმ სოციალური გარემოს გავლენა, რომელშიც ცხოვრობს დამნაშავე, და მეორე მხრივ, ის სოციალური ინსტიტუტები და სახელმწიფო პოლიტიკური წეს-წყობილება, სადაც ადამიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს.²² ამდენად, სოციალურ პირობებში იგულისხმება ოჯახური მდგომარეობის გავლენა, კლასობრივი მდგომარეობა, შრომის ორგანიზაცია, საზოგადოებრივი აზრი, ცხოვრება ქალაქად და სოფლად, განათლება, აღზრდა, რელი-

16 ჭაბაშვილი, მ., 1964. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი, გვ. 40.
 17 გახლოძე, ც., გაბუნია, მ., 2017. კრიმინოლოგია. იურისტების სამყარო. თბილისი, გვ. 17.
 18 გახლოძე, ც., გაბუნია, მ., 2017. კრიმინოლოგია. იურისტების სამყარო. თბილისი, გვ. 17.
 19 იქვე.
 20 იქვე. გვ. 18.

21 იქვე.
 22 იქვე.

გია, პოლიტიკური წყობა. აქედან ნათლად ჩანს, რომ სოციალური ფაქტორები განსაკუთრებით მრავალფეროვანია თავისი შინაარსით.²³

კრიმინოლოგიის ისტორიაში იყო არაერთი მცდელობა, სოციალური ფაქტორები დაეყოს რამოდენიმე კატეგორიად. ასე, მაგალითად, მეცნიერები ვან-კანი და კოლაიანი ჰყოფენ მათ სოციალურ და, ვიწრო გაგებით, ეკონომიკურ ფაქტორებად. ეკონომიკურ ჯგუფს მიაკუთვნებენ იმ ფაქტორებს, რომლებიც ირიბად ახდენს გავლენას ადამიანის მატერიალურ კეთილდღეობაზე. მიუხედავად ამგვარი დაყოფისა, მაინც რთულია, გადაწყვიტო რომელია ეკონომიკური ან სოციალური. მაგ., უმუშევრობა და ემოგრაცია, რომელსაც ვან-კანი უწოდებს „სოციალურ-ეკონომიკურს“ და შეჰყავს მესამე ქვეჯგუფში. ზუსტად ასევე კოლაიანიც, რომელიც ანსხვავებს სოციალური ფაქტორებისაგან ეკონომიკურ ჯგუფს, ჰყოფს ამ უკანასკნელს ორ ქვეჯგუფად: პირდაპირი

23 გახოკიძე, ც., გაბუნია, მ., 2017. კრიმინოლოგია. იურისტების სამყარო. თბილისი, გვ. 18.

ზემოქმედების ეკონომიკურ ფაქტორებად და ირიბი ზემოქმედების ფაქტორებად, როგორც არის მაგალითად პროსტიტუცია.

საინტერესოა პროფესორ მასენატის შეხედულება²⁴, რომელიც სოციალურ მიზეზებს ოთხ ჯგუფად ჰყოფს: 1. ინტელექტუალური ხასიათის ფაქტორები – ფილოსოფია, რელიგია; 2. ესთეტიკური ხასიათის ფაქტორები: ხელოვნება, ლიტერატურა; 3. ეკონომიკური ხასიათის ფაქტორები: სიღარიბე, ალკოჰოლიზმი, ალზრდა და ა.შ. 4. მორალური ფაქტორები – დასჯადობა (გაკიცხვა).²⁵ აღნიშნული კლასიფიკაცია მთელ რიგ ნაკლოვანებებს შეიცავს. მაგ. ალზრდა არ შეიძლება მიეკუთვნოს ეკონომიკურ ფაქტორებს, გაუგებარია, ასევე, რატომ არის გაკიცხვა მორალური ხასიათის, ხოლო რელიგია – ინტელექტუალურის.

24 გაბუნია, მ., 2019. დანაშაულობის პრევენციის კრიმინოლოგიური ასპექტები. ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“. N 2(62). თბილისი, გვ. 90. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2019w-n2.pdf>

25 იქვე.

ბიბლიოგრაფია:

1. Ферри, Э., 1910. Уголовная социология. М
2. Гернет, М., 1905. Социальные факторы преступности. М
3. Criminology. John F., Conclin. Tufts University. Ninth. Edition. 2007
4. გახოკიძე, ც., გაბუნია, მ., 2017. კრიმინოლოგია. იურისტების სამყარო. თბილისი

CRIMINOLOGICAL ASPECTS OF THE CAUSES OF CRIME

Mikheil Gabunia

*Doctor of Law, Georgian Technical University,
Faculty of Law and International Relations,
Associate Professor*

Lika Kavtuashvili

*Georgian Technical University, Faculty of Law
and International Relations, 4th year student*

Ani Aslanishvili

*Georgian Technical University, Faculty of Law
and International Relations, 4th year student*

Anano Motsonelidze

*Georgian Technical University, Faculty of Law
and International Relations, 4th year student*

KEYWORDS: Criminology, criminality, cause

ABSTRACT

In modern criminology, the threefold division of the causes of crime is accepted: physical; Anthropological and social. However, it should be noted that in modern criminology there is an opinion that the reasons

are divided into two parts. In particular, physical factors should be removed from this classification and the causes of crime should be divided into social and anthropological categories.

For modern criminology, in relation to the causes of crime, it would be most appropriate to take into account the vast experience of the past and to conduct our further research in a three-part classification: studying anthropological,

physical and social causes and influencing these causes, developing prevention measures.

Experience has clearly shown that the science of criminology in the fight against crime, occupies a leading place among the social sciences, whose recommendations should be taken into account as much as possible in the social control of crime.

BIBLIOGRAPHY:

1. Ferri, E., 1910. Criminal sociology. M
2. Gernet, M., 1905. Social factors of crime. M
3. Criminology. John F., 2007. Conclin. Tufts University. Ninth Edition
4. Gakhokidze, Ts., Gabunia, M., 2017. Criminology. Publisher The world of lawyers. Tbilisi

NOTES:

1. Explanatory Dictionary of Georgian Language. Tbilisi. 1986. p.297
2. Tsulaia, Z., 2005. Criminology. (General and private part). Publisher Intellect. Tbilisi, p. 59
3. Gakhokidze, Ts., Gabunia, M., 2017. Criminology. Publisher The world of lawyers. Tbilisi, p. 14
4. Mikheil Gabunia. Criminological aspects of crime prevention. Journal "Justice and Law". N 2 (62). Tbilisi. 2019. p. 89
5. <https://www.biography.com/scholar/cesare-beccaria>
6. <http://ebooks.grsu.by/criminal/3-prichiny-prestupnosti.htm>
7. Chabashvili, M., 1964. Dictionary of foreign words. Tbilisi, p. 40

სმარტ კონტრაქტების სამართლებრივი ბუნება

სალომე თებელაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის
ფაკულტეტის დოქტორანტი, შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი,
იურიდიული და ადმინისტრაციული განყოფილება

საკვანძო სიტყვები; სმარტ კონტრაქტი, კრიპტოვალუტა,
კომპიუტერული ალგორითმი

შესავალი

სმარტ კონტრაქტებზე მსჯელობა აქტუალური გახდა ინტერ-
ნეტ სივრცეში ბლოქჩეინისა და კრიპტოვალუტის გამოჩენის
შემდეგ, ბლოქჩეინი და სმარტ კონტრაქტი განიხილება, რო-
გორც მონაცემთა შენახვის იურიდიულად აღიარებული მეთო-
დი, იმ პირობით, რომ ისინი წინააღმდეგობაში არ მოვლენ
არსებულ წესებთან და კანონებთან.¹ მსოფლიოს ქვეყნების უმ-
რავლესობაში ფინანსური ტექნოლოგიების გაციფრულება და
დანერგვა იწვევს კარდინალურ ტრანსფორმაციას ეკონომი-
კის ფინანსურ ბაზრებზე. ინოვაციებისა და თანამედროვე ტექ-
ნოლოგიების ბევრი ოპერაციის დახმარებით, რომელიც ადრე
მოითხოვდა პირად დასწრებას და დიდ დროს, ახლა შესაძლე-
ბელია ნებისმიერი ოპერაცია თითის მხოლოდ ერთი დაჭერით
სულ რამოდენიმე წუთში განხორცილდეს.

სმარტ კონტრაქტების იდეა პირველად 1994 წელს წამო-
აყენა ვინმე საბომ, იგი გახლდათ მეცნიერი ინფორმატიკის,
კრიპტოგრაფიისა და სამართლის სფეროში. მან აღწერა სმა-
რტ კონტრაქტები, როგორც ციფრული წარმოსახვა მხარეებს
შორის. შესაბამისად, სმარტ კონტრაქტები შეიძლება განსა-

1 ხახაძე, ლ., 2019. ბლოქჩეინ ტექნოლოგიებია და ციფრული კომუნიკა-
ციების განვითარების მომავალი თანამედროვე გლობალურ ბიზნესში.
თბ., გვ. 485. <https://dspace.tsu.ge/>

ზღვრული იყოს, როგორც მოლაპარაკება ორ ან მეტ მხარეს შორის, იურიდიული უფლებების განსაზღვრის, ცვლილების და შეწყვეტის შესახებ, რომელშიც ნაწილი ან ყველა პირობა იწერება და სრულდება.² დაახლოებით ასევეა ჩვეულებრივი, სტანდარტული კონტრაქტის (ხელშეკრულების) შემთხვევაშიც, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კონკრეტული მუხლები განსაზღვრავს, თუმცა ჩვეულებრივი კონტრაქტის შემთხვევაში საჭიროა მხარეების უშუალო დასწრება, რათა ხელმოწერის საშუალებით მოხდეს კონტრაქტის დადება და ძალაში შესვლა, რაც, ხშირ შემთხვევაში, დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. სმარტ კონტრაქტის შემთხვევაში კი ეს ყველაფერი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ალგორითმით, რომელიც სპეციალური პროგრამის საშუალებით ახდენს ქმედების განხორციელებას.

სმარტ კონტრაქტების სამართლებრივი ბუნება

როგორც აღვნიშნეთ, ბლოკჩეინ ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების სისტემების განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებულად იზრდება ინტერესი სმარტ კონტრაქტის (Smart Contract), როგორც აღნიშნული ტექნოლოგიის ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტის, მიმართ.³

გონიერ კონტრაქტებზე მსჯელობისას აუცილებელია განვიხილოთ მისი სამართლებრივი ბუნება, რით განსხვავდება და რა აქვს საერთო სტანდარტულ გარიგებასთან, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველ თავში ვხვდებით. ასევე უნდა განვსაზღვროთ, რამდენმხრი-

ვია ხელშეკრულება და ვინ არიან ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“.⁴

კოდექსის მიხედვით, „ცალმხრივი გარიგება, რომლის ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი ნების გამოვლენის არსებობა, მაგალითად, ანდერძი ან ხელშეკრულების შეწყვეტა (მოშლა)“.

„ორმხრივი გარიგება, რომლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის აუცილებელია, სულ ცოტა, ორი შინაარსობრივად ერთმანეთის თანამთხვევადი ნების გამოვლენა. ორმხრივი გარიგების კლასიკური მაგალითია ხელშეკრულება“.

რაც შეეხება მრავალმხრივ გარიგებებს, მრავალმხრივი გარიგების გავრცელებული ფორმაა გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება არა გამოვლენილ ნებათა კონსენსუსის, არამედ გამოვლენილ ნებათა უმრავლესობის მიერ მრავალმხრივი გარიგებების საფუძველზე, თავისებურება შესაძლოა იმაშიც გამოიხატოს, რომ ისინი შეიძლება მბოჭავი და სავალდებულო გახდეს იმ პირთათვისაც, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში.⁵

რაც შეეხება გონიერ კონტრაქტებს, უნდა განისაზღვროს, რა იგულისხმება მასში, განვსაზღვროთ მისი სამართლებრივი ბუნება და ვნახოთ რა განსხვავებაა სტანდარტულ გარიგებასა და გონიერ კონტრაქტს შორის.

გონიერი კონტრაქტი ეს არის ელექტრონული პროტოკოლი, რომელიც იქმნება კომპიუტერული კოდის გამოყენებით. მისი მიზანია, კონტრაქტის მონაწილე მხარეე-

2 თებელაშვილი, ს., 2021. სამართალი და მსოფლიო, (#17) ეთერიუმის, როგორც, გონიერი კონტრაქტის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი. თბ., გვ. 168.

3 გაბისონია, ზ., 2020. გონიერი კონტრაქტის“ (Smart Contract) სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი. თბ., გვ. 45. <http://lawjournal.ge/wp>

4 სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები. თბ., 2017. გვ. 287. <http://lawlibrary.info/ge>

5 სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-სამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი. თბ., 2019. გვ. 108, 109. <http://lawlibrary.info/ge>

ბის მიერ ინფორმაციის გადაცემა და უზრუნველყოფა ხელშეკრულებების პირობების შესრულებისას.

გონიერი კონტრაქტების ერთ-ერთი დადებითი ასპექტი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვეულებრივ სტანდარტულ შემთხვევაში გარიგების დადების დროს, საჭიროა ხელშეკრულება დადებული იქნას შესაბამისი პირის თანდასწრებით, ეს უნდა იყოს ნოტარიუსი ან იურისტი, რომელიც უფლებამოსილი იქნება გააფორმოს ხელშეკრულება კანონით გათვალისწინებული წესით. ასეთი ფორმით დადებული ხელშეკრულებები კი ხშირად ხდება დავის საგანი, თუ რომელიმე მხარემ არ შეასრულა კონტრაქტით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულება. შემდეგ მხარეებს წლობით უწევთ დავა სასამართლოში, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებსა და დროსთან არის დაკავშირებული. გონიერი კონტრაქტების უპირატესობა უკეთ რომ გამოვკვეთოთ, იგი მოკლედ განვიხილოთ მაგალითის საფუძველზე, კერძოდ სავაჭრო პლატფორმასთან მიმართებაში, ანუ ონლაინ გაყიდვების კუთხით, როდესაც პირს სურს შეიძინოს რაიმე ნივთი საზღვარგარეთ ონლაინ, თუმცა ნივთს არ აქვს აღწერა და ბრმად გვიწევს მისი შეძენა. ასევე, აქ საკამათოა ნდობის ფაქტორიც, რადგან შესაძლოა ამ ნაწილში წარმოიშვას პრობლემა როგორც მყიდველის, ასევე გამყიდველის მხრიდანაც, რაც იმაში იგულისხმება, რომ თუ რომელიმე მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, ავტომატურად ხდება ჯარიმების დაკისრება. სწორედ გონიერი კონტრაქტები უზრუნველყოფს გარიგების უსაფრთხოებას და თავისუფალი პირობების ორაზროვან ინტერპრეტაციის თავიდან აცილებას.

მოკლე მიმოხილვის შემდეგ, კარგი იქნება, შევაჯამოთ გონიერი კონტრაქტის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე, განსხვავება და საერთო მისსა და სტანდარტულ ხელშეკრულებას შორის.

დავიწყოთ იმით, რომ ორივე კონტრაქტი თავისებურებად საინტერესო და მისაღებია საზოგადოების განსაზღვრული ნაწილისათვის. თუ ვიტყვით, რომ გონიერი

კონტრაქტი საერთოდ უშეცდომოა, რადგან იგი კრიპტოგრაფიაზე დაფუძნებული, ესეც ტყუილია, გამომდინარე იქიდან, რომ ნებისმიერი კომპიუტერული პროგრამის მსგავსად, გონიერ კონტრაქტებშიც არსებობს შეცდომების რისკი, რაც, შესაძლოა გამოწვეული იყოს პროგრამების შეცდომით, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ იმუშავებს სწორად.

ასევე, როდესაც რაიმე ხელშეკრულება დადებულია არა სტანდარტული, არამედ გონიერი კონტრაქტების გამოყენებით, სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში, ძალიან ძნელი იქნება მისი განხილვა, რადგან, ელემენტარულად, დიდ პრობლემა წარმოიშობა კონტრაქტის იმ ნაწილში, რომ დადგენილი იქნეს, თუ როდის გაფორდა ხელშეკრულება, ან საერთოდ გაფორმდა თუ არა იგი და შემდგომ უკვე იმის გარკვევა, რა ვალდებულება დაირღვა ან არ დარღვეულა საერთოდ.

სმარტ კონტრაქტის ცნება

ცივილიზაციის ისტორია ათწლეულებს ითვლის. ამ დროის განმავლობაში კაცობრიობამ დიდი გზა განვლო უძველეს დროში გამოყენებული პრიმიტიული მეთოდებიდან და პრაქტიკიდან, ურთულეს თანამედროვე ტექნოლოგიებამდე. სწორედ ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს სმარტ კონტრაქტები.⁶

როგორც ცნობილია, ისტორიულად ხელშეკრულება (კონტრაქტი) უძველესი ინსტიტუტია, რომელსაც პირველად რომის სამართალში ვხვდებით. კონტრაქტის წარმოშობის ისტორია რამდენიმე საუკუნეს ითვლის. ეპოქის განვითარების შესაბამისად. ამ სფეროშიც განიცადა რიგი ცვლილებები და განვითარება. დღეს ხელშეკრულების განმარტება შეიძლება ასე ჩამოვაცალიოთ: ხელშეკრულება წარმოადგენს პიროვნების მიერ გამოვლენილი ნების რეალიზაციის საშუალებას. იგი, როგორც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების

6 ციხილოვი, ა., 2020. ბლოქჩეინი პრინციპები და საფუძვლები. თბ., გვ. 10.

რციელების ინსტრუმენტი, პიროვნების თავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. მისი ცნების თაობაზე შესაძლებელია გამოიკვეთოს რამდენიმე ძირითადი ასპექტი, რომელთა მიხედვითაც, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ხელშეკრულების ცნების ის განმარტება, რაც გაბატონებულია იურიდიულ მეცნიერებაში, ხოლო, მეორე მხრივ, იგი განიმარტოს უშუალოდ კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე. ხელშეკრულების ცნების დეფინიცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ან რომელიმე სხვა სამართლებრივ ნორმაში არ არის მოწესრიგებული.⁷

რაც შეეხება გონიერ კონტრაქტებს, არსებობს ელექტრონული პროტოკოლი, რომელიც კომპიუტერული კოდის გამოყენებით იწერება. მისი მიზანია, ორივე მხარის მიერ ინფორმაციის გადაცემა და ხელშეკრულების პირობების შესრულების უზრუნველყოფა. მას ასევე ეძახიან ჭკვიან კონტრაქტს.

გონიერი კონტრაქტის იდეა პირველად 1994 წელს გაჩნდა. ამ იდეის ავტორმა ნიკ საბომ, რომელიც იურისტი და კრიტპოგრაფი იყო, გააცნობიერა, რომ დეცენტრალიზებული რეესტრის გამოყენებით შესაძლებელია ელექტრონული თვითდამოკიდებულების ხელშეკრულებების გაფორმება. აღნიშნული იწერება კოდის სახით და დავალებას ასრულებს პროგრამა, რომელსაც კონტროლს უწევს ბლოკები.

2008 წლიდან უკვე შესაძლებელი ხდება გონიერი კონტრაქტების იდეის პრაქტიკაში განხორციელება, ხოლო 2013 წელს გონიერი კონტრაქტების ამოქმედება დაიწყო ე.წ. „ეთერიუმ“ (Ethereum) პროექტის შექმნის წყალობით⁸. გონიერი კონტრაქტები

(ანუ სმარტ კონტრაქტები) არის ორ მხარეს შორის შეთანხმება, რომელიც ინახება ბლოკჩეინ მონაცემთა ბაზაში. სმარტ კონტრაქტები იძლევა ავტომატიზებულად გადახდის შესაძლებლობას შეთანხმებული პირობების საფუძველზე. როგორც კი სმარტ კონტრაქტში მოცემული პირობა შესრულდება, შეთანხმება ავტომატურად აღსრულდება და აქტივები (მაგალითად: ფულადი სახსრები, ციფრული ვალუტა, საკუთრების უფლება) ურთიერთ გაიცვლება კონტრაქტენტებს შორის.⁹

სმარტ კონტრაქტები დაფუძნებულია „ბლოკჩეინ“ (Blockchain) ტექნოლოგიაზე. ეს განაწილებული რეესტრია, რომელიც დეცენტრალიზებული სისტემას წარმოადგენს. იგი არსებობს ერთ ქსელში დაკავშირებული მრავალი კომპიუტერის წყალობით. ბლოკჩეინი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ ოპერაციები, გადაიტანონ ინფორმაცია და მატერიალური ღირებულება, ბანკებისა და შუამავლების გარეშე.

სმარტ კონტრაქტები არსებითად პროგრამებია, რომლებიც იქმნება კომპიუტერული ლოგიკის საფუძველზე და გადაეცემა კოდის ფორმით. სწორედ ამიტომ, გარიგების ან ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შეუძლიათ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ხელშეკრულების ყველა პირობა შესრულდება და ვერც ერთი მონაწილე ვერ შეძლებს შეცვალოს პირობები ან მოახდინოს მათი ინტერპრეტაცია საკუთარი თავის სასარგებლოდ. კოდი არის ჭკვიანი ხელშეკრულებების კანონი.¹⁰

სმარტ კონტრაქტების გამოყენების უმარტივესი მაგალითია მრავალხელმო-

7 ჯორბენაძე, ს., 2016. ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში. თბ., გვ 60-61. <http://press.tsu.ge/> იხ. Enders, C., Wiederin, E., Rainer, P., Sodan, H., Der Sozialstaat in Deutschland und Europa, Peter M. Huber (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005, 365, Kittner M., Schuldrecht, Rechtliche Grundlagen – Wirtschaftliche Zusammenhänge, 3. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2003, 161.

8 ეთერიუმის სამართლებრივი ბუნების შესახებ იხ. თეგელაშვილი, ს., 2021. ეთერიუმის, რო-

გორც გონიერი კონტრაქტის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი, ჟურ. „სამართალი და მსოფლიო“, N17, თბ., გვ. 163.

9 კანდელაკი, ნ., 2019. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენების პერსპექტივები ელექტრონულ მმართველობაში. გვ. 15 <http://shromebi.gtu.ge/> (იხ. Iansiti, M., Lakhani, K. R., 2017. The truth about blockchain. Harvard Business Review. 118-127 pp;) (<https://www.forbes.ru/tehnologii/343843-programmy-blokcheyna-chtoprepyatstvet-massovomu-vnedreniyu-smart-kontraktov>).

10 <https://www.blockchain-partners.com/> [4.12.2021].

წერა. ამ ხელმოწერით ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ გააყინონ გარკვეული რაოდენობის მონეტები ბლოკჩეინზე. ხელშეკრულების ეს პირობა უზრუნველყოფს პროექტში ინვესტირებული სახსრების უსაფრთხოებას. წარუმატებლობის შემთხვევაში, თანხები ავტომატურად დაუბრუნდება ინვესტორს. თუ დეკლარირებული თანხის შეგროვება წარმატებული იყო, მაშინ მრავალხელმოწერის მონაწილეები ააქტიურებენ თავიანთ კლავიშებს, რაც დაადასტურებს იმ პროექტის მთლიანობას, რომელშიც ინვესტიციას ასრულებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ტექნოლოგიები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს რადიკალური ცვლილებები და ქვეყანა განვითარდეს ტექნოლოგიური სამართლის კუთხით, შესაძლოა ძალიან ბევრ პრობლემას წავაწყდეთ, რის გადასაწყვეტადაც საჭირო იქნება სხვადასხვა უწყებების ჩართულობა. ერთი მხრივ, სმარტ კონტრაქტების გამოყენება ხელშეკრულებების დადების დროსა და სხვადასხვა სახის რისკს ამცირებს და ითვლება, რომ იგი, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბევრად უსაფრთხოა იმ მიზეზის გამო, რომ საქმე გვაქვს არა სტანდარტულად შექმნილ ხელშეკრულებასთან, არამედ მათემატიკურ ალგორითმთან, მეორე მხრივ კი, ამ ალგორითმის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა დავალება თანმიმდევრულად უნდა შესრულდეს და, ერთის შეუსრულებლობის შემთხვევაშიც კი, იგი დავალებას ვეღარ ასრულებს. შესაბამისად. ამ ნაწილში ვაწყდებით გარკვეული სახის პრობლემას.

სმარტ კონტრაქტების ადგილი ტექნოლოგიების სამართალში

პირველ რიგში, განვიხილოთ, რა არის ტექნოლოგიების სამართალი. ეს არის პირობითი სამართლის დარგების ერთობლიობა, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიების სამართლებრივ რეგულაციებთან

დაკავშირებულ სხვადასხვა სამართლის დარგს (მაგ., ინტერნეტ სამართალი, ბლოკჩეინ სამართალი, ენერჯეტიკის სამართალი და ა.შ.). ამ შემთხვევაში, სიტყვა „პირობითს“ ვიყენებთ იმიტომ, რომ ეს გამოიყენება იმ დარგების გასაერთიანებლად, რომელიც ტექნოლოგიებს სამართლებრივად არეგულირებს. ესენი შეიძლება იყოს მატერიალური ტექნოლოგიები მაგ., ინჟინერია, ენერჯეტიკა და ა.შ.

ადამიანები ყოველთვის იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ტექნოლოგიას, რაც ხელს შეუწყობდა მათი ცხოვრების გამართლებას და, ამავდროულად, ცდილობდნენ მის სრულყოფას და აყვანას უფრო მაღალ დონეზე. ასე დაიწყო ინდუსტრიული რევოლუციის კონცეფცია¹¹.

ცივილიზაციის ევოლუციის უკან დგას უმნიშვნელოვანეს გამოგონებათა ჯაჭვი, რომლებმაც თავის დროზე დიდი გავლენა მოახდინა ადამიანთა ცხოვრებაზე და ხელი შეუწყო განვითარების შემდეგ ეტაპზე გადასვლას.¹²

თანამედროვე ევროპის განვითარების საფუძველი 1780-იან და 1849 წლებში იყო უპრეცედენტო ეკონომიკური ტრანსფორმაცია, რომელმაც მოიცვა დიდი ინდუსტრიული რევოლუციის პირველი ეტაპები და კომერციული საქმიანობის კიდევ უფრო ზოგადი გაფართოება.

ტერმინი „ინდუსტრიული რევოლუცია“ პირველად გამოიყენა ინგლისელმა ისტორიკოსმა არნოლდ ტოინბიმ (1852-83 წწ.) ბრიტანეთის ეკონომიკური განვითარების აღსაწერად 1760-იდან 1840 წლამდე. ტოინბის დროიდან ეს ტერმინი უფრო ფართოდ გამოიყენებოდა. ინდუსტრიული რევოლუციის ძირითადი მახასიათებლები იყო ტექნოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული. პირველი ინდუსტრიული რევოლუცია 1765 წლიდან დაიწყო, რის შემდეგაც ყველაზე დიდი ცვლილებები მოხდა ინდუსტრიაში, კერძოდ, მექანიზაციის სახით. იმ დრო-

11 <https://ied.eu/> [01.12.2020].
 12 ციხილოვი, ა., 2020. ბლოქჩეინი პრინციპები და საფუძვლები. თბ., გვ. 10.

სთვის ადამიანები ნახშირს მასიურად მოიპოვებდნენ, ასევე, ამ პერიოდში გამოგონებულ იქნა ახალი ტიპის ენერჯია, რაც მოგვიანებით მსოფლიოს რკინიგზას წარმოების დაჩქარებაში დაეხმარა და ამით ეკონომიკის განვითარება უზრუნველყო. ჯეიმზ ჰარგრივსმა, რომელიც ინგლისელი ფეიქარი გახლდათ, 1765 წელს ძაფის სართავი მექანიზმი გამოიგონა, რაც შემდგომ, მექანიკური საქსოვი დაზვის მუშაობის პრინციპს დაედო საფუძვლად.

რაც შეეხება მეორე ინდუსტრიულ რევოლუციას, იგი იყო სწრაფი განვითარების პერიოდი ინდუსტრიაში, მეორე ინდუსტრიული რევოლუცია 1870 წლიდან იწყება, პირველი ინდუსტრიული რევოლუციიდან თითქმის საუკუნის მერე და მოიტანა მასიური ტექნოლოგიური მიღწევები ინდუსტრიების სფეროში, რამაც ენერჯიის ახალი წყაროს გაჩენას შეუწყო ხელი (ელექტროენერჯია, გაზი და ნავთობი).

მესამე ინდუსტრიული რევოლუცია 1969 წელს დაიწყო და მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა კიდევ ერთი, ადრე უცნობი, ენერჯიის წყარო – ბირთვული ენერჯია!

რაც შეეხება ბოლო, მეოთხე რევოლუციას,¹³ სწორედ ბლოქჩეინი ითვლება მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციად. ძალიან მოკლედ განვიხილოთ, თუ რატომ ითვლება იგი ბოლო თაობის ინდუსტრიულ რევოლუციად. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ სმარტ კონტრაქტის მუშაობა და ფუნქციონირება პირდაპირაა დაკავშირებული ბლოქჩეინ ტექნოლოგიასთან. სწორედ ბლოქჩეინის და კრიპტოვალუტის გამოჩენამ განაპირობა სმარტ კონტრაქტის აქტუალობა.

ბლოქჩეინი (Blockchain) ინგლისური სიტყვიდან მოდის, რაც ქართულად „ბლოკების ჯაჭვს“ ნიშნავს. ეს არის მუდმივად მზარდი ჩანაწერების სია, რომელსაც ბლოკებს უწოდებენ. ბლოქჩეინ სისტემის შექმნის თარიღად 2008 წელს ასახელებენ

და მის შექმნას მიაწერენ ვინმე სატოში ნაკამოტოს. მოკლედ რომ ვთქვათ, ბლოქჩეინი – ეს არის მონაცემთა ბაზა, რომელიც იმართება ავტონომიურად, ერთიანი ცენტრის გარეშე. ინფორმაცია ახლდება და ინახება ერთდროულად სხვადასხვა მოწყობილობებში. გარდა იმისა, რომ ბლოქჩეინი არის მონაცემთა უსაფრთხო შენახვის საშუალება, ის ასევე აწვდის სმარტ კონტრაქტს საკვანძო ინფორმაციას. ბლოქჩეინის მეშვეობით შესაძლებელია გადავჭრათ გარიგების – მხარეთა შორის ნდობის საკითხი – ერთგვაროვანი დოკუმენტის არსებობა რამდენიმე პირის ხელში უზრუნველყოფს მონაცემთა უცვლელობას და გამორიცხავს ტექნიკურ თავდასხმებს.¹⁴

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ბლოქჩეინი სამართალი არის ტექნოლოგიური სამართლის ერთ-ერთი დარგი და, შესაბამისად, ტექნოლოგიების ქვედარგშია სმარტ, იგივე გონიერი კონტრაქტები, როგორც ერთ-ერთი ინსტიტუტი.

სმარტ კონტრაქტის შინაარსი

ხელშეკრულება ლათინური სიტყვაა (ლათ. Contractus, Convention, Pactum; ინგ. Agreement, Contract;) და კერძო სამართალში მიიჩნევა გარკვეულ შეთანხმებად ორ, ან რამდენიმე იურიდიულ ან ფიზიკურ პირს შორის, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს იმ კერძოსამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობს თავად ამ დადებული ხელშეკრულებიდან და, ასევე, იმ სამართლებრივი ნორმებიდან, რომლებიც მოქმედებს იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც დაიდო ხელშეკრუ-

13 გაგნიძე, ი., 2019. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია – უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი გამოწვევა საქართველოში. თბ., გვ. 2. www.researchgate.net

14 სიხაძე, ლ., 2019. ბლოქჩეინ ტექნოლოგიებისა და ციფრული კომუნიკაციების განვითარების მომავალი თანამედროვე გლობალურ ბიზნესში. თბ., გვ. 485. <https://dspace.tsu.ge/> (იხ. “8 ways blockchain can be an environmental game-changer”, Celine Herweijer, Jahda Swanborough, Lead, Environment Initiatives, World Economic Forum www.weforum.org).

ლებს. ხელშეკრულების დადება, ასევე (უმრავლეს შემთხვევაში), შესაძლებელია წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების წერილობითი ფორმა გულისხმობს ხელშეკრულების შედგენას წერილობითად და ხელშეკრულების მხარეთა მიერ მის ხელმოწერას. ამ ხელშეკრულების ფორმას შესაძლებელია „მარტივი წერილობითი ფორმა“ ვუწოდოთ და მისი სამართლებრივი ვარგისიანობისთვის საკმარისია მხოლოდ მხარეთა ხელმოწერა. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს იმას, ხელშეკრულების ტექსტი ხელითაა ნაწერი, საბეჭდი საბეჭდი მანქანითაა დაბეჭდილი, კომპიუტერული საშუალებით არის ამობეჭდილი, თუ სხვა რაიმე ტექნიკური საშუალების გამოყენებითაა შესრულებული.¹⁵

ზოგადად, კონტრაქტი, ხელშეკრულება, პირობითად, შედგება ორი (ძირითადი) ნაწილისაგან, ესენია – ხელშეკრულების შესავალი (პრეამბულა) და ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი. თავის მხრივ, ეს ორი ნაწილიც პირობითად შესაძლებელია დავყოთ ნაწილებად. შესავალი ნაწილი დავყოთ შემდეგ ნაწილებად: ხელშეკრულების ე.წ. „ქუდი“, ხელშეკრულების პრეამბულა (მხარეების განსაზღვრა), ტერმინთა განმარტება და ხელშეკრულების ზოგადი დებულებანი. ხელშეკრულების ძირითადი ნაწილი პირობითად ასევე შედგება შემდეგი ნაწილებისაგან, ესენია: ხელშეკრულების საგანი (ამ ნაწილში ერთი, ან რამოდენიმე წინადადებით მაქსიმალურად ზუსტად, კონკრეტულად და სრულყოფილად იწერება ის, თუ რაზე (რის შესახებ) იდება ხელშეკრულება), ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და ძალაში შესვლის პირობები (ამ ნაწილს ხელშეკრულებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს), ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები (ვალდებულებები) (ხელშეკრულების ბირთვი), ასევე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძვლები, ნაწილი სადავო საკითხების

გადაწყვეტის შესახებ, ნაწილი ფორს მაჟორული სიტუაციის შესახებ და ხელშეკრულების დამატებითი პირობები/დებულებები.¹⁶ სტანდარტულ ხელშეკრულებაში ასე გამოიყურება ხელშეკრულების ნაწილები ანუ არსებობს ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, მათი უფლებები და შესასრულებლად სავალდებულო ვალდებულებები.

რაც შეეხება გონიერ კონტრაქტს, აქაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ სმარტ კონტრაქტი შედგება სხვადასხვა ნაწილებისგან, კონკრეტულად, ალგორითმისაგან, ანუ ტექსტის ნაცვლად არის მათემატიკური ალგორითმი (ციფრები), რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ხელშეკრულებას. შესაბამისად, გონიერი კონტრაქტები დაყოფილია ვალდებულებებად, რომელიც სავალდებულოა შესასრულებად, რადგან მხარეები თუ არ შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას, იგი ავტომატურად არ გადავა შემდეგ ეტაპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი ვალდებულებს შეუსრულებლობაც კი გამოიწვევს სრულ კოლაფსს. პირველი ქვეყანა, რომელმაც სმარტ კონტრაქტები დამუშავა, იყო ბელორუსია. მხარეები ხელს აწერენ ქვეყიან კონტრაქტს, არსებული კრიპტოვალუტის ქსელებში სახსრების გაგზავნის ხელმოწერის მსგავსი მეთოდების გამოყენებით. მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ, ხელშეკრულება ძალაში შედის. სახელშეკრულებო ვალდებულებების ავტომატიზებული შესრულების უზრუნველსაყოფად, საჭიროა არსებობის გარემო, რაც საშუალებას იძლევა, სრულად ავტომატიზირება მოახდინოს საკონტრაქტო პუნქტების შესრულებაზე. ეს ნიშნავს, რომ ქვეყიანი კონტრაქტები შეიძლება არსებობდეს მხოლოდ გარემოში ქვეყიანური კონტრაქტის ობიექტებზე შესრულებადი კოდის შეუფერხებლად დაშვებით. ხელშეკრულების ყველა პირობას უნდა ჰქონდეს მათემატიკური აღწერა და შესრულების ნათელი ლოგიკა. ქვეყიანი კონტრაქტი აკონტროლებს ქულე-

15 თუმანიშვილი, გ., 2012. ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება. თბ., გვ. 5. <http://eprints.iliauni.edu.ge/>

16 თუმანიშვილი, გ., 2012. ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება. თბ., გვ. 10. <http://eprints.iliauni.edu.ge/>

ბის მიღწევას ან დარღვევას განსაზღვრული პირობების შესაბამისად და დაპროგრამებულ პირობებზე დაყრდნობით იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. ამრიგად, ქვეყანი კონტრაქტის ძირითადი პრინციპია საკონტრაქტო ურთიერთობების შესრულების სრული ავტომატიზაცია და საიმედოობა.¹⁷

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული თემა ძალზედ საინტერესო და აქტუალურია მისი შინაარსიდან გამომდინარე. ზემოთ ბევრი ვისაუბრე როგორც სანდარტულ ხელშეკრულებებზე ასევე გონიერ კონტრაქტებზე, განვიხილე რა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე ვისაუბრე მის უპირატესობებზე, როგორც ზემოთ ავღნიშნე, ორივე სახის ხელშეკრულებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

სტანდარტული კონტრაქტის გაფორმების დროს საჭიროა კომპეტენტური პირი, რომელიც მხარეებს დაეხმარება ხელშეკ-

რულების მომზადებასა და დადებაში, რაც, ხშირ შემთხვევაში, დიდ დროსა და ხარჯებთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება გონიერ კონტრაქტს, იგი თავისთავში მოიცავს პროგრამულ კოდს, რომელშიც შედის ნებისმიერი ინფორმაცია. მისი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ გამარტივდეს მხარეებს შორის განსახორციელებელი გარიგებები, რომლითაც მხარეები თავს იგრძნობენ მეტად დაცულად და უსაფრთხოდ. სმარტ კონტრაქტების გამოყენებით მხარეებს შეეძლება, შექმნან ერთიანი ქსელი, რომლითაც ხორციელდება მონაცემების გადაცემა შუამავლების გარეშე, რაც თავისთავად უზრუნველყოფს კონფიდენციალურობის დაცვას და ინფორმაციის გაჟონვისაგან თავის არიდებას. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დადებითი მხარე იკვეთება გონიერი კონტრაქტის შემთხვევაში, მაინც არის რისკები იმისა, რომ სწორად ვერ მოხდეს რაიმეს გაკეთება – იმის გათვალისწინებით, რომ ამ ყველაფერს პროგრამული ალგორითმი აკეთებს და ერთი უნიშვნელო შეცდომაც კი მთლიანად ცვლის გარიგებას.

17 <https://milloin-money.webnode.com/>

NOTES:

1. <https://dspace.tsu.ge/> Blockchain technologies and the future of development the digital communications in modern global business. Khakhadze, Tbilisi, 2019, p. 585
2. Law and World, (# 17) Some Issues of Legal Regulation of Ethereum as a Wise Contract, Tezelashvili S. Tbilisi, 2021, p. 168
3. <http://lawjournal.ge/wp> Some Conceptual Issues of the Smart Contract' Legal Regulation. Gabisonia Z. Tbilisi, 2020, p. 45
4. <http://lawlibrary.info/ge> Commentary on the Civil Code. Book I General provisions of the Civil Code. Tbilisi, 2017, p. 287
5. <http://lawlibrary.info/ge> Commentary on the Civil Code. Book III General Part of The law of obligations. Tbilisi, 2019, pp. 108,109
6. Blockchain Principles and Fundamentals Tsikhilovi, A. Tbilisi, 2020, p. 10
7. <http://press.tsu.ge/> Scope of freedom of contract in civil law Tbilisi 2016, Jorbendze. S page 42-43 Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H., Der Sozialstaat in Deutschland und Europa, Peter M. Huber (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005, 365, Kittner

- M., Schuldrecht, Rechtliche Grundlagen – Wirtschaftliche Zusammenhänge, 3. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2003, 161
8. <http://shromebi.gtu.ge/> Prospects of using the blockchain technology in e-governmenSEVERAL ASPECTS IN THE LEGAL REGULATION OF ETHEREUM AS THE „SMART CONTRACTSce. Kandelaki. N. page 15 (1. Iansiti M.,Lakhani K. R. The truth about blockchain. Harvard Business Review. 2017, 118-127 pp; 2. URL: <https://www.forbes.ru/tehnologii/343843-programmy-blokcheyna-htoprepyatstvet-massovomuvnedreniyu-smart-kontraktov>
 9. <https://lawandworld.ge/> Several aspects in the legal regulation of etereum as the smart contract, p. 163
 10. <https://www.blockchain-partners.com/>
 11. <https://ied.eu/> Date of last access 01.12.2020
 12. Blockchain Principles and Fundamentals Tsikhilovi, A. Tbilisi, 2020, p. 10
 13. www.researchgate.net The 4th Industrial Revolution – The most important challenge of higher education in Georgia. Gagnidze, I p. 2
 14. <https://dspace.tsu.ge/> Blockchain technologies and the future of development the digital communications in modern global business. Khakhadze, L., Tbilisi, 2020, p. 485, 8 ways blockchain can be an environmental game-changer”, Celine Herweijer, Jahda Swanborough, Lead, Environment Initiatives, World Economic Forum. www.weforum.org)
 15. <http://eprints.iliauni.edu.ge/> Contract creating technique and obligation-legal normative regulation. Tbilisi, 2012. Tumanishvili p. 5
 16. <http://eprints.iliauni.edu.ge/> Contract creating technique and obligation-legal normative regulation. Tbilisi, 2012. Tumanishvili p. 10
 17. <https://milloin-money.webnode.com/>

ბიბლიოგრაფია:

1. <https://dspace.tsu.ge/> ბლოქჩეინ ტექნოლოგიები და ციფრული კომუნიკაციების განვითარების მომავალი თანამედროვე გლობალურ ბიზნესში. სახაძე.ლ
2. სამართალი და მსოფლიო, (#17) ეთერიუმის, როგორც, გონიერი კონტრაქტის სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი საკითხი, თებელაშვილი, ს.
3. <http://lawjournal.ge/wp> გონიერი კონტრაქტის“ (Smart Contract) სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი. გაბისონია, ზ.
4. <http://lawlibrary.info/ge> სამოქალაქო კოდექსის კომენტარიწიგნი I სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები. თბ. 2017
5. ბლოქჩეინი პრინციპები და საფუძვლები, ციხილოვი, ა. თბ 2020
6. <http://press.tsu.ge/> ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში თბ. 2016 ჯორბენაძე. ს იბ. Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H., Der Sozialstaat in Deutschland und Europa, Peter M. Huber (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005, 365, Kittner M., Schuldrecht, Rechtliche Grundlagen – Wirtschaftliche Zusammenhänge, 3. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2003
7. <http://shromebi.gtu.ge/> ბლოქჩეინ ტექნოლოგიის გამოყენების პერსპექტივები ელექტრონულ მმართველობაში. კანდელაკი.ნ Iansiti M., Lakhani K. R. The truth about blockchain. Harvard Business Review. 2017, URL: <https://www.forbes.ru/tehnologii/343843-programmy-blokcheyna-htoprepyatstvet-massovomuvnedreniyu->

- [smart-kontraktov](#)
8. <https://www.blockchain-partners.com>
 9. <https://ied.eu>
 10. www.researchgate.net მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია – უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი გამოწვევა საქართველოში. გაგნიძე, ი.
 11. <http://eprints.iliauni.edu.ge/> ხელშეკრულების შედგენის ტექნიკა და ვალდებულებით-სამართლებრივი ნორმატიული რეგულირება თბ 2012 თუმანიშვილი, გ.
 12. <https://milloin-money.webnode.com>

THE LEGAL NATURE OF SMART CONTRACTS

Salome Tezelashvili

PhD student of the faculty of law at the Caucasus International University, Department of Law and Administration at the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

KEYWORDS: Smart contract, Kryptowaluty, Computer algorithm

ABSTRACT

The article discusses about the smart contract, its concept and legal nature, as well as the place of smart contracts in the Technology Law, which means a discussion on the important issues covered by this topic. At the same time, smart contracts are compared to the usual standard contract, where their pros and cons are discussed. The importance and necessity of both types of contracts in relation to the current reality will also be discussed.

At the same time, the article discusses about the revolutions – from where they begin and how long the world has passed before today's reality, why blockchain is considered as the fourth generation

revolution and how important it is to develop and implement it.

The article also discusses about the types of contracts, which means how a standard contract can be divided, in the other words, we talk about consensual and real contracts. The definitions of

each of them and their need related to the smart contracts are analysed in the article. Therefore, we use the relevant chapters and articles of civil law to be able to explain what is meant and to what extent it is possible to follow the same norms in the case of the smart contract.

BIBLIOGRAPHY:

1. <https://dspace.tsu.ge/> Blockchain technologies and the future of development the digital communications in modern global business. Khakhadze
2. <http://lawjournal.ge/wp> Some Conceptual Issues of the Smart Contract' Legal Regulation. Gabisonia, Z.
3. <http://lawlibrary.info/ge> Commentary on the Civil Code. Book I General provisions of the Civil Code. Tbilisi 2017
4. Blockchain Principles and Fundamentals Tsikhilovi, A. Tbilisi 2020
5. Notes. <http://press.tsu.ge/> Scope of freedom of contract in civil law Tbilisi 2016, Jorbendze. S Enders C., Wiederin E., Rainer P., Sodan H., Der Sozialstaat in Deutschland und Europa, Peter M. Huber (Red.), De Gruyter Rechtswissenschaften Verlags-GmbH, Berlin, 2005, 365, Kittner M., Schuldrecht, Rechtliche Grundlagen – Wirtschaftliche Zusammenhänge, 3. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2003
6. <http://shromebi.gtu.ge/> Prospects of using the blockchain technology in e-government SEVERAL ASPECTS IN THE LEGAL REGULATION OF ETHEREUM AS THE „SMART CONTRACTS” Sc. Kandelaki. N. page 15 (1. Iansiti M., Lakhani K. R. The truth about blockchain. Harvard Business Review. 2017, URL: <https://www.forbes.ru/tehnologii/343843-programmy-blokcheyna-htoprepyatstvuet-massovomuvnedreniyu-smart-kontraktov>
7. <https://lawandworld.ge/> Several aspects in the legal regulation of ethereum as the smart contract page
8. <https://www.blockchain-partners.com/>
9. <https://ied.eu/>
10. Blockchain Principles and Fundamentals Tsikhilovi, A. Tbilisi 2020, p. 10
11. www.researchgate.net The 4th Industrial Revolution – The most important challenge of higher education in Georgia. Gagnidze, I.
12. <http://eprints.iliauni.edu.ge/> Contract creating technique and obligation-legal normative regulation Tbilisi 2012. Tumanishvili
13. <https://milloin-money.webnode.com>

საქართველოს გოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის გოგიერთ ნორმათა განმარტების პრობლემები

კახა ყურაშვილი

სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

საკვანძო სიტყვები: მმართველობა, ორგანო,
სამართალდარღვევა

შესავალი

სახელმწიფოს, როგორც რთული სოციალური საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმის, დახასიათებისას, კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში მართებულად ჩერდებიან ხელისუფლებაზე, როგორც ამ ცნების ერთ-ერთ აუცილებელ მახასიათებელზე. სახელმწიფოს იურიდიული არსისა და მისი ცნებისათვის ხელისუფლების ასეთი უპირატესი და საბაზისო მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ ხელისუფლება წარმოადგენს სახელმწიფოს ობიექტურ მახასიათებელს.

თანამედროვე, დინამურად და სწრაფად ცვალებად დროში, სახელმწიფო მმართველობის სისტემა მუდმივად დგას ახალი გამოწვევების და ამოცანების წინაშე. სახელმწიფო მართვის ორგანოებს უხდება ოპერატიული და ადეკვატური რეაგირება სიტუაციებზე, საქმიანობა უწევს მუდმივი განახლებისა

და მოდერნიზაციის რეჟიმში. რეფორმის პროცესში იცვლება მართვის კონცეფცია, მისი განხორციელების მეთოდები და ინსტრუმენტები. ახლებურ გააზრებას მოითხოვს მეცნიერების როლიც სახელმწიფო აპარატის რეფორმირების პროცესში.¹

სახელმწიფო, როგორც ადამიანთა საზოგადოების პოლიტიკური გაერთიანების განსაკუთრებული ინსტიტუტი, სახელისუფლო საქმიანობას ანუ მმართველობას ახორციელებს სხვადასხვა ორგანოების მეშვეობით. სახელმწიფო მმართველობის შინაარსს და ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს კონსტიტუციით განმტკიცებული სახელმწიფოს მიზნები, რაც იმავდროულად წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის მიზანს. მმართველობა ორიენტირებული უნდა იყოს კონსტიტუციით დადგენილი სახელმწიფოს მიზნების პრაქტიკულ განხორციელებაზე, ვინაიდან სახელმწიფოს მიზანს დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ნორმის განმარტების პროცესში.²

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში გამოხატულია ქართველი ხალხის ნება, დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებით, რაც შეუძლებელია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების გარეშე. ჯერ კიდევ ანტიკური და შუა საუკუნეების მოაზროვნეთა შრომებში ასახულია პირველი შეხედულებები ხელისუფლებისა და მისი განაწილების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯონ ლოკისა და შარლ ლუი მონტესკიეს შრომები, რომელთა ხელშეწყობით, ხელისუფლების დანაწილება მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამართლებრივ დოქტრინად იქცა და განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით.

დემოკრატიული და სოციალური სამართლებრივი სახელმწიფო მაღალ მოთხოვნებს აყენებს არა მხოლოდ კანონმდებლის მიმართ, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და, განსაკუთრებით, საჯარო მმართველობის მიმართ.³

საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები

ხელისუფლების მონყოფის სისტემაში საჯარო მმართველობის ადგილი კონსტიტუციურ-სამართლებრივად არის გარანტირებული და აქვს შესაბამისი სამართლებრივი ლეგიტიმაცია. საჯარო მმართველობის ორგანოების საქმიანობა დამოკიდებულია პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე და ექვემდებარება კონტროლს სასამართლო ხელისუფლების მხრიდან.⁴

საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც აწესრიგებს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების (მმართველობის) განხორციელების პროცესს⁵ და რომლის მიზანია, საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში უზრუნველყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.⁶ საჯარო მმართველობა წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის ცენტრალურ ინსტიტუტს, რაც ადმინისტრაციულ სამართალს განსაზღვრავს, როგორც საჯარო მმართველობით სამართალს.

საჯარო მმართველობის სრულყოფილი დეფინიციის ერთ განმარტებაში მოქცევა რთულია, მისი რეგულაციის რადიკალურად

1 ზომერმანი, კ-პ., ხუბუა, გ., 2016. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები. მე-3 ტომი. თბილისი: სამშობლო. გვ. 5, 62.
2 ზომერმანი, კ-პ., ხუბუა, გ., 2016. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები. მე-3 ტომი. თბილისი: სამშობლო. გვ. 63.

3 იქვე. გვ. 18.
4 იქვე. გვ. 107.
5 იქვე. გვ. 108.
6 მუხლი 1, პუნქტი მე-2, საქართველოს კანონი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>

განსხვავებული სფეროებიდან გამომდინარე, ამიტომ საჯარო მმართველობის დეფინიციას განიხილავენ ორგანიზაციული, მატერიალური და ფორმალური გაგებით.

საჯარო მმართველობის შინაარსის განსაზღვრა შესაძლებელია მისი ფუნქციების საფუძველზე. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ: კანონის აღსრულების ფუნქციას, ძირითადი უფლებების განხორციელების ფუნქციას და წესრიგის, დაცვისა და მომსახურების ფუნქციას.⁷

რაც შეეხება საჯარო მმართველობითი საქმიანობის აღწერას, ეს შესაძლებელია მისი ცალკეულ ინდივიდებზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით, რომელიც შეიძლება იყოს შემზღუდველი (უფლებების შეზღუდვა, აკრძალვა, იძულების გამოყენება) და აღმჭურველი (ცალკეული ინდივიდის მდგომარეობის გაუმჯობესება, ფინანსური ან მატერიალური დახმარება. გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ახდენს ზეგავლენას ცალკეულ ინდივიდებზე, გვხვდება დაგეგმვითი ხასიათის მმართველობითი საქმიანობის სახით, მისი მიზანია ზეგავლენის მოხდენა მომავლის მოვლენებზე).

საჯარო მმართველობის აღწერა შესაძლებელია, ასევე, კანონზე დაქვემდებარების ხარისხის მიხედვითაც, რომელიც მიტნავს კანონით დადგენილ წესებზე დაქვემდებარებულ და კანონისგან თავისუფალ საჯარო მმართველობას. კანონით შებოჭილი მმართველობა ემსახურება კანონმდებლის მიერ კანონში ასახული ნების რეალიზაციას, მაგალითად, მართლწესრიგის დაცვა პოლიციის შესახებ კანონის საფუძველზე, რაც წარმოადგენს საჯარო მმართველობის ერთ-ერთ უდიდეს სფეროს.⁸

საჯარო მმართველობა არის სახელმწიფო ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და მუნიციპალიტეტის

ორგანოების ან დელეგირებული უფლებამოსილებით აღჭურვილი კერძო პირების საქმიანობა, რომელიც არ წარმოადგენს კანონშემოქმედებას ან მართლმსაჯულებას. საჯარო მმართველობის განმახორციელებელი სუბიექტების განსაზღვრის აუცილებლობიდან გამომდინარე, კანონმდებელმა შემოიტანა სპეციალური ტერმინი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო“ არის ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს.⁹

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლით რეგულირდება ამ კოდექსის მოქმედების სფერო, თუმცა, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის დათქმა არ შეიცავს მითითებას ადმინისტრაციული ორგანოების (პოლიციის და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების) მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების წარმოების შესახებ, რაც წარმოადგენს ხარვეზს და, კონკრეტულ შემთხვევებში, შეიძლება იწვევდეს ბუნდოვანებასა და აზრთა სხვადასხვაობას ადმინისტრაციული ორგანოს ქვემდებარე, განსჯადი და იურისდიქციული საქმიანობის მიმართ, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით წარმოებული ადმინისტრაციული პროცესის აუცილებელ სუბიექტს, ორივე შემთხვევაში, წარმოადგენს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო (თანმდებლობის პირი).

7 ტურავა, პ., 2018. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი. (მეორე გამოცემა). თბილისი: იურისტების საშყარო. გვ. 13-14, 16.

8 ტურავა, პ., 2016. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი. თბილისი: იურისტების საშყარო. გვ. 12. ზომერმანი, კ-პ., ხუბუა, გ., 2016. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძველები. მე-3 ტომი. თბილისი: სამშობლო. გვ. 32.

9 ზომერმანი, კ-პ., ხუბუა, გ., 2016. საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძველები. მე-3 ტომი. თბილისი: სამშობლო. გვ. 106.

ადმინისტრაციული ორგანო და ადმინისტრაციული წარმოება

კახა ყურაშვილი

ადმინისტრაციული მართლმსაჯულების არსებობის ფაქტი იწვევს განსჯადობასთან დაკავშირებულ დავებსა და საჯარო და კერძო სამართლის კუთვნილების განსაზღვრის საჭიროებას. სამართლის კერძო და საჯარო სამართლის დარგებად დაყოფა საყოველთაოდაა აღიარებული დასავლური ქვეყნების მიერ, რაც პრაქტიკულად შემდგარი ფაქტია საქართველოშიც.¹⁰ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება, სპეციალური ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და პროცედურების გარეშე შეუძლებელია, რაც მას პრინციპულად განასხვავებს კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისაგან. კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოს მინიჭებული აქვს კანონით ზუსტად განსაზღვრული სპეციალური უფლებამოსილება; იგი შეზღუდულია კანონიერების პრინციპისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვით. განსჯადობის შესახებ დავების თავიდან აცილება შეუძლებელია საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის განვითარების დინამიურობის, იურისდიქციული სისტემის სირთულის, განსჯადობის კრიტერიუმების არასაკმარისი სიმკვებრისა და მოსაზღვრე ვითარებების მრავალსახეობის გამო. აღნიშნულს ართულებს ის გარემოებაც, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა მკვეთრად არ მიტანავს ერთმანეთისაგან განსჯადობისა და უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხს. ტერმინთა აღრევის გამო, სასამართლოს კომპეტენციასთან დაკავშირებული ყოველგვარი საკითხი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსჯადობის საკითხთან ასოცირდება, რის გამოც, მასში განსჯადობის პრობლე-

მატიკა მოიცავს სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობისა და საკუთრივ განსჯადობის საკითხებს¹¹.

*„საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სასამართლოში განიხილება ისეთი დავა, რომელსაც გამოხატვის ადმინისტრაციულ-პროცესული ფორმა აქვს, როდესაც სადავო საქმის ფორმა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. რასაკვირველია, სასურველი იყო კოდექსში ნათლად ყოფილიყო გამოხატული ეს აზრი. კერძოდ, უმჯობესი იქნება, მე-2 მუხლის პირველ პუნქტში აღინიშნოს, რომ ამ კოდექსით დადგენილი წესით, საერთო სასამართლოში განიხილება ისეთი დავა ადმინისტრაციულ ორგანოსა და სხვა სუბიექტს შორის, რომლის გადაწყვეტის წესი და ფორმა ადმინისტრაციულ-პროცესული სამართლიდან გამომდინარეობს“.*¹²

ქვემდებარეობა სამართლის დარგთაშორისი ინსტიტუტია, რომელსაც აქვს იურისდიქციულ ორგანოთა შორის საქმეების განაწილების ფუნქციები. კონსტიტუცია ავალდებულებს კანონმდებელს, შექმნას სხვადასხვა ორგანოს იურისდიქციას შორის წინააღმდეგობებისა და კომპეტენციის გადაკვეთის გამომრიცხავი სამართლებრივი მექანიზმი, არ დაუშვას ვითარება, როდესაც კონკრეტული საქმე არ განეკუთვნება არც ერთ სასამართლო ორგანოს.¹³

10 კოპალეიშვილი, მ., სხირტლაძე, ნ., და ქარდავა, ე., 2016. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი: ბონა კაუზა. გვ. 33-34.

11 ყურაშვილი, კ., 2019. პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა. კსუ სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 64-65. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

12 ლორია, ვ., „რედ.“ 2004. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბილისი: მეტიდიანი. გვ. 13.

13 კოპალეიშვილი, მ., სხირტლაძე, ნ., და ქარდავა, ე., 2016. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი: ბონა კაუზა. გვ. 36.

ადმინისტრაციული პროცესის თეორიის დამუშავება უნდა წარმოებდეს ადმინისტრაციული პრაქტიკის მოთხოვნათა საფუძველზე, რომელიც მოწმობს, რომ ადმინისტრაციული პროცესი აუცილებლად უნდა იყოს დაკავშირებული, მმართველობის სფეროში წამოჭრილი ინდივიდუალური საქმეების გადაწყვეტასთან¹⁴.

ადმინისტრაციული პროცესი არის ადმინისტრაციული და, ამ სფეროს მიკუთვნებული, სამართლის სხვა მატერიალური დარგების რეალიზაციის ფორმა, რომელიც მდგომარეობს, ყველა სახის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართალშეფარდების გზით, ისეთ ინდივიდუალურ საქმეთა განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც წარმოიშობა მმართველობის სფეროში და გააჩნიათ გარეგნული გამოვლინების ადმინისტრაციულ-პროცესუალური ფორმები. ადმინისტრაციული პროცესი დაკავშირებულია ადმინისტრაციულ იურისდიქციასთან, თუმცა, ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა. იურიდიულ ლიტერატურაში, ადმინისტრაციულ იურისდიქციად მიაჩნიათ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ, სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე, ქვემდებარე საკითხების უშუალოდ გადაწყვეტა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ადმინისტრაციული სანქციების გამოყენება. რაც იმას ნიშნავს, რომ იურისდიქციული საქმიანობა წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული პროცესის, ისე მმართველობის არაპროცესუალური საქმიანობის ნაწილს. სწორედ ამიტომ, მასზე გავრცელდება არა მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დებულებები, არამედ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებებიც. იურისდიქციულ საქმიანობას ახორციელებს მმართველობის ზოგიერთი ორგანო. კანონიერების უზრუნველყოფა

14 ლორია, ვ., 2002. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი. თბილისი: მერიდიანი. გვ. 27.

სახელმწიფო მმართველობაში მიიღწევა, როგორც სახელმწიფო აპარატის შიგნით, შესაბამისი მმართველობითი ფუნქციებისა და კონტროლის განხორციელების გზით, ისე აპარატის გარეთ, სპეციალური ორგანოების მეშვეობით ადმინისტრაციული დავების, საჩივრების, ადმინისტრაციული და დისციპლინური სამართალდარღვევების განხილვის გზითაც, ე.ი. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების განხორციელების გზითაც.¹⁵

„საქმიანობის ორივე სახე წარმოადგენს ადმინისტრაციული იძულების იურისდიქციულ საქმიანობას. მმართველობის აპარატის შიგნით და მის სისტემაში კანონიერების დაცვის საშუალებას ადმინისტრაციულ იურისდიქციულ კონტროლს უწოდებენ, მის გარეთ კი – ადმინისტრაციულ იუსტიციას“.¹⁶

ადმინისტრაციული იძულების იურისდიქცია ორივე ფორმით დაკავშირებულია მმართველობის ორგანოების ორგანიზაციულ მუშაობასთან, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ იძულებას, არამედ გამოხატავს ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას და წარმოადგენს მისი უფლებამოსილების განხორციელებას. მთელი ეს საქმიანობა კი ადმინისტრაციული იურისდიქციული საქმიანობაა. როგორც ვხედავთ, პოლიციისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ, სტრუქტურული აპარატის გარეთ, უფლებამოსილების ფარგლებში მინიჭებული ფუნქციების განხორციელების პროცესი – ად-

15 ყურაშვილი, კ., 2019. პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა. კსუ სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 66-67. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

16 ლორია, ვ., 2002. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი. თბილისი: მერიდიანი. გვ. 16.

მინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვა და მართლმსაჯულების განხორციელება სამართალშეფარდების გზით, წარმოადგენს ადმინისტრაციულ იუსტიციურ საქმიანობას არა მხოლოდ ავტორის, ვალერი ლორიას აზრით, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო სამართლის სხვა, აღიარებული მეცნიერების აზრითაც, როგორებიც არიან: პაატა ტურავა, მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა. იურიდიული პროცესი განმარტებულია, როგორც სამართალშეფარდებასთან დაკავშირებული პროცესი. სამართალშეფარდება კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ სასამართლო ორგანოების მიერ როდი ხდება. სამართალშეფარდებითი საქმიანობა ყოველდღიური და სისტემატური მუშაობის ფორმაა მმართველობის ორგანოებისათვის. აქედან გამომდინარე, სასამართლო პროცესუალური ფორმების გარდა, არსებობს, აგრეთვე, არასასამართლო პროცესუალური ფორმები – მმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროცესი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სამართალშეფარდების მიზნით განხორციელებული პროცესი და მასთან დაკავშირებული საგამოკვლევო-საგამოძიებო პროცესუალური მოქმედებანი, სამართალშეფარდების სწორად განხორციელების უზრუნველსაყოფად. მმართველობის სფეროში ადმინისტრაციული პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა ადმინისტრაციული გადაცდომების საქმეთა წარმოება, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობასთან, რაც მოწესრიგებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით¹⁷. ზე-

მოაღნიშნული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფაქტობრივად მკვეთრადაა ერთმანეთისგან გამიჯნული პოლიციის სამართალშეფარდებითი საქმიანობის ფუნქციები, მისი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მმართველობითი საქმიანობის ფუნქციებისგან. შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე სათანადოდ უნდა გაიმიჯნოს პოლიციის და სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირების მიერ განხორციელებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის სფეროს მიკუთვნებული საქმიანობა მათ მიერ განხორციელებული, ადმინისტრაციული იუსტიციური საქმიანობის პროცესისგან.

საყურადღებოა, რომ ევროკავშირის იმ სახელმწიფოებში, სადაც განცალკევებულია ადმინისტრაციულ-დელიქტური სამართალი (ავსტრია, ნიდერლანდები, ესპანეთი, საბერძნეთი), სანქციების გამოყენების წარმოება წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული პროცედურისგან წარმოებულს და მასზე ვრცელდება ადმინისტრაციულ პროცედურული კანონების დებულებები.¹⁸

რაც შეეხება ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებს, უმრავლესობაში (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ხორვატია, სერბია, ესტონეთი) წარმოების დაწყება არის არაფორმალისტული და ითვლება ღიად ჩადენილი დარღვევის ფაქტზე, ორგანოში განაცხადის მიღების მომენტიდან, ან მისი გამოვლენიდან, ამ ორგანოს საქმიანობის განხორციელებისას. სახელმწიფოებში, სადაც მოქმედებს ძველი ადმინისტრაციულ-დელიქტური აქტები (ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა), ფორმალისტულად რჩება წარმოების დაწყების პროცედურა.¹⁹

როგორც უცხოური კანონმდებლობის ანალიზის შედეგად ირკვევა, სახელმწიფოების უმრავლესობა, ადმინისტრაციულ ორ-

17 ყურაშვილი, კ., 2019. პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამოკვლა. კსუ სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 67-68. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

18 Банчук, А., 2011. Административно-деликтное законодательство зарубежных стран. Москва: Волтерс Клувер. გვ. 62.
19 იქვე. გვ. 63.

განოებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ რამდენიმე სახის წარმოება: ზოგადი – ზეპირი მოსმენის ჩატარებით, ზოგადი – ზეპირი მოსმენის ჩატარების გარეშე, დაჩქარებული – ხორციელდება დარღვევის ჩადენის ადგილზე და სრულდება აქტის გამოცემით, დადგენილი ვადის განმავლობაში ჭარბის გადახდის ვალდებულებით. შედარებისთვის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 თავის მიხედვით, გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა პასუხობდეს ამავე კოდექსით განსაზღვრულ ადმინისტრაციული წარმოებისთვის (შესაბამისი სახით) დადგენილ წესს. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შეიცავს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს, ადმინისტრაციული სანქციების დაკისრებასთან დაკავშირებით. ამდენად, მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, კანონმდებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსებში ადმინისტრაციული წარმოების განსხვავებულ სახეს, განსხვავებულ პროცედურას ამკვიდრებს, გამომდინარე მმართველობითი ფუნქციის სპეციფიკიდან. თუმცა, წარმოების ეს ორი სახე სათანადოდ არ არის გამოიჭნული ერთმანეთისგან საკანონმდებლო დონეზე, რაც პრობლემატურს ხდის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების პროცესში, ცალკეული ინდივიდების უფლებების დაცვის მექანიზმების შერჩევას.²⁰

აღსანიშნავია, რომ, ევროკავშირის ქვეყნებში, წარმოების ეს ორი სახე –

ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოება – ერთმანეთისგან განსხვავებულია საკანონმდებლო დონეზე და რეგულირდება დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტებით, რაც საქართველოს კანონმდებლობაში არ არის მკვეთრად გამოიჭნული. უფრო მეტიც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების პროცესი არ არის განცალკევებული ადმინისტრაციული პროცესისგან, არამედ, პირიქით, გაიგივებულია ერთმანეთთან. აღნიშნული დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსების შესაბამისი მუხლების შედარებისას. მაგალითად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 231-ე მუხლით:

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი იმ ორგანოებში (თანამდებობის პირთა მიერ), რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით“

ხოლო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე მუხლით:

„თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ამზადებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით“.

ადმინისტრაციული წარმოების ფინალს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. წარმოების აღნიშნული სახე და მითითებული აქტის გამოცემა, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა, რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომელიც ასევე განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების ცნებას:

20 ყურაშვილი, კ., 2019. პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამოცემა. კსუ სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 69. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

„ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის, აგრეთვე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების ან გაუქმების მიზნით“, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსიდან, სამართალშეფარდების პროცესში რეგულირდება ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საქმიანობა, რომელზეც ვრცელდება ზოგადი დებულებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებისას, დებულებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის შესახებ და სხვა. რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული სამართალშეფარდების პროცესის მარეგულირებელ დებულებებს შეიცავს დასახელებული ორივე კოდექსი.

ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების გამიჯვნის მაგალითისთვის, შეიძლება გამოვიყენოთ გერმანიის საკანონმდებლო პრაქტიკა, რომლის მიხედვით, „კანონი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ არ გამოიყენება სისხლის სამართლის წარმოებასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოებასთან და დასჯადობასთან მიმართებაში“²¹ – რაც ნათლად გამიჯნავს პოლიციის და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების უფლებამოსილი თანამდებობის პირების მიერ, ფუნქციონალური მოვალეობების შესრულების პროცესში განხორციელებულ იუსტიციურ – სამართალშეფარდებით საქმიანობას.

მითითებული საკვანძო საკითხების განხილვა ცხადყოფს, რომ აუცილებელია შესწორება შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში ქვემოთ მითითებული გარემოებების გამო.

პოლიციის სამართალშეფარდებითი ფუნქციების სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლი განსაზღვრავს კოდექსის მოქმედების სფეროს, რომლის პირველი ნაწილის თანახმად:

„ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად“.

თუმცა მუხლის მე-4 ნაწილი შეიცავს დათქმას, რომლის მიხედვით, ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია: „ა“ – დანაშაულის ჩადენის გამო, პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან; „ბ“ – ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩანაწერი არ შეიცავს ინფორმაციას პოლიციის და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) ჩადენის გამო, პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევების წარმოების შესახებ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების წარმოებასთან, რადგან ამ უკანასკნელს არეგულირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და სხვა ნორმატიული აქტები.

შევეცადოთ ზედაპირულად გავაანალიზოთ საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა, კერძოდ პოლიციის იმ საქმიანობაზე, რაც დაკავშირებულია

21 Бергманн, В., 2013. Административно-процессуальное право Германии, Закон об Административном производстве Германии. (2-ое издание). Москва-Берлин: «infotopic media». გვ. 9.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის გამო, პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან:

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პოლიციის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, რომლის მიხედვით: „პოლიციის პრევენციული საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ადმინისტრაციული რეალაქტის – გამოყენებით. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განსახორციელებლად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასა და გაცნობაზე არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესები. პოლიციის მიერ დანაშაულის გამოვლენის, აღმოფხვრისა და გამოძიების მიზნით განხორციელებული სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმები განისაზღვრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით“. ამავე კანონის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად: „პოლიცია სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ამ კანონის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის სფეროებში საქართველოს კანონმდებლობისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე“.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ნორმები, ერთმანეთისგან მიჯნავს პოლიციის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მმართველობითი საქმიანობის სამართალგამოყენებით და სამართალშეფარდებით ფუნქციებს, ასევე პოლიციის პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს და საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც განსაზღვრავენ პოლიციის საქმიანობის სამართლებრივ ფორმებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილისა, რომელიც გარკვევით მიუთითებს საპოლიციო ღონისძიებების სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე, ამავე კანონის მე-5 მუხლი, „პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“, არ შეიცავს კონკრეტულ მითითებას აღნიშნულ კოდექსზე, რაც შეიძლება საკანონმდებლო ხარვეზად ჩაითვალოს, ვინაიდან პოლიციის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირება წარმოადგენს აღნიშნული სახელმწიფო ორგანოს (პოლიციის) საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს. შესაბამისად, ბუნდოვანია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით წარმოებული ე.წ. „ადმინისტრაციული პროცესის“ საკანონმდებლო გამიჯვნა, რაც ხელს უშლის „სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ნორმის სათანადო განმარტებას“ და მნიშვნელოვანია სახელმწიფოს კონსტიტუციური მიზნების პრაქტიკული განხორციელების საქმეში.

ჩვენი მიზანია, დარგობრივი ნორმატიული აქტების ჰარმონიზაცია, ნორმის ნათელი განმარტება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფეროსთან დაკავშირებით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოების პროცესში, პოლიციის და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისთვის, არაბუნდოვანი, ეფექტური სამართლებრივი საფუძვლების შექმნა – რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ისეთი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის ევროპული ინტეგრაციისთვის.

ადმინისტრაციული წარმოების დიფერენციაცია და ელემენტები

იმისათვის, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოება განვასხვავოთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული წარმოებისგან – აუცილებელია განვასხვავოთ მათი დამახასიათებელი ელემენტები – რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფერო:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული წარმოება მიმართულია მომავალზე. ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მომავალში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს მოქალაქეების მიმართ უფლებააღმჭურველი გადაწყვეტილებების გამოტანაში ან საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში პოლიციის მიერ პრევენციულ ღონისძიებებში სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საქმიანობის სამართლებრივი ფორმები ემსახურება მოქალაქის სამართლებრივ დაცვას (დაცვის ფუნქცია). იმავდროულად, ის ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას მოიყვანოს სისრულეში ლეგიტიმური ამოცანები (უზრუნველყოფის ფუნქცია). რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოებას, იგი მიმართულია უკვე მომხდარ იურიდიულ ფაქტზე. კერძოდ, წარმოადგენს მომხდარ სამართალდარღვევაზე რეაგირებას, რომელიც ჩადენილია საჯარო მმართველობის სფეროში და რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული საქმიანობის

სამართლებრივი ფორმები შემზღუდველი (ამკრძალავი) ან მავალეზელი ხასიათისაა. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების დაწყების საფუძველია ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტი ან ადმინისტრაციული სამართალდამრღვევის მიმართ გამოცემული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გასაჩივრება.²²

ადმინისტრაციული წარმოების პროცესის დაწყებისას, გადასაწყვეტია, ვინ მონაწილეობს მასში კანონით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად და ვინ შეიძლება ჩაებას დამატებით. ადმინისტრაციული წარმოების ერთ მხარეს აუცილებლად დგას ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ადმინისტრაციული წარმოება²³. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების პროცესშიც, წარმოების ერთ მხარეს აუცილებლად დგას ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს წარმოება,²⁴ მაგრამ ად-

22 ყურაშვილი, კ., 2019. პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამოიკვანა. კსუ სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 74-75. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

23 ტურავა, პ., 2018. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი. (მეორე გამოცემა). თბილისი: იურისტების სამყარო. გვ. 222.

24 ყურაშვილი, კ., 2019. პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამოიკვანა. კსუ სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 75. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

კახა ყურაშვილი

კახა ყურაშვილი

მინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ფუნქციურ-სამართლებრივი ნიშნით, ყოველთვის არ წარმოადგენს მმართველობით საქმიანობას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირებისას, ის იძენს იუსტიციურ ფუნქციას, რითაც ადმინისტრაციული ორგანო სცილდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მოწესრიგებული მოქმედების სფეროს და გადადის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დარეგულირებულ სფეროში.²⁵ პრევენციული ღონისძიება სრულდება იქ, სადაც მოხდება სამართალდარღვევა და იწყება უკვე მომხდარ ფაქტზე რეაგირება. სუბიექტი რჩება იგივე – ადმინისტრაციული ორგანო (ორგანიზაციული გაგებით), ფუნქციების შესაბამისად იცვლება სამართლებრივი მექანიზმი – ადმინისტრაციული წარმოება გადადის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოებაში, რაც სუბიექტს – ადმინისტრაციულ ორგანოს ხდის იუსტიციურ ორგანოდ (ფუნქციური გაგებით).²⁶

აღნიშნულიდან გამომდინარე, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პოლიციის პრევენციული ფუნქციის განხორციელება, ძირითადად, წარმოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საქმიანობის სამართლებრივი ფორმების გამოყენებით. პოლიციის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასა და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან, ხორციელდება სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეპრესიული ფუნქციების განმახორციელებელი პოლიციის ორგანო არის არა ადმინისტრაციული, არამედ იუსტიციის ორგანო.²⁷

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად, პოლიცია ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს – დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით.²⁸ რაც შეეხება სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს, ისინი ორი მიმართულებით უნდა განვიხილოთ – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე და დანაშაულზე რეაგირების კუთხით.²⁹ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „დ“ პუნქტის შესაბამისად, პოლიცია სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენისა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირების მიზნით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქართველოს

25 <http://research.ciu.edu/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

26 ყურაშვილი, კ., 2019. პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამოვლენა. კსუ სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 116. <http://research.ciu.edu/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

27 ყურაშვილი, კ., 2019. პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამოვლენა. კსუ სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 168. <http://research.ciu.edu/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf>

27 კობალეიშვილი, მ., სხირტლაძე, ნ., და ქარდავა, ე., 2016. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი: ბონა კაუზა. გვ. 249-250.

28 მუხლი 16, ნაწილი 2, პუნქტი „გ“, საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“. <https://matsne.gov.ge/document/view/2047533?publication=29>

29 იზორია, ლ., „რედ.“ 2015. საპოლიციო სამართალი. თბილისი: შსს აკადემია. გვ. 25.

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე.“³⁰

როგორც ვხედავთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის შინაარსი პირდაპირ არ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება პოლიციის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სამართალშეფარდებით საქმიანობაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სფეროში, თუმცა უდავოა, რომ მითითებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფეროზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოებასთან მიმართებაში შეიცავს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილი და მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და „დ“ პუნქტები, რომელთა შინაარსიდან ნათლად იკვეთება, თუ რომელი კანონი ვრცელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოებაზე.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით:

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ შინაგან საქმეთა ორგანოები (თანამდებობის პირები), ხოლო, თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს და ამას ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით, მას ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. აღნიშნული ორგანოები განიხილავენ იმ ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებიც ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, მათ გამგებლობას განეკუთვნება.“³¹

როგორც ვხედავთ, პოლიციის მიერ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა-

თა საქმეების წარმოების საფუძველები აუცილებელია განისაზღვროს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, არამედ „სხვა საკანონმდებლო აქტებითაც“, რომელიც განსაზღვრავს ამ ორგანოების ე.წ. „სამართლებრივ მანდატს“. ასეთი საკანონმდებლო აქტების საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც აწესრიგებს პოლიციის, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივ საფუძველებს და ერთმანეთისგან მიჯნავს, ამ ორგანოების საქმიანობის და სამართალდარღვევაზე რეაგირების სამართლებრივ ფორმებს.

კანონი არის სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ან რეფერენდუმის გზით განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა.³² კანონის მეშვეობით დგინდება კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმები. იგი მიღებულია კონსტიტუციის დებულებების, პრინციპების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

შესაბამისად, კანონის უზენაესობა შეეხება ურთიერთობას ხელისუფლების ორგანოებს (მთავრობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დონის ორგანოებსა და სასამართლოს) და მოქალაქეებს, მაცხოვრებლებსა და სხვა კერძო პირებს შორის. ის ფაქტი, რომ კანონის უზენაესობა უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის უფლებების დაცვასთან მიუთითებს, რომ სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე გარკვეული სოციალური ფუნქციები. ეს გულისხმობს, რომ კანონის უზენაესობა მოითხოვს სახელმწიფოებმა მოახდინონ გარკვეული სოციალური ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგება და რეგულირება, [...] ვინაიდან სახელმწიფოს მიზანი ვერ იქნება მხოლოდ „მართლწესრიგის“ უზრუნველყოფა. კანონის უზენაესობა

30 მუხლი 16, ნაწილი 2, პუნქტი „დ“, საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“. <https://matsne.gov.ge/document/view/2047533?publication=29>

31 მუხლი 200-201, საქართველოს კანონი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. <https://matsne.gov.ge/document/view/28216?publication=476>

32 შენგელია, რ., „რედ.“ 2003. სამართალმცოდნეობა. თბილისი: მერიდიანი. გვ. 50.

ყოველთვის წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორს, როცა ხორციელდება საჯარო მმართველობა. [...] უპირველეს ყოვლისა, როცა ოფიციალური პირი იყენებს ძალაუფლებას, მას უნდა ჰქონდეს ამის სათანადო სამართლებრივი მანდატი, რადგან კანონი განსაზღვრავს ძალაუფლების გამოყენების წესს. [...] ამას, აგრეთვე შესაძლოა ეწოდოს „სათანადო პროცესი“, რომელიც არსებობს იმისათვის, რომ წარმოადგენდეს ნიმუშს თითოეული ადამიანის უფლებების დასაცავად.³³

დასკვნა

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, კანონმა მკაფიოდ გამიჯნოს საკანონმდებლო აქტების მოქმედების სფერო, ვინაიდან კანონის განმარტება ნიშნავს კანონის სიტყვათა მნიშვნელობის გაგებას, რითაც მიიღწევა სამართლის ნორმის ობიექტური მიზნის განსაზღვრა, მისი განხორციელების შესაძლებლობა. კერძოდ, რამდენად შეესაბამება კანონმდებლის წარმოდგენები, რომელიც საფუძვლად

33 „ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი“ და „სამართლის ინტერნაციონალიზაციის ჰაავის ინსტიტუტი“. 2012. კანონის უზენაესობა სახელმძღვანელო პოლიტიკოსებისთვის. ლუნდი და ჰაავა. გვ. 9-11. <https://rwi.lu.se/app/uploads/2015/07/ruleoflaw-georgian.pdf>

დაედო ნორმის მიღებას, ამ ნორმის გამოყენებისას მიღებულ გადაწყვეტილებებს. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში, აუცილებელია აისახოს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს ა)¹ დამატების სახით:

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) ჩადენის გამო, პირის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოებასთან“.

რაც შეეხება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლს, ვინაიდან აღნიშნული 2013 წლის კანონის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს პრევენციული და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯვნა – პოლიციის ამ საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების უკეთ განსაზღვრის მიზნით, აუცილებელია დაემატოს მე-6 პუნქტი შედეგი შინაარსით:

„პოლიციის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) გამოვლენის, აღმოფხვრისა და სამართალდარღვევის გამოკვლევის მიზნით განხორციელებული სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმები განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით“.

ბიბლიოგრაფია:

1. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი. <http://gil.mylaw.ge/ka.html>
2. გოგიაშვილი, გ., 2019. შედარებითი კონსტიტუციური სამართალი. თბილისი. იურისტების სამყარო
3. ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>
4. იზორია, ლ., 2009. თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია. [https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/L\[1\].Izoria-Tanamedrove%20saxelmwifo.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/L[1].Izoria-Tanamedrove%20saxelmwifo.pdf)
5. მექურიძე, თ., 2019. მართვის (მმართველობის) თანამედრო-

ვე მეთოდები ადგილობრივ ორგანოებში, სამაგისტრო ნაშრომი. <https://openscience.ge/bitstream/1/461/1/samagistro%20mequridze.pdf>

6. რუხაძე, ზ., 1999. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. http://www.legaleducation.ge/wp-content/uploads/2011/03/gl_16_sagarTveloskonstituciurisamarTali.pdf
7. ტურაბა, პ., წკეპლაძე, ნ., 2013. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი. იურისტების სამყარო
8. Wade, H.W.R., 1965. Administrative Law. Oxford
9. Maurer, H., 2011. Allgemeines Verwaltungsrecht. (18). Berlin

ნორმატიული მასალა:

1. ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>
2. საქართველოს კონსტიტუცია. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>
3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36>
4. საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“. <https://matsne.gov.ge/document/view/2047533?publication=29>
5. Бергманн, В. (2013). Административно-процессуальное право Германии, Закон об Административном производстве Германии. (2-ое издание). Москва – Берлин: «infotopic media»

THE OF INTERPRETATION OF CERTAIN NORMS OF THE GENERAL ADMINISTRATIVE CODE OF GEORGIA AND LAW OF GEORGIA ON POLICE

Kakha Kurashvili

*Doctor of Law, Caucasus's International University,
Assistant-Professor*

KEYWORDS: Governance, Body, Offense

ABSTRACT

This article is related to issues of interpretation of certain norms defined under General Administrative Code of Georgia and Law of Georgia on Police. In particular, Article 3 of the General Administrative Code of Georgia regulates the scope of this code. However, provision of the Article 4 does not contain any reference to the administrative offenses committed by the police and other administrative bodies, what in specific cases may lead to ambiguity in regards the scope of this code – as subject required by the General Administrative Code of Georgia and Administrative Offenses Code of Georgia, in both cases is an authorized administrative body (officials).

Responding to administrative offenses by police is an important part of the activities carried out by the state authority (police). Therefore, Law of Georgia on Police distinguishes preventive function of the police from function of responding to offense. Also, the Article 5 of the law defines legal grounds for police activities, however this article does not contain specific references to Administrative Offenses Code of Georgia what can be deemed as legislative shortcoming.

Taking into consideration the above-mentioned, in order to clarify the law and to achieve objective goal of the legal norm, below listed terms shall be added to 1. General Administrative Code of Georgia, Section 4, Article 3, and 2. Law of Georgia on Police, Article 5.

NOTES:

1. Zimmerman, cpt., Khubua, G., 2016. Legal Basics of Public Administration. Volume 3. Tbilisi: Publishing House SAMSHOBLO. p. 5, 62. (in Georgian)
2. Zimmerman, cpt., Khubua, G., 2016. Legal Basics of Public Administration. Volume 3. Tbilisi: Publishing House SAMSHOBLO. p. 63. (in Georgian)
3. Ibid, p. 18. (in Georgian)
4. Ibid, p. 107. (in Georgian)
5. Ibid, p. 108. (in Georgian)
6. Article 1, section 2, Law of Georgia General Administrative Code. <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36> (in Georgian)
7. Turava, P., 2018. General Administrative Law, second edition. Tbilisi: Publishing House World of Lawyers. p. 13-14, 16. (in Georgian)
8. Turava, P., 2016. General Administrative Law, second edition. Tbilisi: publishing house World of Lawyers. p. 12. Zimmerman, cpt., Khubua, G. 2016. Legal Basics of Public Administration. Volume 3. Tbilisi: Publishing House SAMSHOBLO. p. 32. (in Georgian)
9. Zimmerman, cpt., Khubua, G., 2016. Legal Basics of Public Administration. Volume 3. Tbilisi: Publishing House SAMSHOBLO. p. 106. (in Georgian)
10. Kopaleishvili, M., Skhirtladze, N., and Kardava, E., 2016. Administrative Procedure Law Guide. Tbilisi: Publishing House BONA CAUSA. p. 33-34. (in Georgian)
11. Kurashvili, K., 2019. Separation of preventive and administrative offense respond legal forms of police. Dissertation Presented for the Degree of Doctor of Law. pp.64-65. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf> (in Georgian)
12. Loria, V. „Edit.“ 2004. Comments on Administrative Procedures Code of Georgia. Tbilisi: Publishing House MERIDIANI. p. 13. (in Georgian)
13. Kopaleishvili, M., Skhirtladze, N., and Kardava, E. 2016. Administrative Procedure Law Guide. Tbilisi: Publishing House BONA CAUSA. p. 36. (in Georgian)
14. Loria, V. 2002. Administrative Procedures Law of Georgia. Tbilisi: Publishing House MERIDIANI. p. 27. (in Georgian)
15. Kurashvili, K., 2019. Separation of preventive and administrative offense respond legal forms of police. Dissertation Presented for the Degree of Doctor of Law. p. 66-67. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf> (in Georgian)

- [83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf](#) (in Georgian)
16. Loria, V. 2002. Administrative Procedures Law of Georgia. Tbilisi: Publishing House MERIDIANI. p. 16. (in Georgian)
 17. Kurashvili, K., 2019. Separation of preventive and administrative offense respond legal forms of police. Dissertation Presented for the Degree of Doctor of Law. p. 67-68. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf> (in Georgian)
 18. Banchuk, A., 2011. Administrative Law of Foreign Countries. Moscow: Walters Cluver. p. 62. (in Russian)
 19. Ibid. p. 63. (in Russian)
 20. Kurashvili, K., 2019. Separation of preventive and administrative offense respond legal forms of police. Dissertation Presented for the Degree of Doctor of Law. p. 69. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf> (in Georgian)
 21. Bergmann, V. 2013. Administrative Procedure Law of Germany, Law of Germany „On administrative proceedings“. (second edition). Moscow – Berlin: Publishing House Infotropic media. p. 9. (in Russian)
 22. Kurashvili, K. 2019. Separation of preventive and administrative offense respond legal forms of police. Dissertation Presented for the Degree of Doctor of Law. p. 74-75. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf> (in Georgian)
 23. Turava, P. 2018. General Administrative Law. (second edition). Tbilisi: Publishing House World of Lawyers. p. 222. (in Georgian)
 24. Kurashvili, K. 2019. Separation of preventive and administrative offense respond legal forms of police. Dissertation Presented for the Degree of Doctor of Law. p. 75. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf> (in Georgian)
 25. Kurashvili, K. 2019. Separation of preventive and administrative offense respond legal forms of police. Dissertation Presented for the Degree of Doctor of Law. p. 116. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf> (in Georgian)

- [%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf](#) (in Georgian)
26. Kurashvili, K., 2019. Separation of preventive and administrative offense respond legal forms of police. Dissertation Presented for the Degree of Doctor of Law. p. 168. <http://research.ciu.edu.ge/uploads/files/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%20%E1%83%A7%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98.pdf> (in Georgian)
 27. Kopaleishvili, M., Skhirtladze, N., and Kardava, E., 2016. Administrative Procedure Law Guide. Tbilisi: Publishing House BONA CAUSA. p. 249-250. (in Georgian)
 28. Article 16, part 2, Section "G", Law of Georgia "On Police". <https://matsne.gov.ge/document/view/2047533?publication=29> (in Georgian)
 29. Izoria, L. „Edit“. 2015. Police Law. Tbilisi: MIA Academy publishing. p. 25. (in Georgian)
 30. Article 16, part 2, Section "D", Law of Georgia "On Police". <https://matsne.gov.ge/document/view/2047533?publication=29> (in Georgian)
 31. Articles 200-201, Law of Georgia Administrative Offense Code. <https://matsne.gov.ge/document/view/28216?publication=476> (in Georgian)
 32. Shengelia, R. „Edit.“ 2003. Jurisprudence. Tbilisi: Publishing House MERIDIANI. p. 50. (in Georgian)
 33. "Raoul Wallenberg Institute of Human Rights and Humanitarian Law" and "The Hague Institute for the Internationalization of Law". 2012. "Rule of Law: A Guide for Politicians". Lund and Hague. p. 9-11. <https://rwi.lu.se/app/uploads/2015/07/ruleoflaw-georgian.pdf> (in Georgian)

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Dictionary of Legal Terms. <http://gil.mylaw.ge/ka.html> (in Georgian)
2. Gogiashvili, G., 2019. Comparative Constitutional Law. Tbilisi: Publishing House World of Lawyers. (in Georgian)
3. European Convention on Human Rights and Freedoms. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> (in Georgian)
4. Izoria, L., 2009. Modern State, Modern Administration. [https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/L\[1\].Izoria-Tanamedrove%20saxelmwifo.pdf](https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/L[1].Izoria-Tanamedrove%20saxelmwifo.pdf) (in Georgian)
5. Mekuridze, T., 2019. Modern Methods of Management at Local Bodies, Master's thesis. <https://openscience.ge/bitstream/1/461/1/samagistro%20mekuridze.pdf> (in Georgian)
6. Rukhadze, Z., 1999. Constitutional Law of Georgia. http://www.legaleducation.ge/wp-content/uploads/2011/03/gl_16_saqarTveloskonstituciurisamarTali.pdf (in Georgian)
7. Turava, P., and Tskepladze, N., 2013. Guide to General Administrative Law. Tbilisi: Publishing House World of Lawyers. (in Georgian)
8. Wade, H.W.R., 1965. Administrative Law. Oxford. (in English)
9. Maurer, H., 2011. General Administrative Law. 18th edition. Berlin. (in German)

Normative material:

1. European Convention on Human Rights and Freedoms. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> (in Georgian)
2. Constitution of Georgia. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> (in Georgian)
3. General Administrative Code of Georgia. <https://matsne.gov.ge/document/view/16270?publication=36> (in Georgian)
4. Law of Georgia „On Police“. <https://matsne.gov.ge/document/view/2047533?publication=29> (in Georgian)
5. Bergmann, V. 2013. Administrative Procedural Law of Germany, Law of Germany “Administrative Procedure Law”. (second edition). Moscow-Berlin: Publishing House Infotropic media. (in Russian)

უცხოური სამართლებრივი ნორმები ფრანგულ მართლმსაჯულებაში: ძირითადი პრობლემები და გამონაკვეთები

თამარ მსხვილიძე

სამართლის დოქტორი,
ქუთაისის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

საკვანძო სიტყვები: კოლიზია, მითითება, ფრანგული, ადგილობრივი

შესავალი

საერთაშორისო კერძო სამართალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრებასა და საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებაში. ამ დარგის მთავარ მიღწევად იმას მიიჩნევენ, რომ, კოლიზიურ ნორმათა დახმარებით, სახელმწიფოებმა შეძლეს „იურიდიული ნაციონალიზმისა“ და ეროვნული სამართლებრივი სისტემის ჩაკეტილობის გადალახვა.¹ ამდენად, სავსებით ლოგიკურია მოსაზრება, რომ „როგორც ყველა სხვა მეცნიერებას, ეროვნული კარჩაკეტილობა მუდამ ვნებდა იურიდიულ მეცნიერებასაც. იგი უაზრობად იქცა და ფაქტობრივად წარმოუდგენელი გახდა მსოფლიოში, სადაც მანძილი არ არსებობს და საზღვრებმა მნიშვნელოვანწილად აზრი დაკარგა“.²

1 მსხვილიძე, თ., 2021. სადისერტაციო ნაშრომი უცხოური სამართლის გამოყენება საერთაშორისო კერძო სამართალში, თბილისი, გვ. 27. <https://eeu.edu.ge>

2 ღავიდი, რ., 1999. თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი

სასამართლოებში უცხოური ელემენტით დატვირთული საქმეების განხილვისას, შესაძლებელია, კოლიზიური ნორმის მითითების შედეგად, გააქტიურდეს უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენების საკითხი. როცა კოლიზიური ნორმა, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის გადასაწყვეტად, მიუთითებს უცხო ქვეყნის კანონის გამოყენებას, მაშინ სასამართლომ უნდა გამოიყენოს ის.

უცხოური სამართლის შინაარსის განსაზღვრა ერთ-ერთ ყველაზე პრობლემატურ საკითხად არის აღიარებული სხვადასხვა ქვეყნის კოლიზიურ კანონმდებლობაში. ამ კუთხით, განსაკუთრებით გამორჩეულია ფრანგული იურისპრუდენცია. წლების განმავლობაში საფრანგეთის სასამართლოები მერყეობდნენ – უცხოური სამართალი გამოეყენებინათ სავალდებულო სახით, როგორც „სამართალი“, თუ ნებაყოფლობითი წესით – როგორც „ფაქტი“. ფრანგულმა პრეცედენტურმა სამართალმა გაიარა რთული და წინააღმდეგობრივი გზა, სანამ გადაიწყვეტ პოზიციას ჩამოაყალიბებდა ამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა განსაკუთრებით აქტუალური იყო საფრანგეთისთვის, რადგან ამ ქვეყნის სასამართლოებს დიდი რაოდენობის საერთაშორისო სამართალწარმოების საქმეების განხილვა უწევთ.

უცხოური სამართლის გამოყენება არ გულისხმობს სახელმწიფოთა მიერ გამოჩენილ თავაზიანობის აქტს ან რომელიმე ქვეყნის სუვერენული ინტერესების შელახვას, ის, უბრალოდ, მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი პირობაა. მსგავს დამოკიდებულებას იზიარებს ფრანგული სამართლებრივი სისტემაც. როგორც ერთმა ფრანგმა იურისტმა აღნიშნა: „როდესაც საფრანგეთის სამართალი კონკრეტულ საქმეში გამოსაყენებლად აღიარებს უცხოურ სამართალს, ამას აკეთებს იმიტომ, რომ ჯერ ერთი მიმართავს თავისი ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემას და მეორე, მიიჩნევს, რომ განსახილველი

სისტემები, თბილისი, 23.

სამართლებრივი შემთხვევა უცხო ქვეყნის კანონმდებლობით მოწესრიგებას ექვემდებარება...“ ფრანგული სამართალი ამით მსხვერპლს კი არ იღებს, ის უბრალოდ ახორციელებს მაღალი ხარისხის მართლმსაჯულებას, რადგან ჰიპოთეტურად სწორი გამოსავალი სწორედ უცხო ქვეყნის სამართლის გამოყენება იქნებოდა.³

უცხოური სამართლის კვალიფიკაცია ფრანგულ იურისპრუდენციაში

კონტინენტურ ევროპაში ფართოდ არის გავრცელებული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც უცხო ქვეყნის სამართალი არის არა ფაქტის, არამედ სამართლის საკითხი. აქედან გამომდინარე, სასამართლო თვითონაა ვალდებული, თავისი ინიციატივითა და სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ex-officio დაადგინოს უცხო ქვეყნის სამართლებრივი ნორმის შინაარსი.⁴

ისტორიულად, ფრანგული დოქტრინა უცხოურ სამართალს განიხილავდა როგორც ფაქტს, რომლის გამოყენება იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ მხარე მოითხოვდა ამას.⁵ ამ კუთხით საინტერესოა საკასაციო სასამართლოს მიერ განხილული საქმე Bisbal.⁶ ესპანელმა ქ-ნმა ბისბალმა გაასაჩივრა კანონის ის ნორმა, რომლითაც მას, როგორც უცხო ეროვნების წარმომადგენელს, არ ჰქონდა საფრანგეთის სასამართლოს მიერ განქორწინების მიღების

3 Cheshire G.C., 1955. Private International Law, Oxford at the clarendon press, 5.

4 მსხვილიძე, თ., 2021. სადისერტაციო ნაშრომი უცხოური სამართლის გამოყენება საერთაშორისო კერძო სამართალში, თბილისი, გვ. 40, 41. <https://eeu.edu.ge>

5 იქვე, გვ. 41.

6 მსხვილიძე, თ., 2019, დეკემბერი. უცხოური სამართლის კვალიფიკაციის საკითხი საერთაშორისო კერძო სამართალში, სამართალი და მსოფლიო, #12, გვ. 72. Bisbal 12.05.1959 Cass. civ. Ire, Trevor C. Hartley., 1996. Pleading and Proof of Foreign Law: The Major European Systems Compared, The International and Comparative Law, Quarterly, Vol. 45, 278.

უფლება. შედეგად, ამოქმედდა ფრანგული საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომელთა თანახმადაც, საოჯახო-სამართლებრივი საკითხები წესრიგდება მხარეთა ეროვნული სამართლის მიხედვით, რაც მოსარჩელის აზრით, უნდა გაეთვალისწინებინათ მოსამართლეებს, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი არ წამოჭრილა არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში. საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა მას და მიუთითა, რომ ფრანგული საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს, რომლებიც მიუთითებენ უცხოური სამართლის გამოყენებას, არ გააჩნიათ საჭარო წესრიგის ბუნება.⁷

ასე, რომ მხარეებზეა დამოკიდებული, მოითხოვენ თუ არა მათ გამოყენებას. არავის შეუძლია დაადანაშაულოს მოსამართლე იმაში, რომ არ გამოიყენა უცხოური სამართალი თავისი ინიციატივით.⁸

საქმეში *Compagnie Algerienne de Credit et de Banque v. Chemouny*⁹ – საკასაციო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ფრანგ მოსამართლეს თუკი სურს, შეუძლია გამოიყენოს ის უცხოური სამართალი, რომელსაც ფრანგული კოლიზიური ნორმა უთითებს. ანუ, სასამართლოები არ არიან ვალდებული გამოიყენონ უცხო ქვეყნის სამართალი, თუ არცერთი მხარე არ მოითხოვს ამას, მაგრამ უფლება აქვთ, თუ ეს სურთ.¹⁰

ფრანგულ იურისპრუდენციაში იმის გამართლებად, რომ სასამართლოებს თავისუფლად შეუძლიათ უცხოური სამართლის

არგამოყენება, როცა არცერთი მხარე არ მოითხოვს ამას, ასახელებდნენ ეროვნულ და უცხოურ სამართალს შორის არსებულ სხვაობას, რომელთაგან პირველი არის სამართლის საკითხი, ხოლო უკანასკნელი – ფაქტის.¹¹

საფრანგეთის იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით სამართლიანადაა ეს პრინციპი გაკრიტიკებული იმაზე მითითებით, რომ თუკი ფრანგ მოსამართლეებს თავისუფლად შეეძლებათ გამოიყენონ ან არ გამოიყენონ უცხოური სამართალი, მაშინ მხარეებს ექნებათ მოტივაცია – ისარგებლონ *forum-shopping*-ით. შესაბამისად, უცხოელი მხარე, რომელსაც თავისი, ეროვნული სამართალი არ მისცემს განქორწინების უფლებას, ფრანგი მოსამართლისაგან მოითხოვს ამის გაკეთებას, რადგან, თავის მხრივ, იგი საკუთარი ინიციატივით არ გამოიყენებს უცხო ქვეყნის სამართალს.

ფრანგი მეცნიერი ჰენრი მოტულსკი მუდმივად აკრიტიკებდა ფრანგულ საკასაციო სასამართლოს და არგუმენტად უთითებდა იმას, რომ არ არსებობს განსხვავება საფრანგეთის ეროვნულ სამართალსა და ფრანგულ საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებს შორის, რომლებიც უცხოური სამართლის გამოყენებას მიუთითებენ.¹² კოლიზიონისტი მასიპი ამტკიცებდა, რომ კოლიზიური ნორმები არის ეროვნული სამართლის ქცევის წესები და, რომ ამ წესების არგამოყენება უტოლდება თავად ფრანგული ეროვნული სამართლის დარღვევას.¹³

1988 წელს, პრეცედენტური სამართლის თითქმის 30-წლიანი, თანმიმდევრული პო-

7 მსხვილიძე, თ., 2019 დეკემბერი. სამართალი და მსოფლიო, უცხოური სამართლის კვალიფიკაციის საკითხი საერთაშორისო კერძო სამართალში, #12, გვ. 72. <https://lawandworld.ge/>

8 მსხვილიძე, თ., 2021. სადისერტაციო ნაშრომი უცხოური სამართლის გამოყენება საერთაშორისო კერძო სამართალში, თბილისი, გვ. 42. <https://eeu.edu.ge>

9 *Compagnie Algerienne de Credit et de Banque v. Chemouny* 1961 Cass. civ. 1re, Hausmann Rainer., 2008. Pleading and Proof of Foreign Law – a Comparative Analysis, The European Legal Forum (E), 4.

10 მსხვილიძე, თ., 2019, დეკემბერი. უცხოური სამართლის კვალიფიკაციის საკითხი საერთაშორისო კერძო სამართალში, სამართალი და მსოფლიო, #12, გვ. 72. <https://lawandworld.ge/>

11 A.V. Dicey., J.H.C. Morris., 1993. The Conflict of Laws, 12th edition, 226.

12 Dolinger J., Spring 1995. Application, proof and interpretation of foreign law: A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, Vol 12, No 1, 228. იხ. ციტირება; Henri Motulsky, III *Ecrits* 132 (1978).

13 Dolinger J., Spring 1995. Application, proof and interpretation of foreign law: A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, 228. იხ. ციტირება; Yves Lequette, “L’abandon de la jurisprudence” *Bisbal* 277, 289 n.34 (1989).

ზიციის შემდეგ, საკასაციო სასამართლომ შეცვალა თავისი დამოკიდებულება და განაცხადა, რომ ფრანგულმა სასამართლოებმა, კოლიზიური ნორმების მითითებით, უნდა გამოიყენონ უცხოური სამართალი და ის შესაძლოა ვერ ჩანაცვლდეს ფრანგული ეროვნული სამართალით.¹⁴ შედეგად, ფრანგული კოლიზიური ნორმების მითითებით უცხო სახელმწიფოს სამართლის გამოყენება, რაც მანამდე იყო არჩევითი, გახდა სავალდებულო.¹⁵ საკასაციო სასამართლოს ასეთი პოზიცია თანხვედრაშია ფრანგული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12(1) მუხლთან, რომლის თანახმად, „სასამართლომ უნდა განიხილოს საქმე იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც არის გამოსაყენებელი.“ აღნიშნული ვალდებულება ეხება არა მხოლოდ ფრანგული მატერიალური სამართლის ნორმებს, არამედ, ასევე, საფრანგეთის საერთაშორისო კერძო სამართლის წესებსა და საერთაშორისო კონვენციებს.¹⁶

საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ 2005 წელს განხილულ ორ საქმეში გააუღერა მკაფიო პოზიცია, რომელიც აქტუალობას არ კარგავს.¹⁷ მოსამართლემ თავისი ინიციატივით უნდა გამოიყენოს კოლიზიური ნორმა და განსაზღვროს უცხო სამართლის ნორმების არსი მხარეთა ხელშეუვალ უფლებებთან დაკავშირებით.¹⁸

14 მსხვილიძე, თ., 2021. სადისერტაციო ნაშრომი უცხოური სამართლის გამოყენება საერთაშორისო კერძო სამართალში, თბილისი, გვ. 73. <https://eeu.edu.ge>

15 მსხვილიძე, თ., 2019 დეკემბერი. უცხოური სამართლის კვალიფიკაციის საკითხი საერთაშორისო კერძო სამართალში, სამართალი და მსოფლიო, #12, გვ.73. <https://lawandworld.ge/>

16 Hausmann, Rainer., 2008. Pleading and Proof of Foreign Law – a Comparative Analysis, The European Legal Forum (E), 4.

17 მსხვილიძე, თ., 2021. სადისერტაციო ნაშრომი უცხოური სამართლის გამოყენება საერთაშორისო კერძო სამართალში, თბილისი, გვ. 43. <https://eeu.edu.ge>

18 Cass. civ. 1re 28.06.2005 M.F. Aubin v. M. H. Bonal et Société MFP, Cass. com. 28.06.2005 Société Itraco v Fenwick shipping services Ltd Billarant S., 2006. The French Diptych on Foreign Law: An Analysis Through its Most Recent Retouching, Yearbook of Private International Law: Volume VIII, 223,224.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის, როცა საქმის განხილვისას კოლიზიური ნორმის გამოყენების საკითხი წამოიჭრება და მოსამართლე ჩათვლის, რომ გამოყენებას უცხოური კანონმდებლობა ექვემდებარება, მან უნდა დაადგინოს მისი შინაარსი. ამდენად, მოსამართლე აქტიურ როლს ასრულებს შინაარსის გამოკვლევის პროცესში.¹⁹ ის ხელმძღვანელობს ამ პროცესს, თუმცა აქვს შესაძლებლობა – მოსთხოვოს მხარეებს დახმარება და მოუწოდოს მათ ყველა იმ ელემენტის შეგროვება, რაც შინაარსის დასადგენად აუცილებელია. მოკლედ, ფრანგმა მოსამართლემ უნდა დაადგინოს კოლიზიური ნორმის მითითებით გამოსაყენებელი უცხო ქვეყნის სამართლის ნორმები.²⁰ საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია მიმართოს მხარეებს დახმარების თხოვნით, რაც თავისთავად ჩვეულებრივი წესია პრაქტიკაში.²¹

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის ბანძარქების სირთულეები

უნდა იცოდეს თუ არა მოსამართლემ ყოველთვის კანონი, ან შედის თუ არა მის მოვალეობაში ამ ცოდნის მიღება? ეფექტიან კანონ-გამოყენებით პრაქტიკაში ეს კითხვა ჩნდება ყოველ ჯერზე, როდესაც მოსამართლე აღმოაჩენს, რომ საქმე აქვს მისთვის უცნობ ნორმათა ერთობლიობასთან – ეს არცთუ იშვიათი შემთხვევაა.²² ამ დროს სა-

19 მსხვილიძე, თ., 2019, დეკემბერი. უცხოური სამართლის კვალიფიკაციის საკითხი საერთაშორისო კერძო სამართალში, სამართალი და მსოფლიო, #12, გვ.73. <https://lawandworld.ge/>

20 Treatment of Foreign Law – Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law, Volume 26, Yuko Nishitani Editor, Springer 2017, 171.

21 Cass 1re civ. 30.01.2007 M.X. v Societe Universal City Studios Inc. Billarant S., 2006. The French Diptych on Foreign Law: An Analysis Through its Most Recent Retouching, Yearbook of Private International Law, Volume VIII, 224.

22 განდინი, ე., 2019. Iura novit arbiter საერთაშორისო დავებში: როგორ ავიცილოთ თავიდან განუჭვრეტადი სამართლებრივი დასკვნები, თანამე-

მართლის განმმართველმა, ისტორიკოსის მსგავსად, უნდა გამოიყენოს ყველა ხელმისაწვდომი საშუალება კანონის შინაარსის დასადგენად (Il giudice e lo storico, Studi sul processo civile). შიდა კანონმდებლობის მიმართ iura novit curia-ს მივყავართ დასკვნამდე, რომ მოსამართლე თავისუფალია და უნდა შეეცადოს კანონის შინაარსის დადგენას მაშინაც კი, თუ მას არ გააჩნია დავის გადასაწყვეტად საჭირო შესაბამისი წესების კონკრეტული შემეცნება.²³

გაბატონებული შეხედულება კონტინენტური სამართლის მეცნიერებს შორის არის ის, რომ უცხოური სამართალი უნდა იქნას გამოყენებული ზუსტად ისე, როგორც არის ინტერპრეტირებული იმ სამართლის სისტემაში, რომელმაც შექმნა.²⁴

ფრანგი მეცნიერი ბატიფოლი ამბობს, თუ გამოსაყენებელი უცხოური სამართალი არ არის წარმოშობილი მკაფიო სამართლებრივი სისტემისაგან და სათავეს იღებს პრეცედენტური სამართლისაგან, მოსამართლემ უნდა დაადგინოს, რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა თავად ეს უცხოური სასამართლო. იგი აქცენტს აკეთებს მნიშვნელოვან სხვაობაზე მოსამართლის როლებს შორის, რომლებიც იყენებენ ეროვნულ ან უცხოურ სამართალს. პირველ შემთხვევაში, მოსამართლე თავისუფალია, შეცვალოს ან შექმნას ახალი ინტერპრეტაცია, თუ მიიჩნევს, რომ ეს გამოიწვევს უკეთეს შედეგს სამართლიანობის თვალსაზრისით. მეორე შემთხვევაში, მას არ გააჩნია კომპეტენცია, განსაჯოს უცხოური სამართლის ღირებულება და გამოიჩინოს ინიციატივა მისი განსხვავებული ინტერპრეტაციისათვის.²⁵

იტალიელმა კოლიზიონისტებმა განავითარეს ე.წ. „უცხოური კანონის რეცეფციის“ თეორია (მატერიალური და ფორმალური), რომლის მიხედვით ისინი ცდილობდნენ აეხსნათ ერთი ქვეყნის სასამართლოს მიერ მეორე სახელმწიფოს სამართლის გამოყენების შესაძლებლობები. მატერიალური რეცეფციის თეორიის თანახმად, როცა გამოიყენება უცხო ქვეყნის სამართალი, ის კარგავს თავის უცხოურ ხასიათს და ერთიანდება სასამართლო ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში. შესაბამისად, აღნიშნული სამართალი განიცდის ნაციონალიზებას და ხდება საქმის განმხილველი სასამართლოს სამართლის შემადგენელი ნაწილი. ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოური სამართლებრივი ნორმა ინტერპრეტირებული იქნება ისე, თითქოს ის იყოს ლოკალური.²⁶ ფორმალური რეცეფციის თეორიის მიხედვით, უცხო სახელმწიფოს სამართალი ერთიანდება სასამართლო ქვეყნის სამართლის სისტემაში, თუმცა იმ მნიშვნელობისა და არსის დაკარგვის გარეშე, რომელიც უცხოურმა სამართლებრივმა სისტემამ მიანიჭა მას.²⁷

ფრანგული დოქტრინა არ აღიარებს „უცხოური კანონის რეცეფციის“ თეორიას, რადგან ის არაბუნებრივად მიიჩნია და თვლის, რომ უცხო ნორმის მსგავსი ნაციონალიზაციითა და ინტერპრეტაციით იარსებებს მისი დამახინჯების რისკი.²⁸ საფრანგეთის პოზიციის არსი გამოთქმულია ზოგიერთი ფრანგი ავტორის ნაშრომში: „ცხადია, უცხოური სამართალი შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვენი სასამართლოების მიერ მხოლოდ ფრანგული სამართლის მითითებით, რომელსაც ერთადერთს აქვს

დროვე სამართლის ჟურნალი, შშსუ, ტ.1, გამოც.1, 1,22,23. <https://law.ibsu.edu.ge/journal-of-law/>

23 იქვე.

24 მსხვილიძე, თ., 2021. სადისერტაციო ნაშრომი უცხოური სამართლის გამოყენება საერთაშორისო კერძო სამართალში, თბილისი, გვ. 31. <https://eeu.edu.ge>

25 მსხვილიძე, თ., 2021. სადისერტაციო ნაშრომი უცხოური სამართლის გამოყენება საერთაშორისო კერძო სამართალში, თბილისი, გვ.31. <https://eeu.edu.ge> იხ. ციტირება; Dolinger J., Spring 1995. Application, proof and interpretation of foreign

law:A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, 240. იხ. ციტირება; Batiffol H., Legarde P., 1981. Droit International Prive, 387.

26 International Encyclopedia of Comparative Law. 1986. Volume III, Private International Law, Chapter 3, Gerhard Kegel Fundamental Approaches, 11.

27 მსხვილიძე, თ., 2018, #4 (60). უცხოური სამართლის ინტერპრეტაციის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, გვ. 142, 143. <https://www.supremecourt.ge/>

28 იქვე.

გადაწყვეტილების გამოტანისა და აღსრულების ძალაუფლება საფრანგეთის ტერიტორიაზე. ამის გამო უნდა კარგავდეს უცხოური სამართალი თავის ხასიათს? განსხვავებით იტალიელი ავტორებისაგან, ჩვენ ვპასუხობთ – არა. სხვა ქვეყნის სამართლის ნორმა განაგრძობს მოქმედებას უცხოური სამართლებრივი სისტემის განკარგულებით და არ ტრანსფორმირდება საფრანგეთის სამართლად.²⁹ აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, ფრანგულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მხარეებმა თავად უნდა მოითხოვონ უცხოური სამართლის გამოყენება და ამტკიცონ მისი შინაარსი.³⁰

ბუნებრივია, მოსამართლეს ვერ ექნება უცხოური სამართლის ისეთივე სრული და ზუსტი ცოდნა, როგორც საკუთარი ქვეყნის სამართლისა. უცხო ქვეყნის სამართლის არასაკმარისი ცოდნა და შინაარსის დადგენის სირთულეები უბიძგებს მოსამართლეს, თავი აარიდოს მის გამოყენებას და მიმართოს ადგილობრივ სამართალს. აღნიშნული დამოკიდებულება გამოავლინა ფრანგული საკასაციო სასამართლოს მოსამართლე დენისმა შემდეგი განცხადებით: „საფრანგეთის სასამართლოებისთვის ადგილობრივი სამართალი უნდა იყოს მისაღები და სასურველი, მეტიც – უფრო სამართლიანი. ფრანგული სამართლის გამოყენება დახვეწილი კანონმდებლობის გამოყენებას გულისხმობს. უმჯობესია, ფრანგულმა სასამართლოებმა შესაძლებლობის შემთხვევაში საქმე განიხილონ ადგილობრივი სამართლის მიხედვით, ვიდრე უცხო ქვეყნის კანონით, რომელიც მათთვის უცნობია...“³¹

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საკითხი, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო,

როცა უცხოური სამართლებრივი სისტემის ნორმის შინაარსის დადგენა, განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში, ტრადიციულად, გამოიყენება ეროვნული სამართალი (Lex fori), როგორც დამხმარე ნორმა. Lex fori-ს სუბსიდიური გამოყენება გამართლებულია სამართლიანობის უარყოფის თავიდან აცილების აუცილებლობით, სამართლებრივი ნორმების აბსტრაქტული ბუნებით, რომელიც მათ უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს და შესაძლებელს ხდის გამოყენებას, მიუხედავად შემთხვევის გეოგრაფიული ლოკალიზაციისა.³²

შინაარსის დაუდგენლობის მოტივით ადგილობრივი სამართლის გამოყენებისას, მოსამართლემ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა განმარტოს ის გარემოებები, რამაც შეუძლებელი გახადა უცხოური სამართლის გამოყენება. მაგალითად, 2006 წელს განხილულ დავაში, საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მამობის დადგენის საქმეში შეუძლებელი აღმოჩნდა უცხოური, კერძოდ ბელარუსის მატერიალური სამართლის არსის დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო და ევროპულ საქმეთა დეპარტამენტის დახმარება მოითხოვა.³³

უცხოური სამართალი საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაში

ფრანგულ იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებული შეხედულებით, რადგან უცხოური სამართლის კოლიზიური ნორმები სხვა სამართლებრივი სისტემის ნაწილი იყო, მათი

29 Dolinger, J., Spring 1995. Application, proof and interpretation of foreign law: A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, 236. იხ. ციტირება; Paul Lerebours-Pigeonnire & Loussouarn, at 392.

30 მსხვილიძე, თ., 2018, #4 (60). უცხოური სამართლის ინტერპრეტაციის საკითხები საერთაშორისო კერძო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, გვ. 143. <https://www.supremecourt.ge/>

31 International Encyclopedia of Comparative Law, 1986. Volume III, Private International Law, Chapter 3, Gerhard Kegel Fundamental Approaches, 9.

32 Treatment of Foreign Law – Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law, Volume 26, Yuko Nishitani Editor, Springer 2017, 173.

33 1e Civ., 21. 11. 2006 Treatment of Foreign Law – Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law, Volume 26, Yuko Nishitani Editor, Springer 2017, 173.

ინტერპრეტაცია საკასაციო სამართლის რეგულირების საგანს არ წარმოადგენდა, მაშინაც კი, თუ ისინი გამოსაყენებლად ფრანგულ სამართალს უთითებდნენ.³⁴ უცხოური სამართლის გამოყენება და ინტერპრეტაცია ორ განსაზღვრულ შემთხვევაში ხდება ფრანგული საკასაციო ინსტანციის გადასინჯვის საგანი: 1. უზენაესი სასამართლო აკონტროლებს, განმარტების დროს ხომ არ დაამახინჯა (არაზუსტი ინტერპრეტაცია მისცა) სააპელაციო სასამართლომ უცხოური კანონის შინაარსი. თუმცა, ამ საფუძვლით გადაწყვეტილებების გაუქმება ძალზე იშვიათად ფიქსირდება. და 2. გამონაკლისი, რომელიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პრაქტიკაში – იმ საფუძვლების გადახედვა, რასაც სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ეფუძნება.³⁵

როგორც აღინიშნა, საფრანგეთის უზენაესი სასამართლო შეზღუდულად ახდენს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გადახედვას. ზოგ შემთხვევაში, საკასაციო ინსტანციისათვის მიმართვა დაშვებულია, ზოგჯერ ასეთი საჩივარი დაუშვებლად არის ცნობილი. რადგან, საპროცესო ეკონომიის პრინციპი მოითხოვს პრაგმატულ დამოკიდებულებას, სასამართლომ განავითარა ე.წ. „ეკვივალენტობის გამონაკლისი“, რათა ხელი შეეშალა მხა-

რეთათვის გასაჩივრების მექანიზმის გამოყენებაში. ამ გამონაკლისის თანახმად, საკასაციო სასამართლოსათვის მიმართვა აზრს მოკლებულია, თუ გამოყენებული და გამოსაყენებელი კანონები აბსოლუტურად მსგავს სამართლებრივ შედეგებს გამოიწვევდნენ. ამასთან, უნდა შესრულდეს კონკრეტული პირობა, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს ეკვივალენტობის საგამონაკლისო წესის მოქმედებას. ანუ, გამონაკლისი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლომ დაადგინა უცხოური ნორმის შინაარსი და სათანადოდ განმარტა მისი ტოლფასობა ფრანგულ სამართალთან.³⁶

საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატამ 2005 წელს განიხილა საქმე.³⁷ გერმანიის მოქალაქეს მისივე მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 512-ე მუხლის თანახმად, დაუწესა მეურვეობა. მდგომარეობის გაუმჯობესების გათვალისწინებით, შემდგომმა გადაწყვეტილებამ მეურვეობა გააუქმა. ამის შემდეგ, ამ პირმა სარჩელი აღძრა სახელმწიფო ხაზინის წინააღმდეგ, მოითხოვა მეურვეობის

34 ფრანგული საკასაციო სასამართლო, როგორც წესი, არ განიხილავს ქვემდგომი სასამართლოების მიერ ხელშეკრულებების შესახებ გაკეთებულ ინტერპრეტაციას. ამის მიუხედავად, კასაცია იტოვებს უფლებას გააკონტროლოს, ქვემდგომმა სასამართლომ მხარეთა განზრახვის განმარტების პროცესში, არასწორად ხომ არ განსაზღვრა ან მნიშვნელობა ხომ არ შეუცვალა მხარეებს შორის მიღწეულ შეთანხმებას. თუ ქვემდგომი ინსტანციის მიერ დაშვებული შეცდომა იმდენად მძიმეა, რომ ფაქტობრივად შეთანხმების არსს უგულებელყოფს, მაშინ საკასაციო სასამართლო საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლის დარღვევის საფუძველით აუქმებს მიღებულ გადაწყვეტილებას. International Encyclopedia of Comparative law, 1972. Imre Zajtay, Private International Law, vol III, Chapter 14, The Application of foreign law, 38.

35 Treatment of Foreign Law – Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law, Volume 26, Yuko Nishitani Editor, Springer 2017, 176, 177.

36 მაგ; ბელგიური სამართლით დასარეგულირებელი სარჩელის განხილვისას, საფრანგეთის უზენაესმა სასამართლომ ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით საკასაციო ინსტანციისათვის მიმართვა, სამოქალაქო კოდექსის 972-ე, 973-ე მუხლების დარღვევის საფუძველით, იმის მითითების გარეშე ბელგიური თუ ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მუხლები იყო მხედველობაში, შესაძლებლად მიიჩნია, რადგან ორივე კანონის ნორმა არსებითად ეკვივალენტური იყო. ეს საკასაციო სასამართლოს ერთგვარი ტექნიკაა, ესწრაფვის წმინდა პრაგმატულ მიზანს – პროცედურულ ეკონომიას, კერძოდ კი გაჭიანურებული განხილვების აღმოფხვრას. Treatment of Foreign Law – Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law, Volume 26, Yuko Nishitani Editor, Springer 2017, 175,176. Billarant S., 2006. The French Diptych on Foreign Law: An Analysis Through Its Most Recent Retouching, Yearbook of Private International Law: Volume VIII, 220,221.

37 Cass. Civ 11.01.2005 *Barluschke v Agent judiciaire du Tresor* Billarant S., 2006. The French Diptych on Foreign Law: An Analysis Through Its Most Recent Retouching, Yearbook of Private International Law, 217.

არსებობის პირობებში, სასამართლოს დამცავი ორდერის მოქმედებისა და მისი ქონების მართვის გამო წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება. პირველი ინსტანციისა და პარიზის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა მიმართეს ფრანგულ კანონს, სარჩელი დაუშვებლად სცნეს და ისიც აღნიშნეს, რომ დამცავი ორდერი გამოიყენეს გერმანული სამოქალაქო კოდექსის 1896-ე პარაგრაფის ფარგლებში. როგორც გერმანელი ეროვნების მოქალაქე, მოსარჩელე ითხოვდა პერსონალური სამართლის – გერმანული კანონის გამოყენებას. ფრანგულმა უზენაესმა სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ არ დააკმაყოფილა და გადაწყვიტა: „გამოყენებულ სამართალსა და კოლიზიური ნორმის მითითებით გამოსაყენებელ სამართალს შორის ეკვივალენტურობა იმით დასტურდება, რომ მოსამართლის მიერ დადგენილი ფაქტები, ორივე კანონის მიხედვით მსგავს სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდა“.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმით მითითებული გამოსაყენებელი კანონის უარყოფის გამართლება იმ ფაქტითაა შესაძლებელი, რომ ფრანგული და გერმანული სამართლის გამოყენების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ერთმანეთის იდენტური იქნებოდა.

საკასაციო სასამართლოს კომერციული პალატის მოსამართლე იმ შემთხვევაშია ვალდებული გამოიყენოს უცხოური კანონმდებლობა, როცა მხარე, რომელიც დავობს უცხო სამართლის გამოყენებაზე, წარმოადგენს ფრანგული და უცხოური კანონის არსებითი განსხვავების დამადასტურებელ მტკიცებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოიყენება ფრანგული, როგორც სუბსიდიარული სამართალი. ამდენად, თუ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, ივარაუდება რომ ფრანგული და უცხოური სამართალი ერთმანეთის ეკვივალენტურია.³⁸

38 Cass. Com. 16.10.1993 *Societe Amerford et autre v Compagnie Air France et autres* Billarant S., 2006. The French Diptych on Foreign Law: An Analysis

2005 წელს, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო და კომერციულმა პალატამ განიხილა ორი საქმე. ამ საქმეებში გადაწყდა, რომ მოსამართლე, რომელიც გამოსაყენებელ უცხოურ სამართალს საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა მოთხოვნით იყენებს, თავად ან საჭიროების შემთხვევაში მხარეების დახმარებით ადგენს ამ ნორმების შინაარსს, რათა სადავო საკითხი უცხოური პოზიტიური სამართლის შესაბამისად გადაწყვიტოს.³⁹

დასკვნა

ფაქტია, როდესაც უცხო ქვეყნის ნორმა, კოლიზიური ნორმის მითითების ძალით, გამოყენებას ექვემდებარება, სასამართლო ქვეყნის სამართალი იძლევა მისი გამოყენების შესაძლებლობას. საინტერესოა, უცხოური სამართლებრივი ნორმების გამოყენებისას, რაოდენ შორს შეუძლია ფრანგულ სასამართლოს წასვლა, ისე რომ საკუთარ თავს არ შეუქმნას დაბრკოლებები ან სირთულეები. დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ფრანგული დოქტრინა და კანონმდებლობა იძლევა საფუძველს უცხოური სამართლის გამოყენებისათვის.

უცხოური სამართლის გამოყენების საფუძველი საფრანგეთის საერთაშორისო კერძო სამართლის კოლიზიური ნორმების არჩევანია, რადგან კონკრეტული სამართალური თეორია უცხოური სამართლებრივი სისტემით მოწესრიგებას ექვემდებარება. ამგვარად, ფრანგული სასამართლოები უცხოური სამართლის გამოყენებით ახორციელებენ მაღალი ხარისხის მართლმსაჯულებას, რადგან სწორი გამოსავლის პოვნა სწორედ უცხო ქვეყნის კანონმდებლობის გამოყენებაში მდგომარეობს.

Through Its Most Recent Retouching, Yearbook of Private International Law, 223.
39 Cass. civ. Ire 28.06.2005 *M.F.Aubin v. M. H. Bonal et Société MFP*. Cass. com. 28.06.2005 *Société Itraco v Fenwick shipping services Ltd* Billarant S., 2006. The French Diptych on Foreign Law: An Analysis Through Its Most Recent Retouching, Yearbook of Private International Law, 223,224.

FOREIGN LAW RULES IN FRENCH JUSTICE: THE BASIC PROBLEMS AND CHALLENGES

Tamar Mskhvilidze

*Doctor of Law,
Kutaisi University, Assistant Professor*

KEYWORDS: Conflict, Reference, French, Local

ABSTRACT

Private international law plays an important role in defining applicable law and regulating private international law relations. Foreign law is significantly different from local law. Judges do not have the right to change the content of foreign law, they simply have the opportunity to reject or apply foreign law. When a judge is obliged to make a decision based on the rules of national law in the process of legal proceedings, it is clear that the law of a foreign country cannot enjoy the same status. The issue of determining the content of foreign law and its application remains one of the most problematic issues in the private international law of countries around the world. French case law has gone through a difficult and controversial path to formulate a decisive position on the application of foreign law. Resolving this problem was especially important for France, as the courts of this country have to deal with a large number of international litigation cases. The basis for the application of foreign law is the choice of French private international law rules, as a particular legal relationship is subject to regulation by a foreign legal system. Thus, French courts apply foreign law to administer high-quality justice, as finding the right solution lies in applying foreign law.

NOTES:

1. Mskhvilidze, T., 2021. Application of Foreign Law in Private International Law, Tbilisi, p.27 <https://eeu.edu.ge> (In Georgian)
2. David R., 1999. Major Legal Systems In The World Today, Tbilisi, p.23. (In Georgian)
3. Cheshire, G.C., 1955. Private International Law, oxford at the clarendon press, p.5. (In English)
4. Mskhvilidze, T., 2021. Application of Foreign Law in Private International Law, Tbilisi, pp. 40-41. <https://eeu.edu.ge> (In Georgian)
5. Mskhvilidze, T., 2021. Application of Foreign Law in Private International Law, Tbilisi, p. 41. <https://eeu.edu.ge> (In Georgian)
6. Mskhvilidze, T., 2019. THE QUESTION OF FOREIGN LAW QUALIFICATION IN PRIVATE INTERNATIONAL LAW #12, p.72. <https://lawandworld.ge/> (In Georgian)
7. Trevor C. Hartley., 1996. Pleading and Proof of Foreign Law: The Major European Systems Compared, The International and Comparative Law, Quarterly, Vol. 45, p.278. (In English)
8. Mskhvilidze, T., 2019. THE QUESTION OF FOREIGN LAW QUALIFICATION IN PRIVATE INTERNATIONAL LAW #12, p.72. <https://lawandworld.ge/> (In Georgian)
9. Mskhvilidze, T., 2021. Application of Foreign Law in Private International Law, Tbilisi, p.42. <https://eeu.edu.ge> (In Georgian)
10. Hausmann Rainer., 2008. Pleading and Proof of Foreign Law – a Comparative Analysis, The European Legal Forum (E), p. 4. (In English)
11. Mskhvilidze, T., 2019. THE QUESTION OF FOREIGN LAW QUALIFICATION IN PRIVATE INTERNATIONAL LAW #12, p.72. <https://lawandworld.ge/> (In Georgian)
12. A.V. Dicey., J.H.C. Morris., 1993. The Conflict of Laws, 12th edition, p. 226
13. Dolinger, J., Spring 1995. Application, proof and interpretation of foreign law: A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, Vol 12, No 1, p. 228 (In English)
14. Dolinger, J., Spring 1995. Application, proof and interpretation of foreign law: A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, p. 228. (In English)
15. Mskhvilidze, T., 2021. Application of Foreign Law in Private International Law, Tbilisi, p.73. <https://eeu.edu.ge> (In Georgian)
16. Mskhvilidze, T., 2019. THE QUESTION OF FOREIGN LAW QUALIFICATION IN PRIVATE INTERNATIONAL LAW #12, p.73. <https://lawandworld.ge/> (In Georgian)
17. Hausmann, Rainer., 2008. Pleading and Proof of Foreign Law – a Comparative Analysis, The European Legal Forum (E), p.4. (In English)
18. Mskhvilidze, T., 2021. Application of Foreign Law in Private International Law, Tbilisi, p.43 <https://eeu.edu.ge> (In Georgian)
19. Billarant, S., 2006. The French Diptych on Foreign Law: An Analysis Through its Most Recent Retouching, Yearbook of Private International Law: Volume VIII, pp. 223,224
20. Mskhvilidze, T., 2019. THE QUESTION OF FOREIGN LAW QUALIFICATION IN PRIVATE INTERNATIONAL LAW #12, p.73. <https://lawandworld.ge/> (In Georgian)
21. Treatment of Foreign Law – Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law, Volume 26, Yuko Nishitani Editor, Springer 2017, p.171

22. Billarant, S., 2006. The French Diptych on Foreign Law: An Analysis Through its Most Recent Retouching, Yearbook of Private International Law, Volume VIII, p. 224
23. Gandini, E., 2019. Iura novit arbiter in International Disputes: How to Prevent Unforeseeable Legal Findings, Contemporary Law Journal, IBSU, Vol,1, Issue 1, pp.1,22,23. (In Georgian)
24. Gandini, E., 2019. Iura novit arbiter in International Disputes: How to Prevent Unforeseeable Legal Findings, Contemporary Law Journal, IBSU, Vol,1, Issue 1, pp.1,22,23. (In Georgian)
25. Mskhvilidze, T., 2021. Application of Foreign Law in Private International Law, Tbilisi, p.31 <https://eeu.edu.ge> (In Georgian)
26. Mskhvilidze, T., 2021. Application of Foreign Law in Private International Law, Tbilisi, p.31 <https://eeu.edu.ge> (In Georgian) Dolinger J., Spring 1995. Application, proof and interpretation of foreign law: A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, p. 240. Batiffol H., Legarde P., 1981. Droit International Prive, 387
27. International Encyclopedia of Comparative Law. 1986. Volume III, Private International Law, Chapter 3, Gerhard Kegel Fundamental Approaches, 11
28. Mskhvilidze, T., 2018. MAIN ASPECTS OF INTERPRETATION OF FOREIGN LAW IN INTERNATIONAL PRIVATE LAW Justice and Law, # 4, pp. 142, 143. <https://www.supremecourt.ge/>
29. Mskhvilidze, T., 2018. MAIN ASPECTS OF INTERPRETATION OF FOREIGN LAW IN INTERNATIONAL PRIVATE LAW Justice and Law, # 4, pp. 142, 143
30. Dolinger, J., Spring 1995. Application, proof and interpretation of foreign law: A comparative study in private international law, Arizona journal of international and comparative law, p.229. (In English)
31. Mskhvilidze, T., 2018. MAIN ASPECTS OF INTERPRETATION OF FOREIGN LAW IN INTERNATIONAL PRIVATE LAW Justice and Law, # 4, p. 143
32. International Encyclopedia of Comparative Law, 1986. Volume III, Private International Law, Chapter 3, Gerhard Kegel Fundamental Approaches, p. 9. (In English)
33. Treatment of Foreign Law – Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law, Vol.26, Yuko Nishitani Editor, Springer 2017, p.173. (In English)
34. Treatment of Foreign Law – Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law, Volume 26, Yuko Nishitani Editor, Springer 2017, p. 173
35. International Encyclopedia of Comparative law, 1972. Imre Zajtay, Private International Law, vol III, Chapter 14, The Application of foreign law, p. 38
36. Treatment of Foreign Law – Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law, Volume 26, Yuko Nishitani Editor, Springer 2017, pp.176, 177
37. Treatment of Foreign Law – Dynamics towards Convergence? Ius Comparatum – Global Studies in Comparative Law, Volume 26, Yuko Nishitani Editor, Springer 2017, 175,176. Billarant S., 2006. The French Diptych on Foreign Law: An Analysis Through Its Most Recent Retouching, Yearbook of Private International Law: Volume VIII, pp.220,221
38. Billarant, S., 2006. The French Diptych on Foreign Law: An Analysis Through Its Most Recent Retouching, Yearbook of Private International Law, p.217

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ
იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე: www.lawandworld.ge
ელ. ფოსტა: info@lawandworld.ge
მისამართი: გურამიშვილის გამზირი 76. თბილისი. 0141
ტელეფონი: (+995 32) 2 000 171 (120); (+995 598) 12 25 24

The online version of the journal is available on the website:
www.lawandworld.ge
E-mail: info@lawandworld.ge
Address: 76 Guramishvili ave. Tbilisi. 0141
Phone: (+995 32) 2 000 171 (120); (+995 598) 12 25 24